

# **სისხლის სამართალი ზოგადი და კერძო ნაწილები**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადამწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:  
[http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**სისხლის სამართლის საქმეებზე**  
2016, №10-12

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Criminal Cases**  
(in Georgian)  
2016, №10-12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Strafsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2016, №10-12

Решения Верховного Суда Грузии  
**по уголовным делам**  
(на грузинском языке)  
2016, №10-12

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **რუსუდან ჭანტურიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# ზოგადი ნაწილი

## 1. სასჯელის დანიშვნა

### მსჯავრდებულის დამატებითი სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლები

#### ბანაჩენი საქართველოს სახელით

№ 125აპ-16

15 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. წ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 იანვრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 6 ოქტომბრის განაჩენით მ. წ-ი, – დაბადებული ... წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 25 ივლისის რედაქცია) – 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2006 წლის 25 ივლისის რედაქცია) – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით. მასვე სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

2. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა ძირითადმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მ. წ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

3. მასვე საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

4. მ. წ-ის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და გირაოს სახით შეტანილი თანხა სრულად უნდა დაუბრუნდეს მის შემტან პირს კანონით დადგენილი წესით და ვადებში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

5. საქმეზე დართული საგნები და ნივთები – მ. წ-ის ჩანთიდან ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც ინახება შსს შეიარაღების სამსახურში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს შსს შეიარაღების სამსახურს.

6. განაჩენით მსჯავრდებულ მ. წ-ის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: მ. წ-მა გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ქარხნული წესით დამზადებული, 1951 წლის ნიმუშის 9 მმ კალიბრიანი „მაკაროვის“ კონსტრუქციის „პმ“ მოდელის ცეცხლსასროლი იარაღი. მ. წ. აღნიშნულ ცეცხლსასროლ იარაღსა და საბრძოლო მასალას მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და 2014 წლის 26 ივნისს ატარებდა პირადად, თავისი ხელჩანთით, რომელიც მოათავსა მეუღლის – ი. ხ-ის კუთვნილ „ფორდის“ მარკის ა/მანქანაში, სახ. № ... .

7. 2014 წლის 26 ივნისს შსს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ...ში, ...ში, ... მიმდებარე ტერიტორიაზე, გაჩხრიკეს ი. ხ-ის ა/მანქანა, საიდანაც ამოიღეს მითითებული ცეცხლსასროლი იარაღი.

8. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 იანვრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

9. მსჯავრდებული მ. წ. საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 იანვრის განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ შეუმსუბუქდეს დანიშნული სასჯელი და გათავისუფლდეს დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის გადახდისაგან.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და კასა-

ტორს უნდა მოეხსნას მისთვის დამატებითი სასჯელის სახით განსაზღვრული სასჯელი – ჯარიმა 2000 ლარი, ვინაიდან მსჯავრდებულ მ. წ-ს არ გააჩნია დამამძიმებელი გარემოებები, აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ჰყავს ორი არასრულწლოვანი და ერთი მცირეწლოვანი შვილი და აქვს მძიმე ეკონომიკური პირობები.

2. რაც შეეხება ძირითადი სასჯელის შემსუბუქებას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მ. წ-თვის ძირითადი სასჯელის დანიშვნისას ზედმინევით გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის პიროვნება და ისე განუსაზღვრა შესაბამისი სასჯელი, რასაც საკასაციო პალატაც ეთანხმება.

3. დამატებით (რადგან კასატორი წარდგენილ ბრალსა და ქმედების კვალიფიკაციას სადავოდ არ ხდის), საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის შედეგადაც მივიდა დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მ. წ-ის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების – ლ. ჩ-ის, ზ. ნ-ის, დ. ც-ის, დ. ქ-ას ჩვენებებით, ავტომანქანის ჩხრეკის ოქმით, მ. წ-ისა და ი. ხ-ის ჩვენებებით, შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიმართვითა და პასუხით, ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მ. წ-თვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ მ. წ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 11 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. მსჯავრდებულ მ. ნ-ს ამოერიცხოს დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმა – 2000 ლარი – სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

4. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ჯარიმით შეცვლა**

### **განაჩენი საქართველოს სახელით**

№414აპ-16

8 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ბ-ს (მ-ს) საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 10 თებერვლის განაჩენით ნ. ბ-ი (მ-ი), – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა ჯარიმა – 2000 ლარი.

2. ნ. ბ-ს (მ-ს) მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა. განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში გირაოს სახით შეტანილი თანხა უნდა დაუბრუნდეს გირაოს შემტან პირს.

3. ნივთიერი მტკიცებულება: ორი 20 ლიტრის მოცულობის შუშის ბოცა, ერთი ხუთი ლიტრის მოცულობის შუშის ბოცა, ორი სამი ლიტრის მოცულობის შუშის ბოცა, ერთი თეთრი წვეწვანური, ათი დიდი ზომის წვენის ჭიქა, ექვსი შუშის ჭიქა, ექვსი წვე-

ნის ჭიქა, ექვსი დიდი ზომის თევზი, ათი ღრმა თევზი, ექვსი სკამი, სამი სკამი, ერთი ალუმინის ქვაბი, რომლებიც ინახება შსს თელავის რაიონულ სამმართველოში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

4. განაჩენით ნ. ბ-ს (მ-ს) მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, თუ ეს ნივთი იმყოფებოდა მიმთვისებლის მართლზომიერ მფლობელობაში ან გამგებლობაში, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

5. 2014 წელს ქ. ჩ-მ ქ. ...., ..... ქ. №.....-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, მასში არსებული მოძრავი ნივთებით, მოსაველელად მიაბარა ნ. მ-ს. ნ. მ-მ ისარგებლა ამ მდგომარეობით და 2015 წლის მაისიდან სექტემბრის თვემდე პერიოდში აღნიშნული სახლიდან მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისა ქ. ჩ-ს კუთვნილი, სხვადასხვა დასახელების საყოფაცხოვრებო ნივთები და მოახდინა მათი რეალიზაცია, კერძოდ: 12 პერსონაზე განკუთვნილი სადილის სერვიზი – ღირებული 2000 ლარად; 12 პერსონაზე განკუთვნილი ჩაის სერვიზი – ღირებული 1000 ლარად; 30 ცალი პატარა ზომის თევზი – ჯამში ღირებული 75 ლარად; 12 ცალი ვერცხლის, მოოქროვილი ორკბილიანი ჩანგალი – ჯამში ღირებული 1 200 ლარად; 12 ცალი მელქიორის ჩანგალი – ჯამში ღირებული 36 ლარად; 6 ცალი მელქიორის დანა – ჯამში ღირებული 18 ლარად; 24 ცალი მელქიორის სადილის კოვზი – ჯამში ღირებული 72 ლარად; 12 პატარა ზომის თევზი – ჯამში ღირებული 36 ლარად; 11 ცალი დიდი ზომის თევზი – ჯამში ღირებული 55 ლარად; 11 ცალი ღრმა თევზი – ჯამში ღირებული 55 ლარად; 1 ცალი ე.წ „ინდური“ ჩაიდანი – ღირებული 50 ლარად; 2 ცალი ე.წ „ინდური“ ლარნაკი – ჯამში ღირებული 100 ლარად; ერთი ცალი ბროლის ლარნაკი – ღირებული 40 ლარად; 1 ცალი მეტალის ლარნაკი – ღირებული 45 ლარად; 10 ცალი მაღალი მინის ჭიქა – ჯამში ღირებული 20 ლარად; 6 ცალი ფეხიანი მინის ჭიქა – ჯამში ღირებული 12 ლარად; 6 ცალი მინის ჭიქა – ჯამში ღირებული 12 ლარად; 10 ცალი მაგიდის გადასაფარებელი – ჯამში ღირებული 200 ლარად; 18 ცალი ბროლის ჭიქა – ჯამში ღირებული 72 ლარად; 6 ცალი ხის სკამი, რომლებიც არის ნაჭერგადაკრული – ჯამში ღირებული 240 ლარად; აგრეთვე 3 ცალი ხის მოყავისფრო ნაჭერგადაკრული სკამი – ჯამში ღირებული 75 ლარად; 1 ცალი სპილენძის ქვაბი – ღირებული 50 ლარად; 1 ცალი სპილენძის ე.წ „თუნგი“ – ღირებულ 60 ლარად; 2 ცალი 0.5 ლიტრის მოცულობის რქის ყანნი, რომლებსაც დაბოლოება ჰქონდა

ვერცხლის – ჯამში ღირებული 140 ლარად; 20 ლიტრის მოცულობის ალუმინის ქვაბი – ღირებული 30 ლარად; 3 ცალი ემალის ფინჯანი, ჯამში ღირებული – 9 ლარად; 1 ცალი 5 ლიტრის მოცულობის შუშის ბოცა – ღირებული 10 ლარად; 3 ცალი ემალის ქვაბი – ჯამში ღირებული 60 ლარად; 1 ცალი ალუმინის სამნაწილიანი წვენის სახდელი – ღირებული 50 ლარად; 2 ცალი 20 ლიტრის მოცულობის შუშის ბოცა – ჯამში ღირებული 50 ლარად; 2 ცალი 3 ლიტრის მოცულობის ღვინის ბოცა – ჯამში ღირებული 10 ლარად; 20 ცალი ხელის პირსახოცი – ჯამში ღირებული 300 ლარად; 10 ცალი აბაზანის პირსახოცი – ჯამში ღირებული 300 ლარად; 50 ცალი ჭურჭლის ტილო – ჯამში ღირებული 150 ლარად; 2 ცალი ნაჭრის სათბური (ადიალა) – ჯამში ღირებული 300 ლარად; 1 ცალი მოყავისფრო მეორადი ნაჭრის სათბური (ადიალა) – 50 ლარად; 10 წყვილი თეთრი ფერის თეთრეულის კომპლექტი – ჯამში ღირებული 300 ლარად. აღნიშნული ქმედებით ნ. მ-მ ქ. ჩ-ს მიაყენა 7282 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

6. აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ: ნ. ბ-ი (მ-ი) ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დანიშნული სასჯელიდან ნაწილი – 2 წელი და 8 თვე უნდა მოიხადოს სასჯელალსრულების დაწესებულებაში, ხოლო 1 წელი და 4 თვე ჩაეთვალა პირობით, 1 წლისა და 4 თვის გამოსაცდელი ვადით. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2016 წლის 20 მაისიდან.

7. ნ. ბ-ს (მ-ს) მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში გირაოს სახით შეტანილი თანხა უნდა დაუბრუნდეს გირაოს შემტან პირს.

8. ნივთიერი მტკიცებულება: ორი 20 ლიტრის მოცულობის შუშის ბოცა, ერთი ხუთი ლიტრის მოცულობის შუშის ბოცა, ორი სამი ლიტრის მოცულობის შუშის ბოცა, ერთი თეთრი წვეწვანური, ათი დიდი ზომის წვენის ჭიქა, ექვსი შუშის ჭიქა, ექვსი წვენის ჭიქა, ექვსი დიდი ზომის თეფში, ათი ღრმა თეფში, ექვსი სკამი, სამი სკამი, ერთი ალუმინის ქვაბი, რომლებიც ინახება შსს თელავის რაიონულ სამმართველოში საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

9. მსჯავრდებული ნ. ბ-ი (მ-ი) საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.



## **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის შედეგადაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მსჯავრებულის აღიარებითი ჩვენებით, მოწმეების – თ. ჩ-ს, მ. პ-ს, ნ. კ-ს, გ. ბ-ს, ც. კ-ს ჩვენებებით, დაზარალებულ ქ. ჩ-ს ჩვენებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმს თანდართული ფოტოცხრილით, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმს თანდართული ფოტოცხრილით, ამოღების ოქმებით, ნივთმტკიცებების გახსნისა და დათვალიერების ოქმებით, ნივთის ამოცნობის ოქმებით, დალუქვის შესახებ ოქმებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მსჯავრდებულ ნ. ბ-ს (მ-ს) მიმართ ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

3. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატის აზრით, მსჯავრდებულ ნ. ბ-ს (მ-ს) სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა შეეცვალოს და სასჯელის სახით უნდა დაენიშნოს ჯარიმა შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულ ნ. ბ-ს (მ-ს) არ გააჩნია დამამძიმებელი გარემოებები, აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ითანამშრომლა გამოძიების ორგანოებთან, აქვს მძიმე მატერიალური მდგომარეობა, გარდაცვლილი ჰყავს მშობლები, არ ჰყავს დედმამიშვილი, განქორწინდა მეუღლესთან, არ ჰყავს შვილი, ციხეში ყოფნის დროს დამძიმდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა – ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №-100ა ცნობის თანახმად, მსჯავრდებულ ნ. ბ-ს (მ-ს) აქვს ინტრადურული სიმსივნე, ზურგის ტვინის L4 დონეზე, შერეული სპინალური სტენოზი L4, L5, ქვედა პარაპარეზი, მცირე მენჯის ორგანოების ფუნქციის მოშლა ცენტრალური ტიპით, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 (E11.8).

5. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ნ. ბ-ს (მ-ს) საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით

სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. იგი პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2016 წლის 20 მაისიდან), მთლიანად უნდა გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ნ. ბ-ს (მ-ს) საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 20 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. ნ. ბ-ი (მ-ი) ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 3000 (სამი ათასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. იგი პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2016 წლის 20 მაისიდან), მთლიანად გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

4. მსჯავრდებული ნ. ბ-ი (მ-ი) დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ნ. ბ-ს (მ-ს) მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. გირაოს სახით შეტანილი თანხა დაუბრუნდეს მის შემტანს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში.

6. ნივთიერი მტკიცებულება: ორი 20 ლიტრის მოცულობის შუშის ბოცა, ერთი ხუთი ლიტრის მოცულობის შუშის ბოცა, ორი სამი ლიტრის მოცულობის შუშის ბოცა, ერთი თეთრი წვეწარნური, ათი დიდი ზომის წვენის ჭიქა, ექვსი შუშის ჭიქა, ექვსი წვეწარნის ჭიქა, ექვსი დიდი ზომის თეფში, ათი ღრმა თეფში, ექვსი სკამი, სამი სკამი, ერთი ალუმინის ქვაბი, რომლებიც ინახება შსს თელავის რაიონულ სამმართველოში დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**დამატებითი სასჯელის ამორიცხვა იმ საფუძველით,  
რომ მსჯავრდებულს ძირითადი სასჯელი არ ჰქონდა  
დანიშნული**

**ბანაჩენი  
საქართველოს სახელით**

№313აპ-16

3 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. კ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ხ. თ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მარტის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 23 დეკემბრის განაჩენით დ. კ-ა, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილი იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, დამატებითი სასჯელის სახით – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 200 საათით, 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეუწყებით – 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეუწყებით – 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ერთობლიობის დროს საბოლოო სასჯელის დანიშვნისას, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ, დ. კ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 4 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენცი 2015 წლის 20 ოქტომბრიდან.

2. მასვე, როგორც ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობს, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „გ“ ქვეუწყების, მე-3 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველო-

ბის სახაზინო დანესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო და იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

3. საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი 9,19 გრამი მცენარეული მასა „გამომშრალი მარიხუანა“ და მცენარეული მასიდან განცალკევებული 0,74 გრამი „კანაფის თესლი“, რომლებიც ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოზურგეთის რაიონულ სამმართველოში უნდა განადგურდეს.

4. განაჩენით მსჯავრდებულ დ. კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2015 წლის 29 აგვისტოს, ღამის საათებში, დ. კ-მ უკანონოდ შეაღწია ... მუნიციპალიტეტის ... მდებარე, ნ. ც-ს კუთვნილ საცხოვრებელ სახლში, რომლის პირველი სართულიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ნ. ც-ს კუთვნილ 20 კილოგრამამდე თხილს, რითაც დაზარალებულს 80 ლარის ქონებრივი ზიანი მიაყენა.

5. 2015 წლის 29 აგვისტოს, ღამის საათებში, დ. კ-მ უკანონოდ შეაღწია ... მუნიციპალიტეტის ... მდებარე, ნ. დ-ს საცხოვრებელ სახლში, რომლის პირველი სართულიდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ნ. დ-ს კუთვნილ 200 კილოგრამამდე თხილს, რითაც დაზარალებულს 1000 ლარის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანი მიაყენა.

6. დ. კ-მ დაუდგენელ გარემოებებში უკანონოდ შეიძინა 9,49 გრამი ნარკოტიკული საშუალება „გამომშრალი მარიხუანა“, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა პირადად. ... მუნიციპალიტეტის სოფელ ... გადაადგილების დროს, 2015 წლის 20 ოქტომბერს, აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ამოიღეს დ. კ-ს პირადი ჩხრეკის შედეგად.

7. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მარტის განაჩენით დარჩა უცვლელად.

8. მსჯავრდებული დ. კ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

9. მსჯავრდებულ დ. კ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ნ. თ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვს დ. კ-თვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწ-

მა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, დანაშაულთა ან განაჩენთა ერთობლიობის დროს ძირითად სასჯელთან ერთად შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სასჯელი.

3. ამდენად, მსჯავრდებულ დ. კ-ს უნდა მოეხსნას დამატებითი სასჯელის სახით განსაზღვრული სასჯელი – საზოგადოებრივ სამსახურის სასარგებლო შრომა 200 საათით, ვინაიდან მას საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილით არა აქვს დანიშნული ძირითადი სასჯელი; შესაბამისად, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, მისთვის დაენიშნა დამატებითი სასჯელი.

4. რაც შეეხება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით დანიშნული ძირითადი სასჯელის შემსუბუქებას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დ. კ-თვის ძირითადი სასჯელის დანიშვნისას ზედმინევით გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულის მოტივი და მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი და მართლსაწინააღმდეგო შედეგი, დამნაშავის პიროვნება და ისე განუსაზღვრა შესაბამისი სასჯელი, რასაც საკასაციო პალატაც ეთანხმება.

5. დამატებით (რადგან კასატორები წარდგინდნ ბრალსა და ქმედების კვალიფიკაციას სადავოდ არ ხდიან), საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის შედეგადაც დაასკვნა, რომ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, დაზარალებულ ნ. ძ-ს დაკითხვის ოქმით, მოწმეების – გ. ძ-ს, გ. გ-ს, გ. ს-ს, გ. ძ-ს, ნ. ც-ს, მ. გ-ს, კ. ც-სა და სხვათა დაკითხვის ოქმებით, ბრალდებულის დაკითხვის ოქმებით, დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, ფოტოსურათით ამოცნობის ოქმით, ექსპერტიზის №..... დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება დ. კ-თვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-

ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ დ. კ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ხ. თ-ს საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 25 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. მსჯავრდებულ დ. კ-ს ამოერიცხოს დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 200 საათით.

4. გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ქირითადი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის თანხის ოდენობის შემცირება**

### **გ ა ნ ა ჩ ე ნ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი თ**

№392აპ-16

20 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ფ. ც-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 16 თებერვლის განაჩენით ფ. ც., – დაბადებული ...წლის ...ს, – ცნობილ

იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 700 ლარი.

2. ფ. ც-ს განაჩენით მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ამ კოდექსის 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, რაც გამოიხატა შემდეგში:

3. 2015 წლის 26 ოქტომბერს ფ. ც-მა ხის ჯოხის ერთხელ დარტყმით ბ. გ-ს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, დაზარალებულმა მარჯვენა მხარის არეში ჯოხის დარტყმით განიცადა ფიზიკური ტკივილი.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 28 აპრილის განაჩენით ახალციხის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 16 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

5. კასატორი – მსჯავრდებული ფ. ც. საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი ეფუძნება მხოლოდ ვარაუდებსა და მონმეთა ურთიერთგამომრიცხავ ჩვენებებს; ბ. გ-მ მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, რის გამოც მოუქნია ჯოხი, რომელიც, სავარაუდოდ, მას არ მოხვედრია, რადგან ხმა არ ამოუღია და ჩუმად გაეცალა; კასატორი ასევე მიუთითებს, რომ მისთვის შეფარდებული სასჯელი არის უსამართლო, ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და მისი პიროვნების გათვალისწინებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოტივაციას ფ. ც-ს საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების ნაწილში და მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ ფ. ც-მა ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები.

3. პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ დაზარალებულ ბ. გ-თვის ჯოხის მოქნევას არც თავად მსჯავრდებული უარყოფს, ხოლო ის ფაქტი, რომ მოქნეული ჯოხი მოხვდა ბ. გ-ეს, დასტურდება თავად ბ. გ-სა და მონმეების – შ. ბ-ის, მ. ჩ-ის, ზ. მ-სა და ნ. ა-ის ჩვენებებით, რომელთა სისწორეშიც ეჭვის შეტანის საფუძველი პალატას არ გააჩნია, ვინაიდან ისინი თან-

მიმდევრული და თანხვედრილია როგორც ერთმანეთთან, ისე – საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან.

4. ამასთან, საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის პოზიციას მისთვის დანიშნული სასჯელის სიმკაცრის შესახებ და მიაჩნია, რომ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, ფ. ც-ის ასაკის – 67 წლისაა, მატერიალური მდგომარეობის – პენსიონერია და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ფ. ც-ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია, სამართლიანი იქნება მისთვის ჯარიმის მინიმალური ოდენობის განსაზღვრა.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ფ. ც-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებულ ფ. ც-ს საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 500 ლარი.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.



**პირადი მოხმარების მიზნით „გამომშრალი  
მარისუანის“ უკანონო შექმნა-შენახვისათვის  
დამნაშავედ ცნობა სასჯელის დაუნიშნავად**

**ბანაჩენი  
საქართველოს სახელით**

№392აპ-15

24 მარტი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გ. ჯ-ს, მსჯავრდებულ რ. გ-ს ადვოკატ გ. ტ-ს, მსჯავრდებულ რ. ო-ს ადვოკატების – ო. ს-სა და დ. ნ-ს, მსჯავრდებულ ს. დ-სა და მისი ადვოკატის – ლ. ბ-ს, მსჯავრდებულების – მ. შ-სა და ნ. ი-ს ადვოკატ ო. ს-ს, მსჯავრდებულ ჯ. ა-სა და მისი ადვოკატის – მ. უ-ს, მსჯავრდებულ გ. კ-ს ადვოკატების – მ. ფ-სა და ი. ჭ-ს, მსჯავრდებულ თ. გ-ს, მსჯავრდებულების – ნ. ო-ს, ა. გ-სა და თ. გ-ს ადვოკატ გ. ნ-ს, მსჯავრდებულ რ. მ-სა და მისი ადვოკატის – ო. გ-ს, მსჯავრდებულ ა. ხ-ს ადვოკატების – ნ. ც-სა და დ. მ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 3 ივნისის განაჩენით:

რ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 260-ე მუხლის პირველი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავ კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და რ. გ-ს საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქ-

მიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება;

რ. ო-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 260-ე მუხლის პირველი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და რ. ო-ს საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება;

ს. დ-ს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 376-ე მუხლზე; ს. დ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით, 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და განესაზღვრა: საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით – ჯარიმა 20 000 ლარის ოდენობით, ხოლო 260-ე მუხლის პირველი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ს. დ-ს საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგო-

გიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე ავთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება;

მ. შ-ს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 376-ე მუხლზე; მ. შ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით და განესაზღვრა ჯარიმა – 20 000 ლარის ოდენობით. მასვე საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (2013 წლის 6 სექტემბრიდან 2014 წლის 3 ივნისის ჩათვლით), შეუმსუბუქდა დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა ჯარიმა – 12 000 ლარის ოდენობით;

კ. გ-ს ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გადაკვალიფიცირდა ამავე კოდექსის 376-ე მუხლზე; კ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით და განესაზღვრა ჯარიმა – 20 000 ლარის ოდენობით. მასვე საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (2013 წლის 6 სექტემბრიდან 2014 წლის 3 ივნისის ჩათვლით), შეუმსუბუქდა დანიშნული სასჯელი და განესაზღვრა ჯარიმა – 12 000 ლარის ოდენობით;

ჯ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და ჯ. ა-ს საბოლოოდ დანაშაულთა ერთობლიობით განესაზღვრა – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

ვ. ტ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა;

თ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ა. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

გ. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

ნ. ო-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ნ. ი-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 29 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წელი პირობითი მსჯავრი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 29 ივლისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წელი პირობითი მსჯავრი და განაჩენთა ერთობლიობით ნ. ი-ს საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

რ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე გაუქმდა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 აპრილის განაჩენით დანიშნული და ამავე სასამართლოს 2013 წლის 22 იანვრის განჩინებით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წელი და 6 თვე პირობითი მსჯავრი. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 16 აპრილის განაჩენით დანიშნული და ამავე სასამართლოს 2013 წლის 22 იანვრის განჩინებით განსაზღვრული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წელი, 6 თვე თავისუფლების აღკვეთა და განაჩენთა ერთობლიობით რ. მ-ს საბოლოოდ განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ა. ხ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განაჩენით ბოლ-

ნისის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 3 ივნისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს: მსჯავრდებულ რ. გ-ს ადვოკატმა – გ. ტ-მა, მსჯავრდებულმა ჯ. ა-მა და მისმა ადვოკატმა – მ. უ-მა, მსჯავრდებულების – მ. შ-სა და ნ. ი-ს ადვოკატმა – ო. ს-მა, მსჯავრდებულ რ. ო-ს ადვოკატებმა – ო. ს-მა და დ. ნ-მა, მსჯავრდებულ გ. კ-ს ადვოკატებმა – მ. ფ-მ და ი. ჭ-მ, მსჯავრდებულ ა. ხ-ს ადვოკატებმა – ნ. ც-მ, დ. მ-მა, მსჯავრდებულმა ს. დ-მა და მისმა ადვოკატმა – ლ. ბ-მ, მსჯავრდებულმა რ. მ-მა და მისმა ადვოკატმა – ო. გ-მ, მსჯავრდებულმა თ. გ-მა, მსჯავრდებულების – ნ. ო-ს, ა. გ-სა და თ. გ-ს ადვოკატმა – გ. ნ-მა და მოითხოვეს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულების მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა. ხოლო ადვოკატმა – გ. ნ-მა მოითხოვა მსჯავრდებულ ნ. ო-ს მიმართ ალტერნატივის სახით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის გადაკვალიფიცირება ამავე კოდექსის 376-ე მუხლზე.

4. აღნიშნული განაჩენი ასევე გაასაჩივრა მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორმა – გ. ჯ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და მსჯავრდებულების: მ. შ-ს, კ. გ-ს, ს. დ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლით და მათთვის შესაბამისი სასჯელების განსაზღვრა, ხოლო დანარჩენი მსჯავრდებულების მიმართ უფრო მკაცრი სასჯელების განსაზღვრა.

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 30 დეკემბრის განჩინებით აღნიშნული საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2015 წლის 31 დეკემბრის განჩინებით კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და შეაჩერა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების განხილვასთან დაკავშირებული საქმისწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარდგინებაში აღნიშნული საკითხების გადაწყვეტამდე.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 26 თებერვლის განჩინებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინა-

არსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნისთვის უკანონო შეძენა-შენახვის გამო.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მარტის განჩინებით განახლდა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრების განხილვასთან დაკავშირებული საქმისწარმოება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ რ. გ-ს დამცველის, ადვოკატ გ. ტ-ს, მსჯავრდებულ ჯ. ა-სა და მისი დამცველის, ადვოკატ მ. უ-ს, მსჯავრდებულების – ნ. ი-სა და მ. შ-ს დამცველის, ადვოკატ ო. ს-ს, მსჯავრდებულ რ. ო-სა და მისი დამცველი ადვოკატების – დ. ნ-სა და ო. ს-ს, მსჯავრდებულ გ. კ-ს დამცველი ადვოკატების – მ. ფ-სა და ი. ქ-ს, მსჯავრდებულების – ნ. ო-ს, ა. გ-სა და თ. გ-ს დამცველის, ადვოკატ გ. ნ-ს, მსჯავრდებულ ა. ხ-ს დამცველი ადვოკატების – ნ. ც-სა და დ. მ-ს, მსჯავრდებულ ს. დ-სა და მისი დამცველის, ადვოკატ ლ. ბ-ს, მსჯავრდებულ რ. მ-სა და მისი დამცველის, ადვოკატ ო. გ-ს, აგრეთვე, მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გ. ჯ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში მსჯავრდებულების – ს. დ-ს, რ. გ-სა და რ. ო-ს მიმართ უნდა შევიდეს ცვლილებები შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა კასატორთა მოთხოვნას მსჯავრდებულების უდანაშაულოდ ცნობისა და მათი გამართლების თაობაზე არ ეთანხმება, რადგან წარმოდგენილ საქმის მასალებში საამისოდ არ მოიპოვება კანონიერი და დასაბუთებული საფუძველი. ამასთან, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ მათ მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებში ჩამოყალიბებული დასკვნები ინკრიმინირებულ ქმედებებში მათი ბრალეულობის თაობაზე, სავსებით აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული, კანონიერი გზით მოპოვებული, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებები.

ბების ერთობლიობა.

3. სააპელაციო სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულთა ინტერესების წარმომადგენელი კასატორები თავიანთ საჩივრებში ერთხმად აღნიშნავენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფი პირების მონაწილეობა გამამტყუნებელი განაჩენით მათთვის შერაცხულ ისეთ ქმედებებში, როგორცაა ქურდული სამყაროს წევრობა და დაზარალებულთაგან თანხების გამოძალვა, აგრეთვე დანაშაულის შეუტყობინებლობა, დანაშაულები, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე, 181-ე და 376-ე მუხლებით, საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ დგება, რადგან მათი აზრით, მსჯავრდებულთათვის შერაცხული ბრალი არ ემყარება კანონიერ და სარწმუნო მტკიცებულებებს. კასატორები აღნიშნავენ, რომ ხსენებულ ქმედებებში მსჯავრდებულთა ბრალეულობის დამადასტურებელი ძირითადი მტკიცებულებები – ფარული მიყურადების მეშვეობით მოპოვებული სატელეფონო საუბრების ჩანაწერები და მათ საფუძველზე შედგენილი ტექსტობრივი კრებები არ უნდა იქნეს მიღებული და გაზიარებული შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე: ისინი მოპოვებულია საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ნორმების მოთხოვნათა დარღვევით, კერძოდ, მათ მოპოვებასთან დაკავშირებით, ცალკეულ შემთხვევაში, არ არის შედგენილი და საქმეში წარმოდგენილი შესაბამისი ოქმი ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიების ჩატარების შესახებ, ხოლო ზოგიერთ ასეთ ოქმში არ არის შევსებული ცალკეული რეკვიზიტი; სასამართლოში არ ყოფილან მოწმეებად დაკითხული ოპერატიული სამსახურის ის თანამშრომლები, რომლებიც ახორციელებდნენ ფარულ მოსმენებს, აგრეთვე პირები, რომლებიც შემდეგ, ფარული ჩანაწერების საფუძველზე, ადგენდნენ ტექსტობრივ კრებებს; ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნით დისკებზე არსებული საუბრების ჩანაწერებით ვერ ხერხდება მოსაუბრე სუბიექტების ხმების იდენტიფიცირება ანუ იმის განსაზღვრა – ნამდვილად მსჯავრდებულთა საუბრებია თუ არა აღბეჭდილი აღნიშნულ დისკებზე. ასევე, დისკები, რომლებიც გაიხსნა სასამართლო სხდომაზე, არ იყო დალუქული და მათ არ ჰქონდათ ექსპერტიზის ბეჭედი.

4. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენში დაცვის მხარის ზემოაღნიშნულ პრეტენზიებზე დამაჯერებელი პასუხია გაცემული, კერძოდ, აღნიშნულია, რომ ხსენებული ფარული მოსმენები განხორციელებულია მოსამართლის ბრძანების საფუძველზე, ხოლო წინასასამართლო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით ისინი არ ყოფილა ცნო-



ბილი დაუშვებელ მტკიცებულებებზე, მათი მოპოვებისას არსებითი საპროცესო დარღვევების არარსებობის გამო; ამასთან, საქმეზე წარმოდგენილი იყო და სასამართლო პროცესზე დაიკითხნენ სწორედ ის ოფიციალური პირები, რომლებსაც შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელობისგან დავალებული ჰქონდათ ფარული მოსმენების განხორციელება, რომლებმაც აღნიშნეს, როდის და რა ვითარებაში ხორციელდებოდა ეს მოსმენები. მოწმეების სახით დაკითხული არიან ასევე ის თარჯიმნები, რომლებმაც სხვა ენებიდან ქართულად თარგმნეს ფარული ჩანაწერები და რომელთა საფუძველზეც შემდგომში შედგა კრებები; დისკებზე არსებული ფარული ჩანაწერების შინაარსსა და მათ საფუძველზე შედგენილ ტექსტობრივ კრებებში მოცემული საუბრების შინაარსს შორის არავითარი შეუსაბამობა არ არსებობს, რაც გამორიცხავს იმის ვარაუდს, რომ შესაძლოა, დისკები შეცვლილი ყოფილიყო მტკიცებულების ფალსიფიკაციის მიზნით, ხოლო დალუქული დისკები გაიხსნა, რადგან ისინი უნდა გადასცემოდა დაცვის მხარეს.

5. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლო მართებულად აღნიშნავს: დაცვის მხარის წარმომადგენელ მომჩივანთა პოზიცია იმის თაობაზე, რომ არ არის იდენტიფიცირებული და უდავოდ დადგენილი ფარული მოსმენებით მოპოვებულ საუბრებში მონაწილე პირების ხმა და, აქედან გამომდინარე, მათი ვინაობა, არ უნდა იქნეს გაზიარებული, რადგან ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნაში, მართალია, აღნიშნულია, რომ ჩანაწერის არარეპრეზენტატიულობის გამო ვერ ხერხდება ხმებისა და პიროვნების ზუსტი იდენტიფიცირება, მაგრამ საქმეში არსებული სხვა მრავალი მასალისა და მონაცემების ერთობლიობით სრულიად სარწმუნოდ არის დადგენილი – ფარულ ჩანაწერებსა და კრებებში აღბეჭდილ სატელეფონო საუბრებში მონაწილე სუბიექტები სწორედ იმ პირებს წარმოადგენენ, რომლებიც არიან იმ ტელეფონების, შესაბამისი ნომრებისა და იმეი კოდების რეალური მფლობელები, რომელთა გამოყენებითაც საუბრობდნენ ისინი. საქმე ისაა, რომ მათი ბინებიდან ამოღებული ხსენებული ტელეფონები, ნომრები და იმეი კოდები იდენტიფიცირდა სატელეფონო საუბრების კრებებსა და შესაბამისი მობილური კომპანიებიდან ამოღებულ ჩანაწერებში დაფიქსირებული იმეი კოდების, აგრეთვე იმავე კომპანიებიდან ამოღებული ამ სატელეფონო ნომრებზე შემავალი და გამავალი სატელეფონო ზარების ნუსხისა. ამავე დროს, დისკებსა და კრებებში არსებული ინფორმაცია თანხვედნილია მოწმეთა ჩვენებებისა და წერილობითი მტკიცებულებების შინაარსთან. საკასაციო პალატას მი-



აჩნია, რომ აღნიშნულ გარემოებათა გამო, ბრალეულ პირთა საუბრების კუთვნილება, რომელთა შინაარსი ვრცლად და ლოგიკური თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი გასაჩივრებულ განაჩენში და ასევე დანაშაულში მათი მონაწილეობა, ვერ დადგება საფუძვლიანი ეჭვის ქვეშ. რაც შეეხება საქმეში ზოგიერთი ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიების ოქმის არარსებობას და ცალკეული ასეთი ოქმის რეკვიზიტებში არსებულ ხარვეზს, ისინი ნამდვილად ვერ ჩაითვლება არსებით და მნიშვნელოვან დარღვევად, რის გამოც შეიძლება შესაბამისმა ჩანაწერებმა დაკარგონ მტკიცებულებითი ძალა.

6. კასატორთა მოთხოვნა ზოგიერთი მსჯავრდებულის გამართლების თაობაზე, გარდა ზემოაღნიშნულისა, გაზიარებული ვერ იქნება სხვა გარემოებების გამოც, კერძოდ, მსჯავრდებული ს. დ-ი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ლ. ბ-ა, მსჯავრდებული რ. მ-ი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ო. გ-ე თავიანთ საკასაციო საჩივრებში მხოლოდ ზოგადი მითითებებით შემოიფარგლებიან, რომელთა მიხედვით, აღნიშნულ მსჯავრდებულთა მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას უხეშად დაირღვა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები, საქმეში არ მოიპოვება საჭირო მტკიცებულებების ერთობლიობა გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად, რომელიც ეყრდნობა მხოლოდ ვარაუდს, საქმეში არსებული მტკიცებულებები არ შეფასებულა სრულად, ობიექტურად და ყოველმხრივ, რაც საფუძვლად უნდა დასდებოდა კანონიერ სასამართლო გადაწყვეტილებას გამამართლებელი განაჩენის სახით.

7. საქმის მასალებისა და გასაჩივრებული განაჩენის ობიექტური შემოწმებით არ დგინდება, რომ მსჯავრდებულების – ს. დ-ს ან რ. მ-ს მიმართ არსებითად დაირღვა საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნები წინასწარი გამოძიების სტადიაზე ან საქმის სასამართლო განხილვის რომელიმე ეტაპზე. რაიმე მსგავს კონკრეტულ დარღვევაზე თვითონ კასატორებიც ვერ უთითებენ თავიანთ საჩივრებში. სააპელაციო სასამართლოს განაჩენში წარმოდგენილია კანონიერი გზით მოპოვებული, საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა ს. დ-სა და რ. მ-სათვის შერაცხული ბრალის დასადასტურებლად, კერძოდ, მხედველობაშია ს. დ-სა და რ. მ-ს მიერ რ. გ-თან გამართული სატელეფონო საუბრების შინაარსი, რომელიც იმავე განაჩენით იმხილება საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის – ქურდული სამყაროს წევრობის ჩადენაში; გარდა ამისა, გასაჩივრებულ განაჩენში მოტანილია ამონარიდები მონმეთა ჩვენებებიდან, რომლებითაც ს.

დ-ი იმხილება საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, ხოლო რ. მ-ი კი იმხილება ისეთი ქმედებების ჩადენაში, რომელიც მოიცავს საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობის ნიშნებს.

8. აღნიშნული განაჩენის ობიექტურობაზე აშკარად მიუთითებს ის გარემოება, რომ ამ განაჩენით ს. დ-ს ბრალად შეერაცხა მხოლოდ დანაშაულის შეუტყობინებლობა, ქმედება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით, და არ დაკმაყოფილდა პროკურორის სააპელაციო საჩივარი, რომლითაც იგი ითხოვდა მის მიმართ განაჩენის საუარესოდ შებრუნებას, კერძოდ, მისი ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველ ნაწილზე და, შესაბამისად, მისთვის ბევრად უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნას.

9. სააპელაციო სასამართლოს ხსენებული განაჩენით ს. დ-თვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე შერაცხულ ბრალს – წონით 18,96 გრამი ნარკოტიკული საშუალებების – „გამომშრალი მარისხუანის“ მართლსაწინააღმდეგო შექმნისა და შენახვის თაობაზე, ამ ნაწილში მსჯავრდებულის ბრალეულობას დაცვის მხარეც არ ხდის სადავოდ, რომელიც ეფუძნება არა მხოლოდ ს. დ-ს მიერ ბრალის აღიარებას, არამედ, აგრეთვე, კანონიერი გზით მოპოვებულ სხვა სარწმუნო მტკიცებულებებსაც, სახელდობრ: მისი ბინის ჩხრეკის ოქმსა და ამ ჩხრეკით მოპოვებულ ნივთმტკიცებას, ქიმიური ექსპერტიზის დასკვნას, ექსპერტთა ჩვენებებს, მოწმეთა ჩვენებებსა და ამავე საქმეზე მსჯავრდებულ სხვა პირთან მისი სატელეფონო საუბრის ჩანაწერსა და კრებსებს. მოცემული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულების – ს. დ-ს, რ. მ-სა და მათი დამცველების – ადვოკატ ლ. ბ-სა და ადვოკატ ო. გ-ს საკასაციო საჩივრების მოთხოვნები არ უნდა დაკმაყოფილდეს.

10. მსჯავრდებულ მ. შ-ს დამცველი, ადვოკატი ო. ს-ი თავისი საკასაციო საჩივრით ითხოვს რა მის სრულ გამართლებას, საჩივარში წარმოდგენილი არგუმენტების აბსოლუტურად უდიდესი ნაწილის საფუძველზე, რატომღაც მთელი მონდომებით ცდილობს მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის გამართლებას ისეთ ბრალდებაში, რომელიც მას ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლომ მოუხსნა და რაც სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა.

11. რაც შეეხება პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ მ. შ-სათვის შერაცხულ ბრალს საქართვე-

ლოს სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების – დანაშაულის შეუტყობინებლობის ჩადენის თაობაზე, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწილში ბრალი მის მიმართ დადასტურებულია მ. შ-ს მიერ მოცემულ საქმეზე მსჯავრდებულ იმ სხვა პირებთან გამართული სატელეფონო საუბრების ჩანაწერებითა და შესაბამისი კრებსებით, რომლებიც იმხილებიან ქურდული სამყაროს წევრობაში, აგრეთვე, მონმე ფ. ყ-ს ჩვენებით.

12. აღნიშნული მტკიცებულებები სრულიად საკმარისი და სარწმუნოა საიმისოდ, რომ სასამართლოს მ. შ-ი ბრალეულად ეცნო დანაშაულის შეუტყობინებლობაში, რადგან ამ მტკიცებულებებიდან გამომდინარე, სრულიად ცხადი და უეჭველია ის ფაქტი, რომ მისთვის ცნობილი იყო, როგორ მზადდებოდა და ხორციელდებოდა სხვა პირების მიერ ქურდული სამყაროს ხელშემწყობი სხვადასხვა ქმედება, აგრეთვე, ფსიქოლოგიური ზემოქმედების გზით დაზარალებულისგან თანხების გამოძალგა.

13. ასეთ პირობებში მსჯავრდებულ მ. შ-ს დამცველის მიერ საკასაციო საჩივარში წარმოდგენილი მხოლოდ ერთი წინადადება იმის თაობაზე, რომ პოლიციას მასზე უფრო ადრე ჰქონდა ინფორმაცია ხსენებული ქურდული სამყაროს წარმომადგენელთა საქმიანობაზე, ვერ გახდება ამ ნაწილში გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვისა და მ. შ-ს გამართლების საფუძველი, ვინაიდან, ჯერ ერთი, მ. შ-სათვის არაფერი იყო ცნობილი იმის თაობაზე, პოლიციამ რა იცოდა და რა არ იცოდა; გარდა ამისა, მოქალაქე არ გათავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის მხოლოდ იმის გამო, რომ ის იმედოვნებდა – პოლიცია შეიძლება მის დაუხმარებლადაც ყოფილიყო ინფორმირებული დანაშაულის შესახებ; მესამეც, ნებისმიერი ადამიანი, მათ შორის დამნაშავის ახლო ნათესავიც, ვალდებულია აცნობოს პოლიციას დანაშაულის თაობაზე იმ მომენტში, როდესაც მზადდება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენა ან როდესაც უკვე მიმდინარეობს მისი ჩადენა. განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ მ. შ-ს დამცველის, ადვოკატ ო. ს-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

14. კასატორი – ადვოკატი გ. ტ-ი მსჯავრდებულ რ. გ-ს ინტერესების დასაცავად თავის საჩივარში აღნიშნავს, რომ მას სრულიად უსაფუძვლოდ შეერაცხა საქართველოს სსკ-ის 223'-ე მუხლის პირველი ნაწილითა და იმავე კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენა. კასატორის განმარტებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის მსჯავრდება ეფუძნება იმ გარემოებას, რომ თითქოს რ. გ-ი თავის სახლში

ინახავდა ე.წ. „ობშიაკის“ (არალეგალური ქურდული სალაროს) სი-  
ას იმ პირებისა, რომლებიც განაც გროვებოდა თანხები ამ სალა-  
როში ქურდული სამყაროს დასახმარებლად, ეს მაშინ, როდესაც  
აღნიშნული სია არ გამოკვლეულა საქმის არსებითი განხილვის  
დროს, ხოლო კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით,  
ამ სიაში არსებული ჩანაწერები არ ეკუთვნის რ. გ-ს.

15. გარდა ზემოაღნიშნულისა, ადვოკატი გ. ტ-ი საქართვე-  
ლოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე რ. გ-  
ს მსჯავრდებასთან დაკავშირებით საკასაციო საჩივარში აგ-  
რეთვე აღნიშნავს, რომ მას არასდროს არავითარი შეხება არ  
ჰქონია ნარკოტიკულ საშუალებასთან. ჩხრეკა, რომლის შედე-  
გადაც 21,59 გრამი ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი  
მარიხუანა“ იქნა ამოღებული, ჩატარდა რ. გ-ს მამის – ი. გ-ს კუთ-  
ვნილ საცხოვრებელ სახლში, ხოლო ნარკოტიკული საშუალება  
იპოვეს აღნიშნული საცხოვრებელი სახლის ლოჯიაში მდგარ მა-  
გიდაზე, ტელევიზორის წინ – ყველას დასანახ ადგილზე. ამრი-  
გად, ნარკოტიკული საშუალება არ ყოფილა ნაპოვნი რ. გ-ს სა-  
ძინებელ ოთახში, ასევე – არც მის ტანსაცმელში. ამასთან, ი. გ-  
ი ჩხრეკის დროსაც და შემდეგაც, სასამართლოში საქმის გან-  
ხილვისას, კატეგორიულად აცხადებდა, რომ მის სახლში ნაპოვ-  
ნი ნარკოტიკული საშუალება არ ეკუთვნოდა არც მის შვილს –  
რ. გ-ს და არც თვითონ მას, არამედ ის იყო ჩხრეკისას პოლიციის  
მიერ „ჩადებული“. გარდა ამისა, კასატორის განმარტებით, ი. გ-  
ს საცხოვრებელ სახლთან პოლიციის თანამშრომლების გამოც-  
ხადებიდან, ვიდრე მათ კარს გაუღებდნენ და ჩხრეკა დაიწყე-  
ბოდა, მთელი 25 წუთი ჰქონდა რ. გ-ს ნარკოტიკული საშუალე-  
ბის, როგორც სამხილის, თავიდან მოსაშორებლად, თუკი ის მას  
ნამდვილად ექნებოდა, მაგრამ სინამდვილეში არ ჰქონდა.

16. საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის  
საფუძველზე რ. გ-ს მსჯავრდებასთან დაკავშირებით, მისი უარ-  
ყოფის მიზნით, კასატორის მიერ საჩივარში წარმოდგენილ პო-  
ზიციას საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოე-  
ბათა გამო: თვით დაცვის მხარეც ვერ უარყოფს იმ უდავო ფაქტს,  
რომ ე.წ. „ობშიაკის“ სია რ. გ-თან იქნა აღმოჩენილი, რომელსაც  
ის შინ ინახავდა. სასამართლო სწორად მიუთითებს, რომ ეს ფაქ-  
ტი მოწმობს მის დანაშაულებრივ კავშირურთიერთობაზე ქურ-  
დულ სამყაროსთან და ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მოქმე-  
დებაზე.

17. საკასაციო პალატა ეთანხმება რა სააპელაციო სასამარ-  
თლოს დასკვნებს რ. გ-ს ბრალეულობაზე, მიაჩნია: მოცემულ  
შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას,

რომ ხსენებულ სიაში არსებული ჩანაწერების კალიგრაფიულად რ. გ.-სადმი კუთვნილება არ დასტურდება, არამედ მნიშვნელოვანია შემდეგი – იგი „ობშიაკის“ სიის თავისთან შენახვით ქურდულ სამყაროს დახმარებას უწევდა მის შესავსებად თანხების შეგროვების ორგანიზებაში და მოქმედებდა მის სასარგებლოდ. მაგრამ საქმე ისაა, რომ რ. გ.-ს მიერ აღნიშნული დანაშაულებრივი საქმიანობა ანუ ქურდული სამყაროს წევრობა მხოლოდ ხსენებული გარემოებით როდი დასტურდება, არამედ, ამასთან ერთად, საქმეში არსებობს კანონიერი გზით მოპოვებული სხვა მტკიცებულებებიც, კერძოდ, მისი იმ სატელეფონო საუბრების ჩანაწერები და შესაბამისი კრებების შინაარსი, რომლებსაც ის აწარმოებდა იმავე საქმეზე ასევე ქურდული სამყაროს წევრობისათვის მსჯავრდებულ პირებთან თუ კანონიერ ქურდებთან, ასევე მოწმეთა ჩვენებებით, რაც სააპელაციო სასამართლოს განაჩენში დამაჯერებლად არის დადასტურებული შესაბამის საქმის მასალებზე მითითებით.

18. საკასაციო პალატა არ იზიარებს ასევე კასატორ გ. ტ.-ს მოსაზრებებს რ. გ.-ს უდანაშაულობაზე საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მისთვის შერაცხული ბრალის ნაწილი, რადგან ასეთი პოზიცია აშკარად ეწინააღმდეგება საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებების ერთობლიობას, რომლითაც, თანახმად სააპელაციო სასამართლოს მართებული დასკვნისა, გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება რ. გ.-ს მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა – ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა და შენახვა.

19. როგორც გასაჩივრებულ განაჩენშია აღნიშნული, ნარკოტიკული საშუალება – „მარისუანა“ ჩხრეკისას აღმოაჩინეს არა ტელევიზორის წინ, ყველას დასანახ ადგილზე, არამედ – ტელევიზორის ქვეშ და ის ამოღებულ იქნა იმის შედეგად, რომ ტელევიზორი აიღეს და გვერდზე გადადგეს. ასე რომ, აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება არ ყოფილა დადებული ტელევიზორის წინ, ყველას დასანახ ადგილზე და ასეთ ადგილზე მას პოლიცია ვერ „ჩადებდა“ და ვერც ტელევიზორის ქვეშ მოათავსებდა მისი გადაადგილების გარეშე, რაც შეუძმნეველი ვერ დარჩებოდა.

20. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის იმ არგუმენტს, რომ რ. გ.-ს მთელი 25 წუთი ჰქონდა საიმისოდ, რათა თავიდან მოეშორებინა სამხილი – ნარკოტიკული საშუალება, თუკი ასეთი რამ მას ნამდვილად ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ეს არის მხოლოდ დაცვის მხარის განცხადება, ხოლო საქმეში არ არსებობს იმის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება, თუ რამდენი წუთი გავიდა პოლიციის თანამშრომლების გამოცხადები-

დან მათ მიერ ჩხრეკის დაწყებამდე და საერთოდ, რა შესაძლებლობები არსებობდა სამხილის თავიდან მოსაშორებლად.

21. საკასაციო პალატა დაცვის მხარის ვერც იმ არგუმენტს გაიზიარებს, რომლის თანახმად, რ. გ-ს არასდროს ჰქონია შეხება ნარკოტიკულ საშუალებებთან, რადგან სააპელაციო სასამართლოს განაჩენში მოხმობილია კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებები, კერძოდ, რ. გ-ს სატელეფონო საუბრების ჩანაწერები და შესაბამისი კრებსები, რომელთა შინაარსი ააშკარავებს, რომ მსჯავრდებულისათვის ნარკოტიკული საშუალებები უცხო არ იყო. აქ მხედველობაშია სხვა პირებთან, კერძოდ, ამავე საქმეზე საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მსჯავრდებულ რ. ო-თან მისი სატელეფონო საუბრების შინაარსი, აგრეთვე რ. ო-ს მიერ მსჯავრდებულებთან – ს. დ-სა და გ. კ-თან განხორციელებული სატელეფონო საუბრების შინაარსი, რომლებშიც რ. გ-ი იხსენიება ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით.

22. რ. გ-ს მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენა გასაჩივრებულ განაჩენში დადასტურებულია აგრეთვე მოწმეთა თანმიმდევრული ჩვენებებითა და ქიმიური ექსპერტიზის დასკვნით, ამიტომ მისი დამცველის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდება უსაფუძვლობის გამო.

23. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გასაჩივრა მსჯავრდებულების – ა. გ-სა და თ. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ნ-მა. პირველი, რასაც უწინარესად აღნიშნავს კასატორი თავის საჩივარში, ისაა, რომ სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენები ატარებს ზოგადი, კოლექტიური ბრალდების ხასიათს, რომლებიც დადასტურებულად მიიჩნევენ, რომ საქმე გვაქვს დანაშაულებრივ ჯგუფთან და არ ცდილობენ იმის გამოკვეთას, ამ ჯგუფში მათ მიერ მოაზრებულ თითოეულ წევრს კონკრეტულად რაში მიუძღვის ბრალი და რაში გამოიხატება ცალკე აღებული მისი დანაშაულებრივი ქმედება. კასატორის მიერ გასაჩივრებული განაჩენისათვის წაყენებული ეს პრეტენზია ვერ იქნება გაზიარებული, რადგან განაჩენში სააპელაციო სასამართლოს განცალკევებულად აქვს წარმოდგენილი თითოეული მათგანის ბრალი; ამასთან ერთად, გაანალიზებულია საქმეში არსებული მტკიცებულებები ცალ-ცალკე, როგორც ა. გ-ს, ისე თ. გ-ს მიმართ, სადაც არავითარ ჯგუფურ დანაშაულსა და კოლექტიურ ბრალზე არ არის საუბარი, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული განაჩენით მსჯავრდებული ყველა პირი სხვადასხვა დროს ფაქტობრივად ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებულნი დანაშაულის ჩადენისას, რაც ქურდულ სამყაროს თვისებრივად ახასია-

თებს და მის ბუნებრივ თავისებურებას წარმოადგენს.

24. როგორც ა. გ-ს, ისე თ. გ-ს კონკრეტულად ბრალი ედებათ იმაში, რომ მათ 2013 წლის აგვისტოში ქ. მარნეულში, ინდემ-წარმე ა. შ-ს უკანონოდ გამოართვეს ფულადი თანხა – 1000 ლა-რის ოდენობით ქურდული სამყაროსათვის სარგებლის მიღების მიზნით, ამავე დროს, იმავე მიზნით, მას დაუწესეს ყოველთვი-ური გადასახდელი თანხა იმავე ოდენობით, რასაც თან სდევდა მათი მხრიდან საქმის ქურდული გარჩევა და ქურდული წესების შესაბამისად მოგვარება. გარდა ამისა, აღნიშნულ პერიოდში თ. გ-ი ერთვება ასევე ქურდული სამყაროს სხვა წევრების მიერ ბიზნესმენ ფ. ყ-ს მიმართ განხორციელებულ ანალოგიურ ქმე-დებებში, რომელსაც ის სთავაზობს საქმის მოგვარებას ქურ-დული ტრადიციების შესაბამისად, ხოლო ამ დახმარებისათვის მისგან გასამრჯელოც მიიღო 1400 ლარის ოდენობით.

25. ზემოაღნიშნულ ქმედებებში ა. გ-სა და თ. გ-ს მონაწილეო-ბის დასადასტურებლად სააპელაციო სასამართლოს განაჩენში წარმოდგენილია მრავალი სარწმუნო მტკიცებულება, რომლებიც კანონიერი გზითაა მოპოვებული, მხედველობაშია მსჯავრდებუ-ლების – ა. გ-სა და თ. გ-ს მიერ ერთმანეთთან, ასევე ქურდული სამყაროს სხვა წევრებთან გამართული სატელეფონო საუბრე-ბი, რომელთა შინაარსი ნათლად ცხადყოფს, რომ ისინი არიან ქურდული სამყაროს აქტიური წევრები, მოქმედებენ ქურდული სამყაროს წესების შესაბამისად და ქურდული სამყაროს მიზნე-ბისათვის სარგებლის მისაღებად. მათ ბრალეულობას ადასტუ-რებს ასევე მონშეების – ფ. ყ-სა და ა. შ-ს ჩვენებები, რომლებშიც მკაფიოდ იკვეთება ა. გ-სა და თ. გ-ს მხრივ მოქმედების ისეთი სტილი და ხერხები, რაც სწორედ ქურდული სამყაროსთვისაა და-მახასიათებელი და გამომდინარეობს იმ წესებიდან, რაც ამ სამ-ყაროში დომინირებს კრიმინალური ავტორიტეტების როგორც ერთმანეთთან, ისე სხვა პირებთან ურთიერთობებში.

26. განხილულ გარემოებათა გამო საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის პოზიციას იმის თაობაზე, რომ სასამარ-თლოს მიერ დადასტურებულად მიჩნევის შემთხვევაში ა. გ-სა და თ. გ-ს ქმედებები უნდა დაკვალიფიცირებულიყო არა ქურ-დული სამყაროს წევრობად, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით, არა-მედ როგორც გამოძალვა, დანაშაული, გათვალისწინებული სა-ქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლით. აღნიშნულთან დაკავშირე-ბით საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კასატორის ასეთი პო-ზიცია არასწორია, რადგან იმ შემთხვევაში, როდესაც პირისა-გან თანხის ან რაიმე სხვა მატერიალური სიკეთის გამოძალვა



ხორციელდება ქურდული სამყაროს წევრის მიერ ქურდულ სამყაროში მოქმედი წესების გამოყენებით (საქმის ქურდული გარჩევა და სხვ.), ამასთან, გამოძალგა ხორციელდება ქურდული სამყაროსათვის სარგებლის მისაღებად, ამგვარი ქმედება გამოძალგად (საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლი) ვერ დაკვალიფიცირდება, რადგან თავისი შინაარსითა და ნიშნებით ის სცდება გამოძალგის ფარგლებს და გადაიზრდება სხვა დანაშაულში, როგორცაა ქურდული სამყაროს წევრობა. საქმე ისაა, რომ მხოლოდ გამოძალგა, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციით, არ მოიცავს ქურდული სამყაროს წევრობის ნიშნებს მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი მოიცავს გამოძალგის შემადგენლობის ნიშნებსაც.

27. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის, ადვოკატ გ. ნ-ს მოთხოვნა მსჯავრდებულების – ა. გ-სა და თ. გ-ს გამართლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს, როგორც დასაბუთებულ და კანონიერ საფუძველს მოკლებული.

28. სააპელაციო სასამართლოს ხსენებული განაჩენის თაობაზე კასატორმა, ადვოკატმა გ. ნ-მა საჩივრით მიმართა საკასაციო პალატას მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის – ნ. ო-ს მსჯავრდებასთან დაკავშირებით, რომლითაც ის ითხოვს მის გამართლებას. საჩივრის ავტორი საკასაციო მოთხოვნის საფუძველად მიუთითებს შემდეგ ძირითად არგუმენტებზე: საქმეში ფაქტობრივად არ არსებობს ნ. ო-ს ბრალეულობის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება; ის გარემოება, რომ ნ. ო-ი სწორედ იმ დროს იმყოფებოდა თავისი ძმის – რ. ო-ს საცხოვრებელ სახლში, როდესაც იქ, სასამართლოს დასკვნით, ქურდული სამყაროს წევრები – გ. კ-ი, რ. გ-ი თუ სხვა პირები შეიკრიბნენ, არ ნიშნავს ნ. ო-ს ქურდული სამყაროს წევრობას, რადგან ის ხშირად იმყოფებოდა თავისი ძმის სახლში, რომელიც მისგან 100 მეტრში ცხოვრობს, ამგვარი დამთხვევა არ შეიძლება მისი დამნაშავედ ცნობის საფუძველი გახდეს; ტელეფონი, რომელიც ამოღებულ იქნა ნ. ო-ს სახლიდან და რომლის ნომრიდანაც ხორციელდებოდა საუბრები ქურდული სამყაროს წევრებთან, ეკუთვნის არა მას, არამედ მის ძმას – რ. ო-ს, რომელსაც მასთან ყოფნისას შემთხვევით დარჩა აღნიშნული ტელეფონი, ხოლო ის ნომერი, რომლიდანაც ამ ტელეფონით არის განხორციელებული საუბრები, არავის სახელზე არ არის რეგისტრირებული.

29. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებებსა და არგუმენტებს მსჯავრდებულ ნ. ო-ს უდანაშაულობის თაობაზე, რადგან საქმეში მოიპოვება მისი ბრალეულობის მამტკი-



ცბელი ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებებიც. მის კავშირს ქურდულ სამყაროსთან აშკარას ხდის ქურდული სამყაროს წევრებთან მისივე სატელეფონო საუბრების შინაარსი, კერძოდ, მხედველობაშია მისი საუბრები მსჯავრდებულებთან – გ. კ-სა და რ. გ-თან, რომლებზეც მითითებულია სააპელაციო სასამართლოს განაჩენში. უდავოდ დადგენილი ფაქტია ისიც, რომ ტელეფონი, რომლის ნომრიდან ნაწარმოებია საუბრები ქურდული სამყაროს წევრებს შორის, ნ. ო-სგანაა ამოღებული და ის ინახავდა, ხოლო ნომერი, რომლიდანაც ამ ტელეფონით ხორციელდებოდა ზარები, არ არის რეგისტრირებული რ. ო-ს სახელზე და არც სხვა მტკიცებულება არსებობს, რომ იგი რ. ო-ს ეკუთვნოდა. ამიტომ კასატორის აპელირება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული ტელეფონი ეკუთვნოდა არა ნ. ო-ს, არამედ მის ძმას – რ. ო-ს, ვერ იქნება მიჩნეული მისი ბრალის გამაბათილებელ საფუძვლიან არგუმენტად. რაც შეეხება დაცვის მხარის არგუმენტს, რომლის მიხედვით, ნ. ო-ი თავისი ძმის – რ. ო-ს სახლში შემთხვევით მოხვდა იმ დროს, როდესაც იქ ქურდული სამყაროს წევრობაში მსჯავრდებული პირები შეიკრიბნენ, მისი საფუძვლიანობა ნაკლებ ვარაუდოა იმ ურთიერთობებიდან გამომდინარე, რაც ნ. ო-ს გააჩნდა ქურდული სამყაროს სხვა, ზემოხსენებულ წევრებთან, აქ განხილული გარემოებების გათვალისწინებით, რაზეც ზემოთ უკვე იყო საუბარი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორ გ. ნ-ს საჩივრის მოთხოვნა მსჯავრდებულ ნ. ო-ს გამართლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

30. მსჯავრდებული ჯ. ა-ი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. უ-ი, ითხოვენ რა მის გამართლებას, ამის საფუძვლად თავიანთ საკასაციო საჩივრებში უთითებენ სხვადასხვა გარემოებაზე, კერძოდ, მათი აზრით, მონმეთა ჩვენებები, რომლებიც ბრალდების მხარესა და სასამართლოს გამოყენებული აქვთ მსჯავრდებულის ბრალის დასადასტურებლად, არ შეიძლება მივიჩნიოთ უტყუარ მტკიცებულებებად და შეიძლება პირის ბრალეულობაზე მხოლოდ ვარაუდის გამოსათქმელად იყოს გამოსადეგი, რადგან ისინი არ ადასტურებენ, რომ ჯ. ა-მა მათ საქმე გაურჩია ქურდულად ან რაიმე თანხა გამოსძალა, ანდა ის მოქმედებდა ქურდული სამყაროს დასახმარებლად, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი კი არ შეიძლება აგებული იყოს დაუსაბუთებელ ვარაუდებზე.

31. კასატორები თავიანთ საჩივრებში ასევე მიუთითებენ შემდეგზე: ჯეროვანი მტკიცებულებებით არ არის დადგენილი და დადასტურებული, რომ ჯ. ა-ი რაიმე ფორმით აღიარებდა ქურდულ სამყაროს, ანდა ქურდულმა სამყარომ ის მიიღო თა-

ვის წევრად და აღიარა. ასეთი დასკვნისათვის საფუძველი ვერ გახდება ჯ. ა-ს ნაცნობობა სასამართლოს მიერ კრიმინალურ ავტორიტეტად მიჩნეულ ვინმე „გ-სთან“. განაჩენში კი არის მითითებული, რომ ჯ. ა-ი არის ქურდული მენტალიტეტის მქონე და წარმოადგენს კრიმინალურ ავტორიტეტს, რომელიც გარჩევებით, დანაშაულისკენ წაქეზებით, დაშინებითა და დუმილის პირობებით მოქალაქისაგან იღებდა სარგებელს, რაც დადასტურებულია მტკიცებულებებითო, მაგრამ სინამდვილეში ასეთი მტკიცებულებები საქმეში არ არსებობს, არც ერთ მოწმეს არ მიუცია სასამართლოში ჯ. ა-ს საწინააღმდეგო ჩვენება.

32. საკასაციო პალატა არ ეთანხმება ხსენებული კასატორების მიერ მათ საჩივრებში წარმოდგენილ არგუმენტებს, რადგან საქმეში არსებული მასალები სრულიად საწინააღმდეგოზე მეტყველებს. მათი ანალიზის საფუძველზე სააპელაციო სასამართლოს გამოტანილი აქვს მართებული დასკვნები ჯ. ა-ს ბრალეულობაზე იმ სამართლებრივი კვალიფიკაციის შესაბამისად, რომლითაც მას საბოლოოდ მსჯავრი დაედო. პალატას მხედველობაში აქვს უწინარესად საქმეში მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი ჯ. ა-ს სატელეფონო საუბრები ქურდული სამყაროს სხვა წევრებთან, მაგალითად, მ. შ-თან და სხვებთან, ხოლო მთელი ამ საუბრების შინაარსი პირდაპირ მიუთითებს იმაზე, რომ ის კრიმინალურ ავტორიტეტს წარმოადგენს, სარგებლობს გავლენით ქურდულ სამყაროში, მონაწილეობს საქმის გარჩევაში, არა მხოლოდ აღიარებს ქურდულ სამყაროს, არამედ ეწევა აქტიურ საქმიანობას მისი მიზნებისა და ინტერესების სასარგებლოდ.

33. აღნიშნული გარემოებები ცალსახად იკვეთება არა მარტო თვით ჯ. ა-ს საუბრებში, არამედ ქურდული სამყაროს სხვა წევრების მიერ ერთმანეთთან, ასევე სხვა პირებთან გამართულ სატელეფონო საუბრებში. მაგალითისათვის შეიძლება მითითებულ იქნეს ქურდული სამყაროს წევრის – თ. გ-ს საუბარი ტ. ო-სა და რ. ი-თან, აგრეთვე მისი საუბარი კ. გ-სა და ვ. ტ-თან. ამ საუბრების შინაარსიც გვარწმუნებს, რომ ჯ. ა-ს მჭიდრო კავშირურთიერობა გააჩნია ქურდულ სამყაროსთან, უფრო სწორად – მისი აქტიური წევრია.

34. გარდა აღნიშნულისა, ჯ. ა-ს კავშირი ქურდულ სამყაროსთან და მისი პირდაპირი თუ არაპირდაპირი მონაწილეობა ქურდული სამყაროს ინტერესების სასარგებლოდ მოქალაქეებისგან უკანონოდ თანხების მიღებაში დასტურდება საქმეზე მოწმის სახით დაკითხული მოქალაქეების – ფ. ყ-სა და რ. ი-ს ჩვენებებით. მაგალითად, ფ. ყ-ი თავის ჩვენებაში საუბრობს იმის თა-

ობაზე, თუ როგორ მოითხოვდა მისგან სოლიდურ თანხას კრიმინალური ავტორიტეტი, ვინმე „რ.“ მისთვის კანონიერ ქურდად ცნობილი „გ-ს“ სახელით, რა დროსაც ხსენებულ პირს თან ახლდა ჯ. ა-ი, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ჯ. ა-მა დაურეკა მას და უთხრა მასთან სახლში მისულიყო, სადაც მას დახვდა „რ.“, რომელსაც ჯ. ა-ს თანდასწრებით გადასცა 10 000 აშშ დოლარი. დაახლოებით ანალოგიურ ვითარებას აღწერს ჯ. ა-ს მონაწილეობით მოწმე რ. ი-ც, რომლისგანაც ასევე იგივე „რ.“ ცდილობდა უკანონოდ თანხების მიღებას.

35. სააპელაციო სასამართლოს განაჩენში წარმოდგენილი მტკიცებულებები ჯ. ა-ს ბრალეულობის თაობაზე ეჭვის ქვეშევერ იქნება დაყენებული მათი მოპოვების კანონიერების, საქმესთან შემხებლობის, ასევე ვერც მათი უტყუარობისა და საკმარისობის თვალსაზრისით. ამრიგად, სააპელაციო სასამართლოს სრული და უდავო საფუძველი გააჩნდა ჯ. ა-ს დამნაშავედ ცნობისათვის წარდგენილი ბრალდების მიხედვით, რის გამოც მსჯავრდებულისა და მისი დამცველის, ადვოკატ მ. უ-ს საკასაციო საჩივრების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

36. სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე საქართველოს უზენაეს სასამართლოს საკასაციო საჩივრით მიმართა მსჯავრდებულ ნ. ი-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ო. ს-მა, რომელიც ითხოვს მის გამართლებას. კასატორი აპელირებს შემდეგ გარემოებებზე: ნ. ი-ი არ მონაწილეობდა ქურდულ შეკრებებში და არც რ. ო-ს სახლში არ ყოფილა მაშინ, როდესაც იქ შეიკრიბნენ სასამართლოს მიერ ქურდული სამყაროს წევრებად აღიარებული პირები, ასევე, მას არ მიუღია მონაწილეობა ქურდულ გარჩევებში, ე.წ. „ობშიაკში“ შესატანად თანხების შეგროვებაში და არც ბიზნესმენებისგან თანხების გამოძალვაში.

37. გარდა აღნიშნულისა, კასატორი ო. ს-ი თავის საჩივარში იმაზეც მიუთითებს, რომ ნ. ი-ს არავითარი ქმედება არ განუხორციელებია ქურდული სამყაროს ინტერესების სასარგებლოდ და არც რაიმე კავშირი ჰქონია იმ პირებთან, რომლებიც სასამართლოს მიერ მიჩნეული არიან ქურდული სამყაროს წევრებად (გ. კ-ი, ნ. ო-ი, რ. ო-ი) ან კანონიერ ქურდებად (ნ. ჯ-ი, ვინმე „პ.“), ხოლო ნ. ი-ს სატელეფონო საუბრები, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს გამამტყუნებელ განაჩენში მტკიცებულებებად აქვს მოხმობილი, სწორედ იმას ადასტურებს, რომ ნ. ი-ი არ არის ქურდული სამყაროს წევრი.

38. საკასაციო პალატა საფუძვლიანად არ მიიჩნევს კასატორის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებს მსჯავრდებულ ნ. ი-ს უდანაშაულობის თაობაზე. საქმე ისაა, რომ მას სასამართლო

მსჯავრს არ სდებს იმაში, რომ ის მონაწილეობდა ქურდულ შეკრებებში, რ. ო-ს სახლში გამართულ შეხვედრაში, ანდა ქურდულ გარჩევებში ან ე.წ. „ობშიაკისათვის“ თანხების შეგროვებასა თუ ბიზნესმენებისგან თანხების გამოძალვაში, რის გამოც ამ მიმართებით კასატორის ძალისხმევა და მის მიერ მოძიებული არგუმენტები არარსებული ბრალდების გასაბათილებლად რამდენადმე გაუგებარია.

39. გასაჩივრებული განაჩენით ნ. ი-ს ბრალად შეერაცხა 2013 წლის აგვისტო-სექტემბრის თვეებში მის მიერ ჩადენილი მოქმედებები ქურდული სამყაროს ინტერესების სასარგებლოდ და მისი მიზნებისათვის, რასაც იგი ახორციელებდა ვინმე „რ. ო-ს“ უშუალო მონაწილეობით კანონიერ ქურდთან – ნ. ჯ-თან კავშირში, რაც დადასტურების შემთხვევაში, სრულიად საკმარისი საფუძველია პირის ქურდული სამყაროს წევრად მიჩნევისათვის. აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად საქმეში წარმოდგენილია კანონიერი გზით მოპოვებული მტკიცებულებები ქურდული სამყაროს სხვა წევრებთან ნ. ი-ს სატელეფონო საუბრების სახით, რომელთა შინაარსი აშკარას ხდის, რომ რეალურად საქმე გვაქვს არა ჩვეულებრივი ნაცნობობიდან გამომდინარე, ანდა უწყინარ მეგობრულ ან ნათესაურ ურთიერთობებთან, არამედ ერთობლივი დანაშაულებრივი მიზნებითა და ინტერესებით განპირობებულ კავშირურთიერთობებთან, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობს ნ. ი-ი.

40. გასაჩივრებული განაჩენით ქურდული სამყაროს წევრობისათვის მსჯავრდებული ა. ხ-ი სატელეფონო საუბარში ნ. ი-თან განიხილავს მ-ში მომხდარ კონფლიქტს და გამოთქვამს საყვედურსა და უკმაყოფილებას იმის გამო, რომ ეს კონფლიქტი ქურდული გარჩევის გზით მის გარეშე გადაწყვიტა რ. გ-მა (იმავე განაჩენით ის მიჩნეულია ქურდული სამყაროს წევრად), ვინაიდან, აღნიშნული საუბრის მიხედვით, ა. ხ-ი საკუთარ თავს მიიჩნევს მ-ს რაიონში მთავარ ფიგურად და მსგავსი საკითხები მის დაუკითხავად არ უნდა წყდებოდეს. ნ. ი-ი ამ საუბარში ცდილობს, ა. ხ-ი გაარკვიოს შექმნილ ვითარებაში, ეუბნება „რ. ჩვენი ძმა არისო“, რაც პირდაპირი მინიშნებაა იმაზე, რომ რ. გ-ი ქურდული სამყაროს წევრი და სანდო თანამზრახველია, ხოლო მის ამგვარ მოსაზრებას ა. ხ-ც ეთანხმება. აქედან ნათლად იკვეთება, რომ ნ. ი-ი ქურდულ სამყაროსთან ფრიად დაახლოებულ და მის წევრთა შორის მიღებულ პირს წარმოადგენს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქურდული სამყაროს წევრის მხრიდან მასთან ასეთი გულახდილი საუბარი გამორიცხებული იქნებოდა.

41. საქმეში არსებული მტკიცებულებებით იკვეთება ის გა-

რემოება, რომ ნ. ი-ი ქურდული სამყაროს წარმომადგენლების მხოლოდ პასიური მხარდამჭერი კი არ არის, არამედ აქტიურადაც მოქმედებს მათი ხელშეწყობის მიზნით. მაგალითად, მან თავისი ტელეფონით დააკავშირა და თავისი ნომრიდან ასაუბრა ქურდული სამყაროს წევრი – რ. გ-ი თავის თანამზრახველ კრიმინალურ ავტორიტეტთან – ვინმე „პ-სთან“, რაზედაც აშკარად მეტყველებს აღნიშნული საუბრის მთელი შინაარსი.

42. იმ ვერსიას, რომ ნ. ი-ი ქურდული სამყაროს აქტიური წევრია, კიდევ უფრო განამტკიცებს სხვა მტკიცებულებაც, ეს არის მისი საუბარი იმავე „პ-სთან“. ამ საუბარში ნ. ი-ი გვევლინება როგორც მ-ს რაიონში ქურდული სამყაროს საქმეებსა და მის საქმიანობაში ღრმად ჩახედული ადამიანი, როგორც აქტიური მონაწილე ამ საქმიანობისა, რომელიც ითხოვს სხვებისგან თანადგომასა და მხარდაჭერას ქურდულ საქმიანობაში.

43. საკასაციო პალატას, მიაჩნია, რომ აღნიშნული პირდაპირი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა დადასტურებულია გასაჩივრებული განაჩენით ნ. ი-სათვის შერაცხული ბრალი, რის გამოც მსჯავრდებულის დამცველის, კასატორ ო. ს-ს საჩივრის მოთხოვნა მისი გამართლების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

44. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ განიხილა ასევე გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულ ა. ხ-ს დამცველების, ადვოკატების – ნ. ც-სა და დ. მ-ს საკასაციო საჩივარი, რომლითაც კასატორები ითხოვენ მის გამართლებას და აღნიშნავენ უწინარესად იმ გარემოებას, რომ სააკველაციო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ემყარება არა პირდაპირ და უტყუარ მტკიცებულებებს, არამედ – მხოლოდ არაარსებით, ირიბ მტკიცებულებებს.

45. კასატორების განმარტებით, რაც შეეხება მტკიცებულებებად წარმოდგენილ, ა. ხ-ს მიერ განხორციელებულ სატელეფონო საუბრებსა და მათ შინაარსს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჩანაწერების იდენტიურობა და აუთენტიურობა არ არის დადგენილი ექსპერტიზის დასკვნით. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ სხენებულ საუბრებში ა. ხ-ი არაფერს ამბობს ისეთს, რაც ქურდულ სამყაროსთან მის კავშირზე მიანიშნებს; სასამართლოებმა კონტექსტიდან ამოგლეჯილი ცალკეული ფრაზების გამოყენებით მის ნალაპარაკევეს მისცეს თავისებური, დამახინჯებული ინტერპრეტაცია. გარდა აღნიშნულისა, კასატორები მიუთითებენ აგრეთვე, რომ ა. ხ-სათვის სასამართლოების მიერ ბრალად შერაცხულ ქმედებებში არ მოიპოვება ის ნიშნები, რასაც ითვალისწინებს ქურდული სამყაროს წევრის საკანონმდებლო

ცნება და გასაჩივრებული განაჩენი ამ მხრივაც უკანონო და დაუსაბუთებელია.

46. ყოველივე აღნიშნულთან ერთად, კასატორები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზეც, რომ მათი აზრით, ა. ხ-ს სრულიად უსაფუძვლოდ აქვს შერაცხული ბრალად ე.წ. ქურდული „ობშიაკის“ ფლობა, ეს მაშინ, როდესაც მისი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას მისგან არ ყოფილა ამოღებული „ობშიაკის“ თანხა. არც იმის მტკიცებულება არსებობს, რომ ის „ობშიაკის“ თანხების შეგროვებაში ან განაწილებაში მონაწილეობდა, ანდა ის სწადიოდა რაიმე სხვა ისეთ ქმედებებს, რასაც ითვალისწინებს საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსის განმსაზღვრელი ნორმა, რომელიც წარმოდგენილია ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლში.

47. საკასაციო პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ ა. ხ-ს ინტერესების დამცველი კასატორების მიერ მათ საჩივარში განხილულ არგუმენტებს მისი უდანაშაულობის შესახებ, ვინაიდან ისინი არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მასალებით დადასტურებული რეალური ფაქტობრივი გარემოებებიდან და არც – შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ნორმების სწორი განმარტებიდან. ერთ-ერთ ძირითად არგუმენტს, რომლითაც კასატორები აპელირებენ, წარმოადგენს ის, რომ გასაჩივრებული განაჩენი ა. ხ-ს მსჯავრდების ნაწილში ეფუძნება მხოლოდ ირიბ მტკიცებულებებს და საქმეში ფაქტობრივად არ არსებობს პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც მის ბრალს დაადასტურებდა, რასაც საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება. სინამდვილეში საქმეში წარმოდგენილია არაერთი პირდაპირი მტკიცებულება – ა. ხ-ს მიერ ქურდული სამყაროს სხვა წევრებთან განხორციელებული სატელეფონო საუბრების ჩანაწერებისა და მათი შესაბამისი კრებების სახით. მართალია, ამ მტკიცებულებებს აღნიშნული კასატორები დაუშვებლად და არაჯეროვნად მიიჩნევენ, მაგრამ ასეთ პოზიციას, როგორც ზემოთ, დასაწყისშივე უკვე აღინიშნა, არ გააჩნია რეალური საფუძველი და ხსენებული მტკიცებულებები სრული იურიდიული ძალის მქონეა.

48. აღნიშნულ მტკიცებულებებში დაფიქსირებული იმ საუბრების შინაარსი, რომლებიც მსჯავრდებულ ა. ხ-ს ეკუთვნის, სწორედ რომ პირდაპირ მიუთითებს მის უშუალო კავშირზე ქურდული სამყაროს სხვა წევრებთან და მათთან აქტიურ თანამოქმედებაზეც ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. ამიტომ საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ა. ხ-ს სატელეფონო საუბრებში

ისეთი არაფერი იკვეთება, რაც ქურდულ სამყაროსთან მის კავშირს დაადასტურებდა ან მისი, როგორც ქურდული სამყაროს წევრის, საქმიანობასა და მოქმედებებზე მიუთითებდა. სააპელაციო სასამართლოს განაჩენში გაანალიზებულია ამ საუბრების შინაარსიდან გამომდინარე ფაქტობრივი გარემოებები და დასაბუთებულია მათი სრული შესაბამისობა ქურდული სამყაროს წევრობის, როგორც ქმედების, ნორმატიულ შინაარსთან. ამ შემთხვევაში სასამართლოს ნამდვილად არ მოუხდენია მხოლოდ ცალკეული ფრაზების დამახინჯებულად ინტერპრეტირება ა. ხ-ს საუბრების მთლიანი კონტექსტიდან მათი ამოგლეჯის გზით, არამედ განაჩენში გადმოცემულია საუბრების მთლიანი შინაარსი, ხოლო ამის შემდეგ მითითებულია მის ისეთ მომენტებზე, რომლებშიც მკაფიოდ, უდავოდ იკვეთება მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების რეალურად არსებობა და არა მხოლოდ ვარაუდები მათ შესაძლო არსებობაზე.

49. თავიანთი პოზიციის განსამტკიცებლად კასატორები ცდილობენ მოიხველიონ სისხლისსამართლებრივი ნორმის – „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი, რომელიც შეიცავს ზოგადად ქურდული სამყაროს და არა – ქურდული სამყაროს წევრობის, როგორც ქმედების, განმსაზღვრელ კრიტერიუმებს. საქმე ისაა, რომ იმავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს პირის ქურდული სამყაროს წევრად ცნობისათვის საჭირო და, ამასთან, საკმარის კრიტერიუმებს; კერძოდ, ეს ნორმა განმარტავს, რომ ქურდული სამყაროს წევრი – ეს არის ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. ამ ნორმის სწორი გაგების ანუ როგორც ტელეოლოგიური, ისე სისტემური განმარტების მიხედვით, პირის ქმედება ქურდული სამყაროს წევრობად რომ შეფასდეს, საამისოდ სრულიად საკმარისია სახეზე იყოს ხსენებული კანონის მე-3 მუხლის მეორე პუნქტში მითითებული ნიშნები და არ არის აუცილებელი იმ გარემოებების არსებობაც, რაც იმავე მუხლის პირველ პუნქტშია მოცემული. აღნიშნულის გამო, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება კასატორების იმ პოზიციას, რომლის მიხედვითაც ა. ხ-ს ის ქმედებები, რაც სააპელაციო სასამართლოს დადასტურებულად მიაჩნია, არ შეიცავს ქურდული სამყაროს წევრობის კანონით განსაზღვრულ შემადგენლობას, ხოლო მის ბრალეულობაზე სააპელაციო სასამართლოს დასკვნებში ეჭვის შესატანად არ არსებობს კანონიერი საფუძველი.

50. რაც შეეხება კასატორების მითითებას იმაზე, რომ არა-



ვითარი მტკიცებულებებით არ დასტურდება ა. ხ-სათვის შერაცხული ბრალი მის მიერ ე.წ. ქურდული „ობშიაკის“ ფლობის, ასევე „ობშიაკის“ თანხების შეგროვებასა და განაწილებაში, უნდა აღინიშნოს ასეთი მსჯელობის უსაფუძვლობა და არამიზნობრიობა, რადგან არც პირველი ინსტანციის სასამართლოს და არც სააპელაციო სასამართლოს განაჩენით ა. ხ-ს მსჯავსი კონკრეტული ქმედებების ჩადენა არ შერაცხვია და ამისათვის არც მსჯავრი დასდებია. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ა. ხ-ს დამცველი ადვოკატების – ნ. ც-სა და დ. მ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

51. რ. ო-ს მიმართ სააპელაციო სასამართლოს განაჩენით შერაცხული ბრალი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – დ. ნ-მა და ო. ს-მა, რომლებიც ითხოვენ მის გამართლებას შემდეგი მოტივებით: საქმეში არ არსებობს კანონიერი და უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა რ. ო-ს მსჯავრდება მისთვის წარდგენილი ბრალდების მიხედვით; გამამტყუნებელი განაჩენი ძირითადად ეფუძნება სატელეფონო საუბრების ჩანაწერებსა და მათ კრებებს, ასევე მონმე პოლიციელების ჩვენებებს, რომლებიც ვერ იქნება მიჩნეული კანონიერ და სანდო მტკიცებულებებად; სხვა მონმეები, რომლებიც სასამართლოში მოცემულ საქმეზე დაიკითხნენ, უარყოფენ მათგან რაიმეს გამოძალვაში რ. ო-ს მონაწილეობას და აღნიშნავენ, რომ საერთოდ არ იცნობენ მას; რ. ო-ს ბინის ჩხრეკა ჩატარებულია უკანონოდ, რის გამოც ამ ჩხრეკით მოპოვებული მტკიცებულებები დაუშვებლად უნდა ყოფილიყო ცნობილი; საქმეში არ არსებობს სხვა სარწმუნო მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა რ. ო-ს მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა, როგორცაა: ქურდული გარჩევები, ე.წ. „ობშიაკისათვის“ თანხების შეგროვება, გამოძალვა, გავლენების გადაწილება ქურდულ სამყაროში ან სხვაგვარი ქმედებებით ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებისათვის ხელშეწყობა.

52. რ. ო-სა და მისი დამცველი ადვოკატების პოზიციას მსჯავრდებულის უდანაშაულობის თაობაზე საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან მას არ მოეპოვება კანონიერი და დასაბუთებული საფუძველი საქმეში არსებული მასალების სახით. პირველ რიგში, არ არის გასაზიარებელი კასატორების მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ რ. ო-ს მიერ ქურდული სამყაროს სხვა წევრებთან განხორციელებული სატელეფონო საუბ-



რების ჩანაწერები და მათ საფუძველზე შედგენილი კრებსები, რომლებითაც ის აშკარად იმხილება მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენაში, თითქოს უკანონო და დაუშვებელ მტკიცებულებებს წარმოადგენს. ასეთი რამის მტკიცება რომ ყოვლად უსაფუძვლოა, ამის თაობაზე ზემოთ უკვე იყო დეტალური და მყარი არგუმენტებით გაჯერებული მსჯელობა, რის გამოც ეს საკითხი აქ განმეორებით აღარ იქნება განხილული.

53. საკასაციო პალატას უსაფუძვლოდ მიაჩნია ასევე კასატორების მსჯელობა იმის თაობაზე, რომ საქმეში არ არსებობს კანონიერი და სარწმუნო მტკიცებულებები რ. ო-ს მიერ ქურდული სამყაროს წევრობის ან ქურდულ სამყაროსთან რაიმე კავშირის დასადასტურებლად. სინამდვილეში საქმეში წარმოდგენილია და გასაჩივრებულ განაჩენშიც სააპელაციო სასამართლოს მიერ გაანალიზებულია რ. ო-ს იმ ვრცელი სატელეფონო საუბრების ჩანაწერები და მათი შესაბამისი კრებსები, რომლებიც მას ჰქონდა ამავე განაჩენით ქურდული სამყაროს წევრებად ცნობილ პირებთან – ა. ხ-თან და რ. გ-თან, აგრეთვე ქურდულ სამყაროში კანონიერ ქურდად აღიარებულ ნ. ჯ-თან (მეტსახელი „შ.“). ამ საუბრების შინაარსი პირდაპირ მიუთითებს რ. ო-ს მჭიდრო კავშირზე და არა მხოლოდ კავშირზე, არამედ მის თანამოქმედებაზე ქურდული სამყაროს სხვა წევრებთან ერთად ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.

54. იგივე შეიძლება ითქვას ნ. ჯ-თან მისი საუბრების თაობაზეც, რაც ადასტურებს რ. ო-ს სრულ დამოკიდებულებას ქურდულ სამყაროზე, ასევე მის გავლენიან წარმომადგენლებზე, იგი თვითონაც ცდილობს მოიპოვოს გავლენა ქურდული სამყაროს სხვა წევრებზე, გადაწყვიტოს მ-ს რაიონში ქურდული სამყაროს საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები. მაგალითად, მსჯავრდებულ ა. ხ-თან მისი სატელეფონო საუბრის შინაარსით დგინდება რ. ო-ს აქტიური მონაწილეობა ქურდულ სამყაროში ახალი წევრის (გ. კ-ს) მიღების, მისთვის გზის გაკვალვისა და კანონიერ ქურდებთან მისი დაკავშირების საქმეში. ის მონაწილეობს ასევე არალეგალური ქურდული სალაროს, ე.წ. „ობშიაკისათვის“ თანხების შეგროვებასა და ამ თანხების განაწილებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში.

55. გარდა ამისა, რ. ო-ს კუთვნილი მობილური ტელეფონითა და ასევე მისი კუთვნილი ნომრიდან უკავშირდებიან კანონიერ ქურდ ნ. ჯ-ს ქურდული სამყაროს სხვა წევრებიც და არამარტო თვითონ რ. ო-ი. ამასთან, ეს უკანასკნელი ქურდულ სამყაროში აღიარებული ქცევისა და მოქმედების წესებზე, უსიტყვოდ მათი დაცვის აუცილებლობაზე მოძღვრავს ქურდული სამყაროს

სხვა წევრებს – რ. გ-სა და გ. კ-ს. აღნიშნული მტკიცებულებებით დგინდება აგრეთვე ის გარემოება, რომ რ. ო-ს ბინა იყო ქურდული შეკრებების ადგილი მ-ს რაიონში მოქმედი ქურდული სამყაროს წევრებისათვის მათ საქმეებთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობისა და ამ საკითხების გადაწყვეტისათვის, აგრეთვე, კანონიერ ქურდ ნ. ჯ-თან სატელეფონო საუბრების განსახორციელებლად და მასთან ურთიერთობისათვის. აღნიშნული გარემოებები ცალსახად და სრულიად უდავოდ ადასტურებს, რომ მსჯავრდებულ რ. ო-ს ნამდვილად აქვს ჩადენილი ქურდული სამყაროს წევრობა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით.

56. საკასაციო პალატა აღნიშნავს: რაც შეეხება კასატორების მითითებას იმაზე, რომ არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლებითაც დადასტურდებოდა რ. ო-ს უშუალო მონაწილეობა ქურდულ გარჩევებში, კონკრეტული პირებისგან თანხების გამოძალვაში, ე.წ. „ობშიაკისათვის“ უშუალოდ მის მიერ თანხების შეგროვებაში, ქურდულ სამყაროში გავლენების გადანაწილებაში და ა.შ., უნდა ითქვას შემდეგი: არც პირველი ინსტანციის სასამართლო და არც სააპელაციო სასამართლო არ ედავებიან რ. ო-ს მისი კასატორების მიერ საჩივარში მითითებული ამ კონკრეტული ქმედებების ჩადენას, არამედ მას მსჯავრი დაედო ე.წ. „ობშიაკთან“ დაკავშირებული საკითხების გარჩევისათვის ქურდული სამყაროს სხვა წევრებთან, რაც უდავოდ ემსახურებოდა ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებას.

57. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს საფუძველი აგრეთვე მსჯავრდებულ რ. ო-სა და მისი დამცველების მიერ გამოთქმული პრეტენზიების გასაზიარებლად გასაჩივრებული განაჩენით მისთვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით შერახულ ბრალთან დაკავშირებით. თავიანთ საჩივრებში კასატორები მიუთითებენ, რომ აღნიშნული ბრალის დასადასტურებლად საქმეში არსებობს მხოლოდ კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება – რ. ო-ს ბინის ჩხრეკის ოქმი, რომელსაც ხელს არ აწერს მისი ოჯახის წევრი (მეუღლე); ჩხრეკის ოქმში არ არის აღნიშნული, კონკრეტულად რა ადგილზე იქნა ნაპოვნი ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანა“, რაში იყო ის გახვეული; თარჯიმანი, რომელიც ესწრებოდა ჩხრეკას, სათანადოდ ვერ ფლობს აზერბაიჯანულ ენას; ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერება არ დალუქულა წესების დაცვით. მათი დასკვნით, აღნიშნული გარემოებების გამო, ჩხრეკის ოქმიც და ამოღებული ნივთმტკიცებაც დაუშვებელ მტკიცებულებებად უნდა ყოფილიყო ცნობილი. მათივე აზრით, დაუშვებელ მტკიცე-

ბულებად უნდა ეცნოთ მოწმე კ. ს-ს ჩვენება, რომელშიც ის მიუთითებს, რომ დაკითხვის დროს რ. ო-მა თავის ჩვენებაში აღიარა – ნარკოტიკული საშუალება, რომელიც მისი ბინიდან იქნა ამოღებული, თითქოს მას ეკუთვნოდა, მაშინ, როდესაც თვით რ. ო-ს ეს ჩვენება დაუშვებელ მტკიცებულებად არის ცნობილი.

58. კასატორების ხსენებული მტკიცებების საპირისპიროდ საქმეში არსებობს კანონიერი და პირდაპირი მტკიცებულებები, რომლებითაც უტყუარად დასტურდება რ. ო-ს მიერ ნარკოტიკული საშუალების – 14,82 გრამი „გამომშრალი მარიხუანის“ მართლსაწინააღმდეგოდ ფლობა, რომელიც ჩხრეკის შედეგად მისი ბინიდან იქნა ამოღებული. თუ სად, როდის, რა ვითარებაში და ვისგან ამოიღეს ხსენებული ნარკოტიკული საშუალება, დადასტურებულია ჩხრეკაში მონაწილე, შემდგომში საქმეზე მოწმედ დაკითხული პირების ჩვენებებით. ამასთანავე, ჩხრეკის ოქმში ზუსტად არის მითითებული რ. ო-ს ბინაში რომელი კონკრეტული ადგილიდან ამოიღეს ნარკოტიკული საშუალება, რაში იყო ის შეხვეული, მოცემულია აგრეთვე ამ ნივთიერების აღწერილობა (ფერი და სუნი), რომელიც იქვე დაილუქა. საქმეშია ასევე ქიმიური ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დადასტურებულია, რომ ჩხრეკისას ამოღებული ნივთიერება წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებას – „მარიხუანას“, წონით 14,82 გრამს.

59. ის გარემოება, რომ ჩხრეკის ოქმს ხელი არ მოაწერა ჩხრეკის დამსწრე ე. ხ-მ (რ. ო-ს მეუღლემ), აღნიშნული მტკიცებულების დაუშვებლად ცნობის საფუძველი ვერ გახდება, რადგან საპროცესო კანონი ამას არ ითვალისწინებს. რაც შეეხება თარჯიმნის კვალიფიკაციის საკითხს, სასამართლომ გამოარკვია, რომ თარჯიმანი ნ. გ-ი მრავალი წელია პროფესიულ საქმიანობას ეწევა და მისი კვალიფიკაცია ეჭვქვეშ არ დამდგარა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩხრეკასა თუ სხვა საგამოძიებო მოქმედებებში მონაწილე ან მათი მწარმოებელი ოფიციალური პირების შემდგომში საქმეზე მოწმედ დაკითხვა არ ეწინააღმდეგება მოქმედ საპროცესო კანონმდებლობას.

60. გარდა აღნიშნულისა, საქმეში მოიპოვება აგრეთვე მტკიცებულებები – რ. ო-ს სატელეფონო საუბრების ჩანაწერებისა და შესაბამისი კრებსების სახით, რომლებიც აშკარად მიუთითებენ იმაზე, რომ რ. ო-ს ნამდვილად ჰქონდა შეხება ნარკოტიკულ საშუალებებთან, როგორც მათ მომხმარებელს. მხედველობაშია რ. ო-ს 2013 წლის 5 სექტემბრის სატელეფონო საუბარი მსჯავრდებულ ს. დ-თან, რომელიც გასაჩივრებული განაჩენით ასევე მსჯავრდებულია საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, აგრეთვე მისივე სატელეფონო საუბრე-

ბი გასაჩივრებული განაჩენით იმავე ქმედებისათვის მსჯავრდებულ რ. გ-თან (2013 წლის 21 აგვისტო) და მსჯავრდებულ გ. კ-თან. ამ საუბრების შინაარსიდან სრულიად აშკარაა რ. ო-ს აქტიური კავშირი ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვასთან, ისიც, რომ ამ საქმეში ასევე აქტიურად იყო ჩართული მსჯავრდებული რ. გ-ც. განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, რ. ო-სა და მისი ადვოკატების მიერ გასაჩივრებული განაჩენის მიმართ წაყენებული პრეტენზიები საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მის მსჯავრდებასთან დაკავშირებით ვერ იქნება გაზიარებული, ხოლო მათი საკასაციო საჩივრების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

61. საკასაციო პალატამ განიხილა ასევე მოცემულ საქმეზე მსჯავრდებულ გ. კ-ს დამცველების, ადვოკატების – მ. ფ-სა და ი. ჭ-ს საკასაციო საჩივარი, რომლითაც კასატორები ითხოვენ მის გამართლებას შემდეგი ძირითადი მოსაზრებებითა და არ-გუმენტებით და რომლებსაც ისინი მიმართავენ თავიანთი პო-ზიციის დასაბუთებისათვის: გ. კ-ს არ შეუგროვებია თანხები ე.წ. „ობშიაკისათვის“ და არავისგან მოუთხოვია რაიმე სარგებლის მიღება თავისთვის ან სხვისთვის, საამისოდ მას არავინ დაუ-შანტაჟებია და არავინ დაუშინებია; ამასთან, სასამართლოში მო-ცემულ საქმეზე მოწმედ დაკითხულმა პოლიციელებმა განაც-ხადეს, რომ მათ არ იციან ადამიანი, რომლის მიმართაც შესაძ-ლოა გ. კ-მა განახორციელა რომელიმე ზემოაღნიშნული ქმედე-ბა; უსაფუძვლო და არასწორია ბრალდების მხარის განცხადება იმის თაობაზე, რომ გ. კ-ი ფლობდა ე.წ. „ობშიაკს“, აფართოებდა მას, ქურდული სამყაროსათვის სარგებლის მისაღებად ესაუბ-რებოდა კანონიერ ქურდს – ნ. ჯ-ს და რომ მას დანაშაულებრი-ვი კავშირი ჰქონდა სასამართლოს მიერ ქურდული სამყაროს წევრად მიჩნეულ ა. ხ-თან.

62. ამასთან ერთად, გ. კ-ს ადვოკატები საჩივარში იშველიე-ბენ სხვა არგუმენტებსაც, კერძოდ, მათი აზრით, არ არსებობს იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ კ-მა ჩაიდინა „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართვე-ლოს კანონით გათვალისწინებული თუნდაც ერთი რომელიმე ქმედება, ვერ დგინდება აგრეთვე გ. კ-ს სატელეფონო საუბრის ფაქტი სასამართლოს მიერ კანონიერ ქურდად ჩათვლილ პირ-თან – ნ. ჯ-თან, ხოლო ამ უკანასკნელის სახელი მტკიცებულე-ბად მოტანილ საუბრის ჩანაწერში არ იხსენიება, ასევე ვერ დგინდება რა ნომრით სარგებლობდა ნ. ჯ-ი მასთან საუბრისას; ტელეფონის ნომერი, რომელიც ამოღებულ იქნა ა. კ-ს ბინიდან, მართალია, დაფიქსირებულია გ. კ-ს სახელზე, მაგრამ არაფრით

არ დასტურდება, რომ მხოლოდ ეს უკანასკნელი სარგებლობდა ამ ნომრით და არა სხვა პირებიც, ხოლო სასამართლოს მიერ ქურდული სამყაროს წევრებად მიჩნეულ ა. ხ-სა და რ. ო-ს შორის ე.წ. „ობშიაკის“ შესახებ გამართულ საუბარში მოხსენიებული „გ.“ რომ მაინც და მაინც გ. კ-ია და არა სხვა ვინმე, არაფრით არ დასტურდება.

63. გ. კ-ს ადვოკატები, გარდა ზემოაღნიშნულისა, მიუთითებენ ასევე საქმეში არსებული ძირითადი მტკიცებულებების – მსჯავრდებულებს შორის, აგრეთვე მათსა და სხვა პირებს შორის გამართული სატელეფონო საუბრების ჩანაწერებისა და მათი შესაბამისი კრებსების მოპოვებასა და საპროცესო დამაგრებასთან დაკავშირებულ იმავე კანონდარღვევებზე, რომლებზეც ზემოთ უკვე იყო მითითებული სხვა მსჯავრდებულთა დამცველების საკასაციო საჩივრებში და რომელთა გამოც იხილი აღნიშნულ მტკიცებულებებს დაუშვებლად მიიჩნევენ.

64. საკასაციო პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულ გ. კ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების მიერ მისი გამართლების მიზნით წარმოდგენილ არგუმენტებსა და მოსაზრებებს შემდეგ გარემოებათა გამო: არც სააპელაციო სასამართლო და არც პირველი ინსტანციის სასამართლო არ მიიჩნევენ და არც განაჩენებში დაუდგენიათ, რომ გ. კ-ი ფლობდა ე.წ. „ობშიაკს“ და თანხებს აგროვებდა მის შესავსებად, ანდა რომ ის ვინმესგან მოითხოვდა თანხებს და ენეოდა გამოძალვას, ადამიანთა დაშანტაჟებას, დაშინებას და ა.შ., რის გამოც ამ მიმართებით კასატორების მტკიცებულებები და მსჯელობები მიზნობრიობას მოკლებულია, რადგან სასამართლოს გ. კ-სათვის მსჯავრი არ დაუდვია მსგავსი ქმედებებისათვის.

65. ის გარემოება, რომ გ. კ-ს ნამდვილად აქვს ჩადენილი საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილითა და „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ქმედება – ქურდული სამყაროს წევრობა, დადასტურებულია საქმეში არსებული, კანონიერი გზით მოპოვებული, პირდაპირი და უტყუარი მტკიცებულებებით. მხედველობაშია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად მოპოვებული ჩანაწერები და მათ საფუძველზე შედგენილი კრებსები იმ სატელეფონო საუბრებისა, რომლებსაც გ. კ-ი ახორციელებდა გასაჩივრებული განაჩენით ამავე საქმეზე მსჯავრდებულ ქურდული სამყაროს სხვა წევრებთან, კერძოდ, რ. და ნ. ო-ებთან, აგრეთვე კანონიერ ქურდთან – ნ. ჯ-თან და სხვა პირებთან. ამ საუბრებიდან აშკარად და უდავოდ გამომდინარეობს, რომ გ. კ-ი ქურდული სამყაროს აქ-

ტიური წევრია და ცდილობს გახდეს ქურდული ტრადიციების მიმდევართა ოჯახის სრულფასოვანი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი, გამოხატავს უპირობო მხარდაჭერასა და თანადგომისათვის მზადყოფნას ქურდული სამყაროს წევრთა საქმიანობისადმი, ინტერესდება ე.წ. „ობშიაკში“ თანხების შეგროვების საკითხით და ცდილობს აქტიურად იმოქმედოს ამ მიმართებით, ქურდული სამყაროს სხვა წევრებისგან იღებს მითითებებს, ითავისებს იმ წესებს, რომლითაც მოქმედებს ქურდული სამყარო. ყოველივე აღნიშნული სარწმუნოდ ადასტურებს, რომ გ. კ-ი ძალზე აქტიურად მოქმედებდა ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯერ კიდევ ახალბედად ითვლებოდა ქურდული სამყაროს სხვა, მასზე ბევრად უფრო გამოცდილ წევრთა შორის.

66. გ. კ-ს ქურდული სამყაროს წევრობა და აქტიური მოქმედება ამ სამყაროს მიზნებისათვის დასტურდება აგრეთვე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებითაც, კერძოდ, გასაჩივრებული განაჩენით ქურდული სამყაროს წევრობისათვის მსჯავრდებულ პირთა შორის გამართული სატელეფონო საუბრების ჩანაწერებითა და კრებსებით, მხედველობაშია ა. ხ-სა და რ. ო-ს, რ. ო-სა და რ. გ-ს, ს. დ-სა და რ. გ-ს, რ. ო-სა და ნ. ჯ-ს შორის გამართული ვრცელი სატელეფონო საუბრები, რა დროსაც მიმდინარეობს მსჯელობა გ. კ-სა და მის მომავალ საქმიანობაზე ქურდული სამყაროს მხარდასაჭერად და მის სასარგებლოდ. გარდა ამისა, განაჩენით დადგენილია და შესაბამისი მტკიცებულებებით დადასტურებული გ. კ-ს მონაწილეობა ქურდული სამყაროს წევრთა შეკრებაში, რომელიც გაიმართა რ. ო-ს სახლში, სადაც განიხილეს ე.წ. „ობშიაკის“ საკითხი და ასევე შედგა მათი სატელეფონო საუბრები ნ. ჯ-თან.

67. გ. კ-ს ადვოკატები იმეორებენ იმ არგუმენტებსა და მოსაზრებებს, რასაც გამოთქვამდნენ ქურდული სამყაროს წევრობისათვის ამ განაჩენით მსჯავრდებულ სხვა პირთა დამცველებიც და რომელთა საფუძველზეც ისინი ამტკიცებენ თავიანთ საჩივრებში ზემოაღნიშნული სატელეფონო საუბრების ჩანაწერებისა და კრებსების უკანონობას, რის გამოც მათ მიიჩნევენ დაუშვებელ მტკიცებულებებად. ასეთი პრეტენზიების თაობაზე ზემოთ უკვე არაერთხელ იყო აღნიშნული და შესაბამისი პასუხიცაა გაცემული, რის გამოც ისინი აქ ხელახლა აღარ იქნება განხილული.

68. განხილული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არ არსებობს კანონიერი და დასაბუთებული საფუძველი მსჯავრდებულ გ. კ-ს დამცველთა სა-

ჩივრის დაკმაყოფილებისათვის, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი მისი მსჯავრდების ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

69. მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორი გ. ჯ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის მსჯავრდებულებისათვის საუარესოდ შებრუნებას, კერძოდ, მ. შ-ს, კ. გ-სა და ს. დ-ს მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ქურდული სამყაროს წევრობისათვის, ნაცვლად მათთვის საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლის საფუძველზე შერაცხული ისეთი დანაშაულისა, როგორიცაა დანაშაულის შეუტყობინებლობა. კასატორი ხსენებული მსჯავრდებულების მიმართ თავისი მოთხოვნის საფუძველად მიუთითებს შემდეგზე:

70. პროკურორი მ. შ-თან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ იგი აქტიურად ჩაერთო მსჯავრდებულ კ. გ-ს მიერ ორგანიზებულ იმ შეხვედრაში, სადაც, ერთი მხრივ, მინვეულნი იყვნენ ქურდული სამყაროს წევრი ჯ. ა-ი და კრიმინალური ავტორიტეტი „რ.“, ხოლო, მეორე მხრივ, ბიზნესმენი ფ. ყ-ი. მათ ფ. ყ-ს გამოსცალეს ფულადი თანხა, ამასთან, მ. შ-მა, ქურდული გარჩევის გზით, ფ. ყ-ს 10 000 აშშ დოლარი მოსთხოვა. გარდა ამისა, კასატორის აზრით, მ. შ-სა და ვ. ტ-ს, თ. გ-ს, ა. გ-სა და ქურდული სამყაროს სხვა წევრებს შორის განხორციელებული სატელეფონო საუბრების შინაარსი უდავოდ ადასტურებს მ. შ-ს მიერ ისეთი მოქმედებების ჩადენას, რაც იძლევა საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების – ქურდული სამყაროს წევრობის შემადგენლობას.

71. პროკურორი თავის საჩივარში მსჯელობს ასევე მსჯავრდებულ ს. დ-ს მიერ ჩადენილ ქმედებათა შესახებ და აღნიშნავს, რომ საქმეში არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება ს. დ-ს აქტიური მონაწილეობის ფაქტები ე.წ. „ობშიაკის“ თანხების შეგროვებაში, აგრეთვე მ-ს რაიონში ქურდული ტრადიციების დამკვიდრებაში, კერძოდ, კასატორი უთითებს ქურდული სამყაროს წევრებთან ს. დ-ს სატელეფონო საუბრების ჩანაწერებსა და კრებებსზე.

72. რაც შეეხება კ. გ-ს მსჯავრდებას, პროკურორი არც ამ ნაწილში ეთანხმება გასაჩივრებულ განაჩენს, ვინაიდან მას მიაჩნია, რომ კ. გ-ს ნამდვილად აქვს ჩადენილი ქურდული სამყაროს წევრობა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით. კასატორი საამისოდ მიუთითებს შემდეგ გარემოებებზე: სწორედ კ. გ-მა უზრუნველყო ფ. ყ-ს შეხვედრა ქურდული სამყაროს წარმომადგენლებთან – „რ-სა“ და ჯ. ა-თან, სადაც მას თანხა გამოსცალეს, ამასთან, კ.



გ-ი ესწრებოდა ა. შ-სა და რ. ი-ს საქმის ქურდულ გარჩევას; მისი აზრით, საყურადღებოა ასევე ქურდული სამყაროს წევრებთან კ. გ-ს სატელეფონო საუბრების შინაარსიც, რითაც დასტურდება მისი ბრალეულობა.

73. გარდა ზემოაღნიშნულისა, პროკურორი საკასაციო საჩივრით ითხოვს აგრეთვე მსჯავრდებულების – ჯ. ა-ს, ვ. ტ-ს, თ. გ-ს, ა. გ-ს, რ. გ-ს, გ. კ-ს, რ. ო-ს, ნ. ო-ს, ნ. ი-ს, რ. მ-სა და ა. ხ-ს მიმართ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის საუარესოდ შებრუნებასა და სასამართლოს მიერ მათთვის განსაზღვრული სასჯელების გამკაცრებას, რასაც კასატორი ასაბუთებს იმით, რომ საქმის მასალებით დასტურდება ისეთი გარემოებების არსებობა, რაც მიუთითებს აღნიშნული მსჯავრდებულების პიროვნებისა და მათ მიერ ჩადენილი ქმედებების მომეტებულ საშიშროებაზე და რის გამოც ისინი ბევრად უფრო მკაცრ სასჯელს იმსახურებენ.

74. საკასაციო პალატა არ იზიარებს პროკურორ გ. ჯ-ს საჩივრის მოტივებს, რომლებიც მას ჯერ კიდევ ამავე საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენთან დაკავშირებით თავის სააპელაციო საჩივარში ჰქონდა გამოთქმული, რადგან მიაჩნია, რომ აღნიშნულ მოტივებსა და მოსაზრებებზე სააპელაციო სასამართლომ დამაჯერებელი, ამასთან, დასაბუთებული პასუხი გასცა საქმიდან მოხმობილ როგორც კონკრეტულ მტკიცებულებებზე, ისე ფაქტობრივ გარემოებებზე მითითებითა და მათი ლოგიკური ანალიზის გზით. აღნიშნულის გამო, არ არსებობს იმის აუცილებლობა და საჭიროება, რომ ამჯერად, კიდევ ერთხელ, ვრცლად და დეტალურად იქნეს განხილული კასატორის მოთხოვნისა და იმ მოტივების საფუძვლიანობისა, თუ დასაბუთებულობის საკითხი, რომლებიც მან თავის საჩივარში წამოჭრა და რომელთა გათვალისწინებით ის ითხოვს ზემოთ დასახელებულ მსჯავრდებულთა მიმართ სააპელაციო სასამართლოს განაჩენის შეცვლასა და მათთვის საუარესოდ შებრუნებას მათ მიერ ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციის ნაწილში.

75. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ კიდევ უფრო უსაფუძვლო და საერთოდ დაუსაბუთებელია კასატორის მოთხოვნა მსჯავრდებულებისათვის სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელების გამკაცრების თაობაზე, რადგან პროკურორი არავითარ არგუმენტზე არ უთითებს, თუ რატომ მიაჩნია აღნიშნული სასჯელები უსამართლოდ, იგი ზოგადად მიუთითებს მხოლოდ იმ ქმედებებზე, რომლებიც მსჯავრდებულებს აქვთ ჩადენილი, თუმცა, არც ერთი არგუმენტი არ აქვს მოხმობილი იმის დასაბუთებლად – დანიშნული სასჯელები რატომ უნდა იქნეს



მიჩნეული შეუსაბამოდ აღნიშნული ქმედებების ხასიათსა და მათი ჩამდენი სუბიექტების პიროვნულ მახასიათებლებთან.

76. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის დასკვნით პროკურორ გ. ჯ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

77. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განაჩენზე მხარეების მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრების განხილვის შემდეგ საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 26 თებერვლის №3/1/708, 709, 710 განჩინებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ შეტანილი წარდგინების საფუძველზე იმსჯელა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის იმ ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობაზე, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ (იხ. „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალური გრაფა) პირადი მოხმარების მიზნით უკანონო შექმნა-შენახვის გამო.

78. აღნიშნული განჩინებით საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ზემოხსენებული ნორმატიული შინაარსი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, რაც იმას ნიშნავს, რომ პირის მიმართ სასჯელის სახით არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა მის მიერ ჩადენილი ისეთი ქმედების გამო, როგორცაა ნარკოტიკული საშუალების – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შექმნა ან შენახვა, როდესაც არ არის დადგენილი გასაღების მიზნის არსებობა ასეთი ქმედების ჩადენისას. განხილულ საქმეშიც მსჯავრდებულები – ს. დ-ი, რ. გ-ი და რ. ო-ი გასაჩივრებული განაჩენით დამნაშავედ იქნენ ცნობილი მხოლოდ იმაში, რომ მათ უკანონოდ შეიძინეს და შეინახეს ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანა“, კერძოდ: დ-მა – წონით 18,96 გრამი; გ-მა – წონით 21,59 გრამი, რ. ო-მა – წონით 14,82 გრამი, ამასთან, განაჩენით არ არის დადგენილი, რომ აღნიშნულმა მსჯავრდებულებმა ხსენებული ნარკოტიკული საშუალება შეიძინეს და მას ინახავდნენ გასაღების მიზნით.

79. ამავე დროს, საკასაციო პალატის აზრით, მოცემულ შემ-

თხვევაში მსჯავრდებულთა მიმართ გამოყენებული ვერ იქნება სასჯელის სხვა რომელიმე სახე, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის მე-40 მუხლით, რადგან საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია სასჯელის სახედ და ზომად ადგენს მხოლოდ თავისუფლების აღკვეთას და არც ერთ სხვა ალტერნატიულ სასჯელს არ ითვალისწინებს. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო დამნაშავეს სასჯელს უნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში.

80. ამრიგად, აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ს. დ. ი. რ. გ-ი და რ. ო-ი სასჯელის დაუნიშნავად უნდა იქნენ ცნობილი დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შექმნისა და შენახვისათვის, რადგან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით მოხდა მათ მიერ ჩადენილი ქმედების არა დეკრიმინალიზაცია, არამედ – დეპენალიზაცია, რის გამოც შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს გასაჩივრებულ განაჩენში, ხოლო სხვა ნაწილში ის უნდა დარჩეს უცვლელად ყველა მსჯავრდებულის მიმართ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ გ. ჯ-ს, მსჯავრდებულ რ. გ-ს ადვოკატ გ. ტ-ს, მსჯავრდებულ რ. ო-ს ადვოკატების – ო. ს-სა და დ. ნ-ს, მსჯავრდებულ ს. დ-სა და მისი ადვოკატის – ლ. ბ-ს, მსჯავრდებულების – მ. შ-სა და ნ. ი-ს ადვოკატ ო. ს-ს, მსჯავრდებულ ჯ. ა-სა და მისი ადვოკატის – მ. უ-ს, მსჯავრდებულ გ. კ-ს ადვოკატების – მ. ფ-სა და ი. ქ-ს, მსჯავრდებულ თ. გ-ს, მსჯავრდებულების – ნ. ო-ს, ა. გ-სა და თ. გ-ს ადვოკატ გ. ნ-ს, მსჯავრდებულ რ. მ-სა და მისი ადვოკატის – ო. გ-ს, მსჯავრდებულ ა. ხ-ს ადვოკატების – ნ. ც-სა და დ. მ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამარ-

თლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

3. ს. დ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის დაუნიშნავად; საქართველოს სსკ-ის 376-ე მუხლით მსჯავრდებულ ს. დ-ს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 20 000 ლარი.

4. მსჯავრდებულ ს. დ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

5. მსჯავრდებული ს. დ-ი დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პატიმობიდან.

6. რ. გ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის დაუნიშნავად; საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებულ რ. გ-ს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა აეთვალოს 2013 წლის 6 სექტემბრიდან.

7. მსჯავრდებულ რ. გ-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

8. რ. ო-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით სასჯელის დაუნიშნავად; საქართველოს სსკ-ის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებულ რ. ო-ს საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განე-

საზღვროს – 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა აეთვალოს 2013 წლის 6 სექტემბრიდან.

9. მსჯავრდებულ რ. ო-ს „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის საფუძველზე 5 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები, ხოლო 10 წლით – საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

11. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **მოსამართლე ნინო გვინეტაძის ბანსხვაპეპული აზრი**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის  
2016 წლის 24 მარტის განაჩენზე მსჯავრდებულების –  
ს. დ-ს, რ. გ-სა და რ. ო-ს მიმართ**

1. უწინარესად ვადასტურებ ჩემს პატივისცემას საკასაციო პალატის აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ, რომელიც პალატის წევრებმა გამოიტანეს ხმათა უმრავლესობით. ამასთან, ვეთანხმები გადაწყვეტილებას წარდგენილი ბრალის მიხედვით მსჯავრდებულების დამნაშავედ ცნობის ნაწილში, აგრეთვე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 376-ე მუხლის სანქციებით განსაზღვრულ ფარგლებში მათთვის შეფარდებულ სასჯელებს – სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთის სახით. მიმაჩნია, რომ მოცემულ ნაწილში განაჩენი არის დასაბუთებული, ვინაიდან იგი ეფუძნება კანონიერი გზით მოპოვებულ პირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობას, რომლითაც მსჯავრდებულები იმხილებიან მათთვის შერაცხული ქმედებების ჩადენაში, ხოლო ეს მტკიცებულებები არის უტყუარი და სრული-

ად საკმარისი მსჯავრდებულების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

2. ამავე დროს ვთვლი, რომ მსჯავრდებულებისათვის შეფარდებული სასჯელის ზომები არის სამართლიანი, ვინაიდან მათი განსაზღვრისას სასამართლომ გაითვალისწინა როგორც მსჯავრდებულთა პიროვნება, ასევე მათ მიერ ჩადენილი ქმედებების ხასიათი, სიმძიმე და სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, რაც სისხლის სამართლის კანონშია მითითებული.

3. მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც საქმის განხილვაში მონაწილე მოსამართლეს, მაქვს ჩემი კოლეგებისგან განსხვავებული აზრი, რომელიც ეხება მათ მიერ მსჯავრდებულების – ს. დ-ს, რ. გ-სა და რ. ო-ს, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, სასჯელის დაუნიშნავად დამნაშავედ ცნობის საკითხს. ეს საკითხი კი მდგომარეობს შემდეგში: როგორც ცნობილია, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 26 თებერვლის №3/1/708, 710 განჩინებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მეორე პუნქტთან მიმართებით, რომელიც კრძალავს არაჰუმანური და სასტიკი სასჯელის გამოყენებას, არაკონსტიტუციურად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალების – „გამომშრალი მარიხუანის“ (იხ. „ნარკოტიკული საშუალების, ფსიქოტროპული ნივთიერების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალური გრაფა) პირადი მოხმარების მიზნით უკანონო შექმნა–შენახვის გამო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ (აღნიშნულით) იმ პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა ისეთი ქმედება, როგორიცაა ნარკოტიკული საშუალების – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შექმნა ან შენახვა, თუ არ არის დადგენილი ამ ქმედების ჩადენისას გასაღების მიზნის არსებობა, სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა.

4. განხილულ სისხლის სამართლის საქმეშიც მსჯავრდებულები – ს. დ-ი, რ. გ-ი და რ. ო-ი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 5 ივნისის განაჩენით დამნაშავედ იქნენ ცნობილი მხოლოდ იმაში, რომ მათ უკანონოდ შეიძინეს და შეინახეს ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანა“, მაგრამ აღნიშნული განაჩენით არ არის დადგენილი, რომ ეს ქმედება ჩადენილი იყო ხსე-

ნებული ნარკოტიკული საშუალების გასაღების მიზნით.

5. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საქმის განხილვაში მონაწილე საკასაციო პალატის წევრების უმრავლესობამ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ზემოხსენებული გადანყვეტილების მიღების შემდეგ, რომლითაც ნარკოტიკული საშუალების – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შექმენისა და შენახვისათვის კანონით გათვალისწინებული ერთადერთი სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა გაუქმებულია, ამ ქმედების ჩამდენი მსჯავრდებულების მიმართ გამოყენებული ვერ იქნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებული სასჯელის სხვა რომელიმე სახე, რადგან სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია არ ითვალისწინებს სხვა ალტერნატიულ სასჯელს, გარდა თავისუფლების აღკვეთისა. ამასთან, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლო დამნაშავეს სასჯელს უნიშნავს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით დადგენილ ფარგლებში.

6. აღსანიშნავი და საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ პალატის წევრები მივიდნენ დასკვნამდე, რომლის მიხედვით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მითითებული გადანყვეტილებით მოხდა ხსენებული მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი ქმედების არა დეკრიმინალიზაცია, არამედ დეპენალიზაცია, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ მაინც მიიჩნიეს, რომ მსჯავრდებულები – ს. დ-ი, რ. გ-ი და რ. ო-ი, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დამნაშავედ ცნობილი უნდა იქნენ სასჯელის დაუნიშნავად (იხ. საკასაციო პალატის განაჩენის სამოტივაციო ნაწილის 79-ე და მე-80 პუნქტები). შესაბამისად, მათმა პოზიციამ ასახვა ჰპოვა საკასაციო პალატის განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში.

7. საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 26 თებერვლის №3/1/708, 709, 710 განჩინებაში უზენაესი სასამართლოს წარდგინებებთან დაკავშირებით იმსჯელა და დაადასტურა, რომ არაკონსტიტუციურად მიიჩნია პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე „გამომშრალი მარიხუანის“ შექმენა-შენახვისათვის თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ თავისი განჩინებით არ დაუდასტურებია სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი სასჯელისაგან გათავისუფლება, როგორც დეპენალიზაცია, არამედ მხოლოდ იმსჯელა ამ მუხლის სანქციით გათვალისწინებული უალტერნატივო სასჯელის სახით – ვადიანი თავისუფლების აღ-

კვეთის არაკონსტიტუციურობაზე. უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის ამ განაჩენში დეპენალიზაციაზე მითითება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფართო ინტერპრეტაციაა, რამდენადაც დეპენალიზაცია ეფუძნება სისხლისსამართლებრივი სასჯელისაგან გათავისუფლებას, განსხვავებით დეკრიმინალიზაციისაგან, რომელიც ქმედებას, რაც მანამდე მთლიანად დანაშაულად ითვლებოდა, აცხადებს კანონიერად. ამდენად, დეპენალიზაციის სამართლებრივი ბუნება არასისხლისსამართლებრივ (მაგ. ადმინისტრაციული) წესით რეაგირებას ექვემდებარება. დეპენალიზაცია სისხლის სამართლის სამართლის ჩარჩოებიდან გასაკიცხი დანაშაულებრივი ქმედების გატანას გულისხმობს, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს არ განუხორციელებია.

8. საქმის განხილვაში მონაწილე საკასაციო პალატის წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილებას არ ვეთანხმები სისხლის სამართლის როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო-სამართლებრივი პოზიციებიდან გამომდინარე, შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, როგორც მატერიალური კანონი, სრულად ეფუძნება ორ ძირითად სისხლისსამართლებრივ კატეგორიას – ეს არის დანაშაული და სასჯელი, რომლებიც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად არ არსებობენ ანუ სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ დანაშაულს თან ახლავს მისი ჩამდენის მიმართ კანონით განსაზღვრული სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენების მუქარა. ამიტომ, თუ სისხლისსამართლებრივი სასჯელი არ არსებობს ქმედებისათვის, ასეთი ქმედების დანაშაულად მიჩნევა ყოველგვარ სამართლებრივ ლოგიკას არის მოკლებული. საპირისპიროდ ამისა, თუ მიგვაჩნია და, ამასთან, ვადგენთ კიდევ, რომ პირს ჩადენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაული, რის გამოც (ამავდროულად) ვახდენთ აღნიშნული პირის მსჯავრდებას და მას სისხლისსამართლებრივი იძულების (ზემოქმედების) სახით კანონით განსაზღვრულ სოციალური დაცვის ღონისძიებას ვუნიშნავთ, მაშინ დასკვნის გამოტანა, რომ (საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად) ამ დანაშაულისათვის არ არსებობს სისხლისსამართლებრივი სასჯელი და ამიტომ პირი დამნაშავედ უნდა იქნეს ცნობილი, მის მიმართ სასჯელის გამოყენების გარეშე, ჩემი აზრით, არასწორია.

9. მართალია, სისხლის სამართლის კოდექსი იცნობს ცალკეულ შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირის სასჯელისაგან გა-



თავისუფლების შესაძლებლობას, მაგრამ ყველა ასეთ შემთხვევაში პირის სასჯელისგან გათავისუფლება ხდება ინდივიდუალურად, თუკი საამისოდ არსებობს იმავე კანონით გათვალისწინებული სპეციალური პირობები. მაგრამ, ცხადია, ეს უკანასკნელი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ იმავე დანაშაულის ჩადენისათვის სხვა პირები არ დაისჯებიან. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ვითარებას, რომლის დროსაც შეიძლება არსებობდეს დანაშაული სათანადო სასჯელის გარეშე, საკონსტიტუციო სამართლოს ზემოხსენებული გადანყვეტილებაც არ ქმნის. საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი განჩინების სარეზოლუციო ნაწილში დაადგინა არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის მოქმედი რედაქციის, არამედ მხოლოდ მისი ისეთი ნორმატიული შინაარსის არაკონსტიტუციურობა, რომლითაც შესაძლებელი იყო ნარკოტიკული საშუალების – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შეძენისა და შენახვისათვის სასჯელად თავისუფლების აღკვეთის გამოყენება. მაშასადამე, საკონსტიტუციო სასამართლომ მოახდინა არა ქმედების დეკრიმინალიზაცია, არამედ მისი გადანყვეტილებით მოხდა (ხსენებული ქმედების) სისხლის სამართლის კერძო ნაწილის ნორმის მხოლოდ დისპოზიციის შენარჩუნება სანქციის გარეშე, რაც საკანონმდებლო ორგანოსგან დამოუკიდებლად ფაქტობრივ დეპენალიზაციად შეაფასეს განაჩენში საკასაციო პალატის წევრებმა.

10. მაგრამ აღნიშნული გარემოება არ შეიძლება ისე იქნეს გაგებული, რომ ნარკოტიკული საშუალების – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შეძენა და შენახვა, როგორც დანაშაული, დარჩა სისხლისსამართლებრივი სასჯელის გარეშე. ეს არ გამოდინარეობს თვით სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ნორმების სისტემური განმარტებიდან. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლის მიხედვით, ნარკოტიკული საშუალების (მათ შორის „გამომშრალი მარიხუანის“) უკანონო პირადი მოხმარების მიზნით მცირე ოდენობით შეძენა ან შენახვაც კი ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით, რომ აღარაფერი ვთქვათ იმავე სანქციაში მითითებულ ერთ წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთაზე. ამის შემდეგ კიდევ უფრო ალოგიკური ხდება იმის აღიარება, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადანყვეტილებით ბევრად უფრო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების – „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი უკანონო მოხმარების მიზნით (გასაღების მიზნის გარეშე) შეძენა ან შენახვა საერთოდ დაუსჯელი ქმედება გახდა, თუმცა ის მაინც რჩება

დანაშაულად.

11. აქვე უნდა შევეხო მოცემულ საკითხთან დაკავშირებულ კიდევ ერთ სისხლისსამართლებრივ ასპექტს, კერძოდ, თუკი ჩავთვლით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შედეგად ნარკოტიკული საშუალების – „გამომშრალი მარიხუანის“ გასაღების მიზნის გარეშე უკანონო შეძენა ან შენახვა უსასჯელო დანაშაული გახდა, მაშინ როგორ უნდა გადაწყდეს ამ დანაშაულისათვის ნასამართლობის პრობლემა? ამ შემთხვევისათვის თუკი მოვიშველიებთ საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის მიხედვით, სასჯელისაგან გათავისუფლებული პირი ნასამართლობის არმქონედ ითვლება, ასეთი მიდგომა არ იქნება მართებული, რადგან აღნიშნული სისხლისსამართლებრივი ნორმაც კონკრეტული პირის სასჯელისაგან ინდივიდუალურ გათავისუფლებას გულისხმობს საამისოდ კანონით გათვალისწინებული სპეციალური პირობების არსებობისას და არა იმ შემთხვევას, როდესაც დანაშაულის ჩამდენი უკლებლივ ყველა პირისათვის ერთ-ერთი სახის სასჯელის დანიშვნა შეუძლებელი ხდება მისი არაკონსტიტუციურად ცნობისა და გაუქმების გამო. თუკი მიგვაჩნია, რომ გასაღების მიზნის გარეშე „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შეძენა ან შენახვა მაინც დანაშაულად რჩება, თანახმად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილისა, და მის ჩამდენ მსჯავრდებულს შესაბამისი სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიებაც უნდა შეეფარდოს, რაზედაც პირდაპირ მეტყველებს საკასაციო პალატის წევრების მიერ ხმათა უმრავლესობით გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი, მაშინ პრობლემა ხდება შემდეგი საკითხი: საიდან უნდა დაიწყოს ამ დანაშაულისათვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადის დინება და მისი გამოთვლა, რადგან მოცემულ შემთხვევაში ნამდვილად არ ხდება მსჯავრდებული პირის სასჯელისგან გათავისუფლება იმ აზრითა და სამართლებრივი მნიშვნელობით, რასაც საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილი გულისხმობს. ყველა სხვა შემთხვევაში, როდესაც არ ხდება პირის ინდივიდუალურად გათავისუფლება სასჯელისაგან კანონით გათვალისწინებულ სპეციალურ საფუძველზე, დანაშაულის ჩადენისათვის მსჯავრდებულს სს კოდექსით ყოველთვის მოსდევს ნასამართლობა.

12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავის გადაწყვეტილებაში არ უგულისხმია, რომ, გასაღების მიზნის გარეშე, ნარკოტიკული საშუალების – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შეძენის ან შენახვის ჩამდენი პირის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტი-

ტუციურად ცნობით, აღნიშნული დანაშაული განარჩევა ყოველგვარ სისხლისსამართლებრივ სასჯელს, რაც ტოლფასი იქნებოდა ფაქტობრივი დეკრიმინალიზაციისა. ასეთი დასკვნის გამოტანის უფლებას გვაძლევს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული განჩინების არა მარტო სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი, არამედ მის სამოტივაციო ნაწილში განვითარებული მსჯელობაც, რაც სრულიად ლოგიკურია, რადგან ამ გადაწყვეტილების განხილვა საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლთან ერთიან კონტექსტში, კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ სამართლებრივი ლოგიკის შეუვალობას, რომლის მიხედვით, თუ დასჯადია უფრო მსუბუქი ქმედება, მაშინ მით უფრო მეტად უნდა დაუსჯელი დარჩეს იმავე შინაარსის, მაგრამ ხარისხობრივად უფრო მძიმე ქმედება.

13. გარდა ამისა, მიმაჩნია, რომ საკასაციო პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი ს. დ-ს, რ. გ-სა და რ. ო-ს სასჯელის დაუნიშნავად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მსჯავრდების ნაწილში თანხვედნილი არ არის საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (2009 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) 269-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტისა და იმავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, სასამართლო გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დაუნიშნავად ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაჩენის გამოტანის მომენტიდან ბრალდებული გარდაიცვალა. მართალია, ეს ნორმა ეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს, მაგრამ ვფიქრობ, რომ იგივე უნდა გააკეთოს საკასაციო სასამართლომაც, თუ მის მიერ განაჩენის გამოტანის მომენტიდან მსჯავრდებული გარდაიცვალა. საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებით წარმოშობილი ვითარება კი, ჩემი აზრით, არ შეესაბამება მითითებული საპროცესო ნორმით გათვალისწინებულ შემთხვევას და არც – საპროცესო კანონით გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის სხვა შემთხვევებს (იხ. საქართველოს სსკ-ის 269-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილები).

14. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ახლად გამოვლენილი გარემოება, რომელიც უთითებს სისხლისსამართლის საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონის არაკონსტიტუციურად ცნობაზე, ვერ იქნება სსკ-ის 260-ე მუხლის, როგორც მთლიანად ნორმის (დისპოზიციის ჩათვლით), დეკრიმი-

ნალიზაციის მყარი სამართლებრივი არგუმენტი.

15. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის ერთადერთი სახის – თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ ერთი სახის ნარკოტიკული საშუალების – „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შექმნის ან შენახვისათვის, საკასაციო პალატას, აღნიშნული სისხლისსამართლებრივი ნორმის საფუძველზე, მსჯავრდებულების – ს. დ-ს, რ. გ-სა და რ. ო-ს მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი უნდა დაედგინა საქართველოს სსკ-ის მე-40 მუხლით გათვალისწინებული სხვა, რომელიმე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნით, რომლის ზომა უნდა განსაზღვრულიყო ჩადენილი დანაშაულის ხასიათის, მისი სიმძიმისა და მსჯავრდებულთა პიროვნების გათვალისწინებით, ან თუნდაც ყველაზე უფრო მსუბუქი სახის სასჯელის – ჯარიმის მინიმალური ოდენობის დანიშვნით, რაც იქნებოდა მსჯავრდებულებისათვის ყველაზე სასარგებლო და, ამასთან, ჩემი აზრით, სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილება. შეიძლება წარმოიშვას კითხვა: საკასაციო პალატის ასეთი გადაწყვეტილება ხომ არ შეფასდებოდა როგორც მსჯავრდებულის ინტერესების საზიანოდ სისხლის სამართლის კანონის ანალოგიით გამოყენება? ვფიქრობ, რომ არა, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, განხილულ შემთხვევაში, არსებული პირობების გათვალისწინებით, საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მათი დამნაშავედ ცნობის მიუხედავად, მსჯავრდებულების დაუსჯელად დატოვება არ არის მართებული, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილი იყო, მიეღო გადაწყვეტილება თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად სხვა, უფრო მსუბუქი ალტერნატიული სასჯელის გამოყენების თაობაზე, რაზეც მიანიშნებს კიდევ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო სადავო საკითხთან დაკავშირებით შეტანილი საკონსტიტუციო წარდგინების ავტორებს თავისი განჩინების სამოტივაციო ნაწილში, კერძოდ, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს: „კონკრეტული ქმედებისათვის გათვალისწინებული სასჯელის ერთადერთი ზომის არაკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, მოქმედი კანონმდებლობა იძლევა თუ არა უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენების შესაძლებლობას, ამ საკითხის გარკვევა, კანონმდებლობის რელევანტური ნორმების ანალიზის გზით, საერთო სასამარ-

თლოს პრეროგატივაა“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის განმწესრიგებელი სხდომის 2016 წლის 26 თებერვლის №3/708, 709, 710 განჩინების სამოტივაციო ნაწილის 28-ე პუნქტი).

16. სავესებით ვიზიარებ რა საკონსტიტუციო სასამართლოს ამ მოსაზრებას, მიმაჩნია, რომ განხილულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატა უფლებამოსილი იყო, ემსჯელა თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად ხსენებული მსჯავრდებულების მიმართ სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელის გამოყენებაზე, რაც სამართლებრივად უფრო სწორი იქნებოდა, ვიდრე კანონმდებლის ფუნქციის საკუთარ თავზე აღება და სასჯელის გამოუყენებლობის გზით ფაქტობრივი დეკრიმინალიზაციის განხორციელება, რისი უფლებამოსილებაც საერთო სასამართლოებს არ გააჩნიათ. ფაქტობრივი დეკრიმინალიზაციის განხორციელება შეუძლია მხოლოდ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ან სხვა ბლანკეტური ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის გზით.

17. სწორედ ყველა ზემოაღნიშნული მოტივიდან გამომდინარე, ვერ დავუჭირე მხარი მოცემული სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მონაწილე საკასაციო პალატის წევრების უმრავლესობის მიერ გამოტანილ განაჩენს და საჭიროდ ვცანი ამ განაჩენზე ჩემი განსხვავებული აზრის წარდგენა.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს  
განჩინების შესაბამისად, ექიმის დანიშნულების  
ბარაზე ნარკოტიკული საშუალება „მარისუანის“  
უკანონოდ მოხმარებისათვის მსჯავრდებისას  
სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის  
გამოყენების დაუშვებლობა**

**განაჩენი  
საქართველოს სახელმწიფო**

№21აგ-16

28 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. გ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 8 დეკემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის პირველი დეკემბრის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და დ. გ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. დ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით, სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მკაცრმა სასჯელმა შთანთქმა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ დ. გ-ს განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ამავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების თანახმად, ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე სასჯელის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო – 2014 წლის 10 ოქტომბრიდან იმავე წლის 15 ოქტომბრის ჩათვლით. დ. გ-ს ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღ-

მდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

2. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 14 სექტემბრის განაჩენით დამტკიცდა პროკურორსა და დ. გ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება. დ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე ამავე კოდექსის 44-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი სასჯელის სახით დაუდგინდა 100 საათით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. სისხლის სამართლის კოდექსის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის პირველი დეკემბრის განაჩენით დ. გ-თვის განსაზღვრული პირობითი მსჯავრი, ამავე კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, ბოლო განაჩენით დადგენილ სასჯელს დაემატა წინა განაჩენით დადგენილი სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, დ. გ-ს განესაზღვრა 5 წლით, 11 თვითა და 24 დღით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც 1 წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 4 წელი, 11 თვე და 24 დღე – სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩათვალა პირობით, 5 წლის გამოსაცდელი ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის სახით დაუდგინდა 100 საათით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. დ. გ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2015 წლის 18 აგვისტოდან. მასვე ჩამოერთვა „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებები.

3. 2015 წლის 24 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულმა დ. გ-მ და მოითხოვა მის მიმართ გამოტანილი განაჩენის გადასინჯვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, ვინაიდან ამ გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სიტყვების „ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თოთხმეტ წლამდე“ ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებე-



ბის, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის და-ნართი №2-ის 92-ე ჰორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ოდენობით (70 გრამამდე) ნარკოტიკული საშუალება – „გამომშრალი მარიხუანის“ პირადი მოხმარების მიზნებისთვის შეძენისა და შენახვის გამო.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 8 დეკემბრის განაჩენით გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის პირველი დეკემბრისა და ამავე სასამართლოს 2015 წლის 14 სექტემბრის განაჩენები შეიცვალა, კერძოდ:

- მსჯავრდებული დ. გ-ი გათავისუფლდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის პირველი დეკემბრისა და ამავე სასამართლოს 2015 წლის 14 სექტემბრის განაჩენებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (2015 წლის 31 ივლისიდან მოქმედი რედაქცია) თავისუფლების აღკვეთის სახით განსაზღვრული სასჯელისაგან;

- გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის პირველი დეკემბრისა და ამავე სასამართლოს 2015 წლის 14 სექტემბრის განაჩენები დანარჩენ ნაწილში, მათ შორის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელები, დარჩა უცვლელად.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 8 დეკემბრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. გ-მ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით განსაზღვრული სასჯელისაგან გათავისუფლება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ გაითვალისწინა საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილება, რომლითაც, მართალია, დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე „გამომშრალი მარიხუანის“ შეძენა-შენახვისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი ქმედების ან/და სანქციის ნაწილში და 2016 წლის 11 ივლისის განჩინებით კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა საქართველოს საკონსტი-

ტუციო სასამართლოს – საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის იმ ნორმატიული შინაარსის, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას ნარკოტიკული საშუალება „მარისუანის“ მოხმარებისთვის, საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე. საკასაციო პალატამ ამავე განჩინებით შეაჩერა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებული საქმისწარმოება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ წარდგინებაში აღნიშნული საკითხის გადაწყვეტამდე.

7. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 20 ოქტომბრის განმწესრიგებელი სხდომის განჩინებით შეწყდა საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციურ წარდგინებაზე, ვინაიდან სადავოდ გამხდარი ნორმა საქმის განხილვის მომენტისათვის ძალადაკარგულად იყო ცნობილი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინებით.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 27 ოქტომბრის განჩინებით განახლდა საქმისწარმოება მსჯავრდებულ დ. გ-ს საკასაციო საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი.

3. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის განმწესრიგებელი სხდომის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამარ-

თლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ მოხმარებისთვის.

4. საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული განჩინების შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით – ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ უკანონო მოხმარებისათვის მსჯავრდებისას პირის მიმართ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფლების აღკვეთა.

5. მოცემულ შემთხვევაში გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის პირველი დეკემბრისა და ამავე სასამართლოს 2015 წლის 14 სექტემბრის განაჩენებით დ. გ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით – ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ უკანონო მოხმარებისათვის და ძირითადი სასჯელის სახით განესაზღვრა 1-1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულ დ. გ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენისათვის ძირითადი სასჯელების სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა შეეცვალოს ამ მუხლით გათვალისწინებული ალტერნატიული სასჯელებით, კერძოდ – ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით.

7. საქმის მასალებით ირკვევა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აღმოსავლეთ საქართველოს პირველი ადგილობრივი საბჭოს 2016 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით მსჯავრდებული დ. გ-ი გათავისუფლდა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 14 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განსაზღვრული ძირითადი სასჯელის – 1 წლით თავისუფლების აღკვეთის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდისგან პირობით ვადამდე, 4 თვითა და 14 დღით ადრე, რომლის მოხდა კახეთის პრობაციის ბიუროს უფროსის 2016 წლის 15 აგვისტოს წერილის თანახმად, დაასრულა 2016 წლის 12 აგვისტოს, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დანიშნული 100 საათით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის მოხდა ამავე ბიუროს ოფიცრის 2016 წლის 11 მაისის შემაჯამებელი ანგარიშის მიხედვით, დაასრულა 2016 წლის 4 მაისს.

9. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მსჯავრდებულ დ. გ-ს სრულად აქვს მოხდილი გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 14 სექტემბრის განაჩენით სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი სასჯელები, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მსჯავრდებულ დ. გ-ი ამ ნაწილში უნდა ჩაითვალოს სასჯელმოხდილად, ხოლო მოსახდელად დარჩენილი გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის პირველი დეკემბრის განაჩენით სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით განსაზღვრული ძირითადი სასჯელი – პირობითი მსჯავრი – 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, უნდა შეეცვალოს ჯარიმით – 1000 ლარით და ამავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით – 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

10. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. გ-ს საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 8 დეკემბრის განაჩენი უნდა შეიცვალოს: მსჯავრდებულ დ. გ-ი გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 14 სექტემბრის განაჩენით სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განსაზღვრული სასჯელის ნაწილში უნდა ჩაითვალოს სასჯელმოხდილად, ხოლო ამავე სასამართლოს 2014 წლის პირველი დეკემბრის განაჩენით ამავე მუხლით განსაზღვრული ძირითადი სასჯელი – პირობითი მსჯავრი, 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, უნდა შეეცვალოს ჯარიმით – 1000 ლარით, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე მუხლით, 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დაკმაყოფილდეს მსჯავრდებულ დ. გ-ს საკასაციო საჩივარი;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 8 დეკემბრის განაჩენში შე-

ვიდეს შემდეგი ცვლილება:

- მსჯავრდებული დ. გ-ი გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 14 სექტემბრის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განსაზღვრული სასჯელის ნაწილში ჩაითვალოს სასჯელმოხდილად;

- მსჯავრდებულ დ. გ-ს გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის პირველი დეკემბრის განაჩენით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით განსაზღვრული ძირითადი სასჯელი – პირობითი მსჯავრი, 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, შეეცვალოს ჯარიმით – 1000 ლარით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაითვალოს პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით;

- გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2014 წლის პირველი დეკემბრისა და ამავე სასამართლოს 2015 წლის 14 სექტემბრის განაჩენები დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 8 დეკემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად;

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს  
განჩინების შესაბამისად, ექიმის დანიშნულების  
გარეშე ნარკოტიკული საშუალება „მარისუანის“  
უკანონოდ მოხმარებისათვის მსჯავრდებისას  
სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის  
გამოყენების დაუშვებლობა**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ 125აგ-16

14 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. დ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ თ. მ-ს საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 4 მაისის განჩინებაზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით მარნეულის რაიონული პროკურატურის პროკურორ სოფიკო ფცქიალაძესა და ბრალდებულ დ. დ-ს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა. დ. დ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, ხოლო სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 წელი. საქართველოს სსკ-ის 44-ე მუხლის შესაბამისად, დ. დ-ს დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა 120 საათით. მასვე, „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის, საადვოკატო საქმიანობის, პედაგოგიური და

საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლებები პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შექენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

2. 2016 წლის 21 აპრილს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა მსჯავრდებულ დ. დ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატმა, რომელმაც საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, მოითხოვა განაჩენის გადასინჯვა და დაწინაურებული სასჯელისგან მსჯავრდებულის გათავისუფლება.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 მაისის განჩინებით მსჯავრდებულ დ. დ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება „მარისუანის“ მოხმარებისთვის.

5. მსჯავრდებულ დ. დ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა თ. მ-მ საკასაციო საჩივრით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და ითხოვა ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 მაისის განჩინების გაუქმება და სააპელაციო სასამართლოსათვის იმის მითითება, რომ მან განსახილველად დაუშვას ზემოაღნიშნული შუამდგომლობა მსჯავრდებულის სასჯელისაგან გათავისუფლების მიზნით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოება-



თა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარდგინების საფუძველზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2016 წლის 29 სექტემბრის განჩინებით საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით ძალადაკარგულად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სისხლისსამართლებრივი სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის დანართი №2-ის 92-ე პორიზონტალურ გრაფაში განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ მოხმარებისთვის.

3. საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით დ. დ-ს მსჯავრი დაედო ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ უკანონო მოხმარებაში, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახელმწიფარდებულებული პირის მიერ.

4. პალატას მიაჩნია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს სსსკ-ის 310-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით (არსებობს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც არაკონსტიტუციურად ცნო ამ საქმეში გამოყენებული სისხლის სამართლის კანონი) გათვალისწინებულ, კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის საფუძველს, რის გამოც უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 მაისის განჩინება მსჯავრდებულ დ. დ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ და წარმოება უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობის განსახილველად დაშვების მიზნით.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 მაისის განჩინება მსჯავრდებულ დ. დ-ს მიმართ.

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ქვიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული  
საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის  
ნასამართლავი პირის მიმართ თავისუფლების  
აღკვეთის სასხით დანიშნული სასჯელის შეცვლა  
ჯარიმით**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№263აპ-16

4 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 25 მაისის განაჩენით ჯ. ჯ-ა, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გაუქმდა და სასჯელის მოხდა უნდა დაეწყო დაპატიმრების ან სათანადო ორგანოებში გამოცხადების მომენტიდან.

2. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექენის, შენახვის და ტარების უფლება.

3. განაჩენით ჯ. ჯ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ამ დანაშაულისათვის ნასამართლევ პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში: ჯ. ჯ-ა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 8 დეკემბრის განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და შეფარდებული ჰქონდა ჯარიმა – 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, იგი არ დაადგა გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინა ანალოგიური ქმედება, კერძოდ, მან პირადი მოხმარებისათვის უკანონოდ, შეიძინა მცირე ოდენობით ნარკოტიკული საშუალება, რაც მოიხმარა უკანონოდ ექიმის დანიშნულების გარეშე.

2015 წლის 19 მარტს ჯ. ჯ-ა შესამოწმებლად გადაიყვანეს სამეგრელო-ზემო სვანეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკურ სამსახურში, სადაც დაუდგინდა ნარკოტიკული საშუალება „მეთადონის“ მიღების ფაქტი.

4. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განაჩენით დარჩა უცვლელად, კერძოდ, ჯ. ჯ-ა ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და მიესაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2016 წლის 23 იანვრიდან.

5. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვის და ტარების უფლება.

6. ჯ. ჯ-ა 2016 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პირველი ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე გათავისუფლდა პირობით ვადამდე.

7. მსჯავრდებულ ჯ. ჯ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი მ. ნ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს ჯ. ჯ-თვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ჯ. ჯ-მ ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც სადავოდ არც საკასაციო საჩივარი ხდის.

3. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ჯ. ჯ-ს მიმართ სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა შეიცვალოს და მას სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს ჯარიმა შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე – საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სანქციით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის გამოყენება პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შექმნა/შენახვისათვის.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებით, მართალია, დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შექმნა-შენახვისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნიას სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი ქმედების ან/და სანქციის ნაწილში ნარკოტიკულ საშუალება „მეთადონთან“ მიმართებაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ მუხლით პირის მსჯავრდებისას, მის მიმართ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთება და, შესაბამისად, ამ ქმედების ხასიათი და სიმძიმე, პირის მიერ გამონახული მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, მართლსაწინა-

აღმდევო შედეგი და პიროვნების მახასიათებელი კონკრეტული გარემოებები.

6. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს უნდა მოხდეს ინდივიდუალური მიდგომა, ინდივიდუალური ქმედებისა და ამ ქმედებიდან მომდინარე კონკრეტული საფრთხის გაანალიზება მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. თავისუფლების აღკვეთის საპირწონედ არის შეზღუდული თავისუფლება, რაც შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

7. ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელის სახით პატიმრობის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც თუ არა საზოგადოებისაგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა და თუ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნის მისაღწევად ობიექტურად საკმარისია პასუხისმგებლობის სხვა არასაპატიმრო ალტერნატივები.

8. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ცალსახად განიმარტა, რომ პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმედების ჩამდენს უქმნის საფრთხეს, მის ჯანმრთელობას შეიძლება აყენებდეს ზიანს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისკენ, უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია.

9. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას და მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებული ჯ. ჯ-ა წარსულში ნასამართლევია და სახეზე გვაქვს დანაშაულის რეციდივი, მიაჩნია, რომ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც პირი ნარკოტიკის მოხმარებით საკუთარ ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებს, დანაშაული წარმოადგენს ნაკლებად მძიმე საშიშროების შემცველ ქმედებას, განსხვავებით სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილისაგან (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), რომელიც განეკუთვნებოდა განსაკუთრებით

მძიმე კატეგორიას და პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შექმნა/შენახვისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ჩაითვალა კონსტიტუციის შეუსაბამო სასჯელად, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა ჩაითვალოს არაპროპორციულ სასჯელად და, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ დროს გამოყენებულ იქნეს სანქციის მეორე, არასაპატიმრო აღტერნატიული სასჯელი – ჯარიმა.

10. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ჯ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 3500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. იმის გათვალისწინებით, რომ იგი სასჯელს იხდის 2016 წლის 23 იანვრიდან, მთლიანად უნდა გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ჯ. ჯ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ მ. ნ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. ჯ. ჯ-ა ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 3500 (სამიათას ხუთასი) ლარის ოდენობით სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ჯ. ჯ-ა პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2016 წლის 23 იანვრიდან) მთლიანად გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

4. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 3 წლის ვადით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე

აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური საქმიანობის უფლება, სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ჯ. ჯ-ა 2016 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პირველი ადგილობრივი საბჭოს გადანაცვლების საფუძველზე გათავისუფლდა პირობით ვადამდე.

6. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ეჭიშის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული  
საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის  
ნასამართლავი პირის მიმართ თავისუფლების  
აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შეცვლა  
ჯარიმით**

**განაჩენი  
საქართველოს სახელით**

№274აპ-16

11 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. ყ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 6 იანვრის განაჩენით ლ. ყ-ი, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით (2015 წლის 15 მაისის ეპიზოდი) და



მისაჯა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2016 წლის 6 იანვრიდან.

2. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, 3 წლით ჩამოერთვა სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური და საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლება.

3. ლ. ყ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და გირაოს სახით განსაზღვრული თანხის – 2000 ლარის უზრუნველსაყოფად მოქალაქე ზ. ყ-ს (პირადი №...) საკუთრებაში არსებული, დაყადაღებული უძრავი ქონება (სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) მიწის ნაკვეთი, მდებარე: ... რაიონში, სოფ. ..., საკადასტრო კოდი – ...) გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით, აღსასრულებლად უნდა მიექცეს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

4. განაჩენით ლ. ყ-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ნარკოტიკული საშუალების ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ, რაც გამოიხატა შემდეგში: გორის რაიონული სასამართლოს 2014 წლის 27 აგვისტოს დადგენილებით ლ. ყ-ი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა – 500 ლარი.

5. ადმინისტრაციული დაკავების ოქმის თანახმად, 2015 წლის 15 მაისს, 16:05 საათზე, ქ. თბილისში, ... სახელობის ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, დეტექტივის თანაშემწე გამოძიებელმა მ. ნ-მ ლ. ყ-ი დააკავა ადმინისტრაციული წესით, ვინაიდან, სავარაუდოდ, იმყოფებოდა ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ.

6. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განაჩენით დარჩა უცვლელად.

7. მსჯავრდებული ლ. ყ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბი-

ლისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განაჩენის გაუქმებასა და გამართლებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ მას არანაირი დანაშაული არ ჩაუდენია, რადგან ეს არ დასტურდება საქმის მასალების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად. პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მსჯავრდებულ ლ. ყ-ს მიერ გასაჩივრებული განაჩენით ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, კერძოდ: მონმეების – მ. ნ-ს, ლ. ს-ს ჩვენებებით, ნარკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით, რომლის სისწორე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მონმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა ხ. ჯ-მ.

3. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ლ. ყ-ს მიმართ სასჯელის სახით დანიშნული ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა შეიცვალოს და მას სასჯელის სახით უნდა განესაზღვროს ჯარიმა შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილებით (საქმე – საქართველოს მოქალაქე ბექა ნიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ), საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია) სანქციით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის გამოყენება პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა/შენახვისათვის.

5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებით, მართალია, დადგინდა პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შეძენა-შენახვისათვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების არაკონსტიტუციურობა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაკონსტიტუციურად არ უცვნია

სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის ნორმატიული შინაარსი ქმედების ან/და სანქციის ნაწილში ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინთან“ მიმართებით, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ მუხლით პირის მსჯავრდებისას, მის მიმართ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრის დროს, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების დასაბუთება და, შესაბამისად, ამ ქმედების ხასიათი და სიმძიმე, პირის მიერ გამოხატული მართლსაწინააღმდეგო ნება, მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ქმედების განხორციელების სახე, ხერხი, მართლსაწინააღმდეგო შედეგი და პიროვნების მახასიათებელი კონკრეტული გარემოებები.

6. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს უნდა მოხდეს ინდივიდუალური მიდგომა, ინდივიდუალური ქმედებისა და ამ ქმედებიდან მომდინარე კონკრეტული საფრთხის გაანალიზება მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით. თავისუფლების აღკვეთის საპირიზონედ არის შეზღუდული თავისუფლება, რაც შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ეს უკიდურესად აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

7. ვინაიდან თავისუფლების აღკვეთა წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის უმკაცრეს ფორმას, ამა თუ იმ ქმედებისათვის სასჯელის სახით პატიმრობის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია ქმედების სიმძიმის, მოსალოდნელი საფრთხეების, დანაშაულის ჩადენის კონკრეტული გარემოებების, დამნაშავის პიროვნებისა და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როდესაც თუ არა საზოგადოებისაგან პირის იზოლირება, შეუძლებელი იქნება მისგან პოტენციურად მომდინარე სხვა საფრთხეების განეიტრალება და სასჯელის მიზნების მიღწევა და თუ კონკრეტულ შემთხვევაში სასჯელის მიზნის მისაღწევად ობიექტურად საკმარისია პასუხისმგებლობის სხვა არასაპატიმრო ალტერნატივები.

8. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით ცალსახად განიმარტა, რომ პირისათვის თავისუფლების აღკვეთა ისეთი ქმედების გამო, რომელიც მხოლოდ ამ ქმედების ჩამდენს უქმნის საფრთხეს, მის ჯანმრთელობას შეიძლება აყენებდეს ზიანს და არ არის მიმართული (არ შეიძლება იყოს მიმართული) სხვათა უფლებების დარღვევისკენ, უმიზნო და, შესაბამისად, გაუმართლებელია.

9. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ მსჯელობას და მიუხედავად იმი-

სა, რომ მსჯავრდებული ლ. ყ-ი წარსულში ნასამართლევა და სახეზე გვაქვს დანაშაულის რეციდივი, მიაჩნია, რომ სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემთხვევაში, როდესაც პირი ნარკოტიკის მოხმარებით საკუთარ ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს და არ არღვევს სხვა პირთა უფლებებს, დანაშაული წარმოადგენს ნაკლებად მძიმე საშიშროების შემცველ ქმედებას, განსხვავებით სსკ-ის 260-ე მუხლის მეორე ნაწილისაგან (2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), რომელიც განეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიას და პირადი მოხმარების მიზნით 70 გრამამდე გამომშრალი „მარიხუანის“ შექმნა/შენახვისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა ჩაითვალა კონსტიტუციის შეუსაბამო სასჯელად, ნარკოტიკული საშუალების მოხმარებისათვის ვადიანი თავისუფლების აღკვეთა უნდა ჩაითვალოს არაპროპორციულ სასჯელად და, შესაბამისად, მიზანშეწონილია, ამ დროს გამოყენებულ იქნეს სანქციის მეორე, არასაპატიმრო ალტერნატიული სასჯელი – ჯარიმა.

10. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განაჩენში უნდა შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ლ. ყ-ს საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით სასჯელის სახედ და ზომად უნდა განესაზღვროს ჯარიმა – 3500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ იგი სასჯელს იხდის 2016 წლის 6 იანვრიდან, მთლიანად უნდა გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით, სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ლ. ყ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:
3. ლ. ყ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 273-ე მუხლით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს

ჯარიმა – 3500 (სამიათას ხუთასი) ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ლ. ყ-ი პატიმრობაში ყოფნის ვადის გათვალისწინებით (მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2016 წლის 6 იანვრიდან), მთლიანად გათავისუფლდეს დანიშნული სასჯელის მოხდისაგან.

4. მასვე „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 3 წლით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლება, საექიმო ან/და ფარმაცევტული საქმიანობის უფლება, აგრეთვე აფთიაქის დაფუძნების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება, საადვოკატო საქმიანობის უფლება, პედაგოგიური საქმიანობის უფლება, სახელმწიფო მმართველობისა და თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლება, იარაღის დამზადების, შექმნის, შენახვისა და ტარების უფლებები.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ლ. ყ-ს მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. გირაოს სახით განსაზღვრული თანხის – 2000 ლარის უზრუნველსაყოფად მოქალაქე ზ. ყ-ს (პირადი №...) საკუთრებაში არსებული, დაყვადებული უძრავი ქონება (სასოფლო-სამეურნეო (სათიბი) მიწის ნაკვეთი, მდებარე: ... რაიონში, სოფ....., საკადასტრო კოდი – ...) გირაოს სახით შეფარდებული ფულადი თანხის ამოღების მიზნით, აღსასრულებლად მიექცეს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ლ. ყ-ი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 16 მარტის განაჩენით მსჯავრდებულია საქართველოს სსკ-ის 126<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რისთვისაც საბოლოოდ შეფარდებული აქვს 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**არასრულწლოვნის მიმართ „არასრულწლოვანთა  
მართლმსაჯულაზის კოდექსით“ გათვალისწინებული  
უკუხალის გამოყენებით სასჯელის შემსუბუქება**

**განაჩენი  
საქართველოს სასხელით**

№172აგ-16

20 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

განიხილა თბილისის პროკურატურის თბილისის პროკურო-  
რის მოადგილის – გიორგი გაბოძის საკასაციო საჩივარი თბილი-  
სის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა  
პალატის 2016 წლის 21 ივლისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 23 აპ-  
რილის განაჩენით გ. ი-ა, – დაბადებული 19.. წლის 15 იანვარს, –  
ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის  
კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებით  
და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის  
88-ე მუხლის საფუძველზე სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და გა-  
ნესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც  
სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამი-  
სად, ჩაეთვალა პირობით, 3 წლისა და 3 თვის გამოსაცდელი ვა-  
დით.

2. სასჯელის სხვადასხვა ზომით მსჯავრდებულთა შეწყა-  
ლების შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 ოქ-  
ტომბრის №..... განკარგულების საფუძველზე მსჯავრდებული  
გ. ი-ა გათავისუფლდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს  
2013 წლის 23 აპრილის განაჩენით დადგენილი სასჯელის შემ-  
დგომი მოხდისგან და მოეხსნა ნასამართლობა.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 დეკემბრის განაჩენით გ. ი-ა  
ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის  
კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით და მიესაჯა – 2 წლით  
თავისუფლების აღკვეთა. ამავე კოდექსის 88-ე მუხლის საფუძ-

ველზე სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩათვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 26 მარტის განჩინებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებულ გ. ი-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ იქნა პატიმრობა, რომლის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან – 2016 წლის 25 მარტიდან.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2016 წლის 31 მარტის განჩინებით დაუშვებლად იქნა ცნობილი ბრალდებულ გ. ი-ს ადვოკატის საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის 2016 წლის 26 მარტის განჩინებაზე.

6. 2016 წლის პირველ ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო შუამდგომლობით მიმართეს მსჯავრდებულმა გ. ი-მ და მისმა ადვოკატმა თ. გ-მ, რომლებმაც მოითხოვეს მსჯავრდებულ გ. ი-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 დეკემბრის განაჩენის გაუქმება 2015 წლის 12 ივნისს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის საფუძველზე.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ივლისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა, კერძოდ: მსჯავრდებულ გ. ი-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის დადგენილი სასჯელი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე შეიცვალა (შეუმსუბუქდა) და განესაზღვრა 1 წლით შინაპატიმრობა, რაც ამავე კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად, ჩათვალა პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით. მხედველობაში იქნა მიღებული, რომ დანიშნული სასჯელი მსჯავრდებულ გ. ი-ს განაჩენის გამოტანის დროს უკვე მოხდილი ჰქონდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 დეკემბრის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.



8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ივლისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის პროკურატურის თბილისის პროკურორის მოადგილე გიორგი გაბოძემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განაჩენის შეცვლა და მსჯავრდებულ გ. ი-ს მიმართ მკაცრი სასჯელის განსაზღვრა.

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე ბრალდების მხარემ – პროკურორმა იმედა გუგუშვილმა მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივარს.

10. მსჯავრდებულ გ. ი-ს ადვოკატი თ. გ-ე არ დაეთანხმა ბრალდების მხარეს და მოითხოვა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენის ძალაში დატოვება.

11. მსჯავრდებული გ. ი-ა დაეთანხმა თავისი ინტერესების დამცველ ადვოკატს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენი გადაისინჯება, თუ ახალი კანონი აუქმებს ან ამსუბუქებს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენისთვისაც პირს გადასასინჯი განაჩენით მსჯავრი დაედო.

3. 2015 წლის 12 ივნისს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-100 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის დებულებებს, გარდა ამ კოდექსის საპროცესო ნორმებისა, აქვს უკუძალა, თუ ამით უმჯობესდება არასრულწლოვნის მდგომარეობა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილების მიხედვით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დებულებებიც, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს ან/და არასრულწლოვნისთვის შეღავათს ითვალისწინებს, ხოლო ამ კოდექსში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია კანონის ანალოგიის გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებები და

თავისუფლებები და თუ ეს არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

4. საქმის მასალებით ირკვევა, რომ 19.. წლის 15 იანვარს დაბადებულმა გ. ი-მ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 დეკემბრის განაჩენით გათვალისწინებული ნაკლებად მიიმე კატეგორიის დანაშაული ჩაიდინა 2014 წლის 14 ნოემბერს – არასრულწლოვანმა, 17 წლის ასაკში. ამდენად, მსჯავრდებულ გ. ი-ს მიმართ ვრცელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმები.

5. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 21 ივლისის განაჩენით, – რომლითაც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა და მსჯავრდებულ გ. ი-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის დადგენილი სასჯელი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე შეიცვალა (შეუმსუბუქდა) და განესაზღვრა 1 წლით შინაპატიმრობა, რაც ამავე კოდექსის 74-ე მუხლის შესაბამისად, ჩაეთვალია პირობით, 1 წლის გამოსაცდელი ვადით, ამასთან მხედველობაში იქნა მიღებული, რომ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 23 აპრილის განაჩენით დანიშნული სასჯელი საქართველოს პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე მსჯავრდებულ გ. ი-ს უკვე მოხდილი ჰქონდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 დეკემბრის განაჩენის მიღების დროს ითვლებოდა ნასამართლობის არმქონედ – საქმის გარემოებები საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზის საფუძველზე სამართლებრივად სწორად შეაფასა და მსჯავრდებულ გ. ი-ს მიმართ მართებულად გაავრცელა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით გათვალისწინებული შეღავათი.

6. ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 78-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცე-

მული შეწყალების აქტით მსჯავრდებული შეიძლება გათავისუფლდეს სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, ასევე სასჯელ-მოხდის ამავ აქტით შეიძლება მოეხსნას ნასამართლობა. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 ოქტომბრის №..... განკარგულებაში, რომლითაც გ. ი-ა გათავისუფლდა სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 23 აპრილის განაჩენით დადგენილი სასჯელის შემდგომი მოხდისგან, პირდაპირ არის მითითებული, რომ გ. ი-ს ნასამართლობა მოეხსნა და იგი იყო ნასამართლობის არმქონე. გარდა ამისა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელმოხდელი არასრულწლოვანი ამ კოდექსის მიზნებისთვის ახალი განაჩენის დადგომამდე ითვლება წარსულში ნასამართლობის არმქონედ – თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 30 დეკემბრის განაჩენის მიღების დროს გ. ი-ა იყო ნასამართლობის არმქონე.

7. საკასაციო პალატა ასევე ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას ნასამართლობის მოხსნისა და გაქარწყლების განმარტებასთან მიმართებით სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 და მე-17 მუხლების გამოყენების შესახებ და დამატებით აღნიშნავს: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. ამ კოდექსის სხვადასხვა მუხლით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაული მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არაერთგზის დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. ამავ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან ანდა მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა. ამავ

კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტის საფუძველზე ამ კოდექსის 177-ე-186-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული არაერთგზის ჩადენილად ითვლება, თუ მას წინ უსწრებდა ამ მუხლებითა და 224-ე, 231-ე, 237-ე, 264-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენა (კანონის ეს მოთხოვნა გაითვალისწინა კიდევ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ 2014 წლის 30 დეკემბრის განაჩენის მიღების დროს და გ. ი-ა მიიჩნია ნასამართლობის არმქონედ, რომელსაც დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისთვის – ქურდობისთვის სასჯელი განუსაზღვრა სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის პირველი ნაწილით და არა მე-3 ნაწილით – როგორც არაერთგზის ჩადენილი ქმედებისთვის). სასამართლოს ამ პოზიციას განამტკიცებს ასევე სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის მიხედვით, დანაშაულის რეციდივის დადგენისას მხედველობაში არ მიიღება ნასამართლობა 18 წლამდე ჩადენილი დანაშაულისათვის, აგრეთვე ნასამართლობა, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებულია ამ კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული წესით.

8. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ასევე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის დანაწესზე, კერძოდ, პირველი ნაწილის მიხედვით, მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ, ხოლო მე-6 ნაწილის შესაბამისად, გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

9. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 2 ოქტომბრის №..... განკარგულებით ნასამართლობამოხსნილი გ. ი-ა, ბუნებრივია, არ ითვლება ნასამართლევად საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიზნებისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრი დაეკარგებოდა როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-12 მუხლის პირველი ნაწილით, ასევე სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ შეღავათებს, რომლებიც კანონმდებელმა დაანესა სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის

პირველი მუხლებიდან გამომდინარე, კერძოდ: სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი სასჯელის მიზანი არ არის ადამიანის ფიზიკური ტანჯვა ან მისი ღირსების დამცირება. ამავე კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ამ კოდექსის მიზანია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, ბავშვის უფლებათა კონვენციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

10. საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ 2016 წლის 21 ივლისის განაჩენით სწორად გამოიყენა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი და ვერ დაეთანხმება ბრალდების მხარის პოზიციას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმაზე, რომ არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მის მიმართ წარსულში გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი. პალატა ვერც ამავე კოდექსის 74-ე მუხლთან მიმართებით გაიზიარებს ბრალდების მხარის მოსაზრებას, რომ ამ მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე (თუ არასრულწლოვანმა, რომელიც განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი პირობით მსჯავრად ჩაეთვალოს), საკმარისია ამ მუხლის გამოყენებისთვის არსებობდეს მსჯავრდებულის მიმართ ერთხელ მაინც გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი და არა – წარსულში ნასამართლობა. ზემოთ აღნიშნული სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე-74-ე მუხლების მიზნებისთვისაც, თუ არასრულწლო-

ვანი ნასამართლობის არმქონეა (მას მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს ნასამართლობა), მის მიმართ წარსულში გამოტანილი გამამტყუებელი განაჩენი არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული და ასევე, ეს გარემოება არ უნდა იქნეს გათვალისწინებული პირობითი მსჯავრის გამოყენების დროს.

11. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ნორმის შინაარსის ბუნდოვანების შემთხვევაში ნორმა უნდა განიმარტოს არასრულწლოვანთა საუკეთესო (ჭეშმარიტი) ინტერესების სასარგებლოდ, მართლმსაჯულების საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

12. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას მსჯავრდებულ გ. ი-ს მიმართ განსაზღვრული სასჯელის მკაცრი სასჯელით შეცვლის შესახებ და მიაჩნია, რომ საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან საკასაციო მოთხოვნა არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს და არც გასაჩივრებული განაჩენის შეცვლის კანონით გათვალისწინებული რომელიმე პირობა არსებობს, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 314-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თბილისის პროკურატურის თბილისის პროკურორის მოადგილის – გიორგი გაბოძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 21 ივლისის განაჩენი მსჯავრდებულ გ. ი-ს მიმართ;

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. პირობითი მსჯავრი

### დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა

#### განაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№334აპ-16

7 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ე-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 აპრილის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 იანვრის განაჩენით ვ. ე., – დაბადებული ...ს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და ძირითადი სასჯელის სახით განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, ჩაეთვალა პირობით, ხოლო სსკ-ის 64-ე მუხლის საფუძველზე გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 3 წელი; მასვე სსკ-ის 41-ე–42-ე მუხლების გამოყენებით დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 2000 ლარი.

2. ვ. ე-ს მსჯავრი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც არ არის სიცოცხლისათვის საშიშვლო და არ გამოუწვევია საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, მაგრამ დაკავშირებულია ჯანმრთელობის ხანგრძლივ მოშლასთან, რაც გამოიხატა შემდეგში: 2015 წლის 5 აგვისტოს, დღის საათებში, ...ის რაიონის სოფელ – ...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ა. ა-ის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთში, ა. ა-სა და მის თანასოფელ ვ. ე-ს შორის მოხდა შეკამათება მიწის ნაკვეთის საზღვრის გამო. კამათისას ვ. ე-მა მის ხელთ არსებული ცელი დასარტყმელად მოუქნია ა. ა-ს, რაც მას მოხვდა მარცხენა ხელის არეში და მიიღო მეოთხე და მეხუთე თითების ჭრილობა



მყესების დაზიანებით.

3. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 იანვრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარემ. პროკურორმა მოითხოვა ვ. ე-თვის თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა სანქციით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადით. მსჯავრდებულმა ვ. ე-მა და მისმა ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 15 აპრილის განაჩენით მსჯავრდებულ ვ. ე-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო ...ის რაიონული პროკურორის მოადგილის – ვ. ო-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 იანვრის განაჩენში შევიდა ცვლილება: ვ. ე. ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახით განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა. მსჯავრდებულ ვ. ე-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო მისი ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან -2016 წლის 15 აპრილიდან. მხედველობაში იქნა მიღებული, რომ ვ. ე-ის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია და განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში ყადაღა უნდა მოეხსნას მის საკუთრებაში არსებულ 50 000 ლარის ღირებულების უძრავ ქონებას, საცხოვრებელ სახლს მასზე დამაგრებულ მიწის ფართთან ერთად, რომლის საერთო ფართობი 2008მ2 და მდებარეობს ნ-ის მუნიციპალიტეტის სოფელ ... (სარეგისტრაციო ზონა – ..., სექტორი – ..., კვარტალი – ..., ნაკვეთი – ...). ნივთიერი მტკიცებულება – ცელი, რომელიც ინახება ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში, უნდა განადგურდეს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

5. კასატორი – მსჯავრდებული ვ. ე. საკასაციო საჩივარში მიუთითებს, რომ იგი „შეცდომაში შეიყვანეს“, თითქოს იყო უდანაშაულო და გაასაჩივრებინეს პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი; იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს და ითხოვს მისთვის შეფარდებული სასჯელის პირობით ჩათვლას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და აღნიშნავს:

2. წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებე-

ბი (მონუმენტის: ა. ა-ის, ე. ა-ის, მ. პ-ის, გ. მ-ის ჩვენებები, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და საქმეში არსებულ იმ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელთაც მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიენიჭათ პრეიუდიციული მნიშვნელობა), რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ მსჯავრდებულმა ვ. ე-მა ნამდვილად ჩაიდინა გასაჩივრებული განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ.

3. რაც შეეხება მსჯავრდებულ ვ. ე-თვის განსაზღვრულ სასჯელს, საკასაციო პალატა, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის შესაბამისად, მხედველობაში იღებს მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს და მიაჩნია, რომ სამართლიანი იქნება მისთვის დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლა შემდეგ გარემოებათა გამო:

4. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს ვ. ე-ის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების აღიარებასა და მონანიებას, ასევე იმ გარემოებას, რომ მან ითანამშრომლა გამოძიებასთან და თავად წარუდგინა დანაშაულის იარაღი; აღნიშნულისა და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ვ. ე-ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია და ამასთანავე, არ არსებობს საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის გამოყენების დამაბრკოლებელი გარემოებები, მის მიმართ უნდა გავრცელდეს ამ მუხლით დადგენილი შეღავათი.

5. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ვ. ე-ის მოთხოვნა მისთვის დანიშნული სასჯელის პირობით ჩათვლის თაობაზე საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 307-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ვ. ე-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 აპრილის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

2. მსჯავრდებულ ვ. ე-ს საქართველოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯოს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალოს პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

3. მსჯავრდებულ ვ. ე-ს სასჯელის ვადაში მოხდილად ჩაეთვალოს პატიმრობაში ყოფნის დრო – 2016 წლის 15 აპრილიდან 2016 წლის 7 ნოემბრის ჩათვლით.

4. მსჯავრდებული ვ. ე. დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პენიტენციური დაწესებულებიდან.

5. საქართველოს სსკ-ის 65-ე-66-ე მუხლებისა და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ მსჯავრდებულის ყოფაქცევაზე კონტროლისა და დახმარების განხორციელება დაევალოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ პრობაციის ეროვნული სააგენტოს პრობაციის ბიუროს მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 15 აპრილის განაჩენი ყადაღის მოხსნისა და ნივთმტკიცებათა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. აზნისტიკა, შინყალბა, ნასამართლობა

#### ნასამართლობის გაქარწყლბა

##### განჩინბა საქართველოს სახელის

№51აგ-16

29 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ლ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 4 თებერვლის განჩინებაზე.

##### აღწერილობითი ნაწილი:

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2002 წლის 3 აპრილის განჩინით გ. ლ. ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – 6 წლით, ხოლო 184-ე მუხლის მე-3 ნაწილით (2007 წლის 23 მაისამდე მოქმედი რედაქცია) – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა; დანიშნული სასჯელები შეიკრიბა და გ. ლ-ს დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაეწყო 2001 წლის 2 აპრილიდან. გ. ლ. სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლდა 2010 წლის 31 მარტს.

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 14 ივლისის განჩინით გ. ლ-ეს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 7 წლის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილ 2 წელი – ჩაეთვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2013 წლის 17 ნოემბრიდან.

3. 2016 წლის 21 იანვარს მსჯავრდებულ გ. ლ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა დ. ჯ-ემ შუამდგომლობით მიმარ-

თა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გ. ლ-ის მიმართ დადგენილი განაჩენის გადასინჯვის შესახებ.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის განჩინებით მსჯავრდებულის ადვოკატის შუამდგომლობა დაუშვებლად იქნა ცნობილი.

5. მსჯავრდებულ გ. ლ-ის ადვოკატი დ. ჯ. საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის კოდექსში 2007 წლის 23 მაისს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსიდან ამოიღეს 184-ე მუხლი, ანუ გ. ლ. 2013 წლის 11 ნოემბერს ჩადენილ ყაჩაღობამდე ნასამართლევი იყო მხოლოდ ყაჩაღობისათვის, რადგან კოდექსიდან ამოღებული მუხლით მსჯავრდებული პირის ნასამართლევად მიჩნევა უკანონოა; სისხლის სამართლის კოდექსის 2006 წლის 28 აპრილის ცვლილების თანახმად, ჯგუფური ყაჩაღობა (2006 წლის 28 აპრილის ცვლილებამდე მოქმედი სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი) მოექცა სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში და ამ დანაშაულის ჩადენისათვის დაწესდა ახალი სასჯელი – 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთა; ვინაიდან შემცირდა სასჯელის მაქსიმუმი და მსჯავრდებულის სასიკეთოდ შეიცვალა დანაშაულის კატეგორია, ამიტომ გ. ლ-ის მიერ 2001 წლის 1 აპრილს ჩადენილი ჯგუფური ყაჩაღობა უნდა შეფასდეს, როგორც მძიმე დანაშაული.

6. კასატორის აზრით, გ. ლ-ემ ყაჩაღობისათვის დანიშნული 6 წლით თავისუფლების აღკვეთა სრულად მოიხადა 2007 წლის 1 აპრილს, ხოლო სსკ-ის 184-ე მუხლისთვის მოხდილი სასჯელი არ უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული; სსკ-ის 79-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულს ნასამართლობა გაუქარწყლდება სასჯელის მოხდიდან 6 წლის შემდეგ, რაც იმას ნიშნავს, რომ 2013 წლის 1 აპრილს გ. ლ-ეს უკვე გაუქარწყლდა ნასამართლობა, ხოლო იმავე წლის 11 ნოემბერს იგი იყო ნასამართლობის არმქონე და ამ დროს მის მიერ ჩადენილი ახალი დანაშაული – ყაჩაღობა – არ შეიცავდა არაერთგზისობის მაკვალიფიცირებელ ნიშანს. იმის გამო, რომ გ. ლ. ყაჩაღურად დაეუფლა 60 ლარს, სახეზე არც მნიშვნელოვანი ზიანი არის, ამიტომ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

7. 2007 წლის მაისის საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ სასამართლოს გ. ლ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 184-ე მუხლიდან არ გადაუკვალიფიცირებია ქურდობაზე, ძარცვასა ან ყა-

ჩაღობაზე; ის დარჩა სს კოდექსიდან ამოღებული 184-ე მუხლით მსჯავრდებულ პირად; გ. ლ-ის მიერ ბოლო ყაჩაღობის ჩადენის დროს სსკ-ის 184-ე მუხლი აღარ არსებობდა, ხოლო პირველი ყაჩაღობისათვის ნასამართლობა მეორე ყაჩაღობის ჩადენამდე უკვე გაქარწყლებული იყო. დაუშვებელია, მისაკუთრების მიზნის გარეშე საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა, რადგან 2007 წლის მაისამდე თუ პირი ავტომათბილს გაიტაცებდა მისაკუთრების მიზნით, მაშინ მისი ქმედება დაკვალიფიცირდებოდა არა სსკ-ის 184-ე მუხლით, არამედ – ქურდობად, ძარცვად ან ყაჩაღობად.

8. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატი დ. ჯ. ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის განჩინების გაუქმებასა და გ. ლ-ის მიმართ დადგენილი განაჩენის ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის შესახებ შუამდგომლობის განსახილველად დაშვებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმის მასალები, გაანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ შუამდგომლობასა და საჩივარში მითითებული გარემოებები არ აკმაყოფილებს საქართველოს სსკ-ის 310-ე მუხლით გათვალისწინებულ ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის არცერთ საფუძველს. პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას, რომ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2006 წლის მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის გაქარწყლების ვადად უნდა ჩაითვალოს 6 წელი, ვინაიდან მითითებული რედაქციის სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი სანქციის სახით ითვალისწინებდა თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან თხუთმეტ წლამდე, შესაბამისად მიეკუთვნებოდა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულს, რომლისთვისაც ნასამართლობა სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გაქარწყლება სასჯელის მოხდიდან 8 წლის შემდეგ.

3. პალატა მიუთითებს რომ კასატორს არც თბილისის სააპელაციო და არც საკასაციო სასამართლოსთვის არ მოუმართავს

თხოვნით შესაბამისობაში მოეყვანა მსჯავრდებულ გ. ლ-ის ქმედება დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2006 წლის მაისამდე მოქმედი რედაქცია) მოქმედ კანონმდებლობასთან, შესაბამისად საკასაციო პალატა კანონისმიერად მოკლებულია შესაძლებლობას, თავისი ინიციატივით იმსჯელოს ამ საკითხზე.

4. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება მსჯავრდებულ გ. ლ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის თაობაზე კანონიერი და დასაბუთებულია, რომლის გაუქმების ან შეცვლის სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც იგი უნდა დარჩეს უცვლელად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 313-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. ლ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 4 თებერვლის განჩინება მსჯავრდებულ გ. ლ-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ჯ-ის შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



# კერძო ნაწილი

## 1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

### სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

#### ბანაჩანი საქართველოს სახელით

№86აპ-16

28 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი

განიხილა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის – დავით ლეპერტის, მსჯავრდებულ ლ. ჯ-ისა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. გ-ს საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის განაჩენით ლ. ჯ-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

2. ლ. ჯ-ი, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, მასვე ჩამოერთვა თანამდებობის დაკავების უფლება 3 წლის ვადით, 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფრო მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 3 წლის ვადით. ლ. ჯ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 3 ოქტომბრიდან.

3. ნივთიერი მტკიცებულებები: შემთხვევის ადგილის ფოტოილუსტრაცია, ჩანერილი ორ კომპაქტდისკზე, შპს „...“ ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ჩამწერის დავალიერებისას

გადმონერლი ვიდეოფაილები ერთ კომპაქტდისკზე, ლ. ჯ-ს კუთვნილი ავტომანქანის დათვალიერების ამსახველი ფოტოსურათები ერთ კომპაქტდისკზე, რომლებიც ერთვის საქმეს უნდა დარჩეს საქმეში და შენახული იქნეს მისი შენახვის ვადით;

4. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული „სუბარუ ფორესტერის“ მარკის სახ. №..... მქონე ავტომანქანის წინა საქარე მინა, რომელიც ინახება დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს;

5. ლ. ჯ-სგან ამოღებული ტანსაცმელი (დალუქული ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პაკეტში), რომელიც ინახება დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს;

6. მ. ბ-ს ტანსაცმელი (დალუქული ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პაკეტებში) და პირადი ნივთები, რომელიც ინახება დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს დაზარალებულის უფლებამონაცვლეს;

7. მ. ბ-ს სისხლის ნიმუში მშრალი სახით (დალუქული ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პაკეტში), უ. კ-ს ხელის ანანმენდი (დალუქული ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პაკეტში), მ. ფ-ს ხელის ანანმენდი (დალუქული ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პაკეტში), გ. მ-ს ხელის ანანმენდი (დალუქული ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პაკეტში), ლ. ჯ-ს ხელის ანანმენდი (დალუქული ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პაკეტში), შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული პლასტმასის დეტალი და მინის ნატეხები (დალუქული ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პაკეტში), შემთხვევის ადგილისა და ლ. ჯ-ს კუთვნილი ავტომანქანის დათვალიერებისას ამოღებული მონიტალო ფერის სისხლისმაგვარი ლაქების ნიმუშები (დალუქული ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პაკეტში), შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ტყვიის გულა და ტყვიის მასრა (დალუქული

ქული ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პაკეტში), რომლებიც ინახება დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს;

8. მ. ფ-სგან, უ. კ-სგან, გ. მ-სა და ლ. ჯ-სგან ამოღებული და მათზე გაპიროვნებული ... მოდელის №., №..., №... და №... სამსახურებრივ-სამშტატო ცეცხლსასროლი იარაღები და ვაზნები (დალუქული ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს პაკეტში), რომლებიც ინახება დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს საქართველოს შს სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარ სამმართველოს შემდგომი განკარგვის მიზნით;

9. „სუბარუ ფორესტერის“ მარკის, სახ. №..... მქონე ავტომანქანა (ინახება ... რაიონის სოფელ ...(...)) მდებარე შპს „...“-ის სპეც. ავტოსაჯარაიმო სადგომზე) საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მისი ნდობით აღჭურვილ პირს.

10. განაჩენით მსჯავრდებულ ლ. ჯ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის 2008 წლის 4 მარტის №... ბრძანებით ლ. ჯ-ი დაინიშნა ..... საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობაზე და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ითვლებოდა მოხელედ. 2014 წლის 3 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს ..... საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილებაში დაინყო გამოძიება სისხლის სამართლის №... საქმეზე, ქ.ქუთაისში, №...-ში მდებარე სასურსათო მაღაზიის გაქურდვის ფაქტზე. აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში ლ. ჯ-ი იმავე დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ..... საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების სხვა თანამშრომლებთან ერთად, დაკვირვების კამერების დათვალიერების მიზნით, გამოცხადდა შემთხვევის ადგილზე – ... №...-ში მდებარე სასურსათო მაღაზიაში. დაკვირვების კამერების ჩანაწერების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მაღაზია, სავარაუდოდ, გაქურდული უნდა ყოფილიყო მ. ბ-ს მიერ, რის შემდეგაც ლ. ჯ-მ თანმხლებ პოლიციის თანამშრომლებთან ერთად, მ. ბ-ს დაძებნისა და საგამოძიებო

მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად პოლიციაში მიყვანის მიზნით, დაიწყო სათანადო ღონისძიებების გატარება.

11. დაახლოებით 16 საათზე ზემოაღნიშნულ მაღაზიასთან მყოფმა ლ. ჯ-მ შენიშნა საავტომობილო გზაზე „სუბარუ ფორესტერის“ მარკის ... სახელმწიფო ნომრის მქონე ავტომანქანით მოძრავი მ. ბ-ე. ლ. ჯ-ი უბნის ინსპექტორ-გამოძიებელ გ. მ-სთან, მ. ფ-სა და უ. კ-სთან ერთად ფეხით დაედევნა მ. ბ-ს. ავტომანქანას უშუალოდ უკან მისდევდნენ ლ. ჯ-ი და მ. ფ-ე, ხოლო პოლიციის სხვა ორი თანამშრომელი გაემართა იქვე არსებული საცხოვრებელი კორპუსების მიმართულებით, რათა ავტომანქანისათვის გადაეღობათ გასასვლელი გზა. გარკვეული მანძილის გავლის შემდეგ მ. ბ-ე აღმოჩნდა სამანქანო გზის ჩიხში, ამიტომ მან მოაბრუნა ავტომანქანა და იმავე გზით დაბრუნდა უკან. ამ დროს ლ. ჯ-მ მ. ბ-ს მოსთხოვა ავტომანქანის შეჩერება. მ. ბ-ე არ დაემორჩილა ლ. ჯ-ს მოთხოვნას და იმავე მიმართულებით მაღალი სიჩქარით განაგრძო მოძრაობა.

12. ლ. ჯ-მ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე და 34-ე მუხლების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, არაპროპორციული იძულების ღონისძიების გამოყენებით, იარაღის გამოყენებისათვის სავალდებულო პირობების არარსებობისას, სიტყვიერი გაფრთხილებისა და გამაფრთხილებელი გასროლის განუხორციელებლად, გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, ტაბელური ... მოდელის №... იარაღიდან გასროლით განზრახ დააზიანა მ. ო-ს ავტომობილი და გაუფრთხილებლობით სიცოცხლე მოუსპო მ. ბ-ს.

13. აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

14. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორი – დავით ლეპერტი საკასაციო საჩივრით ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ ლ. ჯ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლითა და 33-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და დაენიშნოს კანონით გათვალისწინებული სასჯელი.

15. კასატორის მოსაზრებით, სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით უტყუარადაა დადასტურებული ის გარემოება, რომ მ. ბ-ს სიკვდილი უშუალოდ ლ. ჯ-ს მიერ მისსავე სახელზე გაპიროვნებული იარაღიდან განხორციელებულმა გასროლამ გამოიწვია, რაც სასამართლოს სავ-

სებით კანონიერად გაიზიარა; სასამართლომ ასევე მართებულად გაიზიარა ბრალდების მხარის მოსაზრება ლ. ჯ-ს მიერ სასახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და იარაღის უკანონოდ გამოყენებასთან დაკავშირებით; სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით საფუძვლიანადაა უარყოფილი დაცვის მხარის ვერსია გამაფრთხილებელი გასროლის დროს ლ. ჯ-ს მიერ ბეტონის ზედაპირზე ფეხის წამოკვრისა და წაბორძიკების თაობაზე.

16. ამასთან, ბრალდების მხარე არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ ლ. ჯ-ს ქმედების გადაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლიდან 116-ე მუხლზე და თვლის, რომ მ. ბ-ს სიკვდილის მიმართ ლ. ჯ-ი მოქმედებდა არაპირდაპირი – ევენტუალური განზრახვით.

17. ლ. ჯ-ი ცეცხლსასროლი იარაღის ამოღების, საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანისა და გასროლის დროს სრულად ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, რაც დადასტურებულია როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებით – გასროლა მოხდა მჭიდროდ დასახლებულ უბანში, დღისით, შუადღის საათებში, მრავალბინიანი კორპუსების წინ მდებარე ეზოში, ასევე თავად ლ. ჯ-ს ჩვენებით, რომლის თანახმად, იგი იყო კორპუსების ახლოს, ამიტომ რაიმეს დაზიანებისა და ტყვიის სახლებში შევარდნის თავიდან ასაცილებლად, გადავიდა ბეტონის გზაზე, სადაც მოახდინა გასროლა ანუ მას სრულად გათვალისწინებული ჰქონდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა. ლ. ჯ-ი პოლიციელი იყო, კარგად იცნობდა „პოლიციის შესახებ“ კანონის მოთხოვნებს, მის უფლება-მოვალეობებს და გავლილი ჰქონდა იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციალური კურსი. მ. ბ-ე სწრაფი სვლით გადაადგილდებოდა „სუბარუ-ფორესტერის“ მარკის, უკან დაბურული საქარე მინის მქონე ავტომანქანით და მისგან დაშორებული იყო რამდენიმე ათეული მეტრით, ასეთ ვითარებაში მოძრავი ავტომანქანის მიმართ უკნიდან გასროლის განხორციელების დროს ლ. ჯ-ი უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ გასროლილი ტყვია შეიძლება მოხვედროდა მ. ბ-ს.

18. ის ფაქტი, რომ მოძრავი ავტომანქანა საკმაო მანძილით იყო დაშორებული ბრალდებულისა და კიდევ უფრო შორდებოდა, მიაჩნდება არა ქმედების დაუდევრობით, არამედ არაპირდაპირი განზრახვით ჩადენაზე, ვინაიდან რაც უფრო დაშორებული იყო ავტომანქანა ლ. ჯ-საგან, დაბურული ჰქონდა უკანა საქარე მინა და სწრაფად მიდიოდა, უფრო მეტად იზრდებოდა სროლის შემთხვევაში არამარტო მანქანის დაზიანების, არა-

მედ მის საჭესთან მჯდომ პირზე გასროლილი ტყვიის მოხვედრის რისკი, რაც შეგნებული ჰქონდა ლ. ჯ-ს. მართალია მას არ სურდა მ. ბ-ს მოკვლა, მაგრამ ასეთ ვითარებაში იგი უშვებდა იმის შესაძლებლობას, რომ გასროლილი ტყვია მოხვედროდა მ. ბ-ს, რაც მოხდა კიდევაც, აღნიშნული კი წარმოადგენს არა დაუდევრობას, არამედ ევენტუალურ განზრახვას. ყველა განზრახვი დანაშაულის ჩადენისას, პირს ამოძრავებს გარკვეული მოტივი, საბაბი, თუნდაც უმნიშვნელო, მაგრამ კანონმდებლობით უპირობოდ დასადაგენი. მოცემულ შემთხვევაში მკვლელობის მოტივთან დაკავშირებით ლ. ჯ-ს როგორც პოლიციელს, განყოფილების უფროსის ზ. ჯ-საგან მიღებული ჰქონდა დავალება ყველა ღონე ეხმარა მ. ბ-ს პოლიციის განყოფილებაში წარმოსადგენად. ამასთან, ბრალდებული იყო ოპერატიული ჯგუფის უფროსი. შესაბამისად ყოველი გაუხსნელი დანაშაული და მიმალული სავარაუდო დამნაშავე, უარყოფითად აისახებოდა მის სამსახურებრივ ავტორიტეტზე. ასევე უარყოფითად იმოქმედებდა მის სამსახურებრივ მდგომარეობაზე უშუალო უფროსის ზ. ჯ-საგან მიღებული დავალების დადგენილ დროში შეუსრულებლობა და იმავე დღით მ. ბ-ს პოლიციის განყოფილებაში წარუდგენლობა. ამ ფონზე ლ. ჯ-ი განაწყენდა რა მასზედ, რომ მ. ბ-ე არ დაემორჩილა მის კატეგორიულ მოთხოვნას ავტომანქანის შეჩერების თაობაზე. პირიქით, ის როგორც პოლიციელი უგულვებლყო მ. ბ-მ და მოძრავი ავტომანქანის პირდაპირ წავიდა ლ. ჯ-საკენ, რა დროსაც ამ უკანასკნელს გვერდულზე გადახდომაც კი დასჭირდა. ლ. ჯ-მ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია და როგორც პოლიციელმა ვერ მოახერხა დანაშაულის შესაძლო ჩამდენი პირის შეჩერება, რაც ისევე უარყოფითად აისახებოდა მის სამსახურებრივ მდგომარეობაზე. ამიტომ მან ავტომანქანის ჩავლის შემდგომ უკნიდან მოახდინა მ. ბ-ს მიმართ მიზანმიმართული გასროლა. ასეთ ვითარებაში ლ. ჯ-ი შეგნებულად უშვებდა (გაცნობიერებული ჰქონდა) იმის შესაძლებლობას, რომ ტყვია შეიძლება მოხვედროდა დაბურული მინის მქონე, სწრაფად მოძრავ მანქანაში მჯდომ მ. ბ-ს, რაც მოხდა კიდევაც. აღნიშნული კი შეიცავს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. არაპირდაპირი განზრახვის უარსაყოფად არც ის არგუმენტი გამოდგება, რომ „თუნდაც მ. ბ-ს არაპირდაპირი განზრახვით მოკვლის მოტივის არსებობის პირობებში ეს უკანასკნელი არ დაჯერდებოდა მხოლოდ ერთ გასროლას“. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ ლ. ჯ-მ მეორე გასროლა იმიტომ კი არ განახორციელა, რომ მას არაპირდაპირი განზრახვა არ ჰქონდა, არამედ მხო-

ლოდ იმიტომ, რომ გასროლისთანავე მ. ბ-ს მართვის ქვეშე მყოფი ავტომობილი ბოძს შეეჯახა და სვლა შეწყვიტა. სასამართლო არაპირდაპირი განზრახვის უარსაყოფად ასევე აღნიშნავს, რომ ლ. ჯ-ს მ. ბ-ს მიმართულებით სროლისათვის გაცილებით კარგი პირობები ჰქონდა მაშინ, როდესაც იდგა ავტომობილის პირისპირ, თუმცა მას ეს არ გაუკეთებია. მეტიც იარაღიც კი არ ამოუღია საქმრიდან, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული არათუ აქარწყლებს, არამედ უფრო ამყარებს ბრალდების მოსაზრებას ევენტუალურ განზრახვასთან დაკავშირებით. სწორედ ის გარემოება, რომ მ. ბ-ს მართვის ქვეშე მყოფი ავტომანქანის მიმართ, არა მის წინ დგომის, არამედ ჩავლისა და უკნიდან გასროლის განხორციელება მიანიშნებს ლ. ჯ-ს არა თავდაცვის მიზნით, არამედ პირიქით მ. ბ-ს შესაძლო მოკვლის მიზნით მოქმედებას, რაც შეიცავს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს.

19. მსჯავრდებული ლ. ჯ-ი და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ი. გ-ე საკასაციო საჩივრით ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და ლ. ჯ-ს გამართლებას იმ საფუძველით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, კერძოდ:

20. სასამართლომ დაადგინა, რომ ლ. ჯ-მ გაუფრთხილებლობით მოუსპო სიცოცხლე მ. ბ-ს, ასეთ ვითარებაში კი ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია, მანვე განზრახ როგორ დაუზიანა ავტომანქანა მ. ო-ს. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ დაზარალებულ მ. ო-ს კანონიერი ინტერესი არ შელახულა და ვერც შეილახებოდა, რადგან კანონიერი ინტერესი ეს არის ინტერესი იმ სამართლებრივი ურთიერთობისადმი (ხელშეკრულების შესრულება, ადმინისტრაციული აქტის გამოცემა), რომლისგან გამომდინარე შედეგები შესაძლოა პოზიტიურად ან ნეგატიურად აისახოს პირის უფლებრივ მდგომარეობაზე. მოცემულ შემთხვევაში შესაძლებელია საუბარი იყოს მხოლოდ ქონებრივ ზიანზე, რაც არის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსჯადი, რადგან ლ. ჯ-ს დაზარალებულად ცნობილი მ. ო-ს ავტომანქანის დაზიანება და მისი კანონიერი ინტერესის შელახვა განზრახული არ ჰქონია, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული განზრახი ბრალის გარეშე არ არსებობს. ასევე მნიშვნელოვანია სასამართლომ გაითვალისწინოს დაზარალებულ მ. ო-ს ჩვენება, რომელიც ადასტურებს, რომ მისი კანონიერი ინტერესი არ შელახულა და ბრალ-



დებულ ლ. ჯ-ს მიმართ რაიმე პრეტენზია არ გააჩნია.

21. უსაფუძვლოა გასაჩივრებული განაჩენის დასაბუთება მსჯავრდებულის მიერ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე და 34-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევის შესახებ, რადგან ლ. ჯ-მ მ. ბ-ე ჯერ სიტყვიერად გააფრთხილა, შემდეგ წინ გადაუდგა მას და მანქანის გაჩერება მოსთხოვა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ მ. ბ-ს პოლიციელის კანონიერი მოთხოვნა შეესრულებინა, მან ლ. ჯ-ი სასიკვდილოდ გაიმეტა და დიდი სიჩქარით ცდილობდა მასზე დაჯახებას. შემდეგ ავტომანქანით მალაღი სიჩქარით მოძრაობდა მ. ბ-ს შესაჩერებლად ლ. ჯ-მ ჰაერში გააკეთა გასროლა, რაც დადასტურდა სასამართლო პროცესზე დაკითხული თვით ლ. ჯ-სა და მ. ფ-ს ჩვენებებით. საქმეში არსებობს იარაღიდან გასროლის ადგილის ამსახველი სურათი, რომელზეც ნათლად ჩანს, რომ ... სადარბაზოსა და გზის სავალი ნაწილის გადაკვეთასთან არის ჭის თავი და სანიაღვრე პატარა არხი, სადაც ბეტონის საფარი დაზიანებულია, ამოყრილი, რასაც წამოჰკრა ფეხი ლ. ჯ-მ. მართალია, სასამართლომ განზრახ დანაშაულის ჩადენაში არ ცნო იგი დამნაშავედ, მაგრამ დადასტურებულად მიიჩნია მის მიერ მ. ბ-სთვის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის ფაქტი. სასამართლოს სწორად რომ შეეფასებინა საქმის გარემოებები, მივიდოდნენ იმ დასკვნამდე, რომ ლ. ჯ-ს არც უფლებამოსილებისთვის გადაუმეტებია და არც გაუფრთხილებელი დანაშაული – სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა ჩაუდენია, რადგან ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას, რომელიც მოჰყვა ლ. ჯ-ს მიერ გამაფრთხილებელ გასროლას, კერძოდ, გამაფრთხილებელი გასროლის განხორციელებისას ლ. ჯ-მ ფეხი წამოჰკრა დაზიანებულ ბეტონის საფარს და ნაბორძიკდა, რა დროსაც ჰაერში ნასროლმა ტყვიამ შეიცვალა მიმართულება და მოხვდა მ. ბ-ს.

22. ლ. ჯ-ი ამ სისტიემის ერთ-ერთი წევრი იყო, რომელიც 2008 წლიდან კეთილსინდისიერად ანხორციელებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და სწორედ ასეთი მოვალეობის შესრულებისას გასაჩივრებული განაჩენით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაზე იქნა მსჯავრდებული, რაც არასწორია და ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული, ასევე ლ. ჯ-ი ასრულებდა მისი ზემდგომის ..... საქალაქო სამმართველოს პოლიციის ..... განყოფილების უფროსის ზ. ჯ-ს დავალებას, რომელიც მისთვის სავალდებულო იყო, დაექებნა ბ-ე და მიეყვანა პოლიციის განყოფილებაში საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების მიზნით. პოლიციაში მიყვანას, კანონმდებლობა ასეთ ტერმინს არ იცნობს, პიროვნება ან უნდა მოიწვიო პოლიციის განყოფი-

ლებაში (პოლიციის შესახებ კანონის 21-ე მუხლი), რომელსაც ეგზავნება შესაბამისი უწყება ასეთის შესახებ, ან უნდა მიიყვანო იძულებით, რაც ნიშნავს იმას, რომ პირს მისი ნების სანინა-ალმდეგოდ ხანმოკლე ვადით შეუზღუდო თავისუფლება, დააკავო, თანახმად სსკ-ის 170-ე მუხლისა, რაც სასამართლოს მიერ არ იქნა კანონით დადგენილი წესით შესწავლილი და არ მიეცა სწორი სამართლებრივი შეფასება.

23. ლ. ჯ-ი იყო იმ ორგანოს თანამშრომელი, რომელიც გამოძიების ჩატარებაზე უფლებამოსილი ორგანო იყო, ის ასრულებდა ოპერატიულ ფუნქციას, რომელსაც გაუწია წინააღმდეგობა შპს „.....“ ..... გაქურდვაში ამოცნობილმა ბ-მ, არ დაემორჩილა პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას, გაუწია წინააღმდეგობა და საფრთხე შეუქმნა ლ. ჯ-ს სიცოცხლეს, სადაც პოლიციელს თუნდაც დავალების გარეშე უფლება ჰქონდა დაეკავებინა იგი. დაკავების გადაწყვეტილება მიიღო, რადგან შესაძლო იყო ის მიმალვოდა გამოძიებას, იყო სამჯერ ნასამართლევი მძიმე დანაშაულისათვის, შესაბამისი მტკიცებულებები დევს სისხლის სამართლის საქმეში. ასევე არ ჰქონდა იურიდიული მისამართი, უბრალოდ საცხოვრებელი, სადაც შესაძლებელი იყო მისი დაძებნა, რითაც ლ. ჯ-ს ქმედებაში დაცულია სსკ-ის 171-ე მუხლის მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, კასატორებს მიაჩნიათ, რომ ბ-ე იყო ის პიროვნება, რომელიც პოლიციის კანონიერ მოთხოვნას არ დაემორჩილა, გაუწია მას წინააღმდეგობა, ხოლო ლ. ჯ-ი იყო ის პოლიციელი, რომელსაც ბ-ს კანონიერი დაკავების უფლება ჰქონდა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა ლ. ჯ-ს ქმედებას.

24. ლ. ჯ-მ მოსთხოვა სიტყვიერად ბ-ს, რომ შეეწყვიტა მოძრაობა და დამორჩილებოდა პოლიციას და გადაუდგა მანქანას წინ, ნაცვლად იმისა, რომ ბ-ე დამორჩილებოდა პოლიციელის კანონიერ მოთხოვნას, მან ლ. ჯ-ი სასიკვდილოდ გაიმეტა და დიდი სისწრაფით უნდოდა მანქანის დაჯახება, მაგრამ ლ. მიხვდა მის განზრახვას, როდესაც მანქანას გაზი მოუმატა და სწრაფი სიჩქარით მისკენ წამოვიდა, გვერდით წამიერად გადახტა, ამით თავი დააღწია სიკვდილს, როდესაც ლ. ჯ-ი ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლისათვის მოემზადა, ბ-ე მისგან დაახლოებით 75-80 მეტრი მანძილით იყო მოცილებული, (რაც დასტურდება სათვალთვალო გარე ხედვის კამერით, რაც გამოარკვია პირველი ინსტანციის სასამართლომ პროცესზე და ექსპერტის დაკითხვით, რომელმაც მიუთითა, რომ ტყვია ბ-ს ხვდება უკვე თავდაღმართში მანქანის დაშვების დროს, ბოძს როდესაც გაცდა მაშინ. სააპელაციო სასამართლომ განაჩენით დაადასტურა,

რომ იარაღიდან გასროლის დროს ბ-ე ლ. ჯ-დან საკმაო მანძილით იყო მოცილებული. რას ნიშნავს საკმაო მანძილი და გაუგებარია რა უნდა გაეთვალისწინებინა ჯ-ს, ის, რომ თუნდაც საკმაო მანძილით 75 მ მოცილებული დიდი სისწრაფით მოძრავი ბ-ს ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლით მოუსპობდა სიცოცხლეს. სასამართლო ამ დროს მსჯელობს დამდგარი შედეგიდან გამომდინარე და არა იმნუთიერი გადაწყვეტილების კანონიერებაზე და მართლზომიერებაზე – ამ ნაწილში განაჩენი დაუსაბუთებელია. სასამართლო იზიარებს სამედიცინო და ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნებს, მაგრამ არ მიუთითებს ტყვიის შემავალი და გამავალი ჭრილობის ლოკალიზაციას, ასევე დადგენილია საქმეზე ლ. ჯ-ს დგომის ადგილი, სადაც ამოღებულია ტვიის მასრა. ამიტომ სიტყვიერ გაფრთხილებას ბ-ს ჰაერში სროლის შესახებ ვერ მისცემდა და ვერც იმას დაუშვებდა, რომ ჰაერში ნასროლი ტყვია ბ-ს მოხვდებოდა, უნებურად, როდესაც ჰაერში ზემოთ იხედებოდა და ხელსაყრელ პირობებს ეძებდა, რომ მოსახლეობისათვის უსაფრთხო ყოფილიყო მისი ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლა, სროლის დროს ფეხი წამოკრა, ტყვიამ მიმართულება შეიცვალა და მოხვდა ბ-ს, რასაც ადასტურებს მონმის სახით დაკითხული მ. ფ-ე და ლ. ჯ-ს ფეხსაცმლის მექანიკური დაზიანება, რომელიც ვიზუალურად თვალნათლივ შეიმჩნევა მარჯვენა ფეხსაცმელზე. ამავე დროს მნიშვნელოვანია ერთი გარემოება, მაღაზია „.....“ სათვალთვალო გარეხედვის კამერების დათვალიერების შედეგად, სასამართლომ გამოარკვია და დაათვალიერა, მაღაზიიდან ჩანს მანქანა, რომელსაც ბ-ე მართავდა თავდაღმართში დაშვებისას ხვდება ტყვია, ამავე დროს სწრაფი ნაბიჯით, გზაზე სადაც მანქანა მოძრაობდა გადადის, გზას კვეთავს ოჯახი, ლ. ფ-ე, მეუღლე ფეხმძიმე ცოლი და პატარა ბავშვი, რომელიც ხელში უჭირავს მამას, ჯ-ი ამას ყველაფერს ხედავს, ასევე ხედავს საფრთხეს მანქანის დიდი სისწრაფით მოძრაობის გამო, ამავე დროს ბ-ე, რომელიც არ დაემორჩილა პოლიციეს, ცდილობს მიმალვას და დანაჩენი ორი პოლიციელი, რომლებსაც სხვა მიმართულებით ჰქონდათ გზა ჩაკეტილი ფუნქციას კარგავს, თუ ბ-ე გაიქცა, სწორედ ეს ფაქტები მიიჩნია ჯ-მ გამაფრთხილებელი გასროლის აუცილებელ პირობად. ეს უნდა მომხდარიყო დაუყოვნებლივ რადგან ჯ-მ ჩათვალა, რომ შესაძლებელია სხვა მძიმე შედეგი გამოენვია დაყოვნებას. სასამართლო გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის დროს არ საუბრობს რეალურ საფრთხეზე, რომელსაც ჯ-ი ხედავს, არამედ საუბრობს დამდგარი შედეგის მიხედვით, რადგან სირბილით მიმავალმა ფ-მ გადაასწრო მან-

ქანას, რისი გათვალისწინებაც წინასწარ ჯ-ს არ შეეძლო, რადგან ეს ყველაფერი ხდება წამის მეასედში, ინტერვალი არის 9 წამი.

25. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორებმა – ნათია კიკვაძემ და დათო ცირეკიძემ ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები, მათ მხარი დაუჭირეს დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის – დავით ლეკერტის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლეს მისი დაკმაყოფილება.

26. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ ლ. ჯ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. გ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებული ლ. ჯ-ი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრების მოთხოვნების გაცნობის, საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მსჯავრდებულ ლ. ჯ-სა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა ლ. ჯ-ს გამართლების თაობაზე არის უსაფუძვლო და არ გამოიმდინარეობს საქმის მასალებიდან. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს სახელმწიფო ბრალმდებლის მოთხოვნას ლ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) დამნაშავედ ცნობის შესახებ, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილ ერთმანეთთან შეთანხმებულ, უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობით დადასტურებულია, რომ ლ. ჯ-მ იარაღის გამოყენებით გადაამეტა სამსახურებრივ უფლებამოსილებას და მანვე გაუფრთხილებლობით მოუსპო სიცოცხლე მ. ბ-ს, კერძოდ:

3. მოწმე უ. კ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 3 ოქტომბერს, ქალაქ ქუთაისში, ..., №...-ში მდებარე სასურსათო მაღაზიის გაქურდვის ფაქტზე ამავე განყოფილებაში მიმდინარეობდა გამოძიება. მაღაზიის სათვალთვალო კამერების ვიდეორჩანანერების დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ჩანა-

წერებში ასახული პირი იყო მ. ბ-ე. ვიდეოჩანანერების დათვალიერების დასრულების შემდგომ, რასაც ლ. ჯ-ც ესწრებოდა, მათ განყოფილების უფროსმა – ზ. ჯ-მ დაავალა მ. ბ-ს მოძებნა და პოლიციის განყოფილებაში წარდგენა. ამის შემდეგ ის და მისი თანამშრომლები – მ. ფ-ე, გ. მ-ე და ლ. ჯ-ი იმყოფებოდნენ შემთხვევის ადგილზე ვიდეოსათვალთვალ კამერის ჩანაწერების ამოსაღებად და იქვე მაღაზიის წინ სკამზე ისხდნენ. რამდენიმე წუთში შემოუხვია ვერცხლისფერი „სუბარუ-ფორესტერის“ მარკის ავტომანქანამ, რომელსაც მ. ბ-ე მართავდა, სვლას უმატა და კორპუსებში შეიმაღლა. მათ გადაწყვიტეს ორ ჯგუფად გაყოფილიყვნენ და მ. ბ-ს დადევნებოდნენ. მ. ფ-ე და ლ. ჯ-ი მანქანის მიმართულებით წავიდნენ, ხოლო თვითონ და გ. მ-ე – საცხოვრებელი კორპუსების მიმართულებით. უეცრად შემოესმა გასროლის და 5-6 წამში შეჯახების ხმაც, მაგრამ უშუალოდ გასროლის მომენტი არ დაუნახავს. მან შენიშნა, რომ მ. ფ-ე და ლ. ჯ-ი გარბოდნენ ავტომანქანისკენ. შეჯახების ადგილზე მისულმა დაინახა, რომ მანქანაში მარჯვენა მხარეს, საჭესთან იჯდა მ. ბ-ე, რომელიც დასისხლიანებული იყო. დაჭრილი გადმოიყვანეს მანქანიდან, ჩასვეს ლ. ჯ-ს ავტომანქანაში და საეკლესიო საავადმყოფოში წაიყვანეს.

4. საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა მოწმე გ. მ-მ ანალოგიური ჩვენება მისცა და იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა თავის ჩვენებაში.

5. მოწმე მ. ფ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მ. ბ-ს შემჩნევისთანავე მან, გ. მ-მ, უ. კ-მ და ლ. ჯ-მ გადაწყვიტეს დასდევნებოდნენ და განაწილდნენ ორ ჯგუფად. კერძოდ, უ. კ-ე და გ. მ-ე საცხოვრებელი ბინების მიმართულებით გაემართნენ, ხოლო თვითონ და ლ. ჯ-ი მოძრავ ავტომანქანას დაედევნენ სირბილით. რამდენიმე წუთში დაინახა, რომ მ. ბ-ე ცდილობდა ავტომანქანის მობრუნებას. ლ. ჯ-მ მას რამდენჯერმე მოსთხოვა მანქანის გაჩერება და მოუწოდა დამორჩილებოდა პოლიციის მოთხოვნას, თუმცა მან არ შეწყვიტა მოძრაობა და წამოვიდა ლ. მიმართულებით, რა დროსაც ეს უკანასკნელი მარჯვენა მხარეს გადახტა და წაიფორხილა. როდესაც ლ. ჯ-ი შემობრუნდა, მას ხელში იარაღი ეჭირა ლულით ცისკენ მიმართული, იგი მისდევდა ავტომანქანას და მ. ბ-ს მოუწოდებდა შეჩერებულყო. ეს უკანასკნელი არ დაემორჩილა მის მითხოვნას და მანქანამ დაინყო მაღალი სიჩქარით მოძრაობა. ამ დროს დაინახა, რომ ლ-მ შეანელა სვლა, მაღლა აიხედა და წაბორძიკდა, რა დროსაც მოხდა გასროლა. მალე გაიგონა ბინის მიშენების კონსტრუქციაზე ავტომანქანის შეჯახების ხმა. ლ. ჯ-მ მომხდარის შესახებ ტე-

ლევონით აცნობა განყოფილების უფროსს, რის შემდეგაც მ. ბ-ე გადმოიყვანეს მანქანიდან და იგი ლ-მ თავისი ავტომანქანით წაიყვანა საავადმყოფოში. მონმე მ. ფ-ს განმარტებით, ლ. ჯ-ს მიერ გამაფრთხილებელი გასროლის განხორციელების მომენტში არც მასზე და მისი თვალთახედვის არეში არც სხვა ვინმეზე შეჯახების საფრთხე არ არსებობდა.

6. მონმე ზ. ჯ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის ივნისიდან მუშაობს საქართველოს შსს ..... საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 2014 წლის 3 ოქტომბერს, დილით შეიტყო, რომ გაიქურდა ... მდებარე სასურსათო მაღაზია. აღნიშნულ ფაქტზე დაიწყო გამოძიება და დათვალა მალაზიაში არსებული სათვალთვლო კამერების ვიდეოჩანაწერები, რა დროსაც პოლიციის მუშაკებმა, მათ შორის ლ. ჯ-მ, ამოიცნეს ვიდეოჩანაწერში ასახული სავარაუდოდ დანაშაულის ჩამდენი პირი – მ. ბ-ე. ამის გამო მან დაავალა პოლიციელებს, რომ მოეძებნათ ეს უკანასკნელი და წარედგინათ განყოფილებაში. რამდენიმე ხნის შემდეგ დაუკავშირდა ლ. ჯ-ი, რომელმაც განუცხადა, რომ მ. ბ-ე არ დაემორჩილა მის კანონიერ მოთხოვნას და მოჰყვა ავტოავარიაში. შემთხვევის ადგილზე გასულმა ნახა, რომ ავტომანქანა შეჯახებული იყო საცხოვრებელი კორპუსის ბეტონის ბოძს, ხოლო დაშავებული მ. ბ-ე ლ. ჯ-ს გადაყვანილი ჰყავდა საავადმყოფოში. მოგვიანებით ლ. ჯ-ი გამოცხადდა განყოფილებაში და დაწერა პატაკი, სადაც მიუთითა, რომ მ. ბ-ე არ დაემორჩილა მის კანონიერ მოთხოვნას, რის გამოც განახორციელა გამაფრთხილებელი გასროლა. მონმე ზ. ჯ-ს განმარტებით, მას ლ. ჯ-სთვის მ. ბ-ს დაკავება არ დაუვალეზია, ვინაიდან დაკავების საკითხი გადანაცვლებოდა მხოლოდ მ. ბ-ს პოლიციაში წარდგენისა და შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდგომ.

7. მონმე მ. ა-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ქალაქ ქუთაისში, ..., №...-ში აქვს სასურსათო მაღაზია – შპს „...“, სადაც მუშაობს ოთხი ადამიანი – ლ. კ-ე, ჟ. კ-ი, ნ. ვ-ე და მისი შვილი – დ. ა-ე. მაღაზიაში და მის გარეთ დამონტაჟებულია სათვალთვლო ვიდეოკამერები. 2014 წლის 3 ოქტომბერს, დილით, აღმოაჩინეს, რომ მისი მაღაზია იყო გაქურდული, რის თაობაზეც მიმართა სამართალდამცავ ორგანოს. პოლიციის თანამშრომლებმა მასთან ერთად დაათვალა სათვალთვლო კამერის ჩანაწერები, რომელზეც ასახული იყო ერთი უცხო პირი, რომელიც მაღაზიიდან ეუფლებოდა ნივთებს. მოგვიანებით ვიდეოჩანაწერის ამოსაღებად მარკეტში მივიდა პოლიციის ოთხი თანამშრომელი და როდესაც ვიდეოჩანაწერის გადანერის პროცესი

მიმდინარეობდა, ისინი მალაზიის წინ გავიდნენ და იქვე ხის სკამზე დასხდნენ. უეცრად გაიგონა ავტომობილის მოტორის ძლიერი ხმა, დაინტერესდა რა ხდებოდა და მივიდა მალაზიის კართან, რა დროსაც შემოესმა დაძახება – შეჩერდით და იარაღიდან გასროლის ხმა. ამ დროს მალაზიის წინ სწრაფად ჩაიარა ავტომანქანამ და საცხოვრებელი კორპუსის ბეტონის ბოძს შეეჯახა.

8. მოწმე ნ. ვ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს კონსულტანტად მარკეტ შპს „...“, რომელიც მუშაობს 08:30 საათიდან 23:00 საათამდე. მარკეტში როგორც შიგნით, ასევე გარეთ დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. 2014 წლის 3 ოქტომბერს, დილით, სამსახურში მისვლისთანავე შეიტყო, რომ მარკეტი გაქურდული იყო. შენობაში მუშაობდნენ პოლიციის მუშაკები. ისინი ათვალთვლებდნენ ვიდეოჩანაწერებს, სადაც ჩანდა, თუ როგორ იპარავდა მალაზიიდან ნივთებს პიროვნება. მოგვიანებით მათთან მივიდა ოთხი პოლიციელი ვიდეოჩანაწერის წასაღებად. მცირე დროის გასვლის შემდგომ გარედან შემოესმა ძლიერი ხმა და გარეთ გასულმა დაინახა, რომ საცხოვრებელი კორპუსის ბოძს ავტომანქანა იყო შეჯახებული.

9. იგივე გარემოებები დაადასტურა თავის ჩვენებაში მოწმე ყ. კ-მ, რომელმაც დამატებით მიუთითა, რომ პოლიციის თანამშრომლები მალაზიიდან გავიდნენ და იქვე არსებულ სკამზე დასხდნენ. ამ დროს მალაზიის წინ გაიარა ვერცხლისფერმა ავტომანქანამ, რომელსაც პოლიციის მუშაკები დაედევნენ, ხოლო თვითონ მარკეტის წინ შეჩერდა. მალევე გაიგონა იარაღიდან გასროლის ხმა, მაგრამ ვინ და რა ვითარებაში ისროლა, არ დაუნახავს. გასროლის შემდეგ ავტომანქანამ, რომელსაც უკან პოლიციის მუშაკები მოჰყვებოდნენ, მარკეტის წინ ჩაიარა და საცხოვრებელი კორპუსის ბეტონის ბოძს შეეჯახა.

10. მოწმე ნ. ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ცხოვრობს ქალაქ ქუთაისში, ... მდებარე საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე. მისი სახლიდან დაახლოებით 30 მეტრში მდებარეობს სასურსათო მალაზია. 2014 წლის 3 ოქტომბერს, შუადღისას, აივანზე გავიდა ანტენის შესაკეთებლად, რა დროსაც გაიგონა გასროლის ხმა, მაგრამ გასროლის მომენტი არ დაუნახავს. მალევე გაიგონა მეორე ხმაც. გარეთ გამოსულმა დაინახა, რომ საცხოვრებელი კორპუსის ბეტონის ბოძს შეჯახებული იყო ავტომანქანა, რომელშიც ახალგაზრდა ბიჭი იჯდა და ჭრილობიდან სისხლი მოსდიოდა.

11. მოწმე ლ. ჭ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 3 ოქტომბერს, სახლში დაბრუნებულმა მეზობლებისგან შეიტყო,



რომ მათ ეზოში მ. ბ-ე არ დამორჩილებია პოლიციას, რის გამოც მისთვის უსვრიათ და შეჯახებია ბოძს. ადგილზე მისვლისას ნახა, რომ ავტომანქანა შეჯახებული იყო ბინის წინ ბეტონის ბოძს და დაზიანებული იყო. ასევე მან ფანჯრიდან დაინახა, რომ პოლიციის მუშაკმა ეზოში ძებნის შემდგომ იპოვა ტყვიის გულა.

12. მონმე მ. ო-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 3 ოქტომბერს იმყოფებოდა სახლში, რა დროსაც ეზოდან მოესმა სწრაფად მოძრავი ავტომანქანის ხმა და ფანჯრიდან შენიშნა ძალიან დიდი სიჩქარით მოძრავი ვერცხლისფერი ავტომანქანა. უცებ გაიგონა გასროლის ხმა და დაინახა, რომ ავტომანქანის მიმართულებით მივრბოდა ორი თუ სამი პოლიციის თანამშრომელი. მათგან ერთი მანქანას მისდევდა ოდნავ წინ წახრილი, სადღაც 45 გრადუსით დაშვებული ხელით, რომელშიც იარაღი ეჭირა. მან რაიმეს გაფიქრებაც ვერ მოასწრო, რომ შეჯახების ხმა გაიგონა. მონმის განმარტებით, ავტომანქანა ამ პირებისგან იმდენად შორს იყო, გასროლილი ტყვია მძლოლს თუ მოხვდებოდა, ვერ წარმოედგინა.

13. მონმე ლ. ფ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 3 ოქტომბერს, მეუღლესთან – ე. ჭ-სთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად იმყოფებოდა მის მეზობლად მცხოვრებ მ. კუთვნილ მარკეტში. იქიდან გამოსვლის შემდეგ გადაჭრეს მარკეტის წინ არსებული გზა და წავიდნენ ბინის წინ მდებარე ავტოფარეხების მიმართულებით, რა დროსაც შემოესმა იარაღიდან გასროლის ხმა. ამავე დროს შემობრუნდა და დაინახა, რომ გზაზე დიდი სისწრაფით ჩამოიარა „სუბარუს“ მარკის ავტომანქანამ, რომელიც შეეჯახა ბინის წინ არსებული ბეტონის ბოძს. მონმე ლ. ფ-ს განმარტებით, ხსენებული ავტომანქანა მას და მისი ოჯახის წევრებს საფრთხეს არ უქმნიდა, რადგან მანქანის გამოვლის მომენტისათვის ისინი საკმაოდ იყვნენ მოშორებული გზას. იმ მომენტში ეზოში სხვა ვინმე არ შეუნიშნავს.

14. საქმეზე დაზარალებულად ცნობილი მ. ო-ს ჩვენებით დადგენილია, რომ საკუთრებაში ჰყავდა „სუბარუს“ მარკის ავტომანქანა, რომელიც შეიძინა 4500 აშშ დოლარად. აღნიშნული ავტომანქანა მასზე იყო გაფორმებული, მაგრამ მისი შვილებიც სარგებლობდნენ. 2014 წლის 3 ოქტომბერს, დილით, მანქანა ათხოვა თავის შვილს – გ. ო-ს, რომელმაც, თავის მხრივ, ათხოვა თავის მეგობარ მ. ბ-ს. საღამო ხანს პოლიციის თანამშრომლისგან შეიტყო, რომ მისი კუთვნილი ავტომანქანით მომხდარი იყო ავტოსაგზაო შემთხვევა. ადგილზე მისულმა ნახა, რომ ავტომანქანა შეჯახებული იყო ბეტონის ბოძს. როგორც იქვე მყოფი პირებისგან შეიტყო, მ. ბ-ე არ დაემორჩილა პოლიციის მუშაკს,

რომელსაც უსვრია მისთვის ცეცხლსასროლი იარაღიდან, რამაც გამოიწვია ავტომობილის ბოძზე შეჯახება. დაზარალებულ მ. ო-ს განმარტებით, ბრალდებულის ძმამ – ზ. ჯ-მ მას აუნაზღაურა მიყენებული ზიანი 4400 ლარის ოდენობით.

15. იგივე გარემოებები დაადასტურა თავის ჩვენებაში საქმეზე მოწმის სახით დაკითხულმა მ. ო-ს შვილმა – გ. ო-მ.

16. ლ. ჯ-მ 1-ლი ინსტანციის სასამართლოში დაკითხვისას აჩვენა, რომ 2007 წლიდან მუშაობდა პოლიციაში და შესაბამისად, გაეცნო „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონს, ასევე იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით გავლილი ჰქონდა სპეციალური კურსი. ბოლოს ეკავა საქართველოს შსს ..... საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებლის თანამდებობა და მასზე გაპიროვნებული იყო ... მოდელის №... სამსახურებრივი საშტატო იარაღი. 2014 წლის 3 ოქტომბერს, სამსახურში შეიტყო, რომ ... უბანში გაქურდეს მალაზია. შემთხვევის ადგილზე მისვლისას პოლიციის თანამშრომლებმა დაათვალიერეს მალაზიის სათვალთვალო კამერის ჩანაწერი, რა დროსაც ამოიცნეს ქურდობის ჩამდენი მ. ბ-ე. შესაბამისად, განყოფილების უფროსმა მათ მისცა დავალება, რომ სასწრაფოდ მოეძებნათ იგი და მიეყვანათ პოლიციის განყოფილებაში. რამდენიმე საათის შემდეგ მისგან მიიღო სხვა დავალება, რომ დახმარებოდა ტექნიკურ მუშაკს – ა. ყ-ს მეხსიერების ბარათზე მალაზიის სათვალთვალო კამერების ჩანაწერების გადმოწერაში. მალაზიაში მივიდა პოლიციის თანამშრომელ გ. მ-სთან ერთად. ამ დროისათვის გადმოწერის პროცესი დასრულებული არ იყო, რის გამოც ის და გ. მ-ე დასხდნენ მალაზიის წინ განთავსებულ ხის სკამზე. მათ შეუერთდნენ პოლიციის თანამშრომლები – უ. კ-ე, მ. ფ-ე და ყველანი ელოდებოდნენ ჩანაწერის გადმოწერის პროცესის დასრულებას. ამ დროს მათ წინ გაიარა ვერცხლისფერი „სუბარუს“ მარკის ავტომანქანამ, რომელშიც შენიშნა მ. ბ-ე, რომელმაც მათ დანახვაზე სიჩქარეს მოუმატა. მან და მისმა თანამშრომლებმა გადაწყვიტეს ფეხით დადევნებოდნენ მ. ბ-ს. გ. მ-ე და უ. კ-ე ბინების მიმართულებით წავიდნენ, ხოლო თვითონ და მ. ფ-ე კი პირდაპირ დაედევნენ ავტომანქანით მოძრავ მ. ბ-ს. მან დაინახა, რომ ეს უკანასკნელი კორპუსის ბოლოში იწყებდა ავტომანქანის მობრუნებას და გაიქცა იმ მიმართულებით, რადგანაც ავტომანქანის ნელი მოძრაობის დროს შეიძლებოდა მისი დაკავება. როცა მიუახლოვდა, მ. ბ-ს უკვე შემობრუნებული ჰყავდა მანქანა და მოდიოდა პირდაპირ მისი მიმართულებით. იგი წინ გადაუდგა მას, მოუწოდა შეენკვიტა მოძრაობა და დამორჩილებოდა, თუმცა მ. ბ-მ უფრო მო-

უმატა სიჩქარეს და სწრაფად ნავიდა მისი მიმართულებით. როდესაც ავტომანქანა მას მიუახლოვდა და თითქმის ეჯახებოდა, მოასწრო გზის გვერდულზე, კორპუსის მიმართულებით გადახტომა და წაიბორძიკა, ავტომანქანამ კი გააგრძელა მოძრაობა. ამის შემდეგ იგი გადმოვიდა ბეტონის საფარზე, ამოიღო იარაღი, მოიყვანა საბრძოლო მდგომარეობაში და, ვინაიდან, საცხოვრებელ კორპუსების სიახლოვეს იდგა, ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლის წარმოების მიზნით დაიწყო უსაფრთხო ადგილის ძებნა, რა დროსაც წამოედო ბეტონის ზედაპირს და უნებლიედ გაისროლა, ამ დროს იარაღის ლულა ჰაერში ჰქონდა მიმართული. ამის შემდეგ დაინახა, რომ ავტომობილი საცხოვრებელი ბინის ბოძს შეეჯახა. მიუხედავად იმისა, რომ ტყვია ვერტიკალურად ჰაერში არ ნავიდა, ეგონა, რომ ტყვია მოძრავ მანქანას და მ. ბ-ს არ მოხვდებოდა. მისი მიზანი იყო გამაფრთხილებელი გასროლით მოეხდინა დამნაშავეს ფსიქიკაზე ზემოქმედება, რათა იგი დამორჩილებოდა. ლ. ჯ-ს განმარტებით, შემთხვევის ადგილი არის დასახლებული და ადამიანების მიმართ რეალური საფრთხე არსებობდა. გასროლის მომენტში ავტომანქანა, რომელსაც უკანა საქარე მინა დამუქებული ჰქონდა, მისგან საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაშორებული. მომხდარის თაობაზე მაშინვე დაურეკა პოლიციის უფროსს, აღარ დაელოდა სასწრაფო დახმარების მოსვლას და მძიმედ დაჭრილი მ. ბ-ე თავისი ავტომანქანით გადაიყვანა საავადმყოფოში.

17. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმის მიხედვით, შემთხვევის ადგილი მდებარეობს ქ. ქუთაისში, ... №... საცხოვრებელი კორპუსის წინა ეზოს მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მითითებული კორპუსის პირველ და მეორე სადარბაზოებს შორის არსებულ ბეტონის ბოძს შეეჯახებოდა „სუბარუ-ფორესტერის“ მარკის ავტომანქანა, სახ. №..... კორპუსის პარალელურად, გზის აღმოსავლეთ მხარეს მდებარეობს მაღაზია. გზის ორივე მხარეს განლაგებულია საცხოვრებელი კორპუსები, თავად გზა მობეტონებულია, ასევე მობეტონებულია №... კორპუსის ეზო. .... სადარბაზოს შესასვლელის მიმდებარედ ბეტონის საფარზე აღმოჩენილ იქნა მონიტალო ფერის სისხლისმაგვარი ლაქები, საიდანაც აღებული იქნა ნიმუშები და დაილუქა. №... კორპუსის ... სადარბაზოს დასავლეთ კუთხიდან აღმოსავლეთის მიმართულებით 112.75 მეტრში, ხოლო „სუბარუ-ფორესტერის“ მარკის ავტომანქანიდან 116.35 მეტრში აღმოჩენილი და ამოღებული იქნა მასრა, რაც დაილუქა. ასევე შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ იქნა ბეტონის საფარზე მიმოხვეული მინის ნამსხვრევები. ავტომანქანის უკანა საქარე მინა მთლიანად

დამსხვრეულია. ავტომანქანის უკანა მარჯვენა კარის მინის შიდა ზედაპირზე, უსაფრთხოების ბალიშებზე, ავტომანქანის ე.წ. ტორბედოზე, წინა სავარძლებზე, გადაცემათა კოლოფის მიმდებარე ტერიტორიაზე და ავტომანქანის სალონის წინა ნაწილში ჭერზე შუა ადგილას აღინიშნება მონითალო ფერის სისხლის-მაგვარი ლაქები, საიდანაც აღებულ იქნა ნიმუშები და დაილუქა. ავტომანქანის წინა საქარე მინა მთლიანად დაზიანებულია, კერძოდ, მთელ ზედაპირზე აღინიშნება ბზარები, საქარე მინის მარჯვენა ნაწილში აღინიშნება ნაჭდევი, ზომით დაახლოებით 3.5X2.5სმ.

18. შემთხვევის ადგილის დამატებით დათვალიერების ოქმით დადგენილია, რომ ქ. ქუთაისში, ... №...-ში განთავსებული მრავალსართულიანი კორპუსის წინა მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც 2014 წლის 3 ოქტომბერს მ. ბ-ე „სუბარუს“ მარკის ავტომანქანით, სახ. №..... შეეჯახა რკინა-ბეტონის ბოძს, სადარბაზოს მოპირდაპირე მხარეს, სამხრეთ-დასავლეთით ბეტონის სხმულიდან მინის საფარზე 0,75 სმ სიგრძეზე აღმოჩენილი და ამოღებულ იქნა ტყვიის გულისმაგვარი მეტალის დეტალი.

19. სასურსათო მაღაზია შპს „...“ გარე პერიმეტრის ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ჩანაწერის 2014 წლის 7 ოქტომბრის დათვალიერების ოქმიდან ირკვევა, რომ ობიექტის მფლობელის – მ. ა-ს განმარტებით ვიდეოჩანაწერებზე აღბეჭდილი დრო საათნახევრით ჩამორჩება რეალურ დროს. 2014 წლის 3 ოქტომბრის 14:45:13 წუთიდან პირველი კამერის ჩანაწერზე ასახულია შპს „...“ სასურსათო მაღაზიის წინამდებარე ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო გზა, უშუალოდ მაღაზიის კედელთან არსებული ძელსკამი, მასზე მჯდომი სამი და ერთიც მათ წინ ფეხზე მდგომი პიროვნება. მ. ა-ს განმარტებით, მითითებული პირები არიან პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც მომხდარი ქურდობის ფაქტზე მისულები იყვნენ მის მაღაზიაში ვიდეოსისტემის ჩანაწერების დათვალიერებისა და შემდგომი ამოღების მიზნით. 14:46:17 წამზე მაღაზიის წინ გზაზე გაიარა აღმოსავლეთის მიმართულებით მოძრაობა ღია ფერის „სუბარუს“ მარკის ავტომანქანამ, რა დროსაც სკამზე მსხდომი პირები წამოდგნენ და დაიწყეს აღმოსავლეთის მიმართულებით მოძრაობა. ორ პირს აცვია მოცისფრო ზედა ტანსაცმელი ზურგზე თეთრი წარწერით, ხოლო დანარჩენ ორს – მუქი ფერის ქურთუკი. 14:46:34 წამზე მოცისფრო ქურთუკიანმა პირებმა დაიწყეს მოძრაობა სამხრეთის მიმართულებით, ხოლო მუქ ქურთუკებში ჩაცმული პირები წავიდნენ აღმოსავლეთის მიმართულებით, გზაზე ზემოაღნიშნული მანქანის მოძრაობის მხარეს. 14:46:40

ნამზე ორივე შავქურთუკიანი მამაკაცი გაიქცა აღმოსავლეთის მიმართულებით და გავიდა კამერის თვალთახედვიდან. 14:47:15 ნამზე, მ. ა-ს განმარტებით, მალაზიიდან გამოვიდნენ თავად, ნ. ა-ე და ნ. ვ-ე, რა დროსაც სამივე მათგანი შეხტა და ამავე დროს აღმოსავლეთის მხრიდან გზაზე გამოჩნდა „სუბარუ-ფორესტერის“ მარკის ავტომანქანა, რომელიც მოძრაობდა წინა მხრით დასავლეთისკენ. 14:47:18 ნამზე მანქანა იყო კიბეებთან, თუმცა მანამდე 14:47:17 წამიდან, როდესაც მანქანის დეტალური გარჩევა შესაძლებელი იყო, მას წინა საქარე მინაზე მარჯვენა ზედა ნაწილში აღენიშნებოდა თეთრი ლაქა. 14:47:18 ნამზე მანქანა დასავლეთის მხარეს გავიდა კამერის თვალთახედვის არიდან. 14:47:25 ნამზე გამოჩნდა მუქ ქურთუკში ჩაცმული ორი პირი, ისინი სწრაფი ნაბიჯებით მოძრაობდნენ დასავლეთის მიმართულებით. წინ გამორბის მუქ ქურთუკიანი პირი, რომელიც შარვლის უკანა სათავეზე იკიდებს ხელს, უკან მოჰყვება ასევე მუქ ქურთუკიანი პირი, მის შემდეგ ღია ფერის ქურთუკიანი პირი. ორივე მათგანი შარვლის მარჯვენა საქამრეზე იკიდებს ხელს. სულ ბოლოს, 14:47:37 ნამზე გამორბის ცისფერ ქურთუკიანი პირი, რომელიც ასევე შარვლის საქამრეზე იკიდებს ხელს. 14:53:20 ნამზე გაირბინა მუქ ქურთუკიანმა მამაკაცმა, გამოიყვანა მოლურჯო ჯიპის მოდელის ავტომანქანა და გაიარა სწრაფად დასავლეთის მიმართულებით, 14:55:21 ნამზე კი აღმოსავლეთით გაიარა მოცისფრო მაისურიანმა მამაკაცმა, ჩაჯდა მალაზიის კიდესთან შეჩერებულ მომწვანო ფერის ავტომანქანაში და 14:55:57 ნამზე გაიარა დასავლეთის მიმართულებით. აღნიშნულით №1 კამერის ჩანაწერის დათვალიერება დასრულდა. ამის შემდეგ დათვალიერდა ამავე სათვალთვალო სისტემის №6 კამერა, საიდანაც გაირკვა, რომ 14:45:59 ნამზე აღმოსავლეთიდან მითითებულ გზაზე შემოუხვია „სუბარუ-ფორესტერის“ მარკის ავტომანქანამ. მ. ა-ს განმარტებით, ამ დროს მალაზიასთან დგანან ბ. ხ-ე და დ. ა-ე. 14:47:10 ნამზე დ. ა-ე უკანა შესასვლელიდან შევიდა მალაზიაში, ბ. ხ-ე კი ნამოვიდა კამერის მიმართულებით. 14:47:35 ნამზე ბ. ხ-მ გაირბინა ჩრდილოეთის მიმართულებით და შემოუარა მალაზიას უკნიდან. 14:53:47 ნამზე შემოსახვევში შემოვიდა თეთრი ფერის პიკაპის მოდელის ავტომანქანა, წარწერით „პოლიცია“, 14:53:16 ნამზე მითითებული პიკაპი გავიდა უკანა სვლით შემოსახვევში და მას მიჰყვა მოლურჯო ფერის ჯიპის მოდელის ავტომანქანა. ორივე მანქანა წავიდა დასავლეთის მიმართულებით. აღნიშნულით №6 კამერის ჩანაწერის დათვალიერება დასრულდა.

20. ვიდეო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ვერ-

ცხლისფერი „სუბარუს“ მარკის ავტომანქანის საქარე მინის შესწავლისას გაირკვა, რომ მასზე კადრში გამოჩენის მომენტში დაზიანება არ აღინიშნებოდა. საქარე მინაზე დაზიანება გამოჩნდება მოგვიანებით. ავტომობილის საჭესთან მჯდომი პირის მდგომარეობის დადგენა ვერ მოხერხდა გამოსახულების დაბალი ხარისხის გამო.

21. ვიდეო ექსპერტიზის შედეგების სისწორე 1-ლი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე დაადასტურა მონმედ დაკითხულმა ექსპერტმა ლ. ა-მ.

22. სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ მ. ბ-ს სიკვდილის მიზეზია თავის მიდამოს გამჭოლი ცეცხლნასროლი ჭრილობა თავის ტვინის ნივთიერების დაზიანებით, ქალა-სარქველისა და ფუძის ძვლების ფრაგმენტოვანი და ხაზოვანი მოტეხილობით. მ. ბ-ს ბიოლოგიური სიკვდილის ფაქტი კონსტატირებულ იქნა 2014 წლის 3 ოქტომბერს, 19:00სთ-ზე, სიკვდილის დადგომის ხანდაზმულობა არ ეწინააღმდეგება მითითებულ დროს. მ. ბ-ს აღენიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები: თავის მიდამოს გამჭოლი ცეცხლნასროლი ჭრილობა, შემავალი თავის ქალას ღრუში, შესავალი ხვრელით თხემკეფის საზღვარზე ცენტრალურად, ტერფის ძირიდან 171 სმ. დაშორებით, თავის რბილი საფარის, კუნთოვანი ქსოვილის, ქალა-სარქველის ძვლების, თავის ტვინის ნივთიერების დაზიანებით, ქალა-სარქველის ძვლების ფრაგმენტოვანი და ხაზოვანი მოტეხილობით, გამოსავალი ხვრელით შუბლის მიდამოში ოდნავ მარცხნივ, ტერფის ძირიდან 160 სმ დაშორებით, ჭრილობის არხის გასწვრივ მონითალო ფერის სისხლჩაქცევებით, რაც მიყენებულია სიკვდილამდე წინა უახლოეს პერიოდში რაიმე ცეცხლნასროლი იარაღიდან ჭურვის გასროლის შედეგად, მიეკუთვნება სიცოცხლისათვის სახიფათო ხარისხს და იმყოფება მიზეზობრივ კავშირში დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან. ჭრილობის არხის მიმართულებაა უკნიდან – წინ, ოდნავ მარჯვნიდან – მარცხნივ, ოდნავ ზემოდან – ქვემოთ. მ. ბ-ს ასევე აღენიშნებოდა სიცოცხლისდროინდელი დაზიანებები: მრავლობითი ნაჭდევი და სისხლნაყლენები სხეულის სხვადასხვა მიდამოებში, რომლებიც განვითარებული იყო სიკვდილამდე წინა უახლოეს პერიოდში, რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის (საგნების) ზემოქმედებით, ცოცხალ პირთა ექსპერტიზის შემთხვევაში ცალ-ცალკე და ერთად აღებულნი მიეკუთვნებოდნენ სხეულის დაზიანებათა მსუბუქი ხარისხის ნიშანს და მიზეზობრივ კავშირში არ იმყოფებოდნენ დამდგარ შედეგთან – სიკვდილთან. იმავე დასკვნიდან ირკვევა, რომ სამედიცინო კრიმინალისტი-

კური კვლევის დასკვნით, გამოსაკვლევად წარდგენილ მ. ბ-ს გვამიდან აღებულ კანის პრეპარატზე, თხემ-კევის მიდამოდან ცენტრალურად, აღინიშნებოდა დაზიანება (ჭრილობა), რომელიც თავისი მორფოლოგიური სურათიდან გამომდინარე, განვითარებული იყო რაიმე ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლილი ჭურვის მოქმედების შედეგად და წარმოადგენდა შესავალ ხვრელს. სროლა ნაწარმოები იყო არაახლო მანძილიდან, სროლის თანმხლები ფაქტორების მოქმედების ზონის გარეთ.

23. ზემოაღნიშნული ექსპერტიზის დასკვნის სისწორე 1-ლი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა – მ. ნ-მ და გ. გ-მ.

24. ტრასოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ლ. ჯ-ს ტანსაცმელზე (პოლიციის უნიფორმა) – მაისურზე, შარვალზე, ქამარსა და ფეხსაცმელზე – საერთო ექსპლუატაციური ცვეთის ფონზე რაიმე დაზიანება, დამახასიათებელი მექანიკური ზემოქმედებისათვის არ აღინიშნებოდა, რაც დაადასტურა 1-ლი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა თ. შ-მ.

25. ბიოლოგიური (გენეტიკური, სეროლოგიური) ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ „სუბარუ-ფორესტერის“ მარკის ავტომანქანის, სახ. №..... წინა მარცხენა საბურავის მიმდებარე ტერიტორიიდან, ავტომანქანის მარცხნივ მიმდებარე ტერიტორიიდან, ბეტონის ზედაპირიდან, ავტომანქანის უკანა მარცხენა მხარის მიმდებარე ტერიტორიიდან ბეტონის ზედაპირიდან და „სუბარუ-ფორესტერის“ მარკის ავტომანქანიდან, სახ. №..... ამოღებული, ასევე მ. ბ-ს ტანსაცმელზე არსებული მონიტალო ლაქები წარმოადგენს ადამიანის სისხლს, რომლის გენეტიკური პროფილი მ. ბ-ს გენეტიკური პროფილის იდენტურია.

26. ბიოლოგიური (გენეტიკური) ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ ქ. ქუთაისში, ... №... საცხოვრებელი კორპუსის წინა მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი და ამოღებული ტყვიის გულის ზედაპირზე არსებული ბიოლოგიური მასალის გენეტიკური პროფილი იდენტურია მ. ბ-ს გვამიდან აღებული სისხლის გენეტიკური პროფილის.

27. ბიოლოგიური ექსპერტიზების შედეგების სისწორე 1-ლი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა – თ. გ-მ და ქ. ქ-მ.

28. შსს იმერეთის, რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის – ზ. ჩ-ს წერილიდან ირკვევა, რომ ქ. .... საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... გან-



ყოფილების უზნის ინსპექტორ-გამომძიებელ, პოლიციის კაპიტან ლ. ჯ. ძე ჯ-ს სახელზე 2009 წლის 21 თებერვლიდან გაპიროვნებული იყო „...“ სისტემის №... სამსახურებრივ-სამტატო ცეცხლსასროლი იარაღი ორი მჭიდითა და 28 ცალი ... მმ კალიბრიანი „...“ ვაზნით.

29. ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ გამოსაკვლევად წარდგენილი, ქარხნული წესით დამზადებული ... მმ კალიბრიანი „...“ მოდელის №... პისტოლეტი გასროლების წარმოებისათვის ვარგისია და მიეკუთვნება ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას; ქარხნული წესით დამზადებული ... მმ კალიბრიანი 1908 წლის ნიმუშის ვაზნები დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის ვარგისია და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას; ექსპერტიზაზე წარდგენილი ქარხნული წესით დამზადებული ... მმ კალიბრიანი 1908 წლის ნიმუშის ვაზნის ერთი მასრა ცეცხლსასროლი იარაღის საიდენტიფიკაციო გამოკვლევისათვის ვარგისია და გასროლილია ექსპერტიზაზე წარდგენილი ... მმ კალიბრიანი „...“ მოდელის №... პისტოლეტიდან.

30. ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგების სისწორე 1-ლი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე დაადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა გ. შ-მ.

31. ბალისტიკური და სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ №... იარაღიდან ნაწარმოები უნდა იყოს გასროლა (გასროლები) ბოლო განმენდის შემდეგ. გამოსაკვლევ ვი ტყვია გასროლილია №... პისტოლეტიდან. გამოსაკვლევ ტყვიანზე ასხლეტისთვის დამახასიათებელი კვლები არ აღინიშნება. გამოსაკვლევ საქარე მინაზე კვლევით ნაწილში მითითებულ ლოკალურ მონაკვეთზე არსებული დაზიანება ცეცხლსასროლი წარმოშობისაა და განვითარებულია სპილენძის შემცველი, სავარაუდოდ ძალადაკარგული ტყვიის მოქმედების შედეგად. ავტომანქანა „სუბარუ-ფორესტერის“, სახ. № „...“ ფაქტიურ მდგომარეობაში რაიმე ცეცხლსასროლი დაზიანება არ აღინიშნება. სროლა ნაწარმოებია ავტომანქანის უკანა საქარე მინის მარჯვენა ზედა კუთხის მიდამოში გრძივი ღერძის მიმართ ვერტიკალურ სიბრტყეში მცირე 20-50 კუთხით ოდნავ ზემოდან ქვემოთ და ჰორიზონტალურ სიბრტყეში თითქმის ამავე კუთხით მარჯვნიდან მარცხნივ მიმართულებით (ამავე სავიზირო ხაზზე იმყოფებოდა მ. ბ-ს თავი); გამოსაკვლევად წარდგენილი №... იარაღი გამართულია და მისგან სასხლეტის გამოწვევის გარეშე გასროლა არ ხორციელდება.

32. ბალისტიკური და სამედიცინო ექსპერტიზის შედეგების

სისწორე სასამართლო სხდომაზე დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა – ა. ა-მ, გ. ც-მ და ნ. მ-მ.

33. ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ უ. კ-ს, გ. მ-ს, მ. ფ-სა და ლ. ჯ-ს მარჯვენა და მარცხენა ხელის ანაწმენდებზე დენტის წვის პროდუქტების მიკრონაწილაკები არ აღინიშნებოდა; ექსპერტიზაზე წარდგენილ ლ. ჯ-ს ტანსაცმლიდან, მაისურზე აღინიშნებოდა დენტის წვის პროდუქტების მიკრონაწილაკები.

34. ნივთიერებათა, მასალათა, ნაკეთობათა და მცენარეთა ექსპერტიზის შედეგების სისწორე სასამართლო სხდომაზე დაადასტურეს მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტებმა – ლ. მ-მ და დ. ჩ-მ.

35. ქ. ქუთაისში, ... №...-ში განთავსებული სასურსათო მაღაზიის (შპს „...“) სათვალთვალ კამერებზე არსებული ვიდეოჩანაწერის დათვალიერების ოქმით დგინდება, რომ ვიდეოფირზე ასახულია 2014 წლის 3 ოქტომბრის 03:00 საათიდან 04:00 საათამდე დროის ერთსაათიანი მონაკვეთი, რა დროსაც კადრში ჩნდება პიროვნება, რომელიც მიდის დახლთან, იღებს ცელოფანს და იწყებს დახლიდან ცელოფანში სიგარეტების ჩალაგებას. მონაწილე პირების – ი. ბ-სა და ნ. ქ-ს განმარტებით, პიროვნება, რომელიც კადრში ჩანს, არის მ. ზ. ძე ბ-ე, დაბადებული 19... წლის ... ივლისს, რეგისტრაციის მიხედვით მცხოვრები ქ. ქუთაისში, ... ქუჩის №...-ში.

36. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შეახებ ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორ გიორგი ხაჩიძის 2014 წლის 20 დეკემბრის დადგენილებიდან ირკვევა, რომ 2014 წლის 3 ოქტომბერს, ..... საქალაქო სამმართველოს პოლიციის ... განყოფილებაში საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გამოძიება დაიწყო სისხლის სამართლის №... საქმეზე, ქ. ქუთაისში, ... №...-ში მდებარე მ. ა-ს მაღაზიიდან (შპს „...“) სხვადასხვა დასახელების ნივთების ფარულად დაუფლების ფაქტზე. დადგენილების მიხედვით, აღნიშნული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა მ. ბ-ს, მაგრამ მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა ვერ დაიწყებოდა გარდაცვალების გამო. ამდენად, 2014 წლის 20 დეკემბრის დადგენილებით, სისხლის სამართლის №... საქმეზე არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მ. ბ-ს მიმართ მისი გარდაცვალების გამო და შესაბამისად, ხსენებულ სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება.

37. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაცვის მხარის პოზიცია მსჯავრდებულ ლ. ჯ-ს უდანაშაულობის თაობაზე უსაფუძვლოა, რადგან მისი ბრალეულობა იარაღის გამოყენებით სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებასა და მ. ბ-ს სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგოდ მოსპობაში დასტურდება როგორც ნაწილობრივ თვით ლ. ჯ-ს ჩვენებით, აგრეთვე საქმეზე დაკითხული მოწმეების ჩვენებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ჩანაწერების დათვალიერების ოქმითა და საქმეზე ჩატარებული ექსპერტიზების დასკვნებით, კერძოდ:

38. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ ლ. ჯ-ს მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გასროლით დადგა მ. ბ-ს სასიკვდილო შედეგი, საკასაციო საჩივრებით მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ.

39. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმის მასალებით დასტურდება მსჯავრდებულ ლ. ჯ-ს მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტი. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ იმ ვითარების ანალიზი, რომელშიც მოქმედებდა ლ. ჯ-ი და მის მიერ განხორციელებული ქმედების ხასიათი, რასაც მ. ბ-ს სიცოცხლის მოსპობა მოჰყვა, აშკარად მიუთითებს ლ. ჯ-ს მიერ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნათა დარღვევაზე სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების სახით, რასაც ახლდა მის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის არამართლზომიერი გამოყენება. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლითაც დეტალურად არის განსაზღვრული, თუ რა ვითარებაშია უფლებამოსილი პოლიციის მუშაკი უკიდურესი ღონისძიების სახით გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი, ლ. ჯ-ი შექმნილ ვითარებაში არ იყო უფლებამოსილი მოეხდინა არათუ დამაზიანებელი, არამედ გამაფრთხილებელი გასროლაც კი, ვინაიდან, საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ სროლის მომენტში არსებობდა მ. ბ-ს მხრიდან ლ. ჯ-ს და ან სხვა პირის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის ხელყოფის რეალური საფრთხე.

40. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, რომ ლ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული – სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა არ

ჩაუდენია, არამედ ადგილი ჰქონდა უბედურ შემთხვევას, რომელიც მოჰყვა მის მიერ გამაფრთხილებელ გასროლას. კასატორი საჩივარში მიუთითებს, რომ გამაფრთხილებელი გასროლის განხორციელებისას ლ. ჯ-მ ფეხი წამოჰკრა დაზიანებულ ბეტონის საფარს და წაბორძიკდა, რის შედეგადაც ჰაერში ნასროლმა ტყვიამ შეიცვალა მიმართულება და მოხდა მ. ბ-ს, ხოლო საკასაციო პალატის სხდომაზე კი ახალი ვერსია წარმოადგინა, რომლის მიხედვით, როდესაც ის მიწის საფარიდან გადადიოდა ბეტონის საფარიან გზაზე, რომელიც თავის მხრივ არის შემალღებული, ამ დროს ნაიფორხილა, მუხლი თითქმის დაადო ბეტონის საფარს, რა დროსაც მოხდა გასროლა. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაცვის მხარის არცერთი პოზიციის საფუძვლიანობა არ დასტურდება საქმის მასალებით. სახელდობრ, 1-ლი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას თავად მსჯავრდებულმა და მოწმე მ. ფ-მ კონკრეტულად ვერ მიუთითეს ის საგანი და ადგილი, რასაც თითქოსდა ფეხი წამოკრა ლ. ჯ-მ, ხოლო მის მიერ საკასაციო სასამართლოში წამოდგენილი ახალი ვერსიის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ არსებობს. შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და მასზე თანდართული ფოტოილუსტრაციით დადგენილია, რომ გასროლის ადგილას ბეტონის გზას გააჩნია სწორი ზედაპირი და მასზე არ შეინიშნება რაიმე ისეთი ობიექტი ან დაზიანება, რაზეც შესაძლოა ფეხი წამოეკრა ლ. ჯ-ს. სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაკითხვისას გამოძიებლებმა – გ. ჩ-მ და ვ. ხ-მ აჩვენეს, რომ მათ დაათვალიერეს შემთხვევის ადგილი, რა დროსაც შემთხვევის ადგილზე არსებულ ბეტონის ზედაპირზე რაიმე სახის დაზიანება ან დეფექტი – ორმოების ან ჩაღრმავების სახით, რომელზეც შეიძლება მსჯავრდებულს ფეხი წამოეკრა, ვერ აღმოაჩინეს. ამასთან, ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით დადგენილია, რომ ფეხსაცმელზე, რომელიც შემთხვევის დღეს ეცვა ლ. ჯ-ს, ექსპლუატაციური ცვეთის გარდა სხვა მექანიკური დაზიანება არ აღინიშნებოდა.

41. აღნიშნულ დასკვნასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაკითხვისას ექსპერტ თ. შ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ლ. ჯ-ს ფეხსაცმელზე, რომელიც მას ეცვა შემთხვევის დღეს, შეინიშნება მხოლოდ ექსპლუატაციური ცვეთის ნიშნები. ამასთან, მასზე რაიმე სახის დაზიანება, დამახასიათებელი მექანიკური ზემოქმედებისათვის, არ აღინიშნება. ამდენად, ლ. ჯ-ს მიერ გასროლის დროს ფეხის წამოკერის შემთხვევაში ფეხსაცმელზე აუცილებად უნდა დარჩენილიყო შესაბამისი დაზიანების კვალი, რასაც, მოცემულ შემთხვევაში,

ადგილი არ ჰქონია. საკითხი იმის თაობაზე, რომ ლ. ჯ-ს გასროლის დროს ცეცხლსასროლი იარაღი ლუღით მიმართული ჰქონდა არა ვერტიკალურად ჰაერში, არამედ ჰორიზონტალურად იმ ავტომანქანისაკენ, რომელსაც მართავდა მ. ბ-ე და სწორედ ამ დროს მან მოახდინა არა გამაფრთხილებელი, არამედ მიზანმიმართული გასროლა ავტომანქანის გასაჩერებლად, რასაც მოჰყვა არა მხოლოდ ავტომანქანის დაზიანება, არამედ ასევე ავტომანქანის საჭესთან მჯდომი მ. ბ-ს სიცოცხლის მოსპობაც, უდავოდ დასტურდება აგრეთვე ბალისტიკური და სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებით და შესაბამისი ექსპერტების ჩვენებებით.

42. ბალისტიკური ექსპერტის დასკვნით დადგენილია, რომ გამოსაკვლევი ავტომანქანის წინა საქარე მინაზე არსებული დაზიანება ცეცხლსასროლი წარმოშობისაა და განვითარებულია სპილენძის შემცველი, სავარაუდოდ ძალადაკარგული, ტყვიის მოქმედების შედეგად.

43. ექსპერტ ნ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ლ. ჯ-ს მიერ განხორციელებული გასროლის მიმართულება განისაზღვრა საქარე მინაზე მდებარე დაზიანების ადგილით, რაც მინის ზედაპირიდან დაცილებულია 134 სმ-ით, ასევე დაზარალებულის სხეულზე თავის არეში, თხემ-კეფის საზღვარზე არსებული შემავალ-გამავალი დაზიანებების მიხედვით – ვიზირებით. მანვე განმარტა, რომ ექსპერტებს დადგენილი ჰქონდათ სამი მყარი ნერტილი, რომელთა ვიზირებით უტყუარად დადგინდა, რომ სროლა ნაწარმოებია ავტომანქანის უკანა საქარე მინის მარჯვენა ზედა კუთხის მიდამოში გრძივი ღერძის მიმართ, ვერტიკალურ სიბრტყეში მცირე – 2-5-გრადუსიანი კუთხით, ოდნავ ზემოდან ქვემოთ და ჰორიზონტალურ სიბრტყეში თითქმის ამავე კუთხით, მარჯვნიდან მარცხნივ მიმართულებით (ამავე სავიზირო ხაზზე იმყოფებოდა მ. ბ-ს თავი).

44. სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაკითხვისას ექსპერტმა გ. შ-მ დეტალურად განმარტა, თუ როგორ ხდება „...“ მოდელის პისტოლეტიდან გასროლების წარმოება. ამისთვის საჭიროა გარსაცმი საკეტის ანუ ზედა მოძრავი ნაწილის უკან მოზიდვა, უკიდურესად უკანა მდგომარეობაში, რა დროსაც მჭიდში არსებულ ვაზნას ქვევიდან აწვება ზამბარა და ვაზნა ხვდება ლულაში. გარსაკეტზე ხელის აშვებისას ვაზნა მიდის წინ და თავსდება ლულის სავაზნეში, საკეტი კეტავს ლულის სავაზნეს. ამ დროს პისტოლეტის ჩახმახი მოდის საბრძოლო მდგომარეობაში.

45. აღნიშნული მოდელის პისტოლეტიდან გასროლის წარმოებისათვის საჭიროა ხელში მჭიდროდ დაფიქსირდეს იარაღის

სახელური, რამეთუ მას პირველი დამცველი გააჩნია პისტოლეტის სახელურზე, რომელზე დაჭერის გარეშე სროლის წარმოება შეუძლებელია.

46. სახელურის ხელში მჭიდროდ დაფიქსირების შემდეგ ასევე საჭიროა დაფიქსირდეს თითი სასხლეტ კაუჭზე იმიტომ, რომ პისტოლეტს აქვს ორმაგი დამცველი, რომლებიც განლაგებულია როგორც სახელურზე, ისე სასხლეტ კაუჭზე ანუ შემთხვევითი შეხებით, წარმოდგენილი პისტოლეტის სასხლეტი კაუჭის გამოკვეთით, შეუძლებელია გასროლის განხორციელება, რადგან საამისოდ უნდა არსებობდეს მჭიდრო კავშირი ხელსა და პისტოლეტს შორის. კერძოდ, უნდა დაფიქსირდეს მჭიდროდ მოკიდებული ხელი როგორც სახელურზე, ისე სასხლეტ კაუჭზე – თითის ფალანგი მთელი ფართობით, რათა გაითიშოს სასხლეტ კაუჭზე არსებული დამცველი და მოხდეს გასროლა.

47. ბალისტიკური ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ №... იარაღს არ გააჩნია ავტომატური დამცველი მექანიზმი, სასხლეტის ფეხზე, სახელურის უკანა ფართზე, ნემსას ავტომატური დამცველი, ლულის არასრულად დაკეტვის შემთხვევაში. გასროლა ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მსროლელს მყარად აქვს დაფიქსირებული სახელური დამცველთან ერთად, იარაღისგან სასხლეტის გამოწვევის გარეშე გასროლა არ ხორციელდება.

48. ამრიგად, ამგვარ პირობებში, ფაქტობრივად გამოორიცხულია იმის შესაძლებლობა, რომ მსჯავრდებულ ლ. ჯ-ს მიერ მომხდარიყო აღნიშნული ცეცხლსასაროლი იარაღის შემთხვევითი გასროლა მისი ნებისგან დამოუკიდებლად.

49. მსჯავრდებულმა ლ. ჯ-მ განმარტა, რომ გამაფრთხილებელი გასროლის განხორციელებას აპირებდა მყარად დგომის და არა მოძრაობის მომენტში. ამ უკანასკნელისა და მონმე მ. ფ-ს ჩვენებების მიხედვით, გასროლა მოხდა ლ. ჯ-ს მოძრაობის პროცესში. ასეთ ვითარებაში, გამაფრთხილებელი გასროლის სურვილის შემთხვევაშიც კი, ლ. ჯ-ს მყარი პოზიციის დაფიქსირებამდე, საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანილი „...“ მოდელის ცეცხლსასაროლი იარაღის სასხლეტზე თითი არ უნდა ჰქონოდა დადებული, რაც სინამდვილეში ასე არ იყო. აღნიშნული გარემოება კი პირდაპირ მიუთითებს ლ. ჯ-ს სურვილზე – მოეხდინა არა გამაფრთხილებელი, არამედ გამიზნული გასროლა მოძრავი ავტომანქანის მიმართულებით, მის შესაჩერებლად.

50. გარდა ამისა, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ შეუძლებელია ნაბორძიკების შედეგად ტყვია თითქმის ჰორიზონტალურად,

მხოლოდ მცირედი დახრით (როგორც ეს ბალისტიკური და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნებით არის დადგენილი) წასულიყო ავტომანქანის და არა მინის ზედაპირის მიმართულებით. სადაო არ არის, რომ მ. ბ-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა დიდი სისწრაფით მოძრაობდა და გასროლის განხორციელების მომენტში ლ. ჯ-სგან საკმაო მანძილით იყო დაშორებული, რაც მნიშვნელოვნად ზრდიდა გასროლილი ტყვიის მიზნიდან გადახრისა და, შესაბამისად, ავტომანქანაში მყოფი ადამიანისათვის მისი მოხვედრის რისკს.

51. ასევე სწორია გასაჩივრებულ განაჩენში განვითარებული მსჯელობა იმის თაობაზე, რომ კასატორის პოზიცია, რომლის მიხედვით, შესაძლოა მ. ბ-ს მოხვდა რაიმე მყარი საგნიდან ასხლეტილი ტყვია, რაც არ გამოიკვლია და არ შეაფასა 1-ლი ინსტანციის სასამართლომ, ვერ ჩაითვლება ისეთ გარემოებად, რამაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს ლ. ჯ-ს ბრალეულობა, რადგან ასეთ შემთხვევაშიც კი იარსებებდა მისი მხრიდან სულ ცოტა საფრთხის გათვალისწინების შესაძლებლობა და ვალდებულება.

52. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს პროკურორის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ლ. ჯ-ს საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მსჯავრდების შესახებ და მთლიანად ეთანხმება სააკუსაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი და სასამართლოს მიერ გამოკვლეული მტკიცებულებები არ იძლევა საკმარის საფუძველს, რათა სარწმუნოდ იქნეს მიჩნეული ლ. ჯ-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის – განზრახ მკვლელობის ჩადენა.

53. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ქმედების განზრახ მკვლელობად დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია დადგინდეს სუბიექტის განზრახვა, კერძოდ, მისი მიზანმიმართული ქმედება დაზარალებულის სიცოცხლის მოსპობისაკენ ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, დამნაშავეს მიერ დაზარალებულის სიკვდილის, როგორც შედეგის შეგნებულ დაშვებას ან ამ უკანასკნელის დადგომისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, რასაც, მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონია. როგორც თავად ლ. ჯ-ს ჩვენების, ასევე მისი თანამენყვილის – მ. ფ-სა და შემთხვევის ადგილზე მყოფი სხვა მოწმეების ჩვენებების შინაარსი ადასტურებს, ლ. ჯ-ს მიერ ჩადენილია არა განზრახ მკვლელობა, არამედ მ. ბ-ს სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით, ხოლო საქმეში არ მოიპოვება სხვა მტკიცებულება, რომლითაც სარწმუნოდ დადასტურდებოდა, რომ ლ. ჯ-ს სურდა მ.



ბ-ს მოკვლა ანდა იგი შეგნებულად უშვებდა მის სიკვდილს ან გულგრილად ეკიდებოდა ასეთ შედეგს.

54. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს პოზიციას, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლივი ანალიზით დასტურდება ლ. ჯ-ს ქმედებაში გაუფრთხილებელი დანაშაულის ნიშნების არსებობა, მაგრამ საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ ლ. ჯ-მ გაუფრთხილებლობითი დანაშაული ჩაიდინა დაუდევრობის ფორმით, ვინაიდან მან არ გაითვალისწინა, მის მიერ გასროლის განხორციელების შემთხვევაში, მ. ბ-სათვის ტყვეის მოხვედრის რეალური შესაძლებლობა, რისი გათვალისწინების მოვალეობა მას ეკისრებოდა სამართლებრივად და შეეძლო კიდევ გაეთვალისწინებინა მისი საქმიანობის ხასიათიდან და გამოცდილებიდან, ასევე ცეცხლსასროლი იარაღის თუნდაც გამაფრთხილებელი გასროლისათვის გამოსაყენებლად არახელსაყრელი პირობებიდან გამომდინარე. სააპელაციო სასამართლოს ასეთი პოზიციის საწინააღმდეგოდ საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღწერილ ვითარებაში ლ. ჯ-ს მიზანი იყო არა მ. ბ-ს ჯანმრთელობის დაზიანება ან სიცოცხლის ხელყოფა, არამედ ავტომანქანის შეჩერება, რის გამოც გაისროლა მან ავტომანქანის მიმართულებით, რა დროსაც მას გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, კერძოდ, გარდა ავტომანქანის გაჩერებისა, შესაძლებელი იყო ავტომანქანის საჭესთან მჯდომი ადამიანის, ამ შემთხვევაში, მ. ბ-ს ჯანმრთელობის დაზიანება ან მისი სიცოცხლის მოსპობაც. თუმცა, ლ. ჯ-ი იმაზე დაყრდნობით, რომ ავტომანქანა დიდი სისწრაფით მოძრაობდა და უკვე მისგან შორ მანძილზე იმყოფებოდა, იმედოვნებდა, რომ მოძრავი ავტომანქანის მიმართულებით გასროლის შემთხვევაში არ დადგებოდა სხვა მძიმე შედეგი, გარდა ავტომანქანის დაზიანებისა, ხოლო ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანება ან სიცოცხლის ხელყოფა თავიდან იქნებოდა აცილებული. სინამდვილეში როგორც აღმოჩნდა, იგი უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამჯერად ასეთი შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული. გარდა ამისა, საკასაციო პალატა თვლის, რომ იმ ვითარებაში, როდესაც სუბიექტი ახორციელებს მიზანმიმართულ გასროლას მოძრავი ავტომანქანისაკენ, შეუძლებელია იმავდროულად არ ითვალისწინებდეს გასროლილი ტყვეის მიზნიდან გადახრისა და ამ ავტომანქანაში მყოფი ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანების ან სიცოცხლის მოსპობის შესაძლებლობას, განსაკუთრე-

ბით მაშინ, როდესაც ეს სუბიექტი არის პოლიციელი, მრავალ-  
წლიანი სამსახურებრივი და პროფესიული საქმიანობის, აგრეთ-  
ვე ცეცხლსასროლ იარაღთან ურთიერთობისა და სხვადასხვა  
რთულ სიტუაციებში მისი გამოყენების გამოცდილებით.

55. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩ-  
ნია, ბრალდების მხარის პოზიცია იმის თაობაზე, რომ საქმეში  
წარმოდგენილია უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც და-  
დასტურებულია ლ. ჯ-ს მიერ არაპირდაპირი განზრახვით მ. ბ-ს  
მკვლელობის ჩადენა, საფუძველს მოკლებულია, რადგან საა-  
მისოდ საქმეში არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულებითი ბა-  
ზა, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა მხარის ხსე-  
ნებული პოზიციის დადასტურებულად მიჩნევა.

56. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასა-  
ციო პალატას მიაჩნია, რომ როგორც 1-ლი ინსტანციის, ასევე  
სააპელაციო სასამართლოების მიერ სრულად იქნა გამოკვლე-  
ული საქმეში არსებული, კანონის მოთხოვნათა დაცვით მოპო-  
ვებული მტკიცებულებები, სწორად იქნა დადგენილი ფაქტობ-  
რივი გარემოებები, თუმცა ამ უკანასკნელთ არ მიეცა ზუსტი  
სამართლებრივი შეფასება ლ. ჯ-ს მიერ ჩადენილი ქმედების  
ბრალის ფორმის თვალსაზრისით. კერძოდ, მხედველობაშია ის  
გარემოება, რომ აღნიშნული ქმედება ლ. ჯ-ს მიერ ჩადენილია  
გაუფრთხილებელი ბრალის ისეთი ფორმით, როგორცაა თვი-  
თიმედოვნება და არა დაუდევრობით, როგორც ეს ჩათვალა სა-  
აპელაციო სასამართლომ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღნიშ-  
ნული არ წარმოადგენს ლ. ჯ-ს ქმედების სამართლებრივ შეფა-  
სებაში დაშვებულ ისეთ არსებით ხარვეზს, რაც შეიძლება გამ-  
ხდარიყო გამამტყუნებელი განაჩენის შეცვლის საფუძველი.

57. ამრიგად, საკასაციო პალატა მივიდა შემდეგ დასკვნამ-  
დე: ერთმანეთთან შეთანხმებულ უტყუარ მტკიცებულებათა  
ერთობლიობა გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს, რომ ლ. ჯ-მ  
ჩაიდინა დანაშაულები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს  
სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით – გაუფრთხილებლობით  
სიცოცხლის მოსპობა და იმავე კოდექსის 333-ე მუხლის მე-3  
ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით – მოხელის მიერ სამსახურებრივი უფ-  
ლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლე-  
ბის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ცეცხლსასრო-  
ლი იარაღის გამოყენებით.

58. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ ლ. ჯ-სათ-  
ვის დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღ-  
ნიშნული სასჯელი სავსებით შეესაბამება როგორც ჩადენილ  
ქმედებასთან დაკავშირებულ გარემოებებს, ასევე მისი ჩამდე-

ნის პიროვნებას: ლ. ჯ-ს მიერ ჩადენილია ორი დანაშაული და მისი ქმედებებით გამოწვეულია მძიმე შედეგი. ამასთან ერთად, საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ლ. ჯ-ს წარსული ხასიათდება დადებითად, ქმედების ჩადენის შემდეგ ის შეეცადა პირადად აღმოეჩინა დახმარება დაზარალებულ მ. ბ-სათვის და მიიღო ზომები საიმისოდ, რომ ის დროულად ყოფილიყო გადაყვანილი სამედიცინო დაწესებულებაში. ამავე დროს მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ მის მიერ ქმედება ჩადენილია გაუფრთხილებელი ბრალის უფრო მძიმე ფორმით, რის გამოც, სასამართლოს მიერ მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქება ვერ ჩაითვლება მიზანშეწონილად და დასაბუთებულად. თუმცა მსჯავრდებულ ლ. ჯ-ს სასარგებლოდ არსებული ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ასეთ პირობებში, სასამართლოს მიერ მისთვის დანიშნული სასჯელის გამკაცრება ვერ იქნება მიჩნეული აუცილებელ და საჭირო ზომად მისი გამოსწორებისა და რესოციალიზაციისათვის. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენით მსჯავრდებულ ლ. ჯ-სათვის განსაზღვრული საბოლოო სასჯელი – 7 წლით თავისუფლების აღკვეთა არის სამართლიანი და უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის უფროსი პროკურორის – დავით ლეპერტის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. მსჯავრდებულ ლ. ჯ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ი. გ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2015 წლის 21 დეკემბრის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ**

**მსჯავრდებულის ქმედების გადაკვალიფიცირება  
„განზრახ მკვლელობის მცდელობიდან“ „სულიბნური  
ქვენაგრძობით ჩადენილ ჯანმრთელობის მკიშე  
დაზიანებაზე“**

**განაჩენი  
საქართველოს სახელმწიფო**

№227აპ-16

29 სექტემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე**

განიხილა ლ. მ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ტ. კ-ის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 ნოემბრის განაჩენით ლ. მ., – დაბადებული ... წლის ...ს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა განზრახ მკვლელობის მცდელობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2015 წლის 11 მარტს, დაახლოებით 21.40 საათზე, ...ში, კ-ის, ჭ-სა და ბ-ის ქუჩების გადაკვეთასთან, შსს ...ის რაიონული სამმართველოს შენობის მახლობლად, ნასვამმა ლ. მ-მა, განაწყენებულმა იმით, რომ იმავე დღეს, რამდენიმე საათით ადრე, შსს ...ის რაიონული სამმართველოს შენობაში ყოფნისას, არ მიცეს ამავე რაიონის სოფელ ...ის უბნის ინსპექტორ-გამომძიებელთან შეხვედრის საშუალება, ურთიერთშელაპარაკების დროს, შურისძიების მოტივით, ძირს დაანარცხა და საკუთარი დანის არაერთხელ დარტყმით ჩაიდინა შსს ...ის რაიონული სამმართველოს სამეურნეო უზრუნველყოფის ჯგუფის სპეციალისტის, პოლიციის ზემდეგ თ. რ-ის მკვლელობის მცდელობა, კერძოდ, მას მიაყენა: ყვრიმალ-ზედა ყბისა და მარჯვენა მხრის ძვლის დამსხვრეული მოტეხილობები (სხეულის ნაკლებად მძიმე ხარისხის დაზიანება); ნაკვეთი ჭრილობები – მარჯვენა მხრის,

გულ-მკერდისა და მუცლის მიდამოებში (სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება); ასევე – მარჯვენა თვალბუდის ნაგლეჯი ჭრილობა, ტრავმული ანოფთალმა და სუბკონიუქტივალური სისხლჩაქცევები (სხეულის მძიმე ხარისხის დაზიანება). ლ. მ-მა თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანა ვერ შეძლო მისგან დამოუკიდებელი მიზეზის – დანაშაულის ჩადენის პროცესში შემთხვევის ადგილზე მისული, შსს ...ის რაიონული სამმართველოს მუშაკების – ა. ქ-ას, თ. ჩ-სა და გ. შ-ის მიერ მისი განიარაღებისა და შეპყრობის გამო. თ. რ-ის სიცოცხლის შენარჩუნება მოხერხდა მისთვის დროულად განეული გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შედეგად.

3. აღნიშნული ქმედებისათვის ლ. მ-ს საქართველოს სსკ-ის მე-19,108-ე მუხლით მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენციო 2015 წლის 11 მარტიდან.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატებმა – ტ. კ-ემ და მ. ლ-ემ. მათ ითხოვეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 16 ნოემბრის განაჩენში ცვლილების შეტანა და ლ. მ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით.

5. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულისა და მისი ადვოკატების სააპელაციო საჩივარი და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. კასატორები – მსჯავრდებული ლ. მ. და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ტ. კ. საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, ამიტომ უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საქმეში არ არსებობს ერთი უტყუარი მტკიცებულებაც კი, რომელიც დაადასტურებდა ლ. მ-ის მიერ მკვლელობის მცდელობის ჩადენას; სასამართლომ არაობიექტურად და არაკვალიფიციურად შეაფასა გამოკვლეული მტკიცებულებები და გამოიტანა დაუსაბუთებელი განაჩენი; აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საქმის გამოძიება ჩატარდა ზერელედ და ცალმხრივად; ბრალდების მხარის მოწმეთა (პოლიციელების) ჩვენებები იდენტურია; ამკარაა, რომ ყველა ეს ჩვენება დაწერილია ერთი და იმავე პირის მიერ და ყველა პოლიციელმა უკვე გამზადებულ ჩვენებებს სათითაოდ მოაწერა ხელი, ამიტომ ეს ჩვენებები არ არის სანდო.

7. გარდა ამისა, ლ. მ. არის მემარცხენე (ცაცია); მას არ შეუძლია არანაირი ნივთის გამოყენება მარჯვენა ხელით; შესაბამისად, პოლიციელები ცრუობენ, როდესაც ამბობენ, რომ მას მარ-

ჯვენა ხელით ეჭირა დანა; ლ. მ-ს თ. რ-ის მკვლელობის განზრახვა რომ ჰქონოდა, ის დანას აუცილებლად მარცხენა ხელით დაიჭერდა; მონმე პოლიციელები რომ ცრუობენ, ეს კარგად ჩანს ექსპერტიზის დასკვნებით, რომლებშიც აღწერილია ლ. მ-ის დაზიანებები. იგი ინტენსიურად რომ არ იქნევდა დანას და თ. რ-ეს რომ არ კლავდა, იქიდანაც ირკვევა, რომ ჩხუბი თავიდან ბოლომდე გაგრძელდა დაახლოებით 5-10 წუთს; ამ ხნის განმავლობაში ლ. მ-ს შეეძლო დაახლოებით 200-ჯერ მაინც მოექნია დანა, ანუ მკვლელობის განზრახვა რომ ჰქონოდა, მას სისრულეში აუცილებლად მოიყვანდა.

8. კასატორები ასევე აღნიშნავენ, რომ ყველა არაპოლიციელი მონმე ცალსახად მიუთითებს, რომ ლ. მ. და თ. რ. „ჩხუბობდნენ ხელდახელ“, ერთმანეთს ხელით აყენებდნენ დაზიანებებს და არც ერთი მათგანის ხელში დანა არ დაუნახავთ; არც ერთი მონმე არ ამბობს, რომ ლ. მ-მა პირადად თ. რ-ის მიმართ რაიმე სახის პროტესტი გამოხატა და მოკვლით დაემუქრა; დაზარალებულისათვის მიყენებული ჭრილობებიდან არც ერთი არ არის სიცოცხლისათვის სახიფათო; მათ შორის არაფერი მომხდარა ისეთი, რაც ლ. მ-ს შურისძიების გრძნობას გაუჩენდა. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ ქმედება უნდა დააკვალიფიციროს მიღებული შედეგის მიხედვით.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული ლ. მ. და ადვოკატი ტ. კ. ითხოვენ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 9 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანას და ლ. მ-ის დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლით.

10. სასამართლო პროცესზე კასატორებმა დააკონკრეტეს საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვეს ლ. მ-ის ქმედების დაკვალიფიცირება საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

11. პროკურორმა დ. ს-ამ მოითხოვა, არ დაკმაყოფილდეს საკასაციო საჩივარი და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის განაჩენი ლ. მ-ის მიმართ დარჩეს უცვლელად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორთა მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ: მსჯავრდებულ ლ. მ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის მე-19-108-ე მუხლიდან (განზრახ მკვლელობის მცდელობა) უნდა გადაკვალიფიცირდეს იმავე კოდექსის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე

(ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი ხულიგნური ქვენაგრძნობით) შემდეგ გარემოებათა გამო:

2. სასამართლოს დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად მიაჩნია ის, რომ თ. რ-ს სხვადასხვა ხარისხის (მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი) დაზიანებები მიაყენა ლ. მ-მა, ვინაიდან აღნიშნულს არც დაცვის მხარე უარყოფს და ასევე დასტურდება საქმეში არსებული შემდეგი მტკიცებულებების ერთობლიობით:

3. ბიოლოგიური ექსპერტიზის 2015 წლის 20 მაისის №... დასკვნის თანახმად, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ დანასა და ლ. მ-გან ამოღებულ ტანსაცმელზე, ფეხსაცმელსა და ქამარზე აღმოჩნდა ადამიანის სისხლი, რომელიც იდენტიურია ლ. მ-სა და თ. რ-ის გენეტიკური პროფილის; თ. რ-ის ტანსაცმელზე, ერთ ცალ ბანქოსა და კეპიან ქუდზე აღმოჩენილი ადამიანის სისხლი იდენტიურია თ. რ-ის გენეტიკური პროფილის, ხოლო დოლბანდის ფრაგმენტზე არსებული მონიათალო-მოყავისფრო ლაქა – ლ. მ-ის გენეტიკური პროფილის.

4. სამედიცინო ექსპერტიზის 2015 წლის 27 მარტის №... დასკვნით, პირადი შემონმებისას ლ. მ-ს სხეულზე გარეგნულად აღენიშნებოდა დაზიანებები ნაჭდევებისა და სისხლნაჟღენთების სახით, რომლებიც განვითარებულია რაიმე მკვრივ-ბლავი საგნის (საგნების) ზემოქმედების შედეგად და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად.

5. ტრასოლოგიური ექსპერტიზის 2015 წლის 5 ივნისის №... დასკვნით, გამოსაკვლევად წარმოდგენილი, შემთხვევის ადგილიდან ამოღებული დანა მიეკუთვნება ცივ იარაღთა კატეგორიას; თ. რ-ის ტანსაცმელზე ლოკალიზებულ მიდამოებში არსებული დაზიანებები განვითარებულია ჭრით, რომელთა მიყენების შესაძლებლობა არ გამოირიცხება გამოსაკვლევი დანითაც, ასევე – ხევით, მექანიკური (შესაძლო ფიზიკური) ზემოქმედების შედეგად, ხოლო ლ. მ-ის ტანსაცმელზე არსებული დაზიანებები – როგორც რღვევით, მექანიკური ზემოქმედების შედეგად, ასევე – კვალწარმომშობ ობიექტთან დინამიკური კონტაქტისას.

6. მონმების: თ. რ-ის, ა. ქ-ას, გ. შ-ისა და გ. ხ-ას ჩვენებებით, ლ. მ-ს ხელში ეჭირა დანა და ურტყამდა თ. რ-ეს, რასაც არც თავად მსჯავრდებული და მისი ადვოკატი უარყოფენ. ლ. მ-მა საბოლოო სიტყვაში განმარტა, რომ იგი თ. რ-ეს შემთხვევით შეხვდა; მათ შორის მოხდა შელაპარაკება, რაც გადაიზარდა ჩხუბში, მიიღო დაზიანებები, გამწარდა და დანა გამოიყენა მხოლოდ თ. რ-ის მოსაგერიებლად, ხოლო როდესაც მიხვდა, რომ



დანას იქნევდა, თვითონვე გადააგდო. მას თ. რ-ის მკვლელობის განზრახვა არ ჰქონია. დაზარალებულის ჩვენებით, იგი ლ. მ-ს შეხვდა შინაგან საქმეთა ხონის რაიონული სამმართველოს წინ, სადაც ისინი შელაპარაკდნენ და ლ. მ-მა დანიანი მუშტი მოულოდნელად დაარტყა მას მარჯვენა თვალში. დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი წაიქცა; მან ვერ დაინახა, პირველი დარტყმის დროს თავდამსხმელს დანა ეჭირა ხელში თუ სახრახნისი; დანა დაინახა პოლიციელების მისვლის შემდეგ ავტომანქანის ფარების მინათებისას, როდესაც ისინი წაქცეულები იყვნენ და ლ. მ-ს ზევით აწეულ მარჯვენა ხელში ეჭირა დანა.

7. დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის 2015 წლის 4 მაისის №... დასკვნით, საქმეზე წარმოდგენილი დანის ზედაპირზე აღინიშნება ხელის დვრილოვანი ხაზების კვლები, ფრაგმენტებისა და მცირე ზომის ნაწყვეტების სახით, რომლებიც პიროვნების იდენტიფიკაციისათვის უფარგისია.

8. საკაცო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავოა ჩადენილი ქმედების კვალიფიკაცია: ანუ ლ. მ-ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება წარმოადგენს განზრახ მკვლელობის მცდელობას, თუ ჯანმრთელობის განზრახ მიძიმე დაზიანებას.

9. მიგვაჩნია, რომ ზემოაღნიშნული ორი სამართლებრივი მოცემულობის გამიჯვნის დროს, ქმედების კვალიფიკაციისას შეცდომის გამოსარიცხად სასამართლოებმა ზედმიწევნით დეტალურად უნდა შეისწავლონ და გააანალიზონ საქმეში არსებული ყველა გარემოება, რადგან გამოსაკვეთია დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის – განზრახვის ელემენტი, რომლის (ანუ განზრახვის) მიმართულებაც განასხვავებს განზრახ მკვლელობის მცდელობას ჯანმრთელობის მიძიმე დაზიანებისგან. განზრახვის დასადგენად კი შესწავლილ უნდა იქნეს: დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება, დაზიანებათა რაოდენობა, ხასიათი და მათი ლოკალიზაცია, როგორ ვითარებაში იქნა ისინი მიყენებული, დამნაშავისა და მსხვერპლის ურთიერთდამოკიდებულება საერთოდ და დაზიანების მიყენების მომენტში და სხვ.

10. ამიტომ საკასაციო პალატა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საქმეში არსებულ შემდეგ გარემოებებზე:

- როგორც დაზარალებული ზ. რ. ჩვენებაში მიუთითებს, პოლიციის შენობაში ლ. მ-თან პირველი შეხვედრიდან დაახლოებით სამი საათის შემდეგ, იქვე, კ-ის ქუჩაზე, შეხვდა ლ. მ-ს. დაზარალებულის ჩვენების შინაარსიდან არ იკვეთება ლ. მ-ის მხრიდან მასთან წინასწარ დაგეგმილად შეხვედრის მცდელობა (მაგალითად ის, რომ ლ. მ-მა ზ. რ. დაინახა და ამიტომ მივიდა მას-

თან, რომ იგი დაზარალებულს ელოდებოდა შემთხვევის ადგილზე). სასამართლო სხდომაზე ლ. მ-მა განმარტა, რომ იგი სრულიად შემთხვევით შეხვდა დაზარალებულს. საწინააღმდეგოს დასადასტურებლად კი ბრალდების მხარეს სასამართლოში რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მათი შემთხვევითი შეხვედრის ფაქტი საკასაციო სასამართლოსთვის დადგენილად მიჩნეულ სამართლებრივ მოცემულობას წარმოადგენს.

- მონმეების – თ. ჩ-ის, გ. შ-ის, ა. ქ-ას, გ. ხ-ას, გ. ფ-ას სასამართლოში მიცემული ჩვენებებიდან ირკვევა, რომ ლ. მ-სა და თ. რ-ს შორის ჩხუბი გრძელდებოდა დაახლოებით 2-დან 5 წუთამდე, ხოლო მონმე რ. თ-ს ჩვენებით – 5 წუთზე მეტ ხანს; დაზარალებულმა პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხვისას განაცხადა, რომ იგი ლ. მ-ს წინააღმდეგობას უწევდა ერთი ხელით, რადგან, სავარაუდოდ, დაცემისას მიიღო მარჯვენა მხრის ძვლის მოტეხილობა და ფაქტობრივად ცალი ხელი პარალელური ჰქონდა (იხ. პირველი ინსტანციის სხდომის ოქმი).

- სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2015 წლის 17 აპრილის №... დასკვნით, თ. რ-თვის მიყენებული დაზიანებები, ნაკვეთი ჭრილობების სახით, განვითარებულია რაიმე მჭრელი თვისების მქონე საგნის მოქმედებით. დაზიანება მარჯვენა მხრის მიდამოში არსებული, 1,5X1,0 სმ ზომის ჭრილობის სახით მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლის ნიშნით, ხოლო დაზიანებები გულმკერდის არეში მარჯვნივ – მე-8-მე-9 ნეკნებისა და მარცხნივ – მე-2-მე-3 ნეკნების დონეზე და მუცლის მიდამოში არსებული ჭრილობების სახით – სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს (ჯანმრთელობის მოშლით თუ მოუშლელად, აღნიშნულის განსაზღვრა შეუძლებელია); დაზიანებები ყვრიმალ-ზედა ყბისა და მარჯვენა მხრის ძვლის დამსხვრეული მოტეხილობების სახით განვითარებულია რაიმე მკვრივ-ბლავი საგნის (საგნების) ზემოქმედების შედეგად და მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა ნაკლებად მძიმე ხარისხს, ჯანმრთელობის ხანგრძლივი მოშლის ნიშნით; მარჯვენა თვალებუდის ნაგლეჯი ჭრილობის, ტრავმული ანოფთალმიის, სუბკონიუქტივალური სისხლჩაქცევების მიმყენებელი საგნის განსაზღვრა შეუძლებელია, ვინაიდან წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციაში მითითებული არ არის დაზიანების (ჭრილობის) სრულყოფილი მორფოლოგიური სურათი; აღნიშნული დაზიანება მიეკუთვნება სხეულის დაზიანებათა მძიმე ხარისხს, საერთო შრომის უნარის 35%-ით მყარი დაკარგვით.

11. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების გაანალიზების შედეგად, საკასაციო პალატა აღნიშნავს: სახელმწიფო ბრალდების პროზიკიაში ბუნდოვანია საკითხი – როდის წარმოემვა ლ. მ-ს მკვლელობის განზრახვა: თ. რ-თან ურთიერთშელაპარაკებისას, მანამდე თუ ამის შემდეგ, მაშინ, როდესაც მის მიერ ჩადენილი ქმედების სწორი კვალიფიკაციისათვის ეს გარემოება იძენს ერთ-ერთ განმსაზღვრელ მნიშვნელობას. თუკი ლ. მ-ს მკვლელობის განზრახვა თავიდანვე (ურთიერთშელაპარაკებისას ან მანამდე) გააჩნდა, მაშინ რა უშლიდა ხელს, რომ დანიანი მუშტის მაგივრად (საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ დანა მჭრელი პირის მხრიდან ჩაარტყა ლ. მ-მა დაზარალებულს. დაზიანების მორფოლოგიური სურათიდან და დაზარალებულის ჩვენებიდან გამომდინარე, ასევე დანის ფორმისა და ზომის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დანა ტარის მხრიდან არის ჩარტყმული) დანა მჭრელი პირის მხრიდან ჩაერტყა, რათა მყისიერად აღესრულებინა დასახული მკვლელობის მიზანი.

12. ხოლო თუ მსჯავრდებულს მკვლელობის განზრახვა ურთიერთშელაპარაკებისა და დანიანი მუშტის ჩარტყმის შემდეგ წამოემვა, რატომ ვერ მოახერხა საშუალო ფიზიკური შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდამ, მსუბუქად მთვრალმა (ალკოჰოლური თრობის ფაქტის დადგენის სამედიცინო შემოწმების დასკვნის მიხედვით, ლ. მ-ს დაუდგინდა მსუბუქი ხარისხის ალკოჰოლური თრობა), რომელიც შეიარაღებულია დაახლოებით 20 სმ სიგრძის დანით, 2-5 წუთის განმავლობაში თავისი დანაშაულებრივი განზრახვის (მკვლელობის) სისრულეში მოყვანა, მით უმეტეს – იმ პირობებში, როცა ნაქცევის შედეგად დაზარალებულმა მიიღო მარჯვენა მხრის დაზიანება და როგორც თავის ჩვენებაში აღნიშნავს – „მარჯვენა ხელი აღარ ჰქონდა“, განიცდიდა გაუსაძლის ტკივილს ასევე თვალის მიდამოში და თვალის დანამოსული სისხლის გამო მხედველობაც მნიშვნელოვნად ჰქონდა შეზღუდული.

13. შესაბამისად, საკასაციო პალატისათვის არ არის სარწმუნო, რომ მკვლელობის განზრახვით შეპყრობილ ლ. მ-ს ნაქცეული და უკვე ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებამიყენებული თ. რ-თვის დანის გამოყენებით მხოლოდ ჯანმრთელობის მსუბუქი ორი დაზიანების მიყენებლა მოეხერხებინა.

14. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზემომითითებული ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა გამორიცხავს ლ. მ-ის მიერ თ. რ-ის მკვლელობის მცდელობის განზრახვას და მკაფიოდ მიუთითებს მისთვის მხოლოდ ჯანმრთელობის მძიმე და-

ზიანების მიყენების მიზანზე, კერძოდ: საქმის მასალებით არ დადგინდა, რომ ლ. მ. დაზარალებულს განგებ შეხვდა განზრახვის (მკვლელობის) სისრულეში მოსაყვანად; ასევე არ დადგინდა, რომ პირველი ფიზიკური დაპირისპირებისას ლ. მ-მა თ. რ-ეს დანა მჭრელი პირით ჩაარტყა მარჯვენა თვალებუდის არეში; ლ. მ-თვის არ არსებობდა განსაკუთრებული მოტივი განზრახ მკვლელობის ჩასადენად – დაზარალებულის ქცევაში არსებობდა უმნიშვნელო საბაბი (მხედველობაში გვაქვს შემთხვევამდე დაახლოებით სამი საათით ადრე პოლიციის შენობიდან თ. რ-ის მიერ ლ. მ-ის გაყვანის ფაქტი, რა დროსაც მათ ერთმანეთისათვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ – იყო მხოლოდ ხმამაღალი საუბარი), რომელიც ნორმალურ ადამიანურ ურთიერთობაში ვერ წარმოშობდა შურისძიების გრძნობას. ამასთან, სასამართლოს მიაჩნია, რომ სანამ პოლიციელები ლ. მ-ს განაიარაღებდნენ, მას ჰქონდა საკმარისი დრო და საშუალება მკვლელობის განზრახვის სისრულეში მოსაყვანად.

15. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, თითქოს საქმე გვაქვს შურისძიებასთან, მაგრამ სინამდვილეში სახეზეა უმნიშვნელო საბაბით განპირობებული ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მოტივი, რაც სამართლებრივად უნდა შეფასდეს როგორც ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი ქმედება. მსგავს შემთხვევებში, დაზარალებულისადმი სამაგიეროს მიზღვისკენ დამნაშავის სწრაფვა არ ეფუძნება რაიმე ანგარიშგასანევ, სერიოზულ საფუძველს (მაგალითად, დაზარალებულის მხრიდან შეურაცხყოფას, ანდა დამნაშავის ან მისი ახლობლის მიმართ მართლსაწინააღმდეგო ძალადობასა თუ სხვა უკანონო ქმედებას და ა.შ.), რის გამოც მისი ქმედების სუბიექტური შინაარსი, მოტივაციის თვალსაზრისით, შესაბამისად ფასდება ხულიგნურ ქვენაგრძნობად.

16. სწორედ ამგვარი ვითარება დგინდება საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობიდან გამომდინარე, პირველ რიგში კი თვით დაზარალებულის ჩვენებით, რომელიც გადმოსცემს მათი შემთხვევითი შეხვედრისას ლ. მ-თან მისი საუბრის შინაარსს, ვიდრე ეს უკანასკნელი მის წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებაზე გადავიდოდა. მსჯავრდებულის მიერ ამ შეხვედრისას დაზარალებულის მიმართ გამოთქმული პრეტენზია და დაზარალებულის მიერ გაცემული პასუხის შინაარსი, რომელიც სასამართლოს მიერ, როგორც ფაქტობრივი გარემოება, სწორად არის დადგენილი უტყუარ მტკიცებულებად მიჩნეული დაზარალებულის ჩვენებით (ლ. მ-ის მიერ თ. რ-ის მიმართ გამოთქმული პრეტენზია: რატომ არ შეუშვეს ის პოლიცი-

აში და რატომ არ შეახვედრეს ის მისი უბნის ინსპექტორს; თ. რ-ის მიერ მისთვის გაცემული პასუხი: ხომ უთხრა მას, რომ არ იყო ის პიროვნება სამსახურში, წასულიყო, შარს ნუ ეძებდა და პოლიციაში ფხიზელი მისულიყო...) ვერაფრით ვერ შეფასდება ისეთ, არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტორად, რასაც შეიძლება ეყრდნობოდეს შურისძიება, როგორც მოტივი, რომელსაც ბევრად უფრო მნიშვნელოვანი საფუძველი სჭირდება. ამიტომ მცდარი პოზიციაა, რომ დაზარალებულის ნებისმიერი ქცევა ან რაიმე გამონათქვამი, რის გამოც, შესაძლოა, დამნაშავე განეწყოს მის წინააღმდეგ და მას დაზარალებულის მიმართ ჩამოუყალიბდეს სამაგიეროს მიზღვის განცდა და სწრაფვა, სამართლებრივად ყოველთვის შეფასდეს როგორც შურისძიების საფუძველი, ხოლო ამ ნიადაგზე აღმოცენებული დამნაშავეის შინაგანად მამოძრავებელი, ფსიქოლოგიური მუხტი კი, როგორც შურისძიების მოტივი.

17. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მტკიცების სტანდარტად განიხილავს რა „გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს“, განმარტავს, რომ ასეთი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, ნათელი და ურთიერთდაკავშირებული დასკვნებიდან, რომლებიც უდავო, საკმარისად მტკიცე და ზუსტ ხასიათს ატარებს და არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ თეორიულ ჰიპოთეზას. ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, როგორიცაა განზრახი მკვლელობა, აუცილებელია, რომ დანაშაულის სუბიექტი მოქმედებდეს განზრახვით, ჩაიდინოს მკვლელობა, რაც უნდა ეფუძნებოდეს შესაბამის მიზანს, მოტივს, ქმედებაში გამოვლენილ მართლსაწინააღმდეგო ნებას, ქმედების განხორციელების სახესა და ხერხს. სასამართლო ასევე განმარტავს, რომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისათვის სავალდებულოა დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის დასადასტურებლად პირდაპირი მტკიცებულებების არსებობა; მოცემულ შემთხვევაში საქმეზე მოპოვებული და გამოკვლეული მტკიცებულებების ერთობლიობით არ დასტურდება ლ. მ-ის მიერ მკვლელობის მცდელობის ჩადენის ფაქტი.

18. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ლ. მ-მა ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება ხულიგნური ქვენაგრძობით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

19. რაც შეეხება კასატორთა მითითებას ბრალდების მხარის მონმე პოლიციელების გამოძიებაში მიცემული ჩვენებების იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით, საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან საქართველოს სსკ-ის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესა-

ბამისად, სასამართლოს განაჩენი ეყრდნობა სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ მტკიცებულებებს, გამოძიებაში მათ მიერ მიცემული ჩვენებების მხედველობაში მიუღებლად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ლ. მ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ტ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 9 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. მსჯავრდებულ ლ. მ-ის ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის მე-19, 108-ე მუხლით, გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 7 (შვიდი) წლით თავისუფლების აღკვეთა.

4. დანარჩენ ნაწილში განაჩენი დარჩეს უცვლელად.

5. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. დანაშაული საქმობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ**

#### **გაუპატიურება**

#### **განაჩენი საქართველოს სახელით**

№338აპ-16

29 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ქეთევან ვაშაკიძისა და მსჯავრდებულ გ. ზ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – დ. ა-სა და ფ. ს-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 თებერვლის განაჩენით გ. ზ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გაადაკვალიფიცირდა სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

2. გ. ზ-ი, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეუმცირდა 1/4-ით და საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. გ. ზ-ს სასჯელის მოხდა დაენყო 2015 წლის 3 ივლისიდან.

3. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებები: გ. ზ-ს კუთვნილი მობილური ტელეფონი, თ. მ-ს კუთვნილი მობილური ტელეფონი, თ. მ-სა და გ. ზ-ს კუთვნილი ტანსაცმელი უნდა დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელებს; ნაცხის ნიმუში, სისხლის, ნერწყვისა და თმის ნიმუშები საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

4. განაჩენით მსჯავრდებულ გ. ზ-ს მიერ ჩადენილი დანაშა-



ული გამოიხატა შემდეგში: 2015 წლის 2 ივლისს ქალაქ ..., ... სტადიონთან არსებულ ფიჭვნარში, ე.წ. „...“ ... მიმდებარე ტერიტორიაზე, გ. ზ-მ ძალადობითა და ძალადობის მუქარით დაამყარა სქესობრივი კავშირი თ. მ-თან.

5. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის განაჩენით დარჩა უცვლელად, კერძოდ: გ. ზ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე.

6. გ. ზ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დანიშნული სასჯელი შეუმცირდა 1/4-ით და საბოლოოდ გ. ზ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაენიშნა 2015 წლის 3 ივლისიდან.

7. საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებები: გ. ზ-ს კუთვნილი მობილური ტელეფონი, თ. მ-ს კუთვნილი მობილური ტელეფონი, თ. მ-სა და გ. ზ-ს კუთვნილი ტანსაცმელი უნდა დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელებს; ნაცხის ნიმუში, სისხლის, ნერწყვისა და თმის ნიმუშები საქმეზე საბოლოო გადანაცვების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს.

8. თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორი ქეთევან ვაშაკიძე საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ გ. ზ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და განესაზღვროს კანონით გათვალისწინებული სასჯელი.

9. კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული განაჩენი დაუსაბუთებელია; საქმის არსებითი განხილვის დროს გამოკვლეული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება, რომ გ. ზ-მ ჩაიდინა თ. მ-ს გაუპატიურება; სასამართლომ არ გაიზიარა მხოლოდ ის ფაქტი, რომ გ. ზ-მ იცოდა თ. მ-ს ასაკი.

10. წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნების დამადასტურებელი ყველა გარემოება მოცემულ საქმეში გამომდინარეობს მტკიცებულებებიდან და მტკიცებულებათა ერთობლივი ანალიზიდან. არცერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ გ. ზ-სათვის არ იყო ცნობილი თ. მ-ს არასრულწლოვანება, სასამართლოში წარმოდგენილი არ ყოფილა.

11. სასამართლო კვალიფიკაციის შეცვლისას დაეყრდნო მხოლოდ ბრალდებულის ჩვენებას, რომელმაც აჩვენა, რომ არ იცოდა თ. მ-ს ასაკი. განაჩენით კი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდა, რომ გ. ზ-მ გააუპატიურა თ. მ-ი, ხოლო ჩვენების მიცემისას იგი ცრუობდა.

12. მსჯავრდებულ გ. ზ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატები – დ. ა-ი და ფ-ნ ს-ი საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის განაჩენის გაუქმებასა და გ. ზ-ს უდანაშაულოდ ცნობას მისი ბრალეულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებების საქმეში არარსებობის და საქმის განხილვისას დაშვებული საპროცესო კანონის მოთხოვნების არსებითი დარღვევების გამო.

13. კასატორები საჩივარში მიუთითებენ, რომ თელავის რაიონულმა სასამართლომ საქმე განიხილა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმებით და არ იხელმძღვანელა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის დებულებებით, რომელიც ძალაში იყო 2016 წლის 1 იანვრიდან და ამოქმედდა განაჩენის დადგომამდე 1 თვითა და 12 დღით ადრე, რაც წარმოადგენს დარღვევას.

14. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს იცავდა ადვოკატი, რომელსაც არ ჰქონდა გავლილი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სპეციალიზებული კურსი, არ გააჩნდა შესაბამისი სერთიფიკატი, რითაც ცალსახად დაირღვა ბრალდებულის დაცვის უფლება.

15. სასამართლომ წარდგენილი ბრალდება გადააკვალიფიცირა მძიმე კატეგორიის დანაშაულზე და არ განიხილა განრიდების განხილვის შესაძლებლობა.

16. სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ზ-ს ჰქონდა შავტარიანი დანა და ემუქრებოდა თ. მ-ს, რითაც დგინდება ძალადობის ფაქტი. კასატორების მოსაზრებით, აღნიშნული არგუმენტაციის საწინააღმდეგოდ მოქმედებს გ. ზ-ს ბინის ჩხრეკისა და დაკავების ოქმი.

17. განაჩენს საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ გ. ზ-ს სხეულზე გააჩნდა ნაკანრები, ხოლო თ. მ-ს აწყვეტილი ჰქონდა საქამრე და გააჩნდა სისხლნაჟღენთები მკერდსა და ყელთან, რაც ძალადობაზე მიუთითებს. კასატორების მოსაზრებით, გ. ზ-ი იყო თავისუფლებაში დაკავებამდე და მისი და ასევე მისი მეგობრის ჩვენებებით დადგენილია, რომ გ. ზ-მ იჭიდავა მეგობართან და ეს ნაკანრები ამ დროს იყო შეძენილი.

18. სასამართლომ განაჩენში მიუთითა, რომ ძალადობა გა-

მოიხატა გ. ზ-ს მიერ თ. მ-ს ტყეში ძალით შეყვანაში, რაც, კასატორების მოსაზრებით, არ შეესაბამება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. დაზარალებული თ. მ-ი ბევრ შემთხვევაში ტყუილით მალავს სიმართლეს, იგი თავის ჩვენებებში გამორიცხავს საკუთარ ბრალეულობას და ძალადობაზე მიუთითებს თავის გასამართლებლად.

19. სასამართლომ არ გაითვალისწინა სატელეფონო კონტაქტი დაზარალებულსა და კანონთან კონფლიქტში მყოფ შორის სქესობრივი კონტაქტის შემდეგაც. განაჩენში საერთოდ არ არის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ თ. მ-მა სქესობრივი კონტაქტის დამალვის მიზნით სასწრაფოდ გარეცხა ტანსაცმელი და ტრუსი, რამაც განაპირობა ის, რომ არცერთი სახის ბიოლოგიური კავშირი გ. ზ-ს და თ. მ-ს შორის არ დადასტურდა.

20. საქმეში არსებული ჩვენებები ეწინააღმდეგება სააპელაციო სასამართლოს იმ დასაბუთებას, რომ გ. ზ-ს მხრიდან ადგილი ჰქონდა თ. მ-ე ძალადობას.

21. კასატორების მოსაზრებით, გ. ზ-ს მხრიდან თუნდაც ნებაყოფლობითი სქესობრივი კონტაქტი დაზარალებულ თ. მ-თან არ დგინდება არცერთი მტკიცებულებით, შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ რომ გ. ზ-ს ფიზიკური კონტაქტი ჰქონდა თ. მ-თან; გ. ზ-ს აღიარება ნებაყოფლობითი კონტაქტის შესახებ გამოწვეული იყო მისი დაშინებითა და საპროცესო შეთანხმების სურვილით. ის ფაქტი, რომ სწორედ გ. ზ-ს მხრიდან მოხდა თ. მ-ს საქალწულე აპკის დარღვევა არ დგინდება და საეჭვოა, ვინაიდან თ. მ-ს მობილური ტელეფონის დათვალიერების შედეგად ამოღებული შეტყობინებებით დგინდება, რომ მას სასიყვარულო მიმონერები ჰქონდა პარალელურად სხვა პირებთან. მიმონერებს შორის განსხვავება ზოგან არის წამები და ამდენად ადვილად შესაძლებელია თ. მ-ს სხვამ დაურღვია საქალწულე აპკის მთლიანობა. აღნიშნულ არგუმენტს ამყარებს ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნები, არ აღმოჩნდა ურთიერთგარდამავალი ბოჭკოები, გ. ზ-ს სპერმის კვალი, არ არსებობს მოწმე, რომელიც მათი კავშირის თვითმხილველია, არ არსებობს ბიოლოგიური მასალა, რაც კავშირში იქნება გ. ზ-თან. ამგვარად არ არსებობს მხარეთა შორის სქესობრივი კონტაქტის მტკიცებულება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ჩვენების გარდა, რომელიც მიღებულ იქნა კანონის არსებითი დარღვევით და ასეთ მტკიცებულებებს ძალა არ გააჩნია.

22. საკასაციო პალატის სხდომაზე თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ქეთევან ვაშაკიძემ ვრცლად მიმოი-

ხილა საქმის მასალები, მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

23. საკასაციო პალატის სხდომაზე კანონთან კონფლიქტში მყოფი მსჯავრდებულის – გ. ზ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა – დ. ა-მ და ფ. ს-მ ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები და იშუამდგომლეს მათ მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რასაც მხარი დაუჭირეს მსჯავრდებულმა გ. ზ-მ და მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა – ს. ზ-მ.

24. საკასაციო პალატის სხდომაზე დაზარალებულ თ. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ფ-მ მხარი დაუჭირა თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ქეთევან ვაშაკიძის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმნენ დაზარალებული თ. მ-ი და მისი კანონიერი წარმომადგენელი ა. მ-ი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ქეთევან ვაშაკიძისა და მსჯავრდებულ გ. ზ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – დ. ა-სა და ფ. ს-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა კასატორთა მოთხოვნას მსჯავრდებულ გ. ზ-ს უდანაშაულოდ ცნობისა და მისი გამართლების თაობაზე არ ეთანხმება, რადგან წარმოდგენილ საქმის მასალებში საამისოდ არ მოიპოვება კანონიერი და დასაბუთებული საფუძველი. ამასთან, 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ მის მიმართ გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენებში ჩამოყალიბებული დასკვნები ინკრიმინირებულ ქმედებებში მისი ბრალეულობის თაობაზე სავსებით აკმაყოფილებს გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რასაც ადასტურებს საქმეში არსებული, კანონიერი გზით მოპოვებული, უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა.

3. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ზ-ს ჰქონდა სქესობრივი კავშირი დაზარალებულ თ. მ-თან, რასაც ადასტურებს 1-ლი ინსტანციის სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას როგორც დაზარალებულ თ. მ-ს, ასევე თვით მსჯავრდებულ გ. ზ-ს მიერ მიცემული ჩვენებები. აღსანიშნავია

შემდეგი გარემოება(ც): ის ფაქტი, რომ არასრულწლოვან დაზარალებულსა და ასევე არასრულწლოვან მსჯავრდებულს შორის ნამდვილად მოხდა სქესობრივი კავშირი, დაცვის მხარეს არ გაუხდია სადავოდ არც სააპელაციო საჩივრით.

4. აღნიშნული მტკიცებულებები წარმოადგენენ პირდაპირ ჩვენებებს, რომელთა სარწმუნოობა დასტურდება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვით საქმეზე მოპოვებული სხვა მტკიცებულებებითაც, კერძოდ, მხედველობაშია საქმეზე ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის საფუძველზე გაცემული დასკვნა, ექსპერტ ე. ჩ-ს ჩვენება, დაზარალებულის დედის, მონმის სახით დაკითხული თ. მ-ს ჩვენება და მონმე თ. ს-ს ჩვენება. სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნითა და ექსპერტ ე. ჩ-ს ჩვენების თანახმად, თ. მ-ს საქალწულე აპკის მთლიანობა დარღვეულია – არ არის მთელი, განვითარებულია რაიმე მკვერივი ბლაგვი საგნის (შესაძლებელია მამაკაცის ერეგირებული სასქესო ასოს) მოქმედებით. მისი დარღვევის ხანდაზმულობა არ ენიშნავს დაზარალებულს მოგზაობაში მითითებულ თარიღს – 02.07.2015 წ.

5. მონმე თ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 2 ივლისს, როდესაც ის სამხახურში იმყოფებოდა, მისმა შვილმა – თ. მ-მ მობილური ტელეფონით გაუგზავნა შეტყობინება, რომ 13.00 საათიდან ნახევარი საათით გადიოდა სახლიდან ამხანაგთან შესახვედრად. დაახლოებით 15.00 საათზე დაურეკა თ-ს და ჰკითხა სად იმყოფებოდა იმ მომენტისათვის, თ. იმ დროისთვის უკვე სახლში იყო. როდესაც თ-ს ესაუბრა ტელეფონზე, მას აღელვებული ხმა ჰქონდა და ჰკითხა სახლში ჰქონდათ თუ არა „საფენები“, რადგან ჰქონდა სისხლდენა, რაზედაც უპასუხა, რომ არ ჰქონდათ, თან ასევე გაუკვირდა, რადგან მას სამი დღის უკან დაუმთავრდა მენსტრუაციული ციკლი. თვითონ სახლში საღამოს ცხრის ნახევრიდან ცხრა საათამდე დაბრუნდა, თ. დახვდა ქუჩაში, მოეფერა მას, რა დროსაც შეამჩნია, რომ ყელზე ჰქონდა ორი დიდი შავი ლაქა, ლურჯი სისხლჩაქცევა. თ. და თვითონ სახლში როცა შედიოდნენ, მან დაინახა, რომ თ. უკნიდან იყო სისხლიანი და ძალიან შეშინებული. მონმის ჩვენებით, თ. ცუდად გახდა, გული მისდიოდა, რის გამოც გამოიძახა სამედიცინო სასწრაფო დახმარება და ის გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც მას გაუკეთდა ოპერაცია. აღნიშნულის გამო საავადმყოფოში პოლიციის თანამშრომლების გამოცხადების შემდეგ მისთვის ცნობილი გახდა, რომ იმ პერიოდში, როდესაც თ. სახლიდან გავიდა, იგი შეხვდა მსჯავრდებულ გ. ზ-ს, რომელთა შორის მოხდა სქესობრივი ურთიერთობა, თ-ს განცხადების მიხედ-

ვით, მსჯავრდებულის მხრიდან მის მიმართ ძალადობის გამოყენებით.

6. მსჯავრდებულ გ. ზ-ს მეგობრის – მონმე ო. ს-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 2 ივლისს, დაახლოებით ორი საათისაკენ გ. ზ-ი მივიდა მასთან და უთხრა, რომ შეხვდა თ-ს და მათ შორის იყო ინტიმური ურთიერთობა თ. მ-ს ნებით.

7. საკასაციო პალატა იზიარებს და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ 2015 წლის 2 ივლისს ქალაქ ..., ... სტადიონთან არსებულ ფიჭვნარში, ე.წ. „...“ ... მიმდებარე ტერიტორიაზე, გ. ზ-მ ძალადობითა და ძალადობის მუქარით დაამყარა სქესობრივი კავშირი თ. მ-თან, რას ასევე დასტურდება საქმეში არსებული სარწმუნო მტკიცებულებებით.

8. არასრულწლოვანი მონმის სახით დაკითხული დაზარალებულ თ. მ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 2 ივლისს მას დილის 10 საათზე გ-მ მიწერა და მოიკითხა. შემდეგ 12 საათისთვის მიწერა, რომ მასთან შეხვედრა სურდა, იგი დათანხმდა შეხვედრაზე და შეთანხმდნენ, რომ ... სტადიონზე, ... შეხვედროდნენ ერთმანეთს. შეხვედრის ადგილი მისი სახლიდან 5-10 წუთის სავალზე იყო. მისი იქ მისვლიდან დაახლოებით ორ წუთში გ-ც მივიდა, ჰკითხა რომ იყო თუ არა ის თ., დასხდნენ ... კიბეზე და საუბრობდნენ. შემდეგ გ-მ მას უთხრა, რომ იქ ხალხი მოძრაობდა, ვერ ილაპარაკებდნენ და სადმე მოფარებულ ადგილას გასულიყვნენ. ისიც დათანხმდა და შევიდნენ სტადიონზე, ე.წ. „...“. დაზარალებულის ჩვენებით, გ-მ მას უთხრა, რომ მოსწონდა და „ცოტა რაღაცნაირად უყურებდა“, რის გამოც თავი უხერხულად იგრძნო და იქიდან გამოვიდა, თვითონ ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა, ისევე კიბეებისკენ ფიქრობდა წასვლას, რადგან გარეთ ხალხიც მოძრაობდა და აღარ შეეშინებოდა. გ-მ მას მაჯაში წაავლო ხელი და ტყეში შეათრია, იგი ყვიროდა, მაგრამ იმ დროს იქ არავინ მოძრაობდა. მათ გაიარეს დიდი მანძილი, რომ მიიხედ-მოიხედა გარშემო იყო ბარდები, მან დაინახა, რომ გ-ს ჯიბეში ედო შავტარიანი დანა. გაჩერდნენ, გ-მ მას უბიძგა, რომ დამჯდარიყო, წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ გ-მ მხრებზე დაადო ხელი და ძალით დასვა. მან ასევე აჩვენა, რომ დანა იყო შავი, დასაკეცი, დაახლოებით 5-6 სმ, რითაც გ. მას ამინებდა. იმ მომენტში ძალიან შეშინებული იყო. როდესაც გ-მ ძალით დასვა ძირს, იმ დროს ამოიღო დანა, დანა გახსნილი იყო. გ-მ დაიჩოქა, ერთი ხელით შარვალს იხსნიდა, მეორე ხელში დანა ეჭირა და თვითონ რაც ძალი და ღონე ჰქონდა ფეხებს უჭერდა, რომ არ გაეხსნა. მას შავი ჯინსი, კეტები და მუქი ლურჯი მაისური ეცვა. მის მაისურს ალუბლები ახატია, ჯინსი შავი ფერის იყო. გ-ს ჯინსი

ეცვა, რომელიც მუხლებზე იყო ოდნავ ყავისფერი და მოკლე შავი მაისური, ასევე ეხატა ყავისფრად რალაც. ფეხზე შავი კლასიკური ფეხსაცმელი ეცვა. მისი ჩვენებით, როცა გ-მ თვითონ გაიხსნა შარვალი და ქამარი, შემდეგ უკვე ცდილობდა რომ მისთვისაც შარვალი გაეხსნა. იგი ცდილობდა, რომ გ-სთვის ამის საშუალება არ მიეცა, მაგრამ მაინც გაუხსნა. ერთ ფეხზე გახადა კედი და შარვალი, როდესაც საცვალს ხდიდა, იგი წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ ამაოდ. გ. მას მაღლიდან დაანვა, მის შარვალს ჰქონდა სამი ლილი, გ-მ ჯერ ხელი გააშვებინა, რადგან იმ მომენტში რაც შეეძლო ჩქმეტდა და ფხაჭნიდა გ-ს. მისი განმარტებით, მის შარვალს სანამ ჩაიცმევდა დილით არანაირი დაზიანება არ ჰქონია. ამის შემდეგ კი საქამრეები ჰქონდა აგლეჯილი, თვითონ საერთოდ არ ხმარობს ქამარს. მისი ჩვენებით, საქამრე ჯაჯგურის დროს აწყდა. მას ასევე ეცვა შავი ბიუსჰალტერი, წვრილი, თეთრი კოპლებით. ეცვა წითელი ტრუსი, რომელსაც ჰქონდა შავი სარტყელი და თეთრი კოპლები. გ-ს ნაცრისფერი ტრუსი ეცვა, შავში განყობილი. გ-მ შარვალი გაიხადა, შემდეგ მაღლიდან დაანვა, მაისური აუნია მკერდამდე, ცდილობდა გ-ს გაეშვა ხელი, ზურგზე ხელებს ურტყამდა, ტიროდა. გ-მ უთხრა, რომ ტირილს არანაირი აზრი არ ჰქონდა. შემდეგ მან დაინახა რომ მის მარცხენა ფეხთან იდო გ-ს დანა და ცდილობდა მის ალებას, გ-მ შეამჩნია, რომ იღებდა, ყელთან ახლოს მიუტანა და უთხრა, თუ რამეს გააკეთებ აქვე გამოგასალმებ სიცოცხლეს, არ დაგინდობო. გ-ს მხრიდან სქესობრივი აქტის დროს იგი გრძნობდა საშინელ ტკივილს, უმატებდა ტირილს და კიოდა, ეს დაახლოებით ხუთი წუთი გაგრძელდა. მას ამ დროს ტელეფონი შარვლის ჯიბეში ედო და არ ჰქონდა შესაძლებლობა, რომ სადმე დაერეკა. გ. რომ მორჩა მასთან სქესობრივი კავშირის დამყარებას, მან თავის შარვალს დახედა და ის მთლიანად სისხლიანი იყო, ასევე დასვრილი იყო მისი ტრუსიც. შემდეგ ადგა, დასუსტებული იყო, ჩაიცვა, ბალახზე შეამჩნია სისხლი. მისივე ჩვენების თანახმად, ამის შემდეგ გ-მ დანა ამოიღო და უთხრა, რომ თუ ვინმესთან რამეს იტყოდა მისი პოვნა არ გაუჭირდებოდა. სქესობრივი აქტის დროს გ. ზემოდან ეწვა და თვითონ სახე ზეცისკენ ჰქონდა, გ-ს შარვალი მუხლებამდე ჰქონდა გახდილი. მას ცალფეხზე ჰქონდა მხოლოდ გახდილი. ამის გარდა მას დაზიანება ჰქონდა მიღებული ხელებზე, სადაც ჰქონდა ნაფხაჭნები და ყელზე ორივე მხარეს ჰქონდა სილურჯეები, მკერდთან ჰქონდა გაკანრული. ის გ-ს ზურგზე ფხაჭნიდა და ჩქმეტდა. ჯერ გ. წავიდა, საით არ იცის, შემდეგ თვითონ სახლში დაბრუნდა. მის სახლში არავინ არ იმყოფებოდა. მისი შარ-



ვალი მთლიანად სისხლიანი იყო, გაიხადა და სხვა ჩაიცვა.

9. გარდა არასრულწლოვანი დაზარალებულის ჩვენებისა, ძალადობის ფაქტი დადასტურებულია აგრეთვე საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებითაც: 2015 წლის 3 ივლისის საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმის შინაარსით, რომელშიც შეტანილია ჩვენების ადგილზე შემონმებისას დაზარალებულ თ. მ-ს მიერ გამოძიებისათვის მიცემული ჩვენება, რომელშიც ის ადასტურებს შემთხვევის ადგილზე მის მიმართ გ. ზ-ს მიერ ფიზიკური ძალადობითა და დანის გამოყენების მუქარით მასთან იძულებითი სქესობრივი კავშირის ფაქტს, რა დროსაც ის დეტალურად მიუთითებს როდის, რა ადგილზე და რა ვითარებაში მოხდა ყოველივე ზემოაღნიშნული.

10. სამედიცინო ექსპერტიზის №.....დასკვნითა და ექსპერტ ე. ჩ-ს ჩვენებით დადგენილია აგრეთვე, რომ თ. მ-ს სხეულზე აღენიშნებოდა დაზიანებები სისხლნაჟღენთებისა და ერთი ნაკანრის სახით. ნაკანრი განვითარებული უნდა იყოს რაიმე მახვილი საგნის წვეტის, ლესილი კიდის ან მკვეთრად გამოხატული კიდის მქონე მკვრივი-ბლაგვი საგნის შემხები ზემოქმედების შედეგად. სისხლნაჟღენთები განვითარებულია რაიმე მკვრივი-ბლაგვი საგნის მოქმედებით და ყველა დაზიანება ცალ-ცალკე და ერთად აღებული მიეკუთვნებიან სხეულის დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის მოუშლელად. ხანდაზმულობით, არსებული დაზიანებების განვითარება არ ეწინააღმდეგება საქმის გარემოებაში მითითებულ თარიღს. თ. მ-ს სხეულზე არსებული დაზიანებები ნაჩხვლეტი ჭრილობების სახით ირგვლივ სისხლნაჟღენთებით და საშოს კედელზე არსებული 1კვ. ნაკერის სახით, წარმოადგენენ სამედიცინო მანიპულაციის კვალს.

11. კანონთან კონფლიქტში მყოფი გ. ზ-ს მიერ არასრულწლოვან დაზარალებულ თ. მ-ს მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტი დადასტურებულია ტრასოლოგიური ექსპერტიზის №... დასკვნით, რომლის მიხედვით, ექსპერტიზაზე წარდგენილ თ. მ-ს ჯინსის შარვლის ზედაპირზე არსებული დაზიანებები სალტეების ამოგლეჯისა და ნაკერის განარღვევის სახით წარმოქმნილია ფიზიკური ძალის ზემოქმედების შედეგად.

12. არასრულწლოვან დაზარალებულ თ. მ-ს ჩვენება იმ წინააღმდეგობას, რომ ის უწევდა აქტიურ წინააღმდეგობას გ. ზ-ს მასთან ძალადობრივი სქესობრივი კავშირის დამყარებისას, ასევე დადასტურებულია სამედიცინო ექსპერტის №... დასკვნითა და ამ დასკვნის გამცემი ექსპერტის – გ. კ-ს ჩვენებით, რომლის თა-

ნახმად, გ. ზ-ს 2015 წლის 4 ივლისს ... დროებითი მოთავსების იზოლატორში პირადი შემონმების დროს აღენიშნებოდა შემდეგი დაზიანებები: ნაჭდევები გულმკერდის უკანა ზედაპირზე მარცხნივ, ბეჭის ხაზზე, გულმკერდის უკანა ზედაპირზე მარჯვნივ, ბეჭის ხაზზე, II ნეკნის დონეზე, გულმკერდის ამავე ნახევარში XII ნეკნის დონეზე ბეჭის ხაზზე და მარჯვენა წინამხრის ქვემო მესამედში წინა ზედაპირზე. აღნიშნული დაზიანებები მიყენებულია მკვრივი ბლაგვი საგნის მოქმედებით და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს ჯანმრთელობის მოუშლელად, ხანდაზმულობით 24-48 საათისა.

13. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არ არსებობს საფუძველი მითითებული მტკიცებულებების უტყუარობასა და სანდოობაში ეჭვის შესატანად, ვინაიდან ისინი იმყოფებიან ურთიერთთანხვედრასა და ლოგიკურ ურთიერთკავშირში, რის გამოც ვერ იქნება მიღებული დაცვის მხარის აპელირება იმის თაობაზე, რომ თითქოს დაზარალებულ თ. მ-ს ჩვენებებში, ასევე ამ ჩვენებებსა და სხვა მტკიცებულებებს შორის არსებობს არსებითი წინააღმდეგობები.

14. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას მსჯავრდებულ გ. ზ-ს მიერ ჩადენილი ქმედების სამართლებრივი კვალიფიკაციის თაობაზე და ვერ გაიზიარებს პროკურორ ქეთევან ვაშაკიძის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას გ. ზ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებისა და ამ კვალიფიკაციით მისთვის სასჯელის დანიშვნის თაობაზე.

15. საქმეში არ მოიპოვება სარწმუნო და საკმარისი მტკიცებულებების ერთობლიობა დასკვნისათვის, რომ გ. ზ-თვის ცნობილი იყო თ. მ-ს ასაკი. მართალია, დაზარალებულ თ. მ-ს ჩვენების მიხედვით, მსჯავრდებულ გ. ზ-თვის მის მიერ ქმედების ჩადენისას ცნობილი იყო მისი ასაკი, რაც თვითონ აცნობა მას, მაგრამ მხოლოდ ერთი მოწმის ჩვენება, რომლის უტყუარობა ვერ მოწმდება რაიმე სხვა კანონიერი და სარწმუნო მტკიცებულებით, ვერ იქნება მიჩნეული საკმარის საფუძვლად მსჯავრდებულის ინტერესების საწინააღმდეგო სამართლებრივი დასკვნის გამოსატანად. საქმის მასალებში არ მოიპოვება სხვა მტკიცებულება და არც რაიმე დადგენილი ისეთი გარემოება, რომელიც მიუთითებდა იმაზე, რომ ქმედების ჩადენისას მსჯავრდებულისათვის დანამდვილებით იყო ცნობილი ან მას შეიძლება სცოდნოდა დაზარალებულის ასაკი.

16. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ზ-ს მიერ დაზარალებულ თ. მ-ს

მიმართ ჩადენილია საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული – გაუპატიურება, ესე იგი სქესობრივი კავშირი ძალადობითა და ძალადობის მუქარით.

17. რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს მიერ გ. ზ-თვის დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული სასჯელი შეესაბამება როგორც ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებულ გარემოებებს, ასევე მისი ჩამდენის პიროვნებას: გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ გ. ზ-ს მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედების თანმხლები შედეგი იყო ის, რომ მას მოჰყვა არასრულწლოვანი დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გართულება, კერძოდ, მას გაუპატიურების შემდეგ დაეწყო სისხლდენა, ამასთან დასჭირდა სამედიცინო ჩარევა – ოპერაციის გაკეთება. ამავე დროს, სასჯელის ზომის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მსჯავრდებულის პიროვნების ის მახასიათებლები, რომლებიც გამომდინარეობს მისი, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიშიდან. ამ ანგარიშის მიხედვით, მისი პიროვნება ხასიათდება დადებითად და ასევე, სახეზეა საპატიმრო სასჯელის ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენების სათანადო შემთხვევა. ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ხორციელდება საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებში, უკიდურესი ზომის სახით და შესაფერისი ვადით. მისი გამოსწორებისა და რესოციალიზაციისათვის სასამართლოს მიერ მისთვის დანიშნული სასჯელის ზომა, არის სამართლიანი და შეესაბამება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის მოთხოვნებს. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა არის მსჯავრდებულის საჭიროებებიდან გამომდინარე, რათა განხორციელდეს შესაბამისი ინტერვენცია. (გაერთიანებული ერების წესები თავისუფლება აღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად (ჰავანის წესები); გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეა, 1990წ. წესი 2)

18. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ მსჯავრდებულ გ. ზ-ს მიმართ განსაზღვრული საბოლოო სასჯელი – 5 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა არ ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესების „არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ (პეკინის წესების) მე-5.1 წესით დამკვიდრებულ პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპს. ამავე წესების მე-17.1 წესის მიხედვით, გადაწყვე-

ტილება სასჯელის სახესა და ზომასთან დაკავშირებით არ არის მხოლოდ დანაშაულის სიმძიმისა და გარემოებების პროპორციული, არამედ ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნებას, მის მდგომარეობასა და მოთხოვნებს, ამასთან დაკისრებული სასჯელი საზოგადოების დაცულობის მოთხოვნის შესაბამისია.

19. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სსსკ-ის 316-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე (2016 წლის 1 იანვარი) საპროცესო კანონმდებლობა უზრუნველყოფდა სასამართლოს მიერ სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის მიმართ უფლებათა საერთაშორისო გარანტიების დაცვას.

20. ბრალდებულ გ. ზ-ს მიმართ გარანტირებული სამართლიანი და სწრაფი სასამართლო პროცესის უფლება კანონის უზენაესობის პრინციპის ქვაკუთხედიანია. საერთაშორისო დონეზე სამართლიანი სასამართლო პროცესის უფლება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გათვალისწინებული ბავშვის უფლებათა კონვენციის (CRC) 50-ე მუხლით, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის (ECHR) მე-6 და მე-7 მუხლებით, ბავშვის უფლებათა და კეთილდღეობის საფუძვლების აფრიკული ქარტიის (ACRWC) მე-17 მუხლით. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ზოგადი პრინციპია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა (მე-11 მუხ.)

21. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი № 10 (ბავშვის უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში (CRC/c/gc/10, პარ.84;2007წ) კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან ბრალდებულებთან დაკავშირებით აცხადებს, რომ სამართალდარღვევის ჩადენიდან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე გასული უნდა იყოს რაც შეიძლება მცირე დრო. ბავშვის უფლებათა კონვენციის (CRC) მე-40 მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კანონთან კონფლიქტში მყოფს აქვს საკითხის დაუწყონებლივ განხილვის უფლება.

22. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ გ. ზ-ს მიმართ აღნიშნული გარანტიებიდან გამომდინარე, 1-ლი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ვადები, შემავამებელი სასამართლო გადაწყვეტილების – განაჩენის ჩათვლით, (2015 წლის 29 სექტემბრიდან 2016 წლის 12 თებერვლამდე) გონივრული ვადის სტანდარტს აჭარბებს. ამასთან, არასრულწლოვანი ბრალდებული გ. ზ-ი იმყოფებოდა წინასწარ პა-

ტიმრობაში 2015 წლის 3 ივლისიდან. როგორც ბავშვის უფლებათა კონვენცია (CRC), ასევე „არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ (პეკინის წესების) მე-13.2 წესი ხაზს უსვამს წინასწარი პატიმრობის, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომის გამოყენებას რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ გ. ზ-ს მიმართ ბრალდება, წარდგენილი იყო საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, რაც მიუთითებდა მის მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესაძლო ჩადენაზე და დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, იმ ეტაპზე, სხვა გარემოებებთან ერთად სავარაუდოდ აკმაყოფილებდა წინასწარი პატიმრობის გამოყენების პირობას. გ. ზ-ს სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო განხილვა, საქართველოს სსსკ-ის 185-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უნდა განხორციელებულიყო უწყვეტად და შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში. საპროცესო კანონის ეს მოთხოვნა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვანი ბრალდებულის საქმის განხილვისას.

23. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ, სასამართლოს მიერ, წინასწარი პატიმრობის გამოყენების საკითხის შემოწმება როგორც აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას, ისე წინასასამართლო სხდომაზე და შემდგომ სასამართლო პროცესის განმავლობაში განხილულ უნდა იქნეს იმ პრინციპის დაცვით, რომ ის უნდა წარმოადგენდეს უკიდურეს ღონისძიებას და შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტს, რომელზეც იმპერატიულად უთითებს საქართველოს სსსკ-ის 316-ე მუხლი. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშიც კი წინასწარი პატიმრობის ვადა უნდა იყოს რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში.

24. ამასთან, დაცვის მხარის მითითება იმის შესახებ, რომ წინასასამართლო სხდომამდე არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა ყოფილიყო 40 დღეზე მეტი, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან იმ პერიოდისათვის, როდესაც გ. ზ-ს საქმეზე დაინიშნა წინასასამართლო სხდომა, 2015 წლის 18 სექტემბერს, მართალია, ამონურული იყო პატიმრობის მითითებული ვადა, მაგრამ ამ დროს არ მოქმედებდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 64-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი მოთხოვნა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის თანახმად, თუ არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმარია, წინასასამართლო სხდომამდე მისი პატიმრობის

საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ არასრულწლოვან ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ, მოსამართლე ვალდებულია თავისი ინიციატივით, ყოველ 20 დღეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

25. საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ გ. ზ-ს ბრალდების საქმეზე საქმის არსებითი განხილვა დაიწყო 2015 წლის 29 სექტემბერს, მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით კი, სრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ ვრცელდებოდა 9-თვიანი პატიმრობის ვადა, რაც სასამართლო პრაქტიკით ვრცელდებოდა არასრულწლოვან ბრალდებულთათვისაც. ეროვნული კანონმდებლობისა და თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვან ბრალდებულთა უფლებების დაცვის მექანიზმის ჰარმონიზაციის მიზნით, მხოლოდ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიღების შედეგად განისაზღვრა წინასწარი პატიმრობის შეფარდების სპეციალური წესი და მაქსიმალური ზღვარი კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნისთვის, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში. (კოდექსის 60-ე-64-ე მუხ).

26. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი 2016 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა. ამ კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად, მასში წარმოდგენილ დებულებებს, გარდა ამ კოდექსის საპროცესო ნორმებისა, აქვს უკუძალა, თუ ამით უმჯობესდება არასრულწლოვნის მდგომარეობა. ამრიგად, არასრულწლოვან გ. ზ-ს მიმართ 2016 წლის 1 იანვრამდე ადგილი არ ჰქონია საპროცესო ნორმების დარღვევას პატიმრობის ვადებთან დაკავშირებით და არც პატიმრობის 6-თვიანი ვადა იყო გასული. ეს ვადა ამოიწურა 2016 წლის 3 იანვარს. შესაბამისად, ახალი კოდექსის ამოქმედების შემდეგ, სასამართლო ვალდებული იყო, 6-თვიანი საპატიმრო ვადის გასვლამდე, 2016 წლის 1 იანვრიდან, თავისი ინიციატივით ემსჯელა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის თაობაზე. მით უფრო, რომ ახალი კოდექსი ავალდებულებდა სასამართლოს, თავისი ინიციატივით ყოველ 20 დღე-

ში ერთხელ მაინც განეხილა საკითხი ბრალდებულის პატიმრობაში შემდგომი ყოფნის მიზანშეწონილობისა და აუცილებლობის თაობაზე, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამდენად, 2016 წლის 3 იანვრიდან იმავე წლის 12 თებერვლამდე არასრულწლოვანი ბრალდებულის – გ. ზ-ს მიმართ დაირღვა პატიმრობაში ყოფნის 6-თვიანი ვადა.

27. ამავდროულად, საყურადღებოა ის, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლოს მიერ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულ გ. ზ-ს მსჯავრდებისას და სასჯელის სახედ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის გამოყენებისას, სასამართლომ არასრულწლოვანი გ. ზ-ს წინასწარი პატიმრობა სრულად მოაქცია სასჯელის – ვადიანი თავისუფლების აღკვეთის – ზომაში ანუ თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 თებერვლის განაჩენით გ. ზ-ს მიმართ საქართველოს სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაენყო 2015 წლის 3 ივლისიდან ანუ გ. ზ-ს დაკავების მომენტიდან.

28. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 2016 წლის 1 იანვრიდან ითვალისწინებს ყველა საერთაშორისო სტანდარტს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობის დაცვით (მუხ.4). ამ კოდექსით არასრულწლოვანი ბრალდებულის საქმის მწარმოებელ სამართლდამცავ ორგანოებსა და სასამართლოს ეკისრებათ ვალდებულება განუხრელად დაიცვან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპები.

29. საკასაციო პალატა არ ეთანხმება საკასაციო საჩივარში დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილ პოზიციას იმის თაობაზე, რომ 1-ლი ინსტანციის სასამართლოს, მას შემდეგ, რაც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბრალდებულ გ. ზ-ს მიერ ჩადენილი იყო არა განსაკუთრებით მძიმე, არამედ მძიმე კატეგორიის დანაშაული, უნდა ემსჯელა ბრალდებულის მიმართ განრიდების ღონისძიების შესაძლო გამოყენების თაობაზე და ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტისათვის საქმე უნდა დაებრუნებინა პროკურატურისათვის. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ განრიდების ღონისძიების გამოსაყენებლად, სხვა პირობებთან ერთად, აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის გარემოება, რომ არასრულწლოვანი აღიარებდეს ჩადენილ დანაშაულს. საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებული გ. ზ-ი საქმის წარმოების არცერთ



სტადიაზე არ აღიარებდა დანაშაულს. შესაბამისად, განრიდების საკითხი სასამართლოს მიერ ვერ იქნებოდა განხილული.

30. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანი ბრალდებულის – გ. ზ-ს მიმართ 2016 წლის 1 იანვრიდან 1-ლი ინსტანციის სასამართლოში მისი ბრალდების საქმის წარმოებისას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი მოთხოვნის შესრულება, რომლის მიხედვით არასრულწლოვნის საქმეს აწარმოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი არ იქნა დაცული. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ 1-ლი ინსტანციის წესით, სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვისას, რომელიც დაიწყო 2015 წლის 29 სექტემბერს და დამთავრდა 2016 წლის 12 თებერვალს, ანუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებიდან 1 თვესა და 12 დღეში – რამდენად შესაძლებელი იყო არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესის დაცვით, სპეციალიზებული ადვოკატის მონაწილეობა, საქმეში ჩაბმულ ადვოკატთან ერთად ან დამოუკიდებლად. აღნიშნულზე 1-ლი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია. კანონის მოთხოვნა დაცული იქნა სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას, რა დროსაც საქმის წარმოებაში გ. ზ-ს ინტერესების დასაცავად ჩართული იყო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი. ამასთან, არასრულწლოვან გ. ზ-ს დასწრებით მიმდინარეობდა სისხლის სამართლის საქმის განხილვა 1-ლი, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში ანუ ის გასამართლდა მისი თანდასწრებით. მას ჰქონდა მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულების გაცნობისა და თავის დაცვის უფლება. აღნიშნული მიეკუთვნება სამართლიანი სასამართლოს ფუნდამენტურ პრინციპს, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტი (ჩჩჩლ) მუხ.14(3).

31. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მითითებული დარღვევები სისხლის სამართლის საქმის საბოლოო შედეგზე ინკრიმინირებულ ქმედებაში მსჯავრდებული გ. ზ-ს ბრალეულობის თვალსაზრისით გავლენას ვერ იქონიებს. ეს დარღვევები ვერ გახდება კანონთან კონფლიქტში მყოფი გ. ზ-ს მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველი. ამასთან, მსჯავრდებულ გ. ზ-ს, სასამართლოს განაჩენში აღნიშნული დარღვევების გამო, უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის საფუძველზე, მოითხოვოს და მიიღოს უკანონოდ ჩატარებული

საპროცესო მოქმედებების შედეგად მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

32. საკასაციო პალატა სისხლის სამართლის საქმეში, სამართალწარმოების ყველა ეტაპზე, მონაწილე არასრულწლოვან დაზარალებულ თ. მ-სა და მის კანონიერ წარმომადგენელს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს გ. ზ-ს მსჯავრდებას, აცნობებს რა აღნიშნული საქმის სასამართლო განხილვის საბოლოო შედეგებს, საქართველოს კანონის – არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის 25-ე მუხლის საფუძველზე განუმარტავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. თელავის რაიონული პროკურატურის პროკურორ ქეთევან ვაშაკიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. მსჯავრდებულ გ. ზ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატების – დ. ა-სა და ფ. ს-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 აპრილის განაჩენი გ. ზ-ს მიმართ დარჩეს უცვლელად.

4. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ

### ქურდობა

#### განაჩენი

#### საქართველოს სასჯელით

№67აპ-16

12 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ლ. მ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 5 იანვრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 22 ოქტომბრის განაჩენით ლ. მ-ი, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, საცავში უკანონო შეღწევით, იმის მიერ, ვინც ორჯერ ან მეტჯერ იყო ნასამართლეთი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებისათვის და რაც გამოიხატა შემდეგში:

2. საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2006 წლის 3 აგვისტოს განაჩენით ლ. მ-ს საქართველოს სსკ-ის მე-19,137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-19,178-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, სასჯელთა ნაწილობრივი შეკრებით, საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენყო 2005 წლის 2 აგვისტოდან.

3. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 27 დეკემბრის განაჩენით შეიცვალა: მსჯავრდებულ ლ. მ-ს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის მე-19,178-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილი ბრალდება; მასვე საქართველოს სსკ-ის მე-19,137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-19,178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნ-

ქტით, სასჯელთა ნაწილობრივი შეკრებით, საბოლოოდ განესაზღვრა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა.

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 9 ივლისის განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 27 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა: ლ. მ-ს ამოერიცხა მსჯავრდება საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 23 აგვისტოს განაჩენით ლ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 6 თვის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 1 წელი და 6 თვე – ჩაეთვალა პირობით, 2 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით. მსჯავრდებულ ლ. მ-ს სასჯელის მოხდა დაეწყო 2011 წლის 22 აგვისტოდან.

6. საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 სექტემბრის განაჩენით ლ. მ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 1 წელი, 6 თვე და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 3 წელი და 6 თვე – ჩაეთვალა პირობით, 4 წლისა და 6 თვის გამოსაცდელი ვადით. ლ. მ-ს სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო 2012 წლის 21 ივნისიდან.

7. სიდნალის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 21 თებერვლის განჩინებით „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე ლ. მ-ს ერთი მეოთხედით შეუმცირდა დანიშნული სასჯელები და გამოსაცდელი ვადა და საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 2 წლით, 7 თვითა და 15 დღით პირობითი მსჯავრი, 3 წლის, 4 თვისა და 15 დღის გამოსაცდელი ვადით.

8. აღნიშნული განჩინება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 19 აპრილის განჩინებით დარჩა უცვლელად.

9. ლ. მ-ი 2015 წლის 29 ივნისს გარდაბნის რაიონის სოფელ ...ში მდებარე შპს „...“ კუთვნილი სასურსათო მაღაზიიდან მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 3 ბოთლ ლუდსა და 3 კოლოფ სიგარეტს, რითიც დაზარალებულს მიაყენა 26 ლარისა და 70 თეთრის მატერიალური ზიანი.

10. აღნიშნული ქმედებისათვის ლ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, რამაც შთანთქა საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 სექტემბრის განაჩენითა და სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 21 თებერვლის განჩინებით განსაზღვრული სასჯელი და განაჩენთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლით, რომლის მოხდა დაენყო 2015 წლის 29 ივნისიდან.

11. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ლ. მ-მა და ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

12. რუსთავის რაიონული პროკურატურის სტაჟიორ-პროკურორმა გ. ძ-მა შესაგებლით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება.

13. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი ლ. მ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

14. კასატორი – მსჯავრდებული ლ. მ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ლ. მ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მსჯავრდებულ ლ. მ-ს მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტი, რასაც არც კასატორი ხდის სადავოდ, კერძოდ:

3. გარდა თავად ლ. მ-ს აღიარებითი ჩვენებისა, მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით: მონმეების – შ. ჯ-ს, ვ. ნ-ს, დ. გ-ს, ლ. ლ-ს, ი. ც-ს, თ. ც-ს, გ. მ-სა და ნ. ფ-ს ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმებით.

4. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შეფასების შედეგად საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ლ. მ-მა ჩაიდინა ქურდობა საცავში უკანონო შეღწევით. ამასთან, პალატა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ლ. მ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

5. საქართველოს სსკ-ის 79-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულის ნასამართლობა გაქარწყლდება სასჯელის მოხდიდან 6 წლის შემდეგ. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, გაქარწყლებული ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 9 ივლისის განჩინებით ლ. მ-ს საქართველოს სსკ-ის მე-19,137-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და მე-19,178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, დანაშაულთა ერთობლიობით, საბოლოოდ განესაზღვრა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის მოხდა დაენციო 2005 წლის 2 აგვისტოდან.

7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილით ირკვევა, რომ ლ. მ-ი თბილისის №1 დანესებულებიდან სასჯელის კალენდარული მოხდით გათავისუფლდა 2009 წლის 30 იანვარს. შესაბამისად, მას ნასამართლობა გაუქარწყლდა 2015 წლის 30 იანვარს.

8. ლ. მ-ის ქმედების საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელი პირობაა, რომ იგი ორჯერ ან მეტჯერ იყოს ნასამართლევი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის. მოცემულ შემთხვევაში ლ. მ-ს ბოლო დანაშაულის ჩადენის დროს – 2015 წლის 29 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2006 წლის 27 დეკემბრის განაჩინით (რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 9 ივლისის განჩინებით შეიცვალა) დადგენილი ნასამართლობა გაქარწყლებული ჰქონდა. ამდენად, მსჯავრდებულ ლ. მ-სათვის აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოების ბრალად შერაცხვა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

9. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 სექტემბრის განაჩინით ლ. მ-ს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით დაედო მსჯავრი, პალატას მიაჩნია, რომ მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე – ქურდობა, ჩადენილი არაერთგზის – და სასჯელის ზომად და სახედ განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ლ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 5 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება:

3. ლ. მ-ის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტზე.

4. ლ. მ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა;

5. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს საგარეჯოს რაიონული სასამართლოს 2012 წლის 10 სექტემბრის განაჩენითა და სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2013 წლის 21 თებერვლის განჩინებით განსაზღვრული პირობითი მსჯავრი და სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, ბოლო განაჩენით დანიშნულმა სასჯელმა შთანთქას წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 2 წლით, 7 თვითა და 15 დლით თავისუფლების აღკვეთა და ლ. მ-ს განაჩენთა ერთობლიობით საბოლოოდ განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 5 იანვრის განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

7. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.



## ქურდობა

### განაჩენი

#### საქართველოს სასჯელით

№410აპ-16

28 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**გ. შავლიაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ რ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. გ-სა და თბილისის ქველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ თამარ პაპავას საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მაისის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 იანვრის განაჩენით:

– რ. გ-ე, – დაბადებული 19.. წლის .. ივლისს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

– შ. კ-ი, – დაბადებული 19.. წლის .. ივლისს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 185-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 238<sup>1</sup>-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობაში დახმარება, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებაში დახმარება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ქონების მესაკუთრის ან მფლობელის ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, თუ არ არის ამ კოდექსის 180-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები და ცივი იარაღის ტარება, ნარკოტიკის მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახედულებული პირის მიერ.

– გ. გ-ე, – დაბადებული 19.. წლის .. დეკემბერს, ნასამართლობის არმქონე, – ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და

იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში (ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ).

2. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, რ. გ-ს, შ. კ-სა და გ. გ-ს ბრალი დაედოთ შემდეგი დანაშაულის ჩადენაში:

2015 წლის 29 აპრილს, დილის საათებში, ქ. თბილისში, ... №...-ში მდებარე სასტუმრო „...“ შ. კ-ი, მ. თ-ი, გ. გ-ე და რ. გ-ე ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად დაუფლნენ სასტუმრო „...“ მდგარ „XBOX“-ის აპარატს, რომელიც შ. კ-მ და მ. თ-მ, ქ.თბილისში, ... ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე 110 ლარად გაასხვისეს მათთვის უცნობ პირზე, ხოლო აღებული თანხა შ. კ-მ, მ. თ-მ, გ. გ-მ და რ. გ-მ ერთობლივად დახარჯეს, რითაც სასტუმრო „...“ მფლობელ გ. თ-ს მიაყენეს – 910 ლარის მატერიალური ზიანი.

შ. კ-ს ასევე ბრალი დაედო შემდეგი ქმედებებისთვის:

– 2015 წლის 29 აპრილს, ღამის საათებში, შ. კ-მ მოიპოვა ქ. თბილისში, ... №...-ში მდებარე სასტუმრო „...“ ადმინისტრატორის ნდობა, რის შემდეგაც მოტყუებით, ერთი ღამით იქირავა აღნიშნული სასტუმროს ნომერი, ხოლო მეორე დღით ნომრის ღირებულებისა და მომსახურების თანხის გადაუხდელად დატოვა სასტუმროს ტერიტორია, რითაც სასტუმროს მეპატრონე გ. თ-ს მიაყენა – 162 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი.

– თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 9 სექტემბრის დადგენილებით შ. კ-ი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებისთვის დაჯარიმდა – 500 ლარით. 2015 წლის 24 მარტს, 16:40 საათზე, ქ. თბილისში, ... №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, ადმინისტრაციული წესით დააკავეს შ. კ-ი, რომლის პირადი გასინჯვისას „დუტის“ ჟილეტის წინა, მარჯვენა ჯიბიდან ამოიღეს ლითონის, ოქროსფერტარიანი, 5 სანტიმეტრი სიგრძის მჭრელი პირის მქონე დანა, რომელზედაც დამაგრებულია სხვადასხვა ფუნქციის მქონე დეტალები. ამოღებული ნივთი მოთავსდა ქალაქის კონვერტში და დაილუქა .....ლუქით. ცივი იარაღის ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ამოღებული დანა დამზადებულია ქარხნული წესით, არის მხვლეტავ-მჭრელი, მაფიქსირებელი მოწყობილობით და მიეკუთვნება ცივი იარაღთა კატეგორიას.

3. აღნიშნული ქმედებებისათვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის

26 იანვრის განაჩენით:

– შ. კ-ს მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

შ. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით – 3 წლით; 185-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლით; 238<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საქართველოს სსკ-ის 25,177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დანიშნულმა უფრო მკაცრმა სასჯელმა – 3 წლით თავისუფლების აღკვეთამ – სრულად შთანთქა საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 238<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული ნაკლებად მკაცრი სასჯელები და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, შ. კ-ს განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

შ. კ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის დრო და სასჯელის ვადის ათვლა დაეწყო ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან – 2015 წლის 5 მაისიდან.

– რ. გ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

რ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

რ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო განაჩენის აღსრულების მომენტიდან – 2016 წლის 26 იანვრიდან.

რ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2015 წლის 21 მაისიდან – 2015 წლის 10 ივნისის ჩათვლით.

– გ. გ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ რ. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. გ-მ, მსჯავრდებულმა შ. კ-მ და ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თამარ პაპავამ.

5. მსჯავრდებულ რ. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. გ-მ და მსჯავრდებულმა შ. კ-მ სააპელაციო საჩივრით ითხოვეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 იანვრის განაჩენის გაუქმება და გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თამარ პაპავამ სააპელაციო საჩივრით ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 იანვრის განაჩენში ცვლილების შეტანა, კერძოდ – შ. კ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 185-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 238<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით; რ. გ-სა და გ. გ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით.

6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მაისის განაჩენით მსჯავრდებულ რ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. გ-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ თამარ პაპავას სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა; მსჯავრდებულ შ. კ-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 26 იანვრის განაჩენში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

– რ. გ-ე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა.

– რ. გ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

– რ. გ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავებიდან – 2016 წლის 26 იანვრიდან. მასვე, სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი – 2015 წლის 21

მაისიდან – 2015 წლის 10 ივნისის ჩათვლით.

გაუქმდა რ. გ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაო და განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში გირაოს შემტან პირს სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა.

– გ. გ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

გაუქმდა გ. გ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული გირაო და განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში გირაოს შემტან პირს სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა.

– შ. კ-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

– შ. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლის პირველი ნაწილით – 1 წლით; სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე მკაცრმა სასჯელმა შთანთქა ნაკლებად მკაცრი სასჯელი და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, შ. კ-ს სასჯელად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა.

შ. კ-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული – პატიმრობა გაუქმებულია.

შ. კ-ს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაენყო დაკავებიდან – 2015 წლის 5 მაისიდან და ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს განაჩენის გამოტანის დროს სასჯელი მოხდილი ჰქონდა, გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

გ. გ-სა და შ. კ-ს განემარტათ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

საქმეზე დართული ნივთები და საგნები:

- 1 (ერთი) ლაზერული დისკი ჩვენების ადგილზე შემოწმების ამსახველი ფოტოსურათებით, დალუქულ მდგომარეობაში, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით.

- 1 (ერთი) ლაზერული დისკი წარმოდგენილი ვიდეოჩანაწე-

რით, დალუქულ მდგომარეობაში, რომელიც ერთვის სისხლის სამართლის საქმეს, შენახულ უნდა იქნეს საქმის შენახვის ვადით.

- შ. კ-სგან ამოღებული ცივი იარაღი – დანა, დალუქულ მდგომარეობაში, რომელიც ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის ... შს სამმართველოს მე-... განყოფილებაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა განადგურდეს კანონით დადგენილი წესით;

- გ. გ-ს პირადობის მოწმობა – ID ბარათი, დალუქულ მდგომარეობაში, რომელიც ინახება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის ... შს სამმართველოს მე-... განყოფილებაში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს კანონიერ მფლობელს;

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მაისის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ რ. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. გ-მ და ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა თამარ პაპავამ.

8. კასატორი – მსჯავრდებულ რ. გ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატი ე. გ-ა საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის განაჩენი უკანონოა, უნდა გაუქმდეს და რ. გ-ე გამართლდეს წარდგენილ მსჯავრდებაში შემდეგ გარემოებათა გამო: ბრალდების მხარემ სასამართლოს ვერ წარმოუდგინა მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც დაადასტურებდა მოცემულ საქმეში რ. გ-ს ბრალეულობას; სააპელაციო სასამართლომ საერთოდ არ გაიზიარა მოწმე მ. თ-ს ჩვენება და განმარტა, რომ პალატა მის ჩვენებას საფუძვლად ვერ დაუდებს გამამტყუნებელ განაჩენს. გარდა ამისა, მოწმე მ. თ-ს მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, თუმცა სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა აღნიშნულის თაობაზე; დაზარალებულები – გ. თ-ე და კ. თ-ე არ არიან ქურდობის უშუალო შემსწრეები; ამდენად, სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ ერთ მტკიცებულებას – ვიდეოჩანანერს, რომლიდანაც ნამდვილად დასტურდება, რომ რ. გ-მ აიღო „იქსბოქსის“ აპარატი და შეიტანა სასტუმროს ოთახში, თუმცა შემდეგ რა ბედი ენია მას, გამოძიებით დადგენილი არ არის, ხოლო ერთი ოთახიდან მეორეში ნივთის მხოლოდ გადატანა არ ქმნის ქურდობის შემადგენლობას, რადგან არ დადასტურებულა მისაკუთრების მიზანი; უტყუარად დადგენილია ის ფაქტი, რომ რ. გ-ს სათამაშო აპარატი სასტუმროდან არ გაუტანია; სათამაშო აპარატის დაკარგვის შესახებ მესაკუთრემ შეიტყო მხოლოდ 4-5 დღის შემდეგ და ამ დროის განმავლობაში

სასტუმროს ეყოლებოდა უამრავი სტუმარი, თუმცა გამოძიებამ არ გადაამოწმა ვერსიები – აპარატი სხვა პირმა ხომ არ გაიტანა (მათ შორის, დამლაგებელმა).

9. ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორი თამარ პაპავა საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: შ. კ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, სსკ-ის 185-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 238<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით; რ. გ-სა და გ. გ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში შემდეგი საფუძვლებით: შ. კ-ს, რ. გ-სა და გ. გ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდებები უტყუარად დასტურდება კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით მოპოვებული და სასამართლოსათვის წარდგენილი მტკიცებულებებით, კერძოდ: მოწმე მ. თ-ს ჩვენებით, რომელიც სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა არც ერთ ნაწილში და არასაპარნომოდ განმარტა, რომ აღნიშნული ჩვენება არის არასაპარნომონო, ასევე, დაზარალებულ გ. თ-ს, მოწმე კ. თ-ს ჩვენებებით, რომელთა თანახმად, დგინდება, რომ დანაშაულის ჩადენის დღეს შ. კ-ი, რ. და გ. გ-ები, ასევე მ. თ-ი იმყოფებოდნენ სასტუმრო „...“. გ. თ-სა და კ. თ-ს მოსაზრებით, სათამაშო აპარატის ქურდობა მოხდა დროის სწორედ იმ მონაკვეთში, როდესაც აღნიშნული პირები იმყოფებოდნენ სასტუმროში, რასაც ადასტურებს სასტუმროში დამონტაჟებული კამერის ვიდეოჩანაწერი; კ. თ-მ დამატებით განმარტა, რომ ვიდეოჩანაწერში გარკვევით ჩანს, თუ როგორ გამოაქვს მ. თ-ს სასტუმროდან რალაც ნივთი და, მისი მოსაზრებით, ეს ნივთი სწორედ სათამაშო აპარატი იქნებოდა; ბრალდების მხარე ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებებზე ასევე მიიჩნევს პირის ამოცნობის ოქმებს, ნივთიერი მტკიცებულებების გახსნისა და დათვალიერების ოქმებს, რა დროსაც ყველა ბრალდებულის თანდასწრებითა და მონაწილეობით დათვალიერდა სასტუმრო „...“ მეპატრონის მიერ გამოძიებისათვის წარდგენილი ვიდეოჩანაწერი, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ როგორ ეუფლება რ. გ-ე სასტუმროს ჰოლში არსებულ სათამაშო აპარატს და შეაქვს ოთახში. ამდენად, ბრალდების მხარის მოსაზრებით, ყველა ზემომითითებული მტკიცებულების ერთობლიობით, უტყუარად დასტურდება შ. კ-ს, რ. გ-სა და გ. გ-თვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა.



10. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ რ. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ე. გ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას.

11. საკასაციო პალატის სხდომაზე გამართლებულ გ. გ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა შ. მ-მ და მსჯავრდებულ შ. კ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. პ-მ ვრცლად მიმოიხილეს საქმის მასალები და ითხოვეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მაისის განაჩენის ძალაში დატოვება.

12. პროკურორმა თამარ პაპავამ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ განიხილა საკასაციო საჩივრები, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრების საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ რ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. გ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, პროკურორ თამარ პაპავას საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მაისის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ბრალდებულმა შ. კ-მ თავი სრულად ცნო დანაშავედ მხოლოდ ცივი იარაღის ტარებაში (სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილი), ხოლო ბრალდებულებმა – გ. გ-მ და რ. გ-მ გამოიყენეს მათთვის კანონით მინიჭებული დუმილის უფლება.

3. პირის ბრალდების შესახებ დადგენილებების თანახმად, სათამაშო აპარატის ქურდობის ეპიზოდში შ. კ-ს, გ. გ-სა და რ. გ-ს ბრალი დაედოთ შემდეგი ქმედებებისთვის:

4. 2015 წლის 29 აპრილს, დილის საათებში, ქ. თბილისში, ... №...-ში მიდებარე სასტუმრო „...“ შ. კ-ი, მ. თ-ი, გ. გ-ე და რ. გ-ე ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად დაეუფლნენ სასტუმრო „...“ მდგარ „XBOX“-ის აპარატს, რომელიც შ. კ-მ და მ. თ-მ ქ. თბილისში, ... ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე, 110 ლარად გაასხვისეს მათთვის უცნობ პირზე, ხოლო აღებული თანხა შ. კ-მ, მ. თ-მ, გ. გ-მ და რ. გ-მ ერთობლივად დახარჯეს, რითაც სასტუმრო „...“ მფლობელ გ. თ-ს მიაყენეს 910 ლარის მატერიალური ზიანი.

5. საკასაციო პალატა არ იზიარებს ბრალდების მხარის მო-

საზრებას ქურდობის წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად ჩადენის თაობაზე, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი მტკიცებულებათა ერთობლიობა ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია, კერძოდ:

6. საკასაციო პალატა, პირველ რიგში, ეთანხმება სააპელაციო პალატას, რომ მან მართებულად არ გაიზიარა მოწმე მ. თ-ს მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება. ბრალდების მხარის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს უნდა გაეზიარებინა მოწმე მ. თ-ს ჩვენების მხოლოდ ის ნაწილი, რომელშიც იგი უთითებს, თუ როგორ ჩაიდინეს ერთობლივად დანაშაული – მან, შ. კ-მ, რ. გ-მ და გ. გ-მ, იმ საფუძველით, რომ დაცვის მხარემ – ბრალდებულებმა დაკითხვის დროს მასზე განახორციელეს ფსიქოლოგიური ზეწოლა, რის გამოც მოწმე იძულებული გახდა, ჩვენება შეეცვალა. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ბრალდების მხარის არგუმენტი არ შესაბამეობა რეალობას. დაცვის მხარის მიერ კითხვების დასმის პროცესში მ-მ იკითხა, შეიძლებოდა თუ არა ჩვენების შეცვლა და მას შემდეგ, რაც მოსამართლემ განუმარტა ის სამართლებრივი შედეგები (საქართველოს სსკ-ის 371'-ე მუხლით მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ), რომელიც შესაძლოა, მოჰყოლოდა მის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების მიცემას, მიუხედავად ამისა, ყოველგვარი ზეწოლის გარეშე, არსებითად შეცვალა ჩვენება, კერძოდ: მ. თ-მ თავდაპირველად დაადასტურა ოთხივე მათგანს შორის წინასწარი შეთანხმების არსებობა, თუმცა შემდეგ უარყო აღნიშნული და განმარტა, რომ არ იცის, თუ ვინ შეიტანა სათამაშო აპარატი სასტუმროს ოთახში. როდესაც გაიღვიძა, აპარატი დახვდა იქ. აღნიშნული კი მ. თ-ს ჩვენებას უკარგავს სანდოობასა და დამაჯერებლობას, ვერ აკმაყოფილებს უტყუარობის სტანდარტს, რის გამოც საკასაციო პალატა, მას ასევე არ იზიარებს.

7. სახელმწიფო ბრალმდებელი შ. კ-ს, რ. გ-სა და გ. გ-ს მიერ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის ჩადენას, გარდა მოწმე მ. თ-ს ჩვენებისა, ასევე დადასტურებულად მიიჩნევს სასტუმროს სათვალთვალ კამერის ვიდეოჩანაწერის, დაზარალებულ გ. თ-სა და მოწმე კ. თ-ს ჩვენებების საფუძველზე, რომელთა თანახმად, მისი მოსაზრებით, უტყუარად დასტურდება, რომ 2015 წლის 29 აპრილს შ. კ-ი, რ. გ-ე, გ. გ-ე და მ. თ-ი იმყოფებოდნენ სასტუმრო „...“ და წინასწარი შეთანხმებითა და როლების განაწილებით ჯერ ფარულად დაეუფლნენ „იქსპოქსის“ აპარატს, რის შემდეგაც შ. კ-მ და მ. თ-მ ის 110 ლარად გაასხვისეს მათთვის უცნობ პირზე, ხოლო აღებული თანხა შ. კ-მ, მ.

თ-მ, გ. გ-მ და რ. გ-მ ერთობლივად დახარჯეს.

8. საქართველოს სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაული წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

9. საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია (618აპ-15, მოსამართლეები: გ. შავლიაშვილი, ნ. გვენეტაძე, პ. სილაგაძე), რომ წინასწარ შეკავშირებაში არ იგულისხმება დანაშაულებრივ ქმედებამდე დროის ხანგრძლივი მონაკვეთის არსებობა; მთავარია, რომ შეთანხმება მოხდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების მომენტამდე. ამასთან, აუცილებელია საქმეში არსებობდეს შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს ასეთი შეთანხმების არსებობაზე, რაც შესაძლებელია, ჯგუფის წევრებს შორის როგორც სიტყვიერ – წერილობით, ისე არავერბალურ კომუნიკაციაშიც – ყვესტებსა და მიმიკებსში – გამოიხატოს.

10. მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულ გ. თ-სა და მოწმე კ. თ-ს ჩვენებებით დადგენილია, რომ ისინი არ არიან მომხდარი ფაქტის თვითმხილველები და სათამაშო აპარატის ქურდობის ეპიზოდთან დაკავშირებით გადმოსცემენ იმ ინფორმაციას, რაც იხილეს სასტუმროს კამერის ვიდეოჩანაწერში, კერძოდ: კადრში ჩანს, თუ როგორ იღებს რ. გ-ე სასტუმროს ჰოლიდან „იქსბოქსის“ აპარატს და შეაქვს ოთახში. გარდა ამისა, მათი ვარაუდით, სათამაშო აპარატი სასტუმროდან გაიტანა მ. თ-მ, რადგან მას შენობიდან გასვლისას, გ. თ-ს განმარტებით, ხელში ეჭირა ჩანთა, ხოლო კ. თ-ს (უშუალოდ შეესწრო მ. თ-ს მიერ სასტუმროს დატოვების მომენტს) განმარტებით – ტანსაცმელი (მაისური), რომელშიც, მათი აზრით, მ. თ-ს დამალული ექნებოდა სათამაშო აპარატი, თუმცა დანამდვილებით არ იციან. ამდენად, მათი ჩვენებებით არ დასტურდება არც აღნიშნულ პირებს შორის წინასწარი შეკავშირების ფაქტი და არც ის, რომ სათამაშო აპარატი სასტუმროდან გაიტანა სწორედ მ. თ-მ და იგი წარმოადგენს მხოლოდ ბრალდების მხარის ვარაუდს; რაც შეეხება გამოკვლეულ ვიდეოჩანაწერს, მასზე არ ჩანს შ. კ-ს, რ. გ-ს, გ. გ-სა და მ. თ-ს შორის რაიმე ისეთი ტიპის კომუნიკაცია, ან მოქმედება, რაც პალატას საშუალებას მისცემდა, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ერწმუნა მათ შორის წინასწარი შეთანხმების არსებობა. მხოლოდ ის ფაქტი, რომ 2015 წლის 29 აპრილს – 09:12:04 საათიდან 09:18:22 საათის ინტერვალში – ვიდეოჩანაწერზე სხვადასხვა დროს ჩანან – შ. კ-ი, რ. გ-ე, გ. გ-ე და მ. თ-ი, არ მიუთითებს მათ შორის რაიმე დანაშაულებრივი კავშირის არსებობაზე, რაზედაც ბრალ-

დების მხარე უსაფუძვლოდ აპელირებს. ასევე, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია ბრალდების მხარის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მათი მხრიდან სხვისი ნივთის დაუფლების განზრახვის არსებობაზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ მათი წასვლის შემდეგ, დალაგებისას, სასტუმროს ნომერში არსებული ტელევიზორი აღმოჩნდა უკულმა დაკიდებული, რაც მიანიშნებს მათ მიერ ტელევიზორის დაუფლების განზრახვაზეც. სხვა რაიმე უტყუარი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სათამაშო აპარატის ქურდობის ფაქტს, ბრალდების მხარეს არ წარმოუდგენია.

11. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა ასევე ყურადღებას მიაპყრობს იმ გარემოებაზე, რომ საქმის მასალებით არ არის დადგენილი არათუ ის ფაქტი, კონკრეტულად რომელმა მათგანმა გაიტანა სასტუმროდან „იქსბოქსის“ აპარატი, არამედ საერთოდ გაურკვეველია, რა ბედი ეწია მას რ. გ-ს მიერ ოთახში შეტანის შემდეგ. მხოლოდ დაზარალებულ გ. თ-სა და მონმე კ. თ-ს ვარაუდი, რომ სასტუმროდან გასვლისას მ. თ-ს ხელში ეჭირა რალაც ნივთი და შესაძლებელია, სწორედ ის ყოფილიყო სათამაშო აპარატი, არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარ მტკიცებულებად და საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს.

12. საყურადღებოა ასევე ის გარემოებაც, რომ, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, დაზარალებული გ. თ-ე და მონმე კ. თ-ე არ არიან მოცემული შემთხვევის თვითმხილველები და მათთვის სათამაშო აპარატის დაკარგვის ფაქტი ცნობილი გახდა წინასწარი გამოძიების მიერ რ. გ-ს, შ. კ-სა და გ. გ-თვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენის დღიდან მხოლოდ მეოთხე-მეხუთე დღეს. ამდენად, მთელი ამ დროის განმავლობაში როგორც გ. თ-ს, ასევე კ. თ-თვის უცნობია სათამაშო აპარატის ბედი, სად იყო ის – სასტუმროს რომელიმე ნომერში, ჰოლში თუ საერთოდ, დაიკარგა. კ. თ-ს ჩვენებით, რომ სასტუმროდან ყოველი სტუმრის გასვლის შემდეგ პირადად ამოწმებს, ხოლო დამლაგებელი ალაგებს ოთახს, უტყუარად არ დასტურდება ის ფაქტი, რომ აპარატი დაიკარგა 2015 წლის 29 აპრილს, სწორედ მას შემდეგ, რაც სასტუმროს შენობა დატოვეს შ. კ-მ, რ. გ-მ, გ. გ-მ და მ. თ-მ. ამასთან, გამოძიება არ დაინტერესებულა და არ გამოუთხოვია ინფორმაცია, ამ დროის განმავლობაში ისარგებლა თუ არა სხვა დამსვენებელმა სასტუმროს იმ ოთახით, რომელშიც განთავსებული იყვნენ ბრალდებულები.

13. ამდენად, სასამართლოში წარმოდგენილ მტკიცებულებათა გაანალიზებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დას-

კვნებს და მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებები საერთოდ გამორიცხავს შ. კ-სა და გ. გ-ს მხრიდან სათამაშო აპარატის ქურდობის ნაწილში მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების ჩადენას და არ დასტურდება მათ მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა. რაც შეეხება შ. კ-თვის საქართველოს სსკ-ის 185-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ-ის 238<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრად შერაცხულ ქმედებებს, საკასაციო პალატა მას მთლიანად დადასტურებულად და საფუძვლიანად მიიჩნევს, საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და ამ გარემოებათა თაობაზე საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე. ამასთან, საკასაციო პალატა არ იზიარებს როგორც ბრალდების მხარის, ასევე სააპელაციო სასამართლოს სამართლებრივ შეფასებას რ. გ-ს მიერ ჩადენილ ქმედებასთან დაკავშირებით, შემდეგ გარემოებათა გამო:

14. საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის თანახმად, ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. პირის ქმედება რომ ქურდობად დაკვალიფიცირდეს, აუცილებელია, ქურდობისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშნის არსებობა, კერძოდ: 1. სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება. 2. ქმედების ფარული ფორმით განხორციელება. 3. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის არსებობა. ხოლო აღნიშნული დანაშაული დამთავრებულია ნივთის დაუფლების მომენტიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ დამნაშავეს ეძლევა შესაძლებლობა, ფლობდეს და განკარგოს სხვისი ქონება, როგორც საკუთარი.

15. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოწმე მ. თ-ს ჩვენება მისი არასანდოობის თვალსაზრისით, რასაც, როგორც ზემოთ აღინიშნა, სრულად ეთანხმება საკასაციო პალატაც. ამდენად, სააპელაციო პალატამ რ. გ-ს მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტი დადასტურებულად ჩათვალა მხოლოდ ერთი მტკიცებულების, კერძოდ, სასტუმროში განთავსებული კამერის ვიდეოჩანაწერის საფუძველზე და განმარტა, რომ მის მიერ სათამაშო აპარატის მოთავსების ადგილიდან – ჰოლიდან ფარულად დაუფლება და სასტუმროს ნომერში შეტანა თავისთავად წარმოადგენს უკვე დამთავრებულ დანაშაულს; ამასთანავე, ამავე ვიდეოჩანაწერიდან თვალნათლივ ჩანს მისი მოქმედების როგორც ფარული ხასიათი, ასევე – მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანიც.

16. განსახილველ შემთხვევაში, ვიდეოჩანაწერის თანახმად,

მართალია, რ. გ-ე მართლაც ეუფლება სასტუმროს ჰოლში არსებულ ნივთს და შეაქვს სასტუმროს ოთახში, რასაც სადავოდ არ მიიჩნევს არც საკასაციო პალატა, მაგრამ საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევით უტყუარად არ დასტურდება ქურდობის, როგორც საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანი – მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი. ბრალდების მხარეს არ წარმოდგენია რაიმე მტკიცებულება, რომელიც უტყუარად დაადასტურებდა, რომ მას ამოძრავებდა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი და არ არის გამორიცხული ეჭვი, რომ მას სურდა ამ ნივთით მხოლოდ სარგებლობა – თამაში, მისი სასტუმროში ყოფნის განმავლობაში. აღსანიშნავია, რომ სასტუმრო „...“ ჰოლი დამსვენებლებისათვის განკუთვნილი, საერთო სარგებლობის მქონე ოთახია (როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, იგი მოწყობილია როგორც სასადილო ოთახი), რის შესაბამისადაც, სათამაშო აპარატი განთავსებული იყო სწორედ იქ, ხელმისაწვდომი იყო ყველა დამსვენებლისათვის, რათა მათ ჰქონოდათ მისით სარგებლობის უფლება და შესაძლებლობა. ზუსტად ის გარემოება, რომ რ. გ-ე სასტუმროს ჰოლიდან, და არა – სასტუმროს რომელიმე ოთახიდან დაეუფლა ნივთს, აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ მას სურდა არა აპარატის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით ფარულად დაუფლება, არამედ – მხოლოდ სარგებლობა, ყოველგვარი ეჭვი კი უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასიკეთოდ. გარდა ამისა, ასევე დადასტურებულია, რომ რ. გ-ს სასტუმროდან სათამაშო აპარატი არ გაუტანია და რა ბედია ეწია აპარატს მას შემდეგ, რაც რ. გ-მ შეიტანა ოთახში, წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილი არ არის, რაზეც ზემოთ უკვე იყო დეტალური მსჯელობა.

17. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ აღნიშნული კონსტიტუციური დებულება წარმოადგენს სამართლებრივი სახელმწიფოს ერთ-ერთ საფუძველს, განამტკიცებს უდანაშაულო პირის მსჯავრდების თავიდან აცილების მნიშვნელოვან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპს – „in dubio pro reo“, რომლის თანახმად, დაუშვებელია პირის მსჯავრდება საეჭვო ხასიათის ბრალდებების საფუძველზე და, ამდენად, სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გა-

რანტიას ქმნის. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე, მტკიცებულებითი სტანდარტი ვალდებულებას აკისრებს სასამართლოს, რომ სათანადოდ შეაფასოს მტკიცებულებები, სამართლიანად გადაჭრას სამხილებს შორის არსებული წინააღმდეგობები და ამ პროცესში წარმოშობილი ყოველგვარი გონივრული ეჭვი გადაწყვიტოს ბრალდებულის უდანაშაულობის, მისი თავისუფლების სასარგებლოდ<sup>1</sup>.

18. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, განაჩენი უნდა ემყარებოდეს საქმეში არსებულ მტკიცებულებათა თავისუფალ შეფასებას, დასკვნებს, რომლებიც გამომდინარეობს ფაქტობრივი გარემოებებიდან და მხარეების მიერ წარდგენილი მოსაზრებებიდან. მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე გაუქარწყლებელი ვარაუდების ერთობლიობიდან<sup>2</sup>.

19. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ რ. გ-ე, მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, უნდა გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხულ მსჯავრდებაში, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მაისის განაჩენი დანარჩენ ნაწილში უნდა დარჩეს უცვლელად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

---

<sup>1</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>2</sup> იხ. El Masri v The Former Yugoslav Republic of Macedonia №39630/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება და Hassan v The UK №29750/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება.



## დაადგინა:

1. ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ თამარ ჰაპავას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. მსჯავრდებულ რ. გ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. გ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მაისის განაჩენში შევიდეს ცვლილება რ. გ-თან მიმართებით:
4. რ. გ-ე ცნობილ იქნეს უდანაშაულოდ და გამართლდეს საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით შერაცხულ მსჯავრდებაში.
5. რ. გ-ე დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს სასამართლო სხდომის დარბაზიდან.
6. რ. გ-ს განემართოს, რომ უფლება აქვს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.
7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 23 მაისის განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს ძალაში.
8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

**მსჯავრდებულის ქმედებიდან ქურდობის  
მაკვალიფიცირებალი ნიშნების – საცავში უკანონოდ  
შელწევა და ქურდობა ჩადენილი დიდი ოდენობით,  
ამორიცხვა**

**ბანაჩანი  
საქართველოს სახელმწიფო**

№412აპ-16

28 დეკემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

განიხილა ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანა მეტრეველის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მაისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, დ. კ.-ს ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი საცავში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2015 წლის მარტში დ. კ.-მ შეაღწია ქ. თბილისში, ... №...-ში მდებარე ... მუზეუმის საცავში და ფარულად, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაეუფლა მუზეუმის საცავში დაცულ, მაღალმხატვრული ღირებულების მქონე უნიკალურ ..., ღირებულს 42 156 (ორმოცდაორი ათას ას ორმოცდათექვსმეტი) ლარად. აღნიშნული ქმედებით ქ. თბილისის ... მუზეუმს მიადგა 42 156 (ორმოცდაორი ათას ას ორმოცდათექვსმეტი) ლარის, დიდი ოდენობის მატერიალური ზიანი.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 3 თებერვლის განაჩენით დ. კ.-ს ქმედება საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველ ნაწილზე.

დ. კ.-ა, – დაბადებული 19.. წლის ... ივნისს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის პირველი ნა-

წილით და სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა – 4 000 (ოთხი ათასი) ლარი; იმის გათვალისწინებით, რომ დ. კ-ა პატიმრობაში იმყოფებოდა 2015 წლის 26 მაისიდან – 2016 წლის 3 თებერვლის ჩათვლით, საქართველოს სსკ-ის 62-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე მთლიანად გათავისუფლდა სასჯელის მოხდისაგან.

ნივთიერი მტკიცებულებები: შემთხვევის ადგილიდან ამოღებული ხელის კვლები უნდა განადგურდეს, ხოლო მონმე ზ. შ-ს მიერ წარმოდგენილი მუზეუმის ექსპონატები უნდა დაუბრუნდეს მუზეუმს.

4. განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ანა მეტრეველმა, რომელმაც მოითხოვა მსჯავრდებულ დ. კ-ს დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მაისის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 3 თებერვლის განაჩენი დარჩა უცვლელად.

6. ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორი ანა მეტრეველი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მაისის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ დ. კ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში შემდეგი საფუძვლებით: საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებით უტყუარად არის დადასტურებული, რომ დ. კ-მ ქურდობა ჩაიდინა საცაფში უკანონო შეღწევით და ფარულად დაეუფლა დიდი ოდენობით ღირებულების ნივთებს, რასაც ადასტურებს მონმეების, ... მუზეუმის დაცვის თანამშრომლების – გ. ბ-სა და პ. მ-ს, ამავე მუზეუმის დირექტორის – ნ. ო-სა და თანამშრომლის – ნ. ბ-ს ჩვენებები.

7. საკასაციო პალატის სხდომაზე ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ანა მეტრეველმა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

8. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ დ. კ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ს. ჯ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის

31 მაისის განაჩენის უცვლელად დატოვება, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებული დ. კ-ც.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანა მეტრეველის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა არ იზიარებს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, მსჯავრდებულ დ. კ-ს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით დამნაშავედ ცნობის თაობაზე და ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ საქმეში არსებულ, ერთმანეთთან შეთანხმებულ, ეჭვის გამომრიცხავ და ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით დასტურდება დ. კ-ს მიერ ქურდობის ჩადენის ფაქტი. ამასთან, ბრალდების მხარემ ვერ წარმოადგინა უტყუარ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობა, რაც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დაადასტურებდა მის მიერ ქურდობის ჩადენას მაკვალიფიცირებული ნიშნებით – საცავში უკანონო შეღწევითა და დიდი ოდენობით, შემდეგ გარემოებათა გამო:

3. საქმეზე მოწმის სახით დაკითხულ, დაზარალებულ ნ. ო-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს ქ. თბილისში, ... №...-ში მდებარე ... მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზე. მუზეუმი შედგება ორი შენობისაგან, ერთი მათგანი არის ცენტრალური, რომლის მე-3 სართულზე განთავსებულია მუზეუმის ექსპონატების (ფონდის) ძირითადი ნაწილი, ხოლო მეორე კი წარმოადგენს ცალკე შენობას, რომელშიც განთავსებულია მუზეუმის სარეზერვო ექსპონატები (ფონდი). მუზეუმი არ ფუნქციონირებს, ორივე შენობა არის მერიის ბალანსზე და იცავს დაცვის სამსახური. მუზეუმის ყველა გასაღები ინახება დაცვის სამსახურში და მას გასაღებებთან არანაირი შეხება არ აქვს. ერთ-ერთ საცავში შესვლისას აღმოაჩინა, რომ ყუთები, რომლებშიც ინახებოდა სამუზეუმო ექსპონატები, ამოტრიალებული და თითქმის ყველა მათგანი გახსნილი იყო. როგორც შემდეგ გაირკვა, მუზეუმიდან დაიკარგა არაერთი ძვირფასი ნივთი, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა „საღღაც“ – 20 000 აშშ დოლარი, რის შესახებაც განაცხადა პოლიციაში. ის თვითონაც ცდილობ-

და დაკარგული ექსპონატების აღმოჩენას. ამიტომ დადიოდა იმ ადგილებში, სადაც იყიდებოდა მსგავსი ნივთები, რა დროსაც, ე.წ. „...“ გავლისას, აღმოაჩინა ერთ-ერთი ... მომძვრალი დეტალი, ასევე სხვა ექსპონატების ნაწილიც. გამყიდველისაგან შეიტყო, რომ პირი, რომელმაც მას ეს ნივთები ჩააბარა, იყო დ. კ-ა. ნ. ო-მ ასევე განმარტა, რომ ის თავის თავს არ ენდო, დაუკავშირდა თანამშრომლებს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ეს ნივთი მათი მუზეუმიდან იყო წაღებული.

4. ანალოგიური ჩვენება მისცა და იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა საქმეზე მონმის სახით დაკითხულმა იმავე მუზეუმის თანამშრომელმა – ნ. ბ-მ და დამატებით განმარტა, რომ ის თუ რის საფუძველზე შეფასდა დაკარგული ნივთების ღირებულება (მუზეუმისათვის მიყენებული ზიანის ოდენობა), მისთვის უცნობია, რადგან აღნიშნული საკითხი მის კომპეტენციაში არ შედის.

5. მონმე ზ. შ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ ე.წ. „...“ ბაზრობაზე ვაჭრობს ძველი ნივთებით. 2015 წლის მარტის დასაწყისში შეხვდა პირი (დ. კ-ა), რომელიც იდგა მაგნიტოფონების გამყიდველის დახლთან და ეჭირა „...“ ქალაღის საჭრელი დანა. მის კითხვაზე, ხომ არ ყიდდა ამ ნივთს, მან თანხმობა განაცხადა და მიჰყიდა ხსენებული ნივთი. ზ. შ-მ მას სთხოვა პირადობის მონმობა, მაგრამ მან უთხრა, რომ იყო დ. კ-ა და იქ ყველა იცნობდა. აღმოჩნდა, რომ იქვე მახლობლად ვაჭრობდა მისი ბავშვის ნათლია, რომელმაც დაუდასტურა, რომ ეს პირი მართლა დ. კ-ა იყო. ზ. შ-ს ჩვენებით ირკვევა, რომ იმ დღის შემდეგ მან არაერთხელ შეიძინა დ. კ-საგან სხვადასხვა ნივთი.

6. ფოტოსურათების ამოცნობის ოქმით დადგენილია, რომ ზ. შ-მ ამოიცნო დ. კ-ა.

7. მონმე გ. ბ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ მუშაობს ქ. თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურში დაცვის თანამშრომლად, რომლის ფუნქციას წარმოადგენს მერიის ბაღანსზე არსებული ობიექტების დაცვა. მას ევალებოდა ქ. თბილისში, ... №...-ში მდებარე ... მუზეუმის უსაფრთხოების დაცვა. მან განმარტა, რომ აღნიშნული მუზეუმი შედგება ორი – ცენტრალური და დამხმარე შენობისაგან და მას ევალებოდა ორივე მათგანის უსაფრთხოების დაცვა. შენობების გასაღებები ინახებოდა მხოლოდ დაცვის სამსახურში. ორივე შენობის კარები იკეტება გასაღებით და მათი გაღება ხდება მათთან დაკავშირების შემდეგ. მუზეუმის შენობაში შესვლის უფლება არ აქვთ გარეშე პირებს, რადგან მუზეუმი არ ფუნქციონირებს. იქ შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ მუზეუმის თანამშრომლებს. ისი-

ნი მორიგეობენ 3 დღეში ერთხელ და აქვთ მუშაობის 24-საათიანი გრაფიკი. მუზეუმში ინახება ყუთებში დასაწყობებული სამუზეუმო ექსპონატები, რომელთა გახსნის, მასში მოთავსებული ნივთების აღწერისა და ინვენტარიზაციის უფლება მას არ გააჩნდა. მან განმარტა, რომ მუზეუმში მომხდარი ქურდობის ფაქტი შეიტყო თანამშრომლებისგან.

8. ანალოგიური ჩვენება მისცეს და იგივე ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურეს საქმეზე მონმის სახით დაკითხულმა იმავე მუზეუმის დაცვის თანამშრომლებმა – პ. მ-მ და პ. ც-მ.

9. საქმეზე მონმის სახით დაკითხულმა – ი. ა-მ, გ. ფ-მ, მ. გ-მ და ა. ბ-მ ისაუბრეს იმ საგამოძიებო მოქმედებებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ, ან რომლებიც ჩაატარეს უშუალოდ მათ. სასამართლო სხდომაზე დაიკითხა ასევე ექსპერტი ხ. ჭ-ე, რომელმაც დაადასტურა მის მიერ გაცემული დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნის კანონიერება.

10. საკასაციო პალატა მთლიანად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ქმედების სადგომში ან საცავში უკანონო შეღწევით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელია, დამნაშავეს არ ჰქონდეს საცავში, ან სადგომში შესვლის უფლება. მოცემულ შემთხვევაში სწორედ იმ მონმების, კერძოდ – პ. მ-ს, გ. ბ-ს, ნ. ო-სა და ნ. ბ-ს ჩვენებებით, რომლებზეც სახელმწიფო ბრალდება აპელირებს, დადგენილია ის ფაქტი, რომ ... მუზეუმის ორივე შენობას იცავს დაცვის სამსახური, მათი გასაღებები ინახება და მათი გამოყენების უფლება აქვთ სწორედ მხოლოდ დაცვის სამსახურის თანამშრომლებს. თუ დაცვა არ გააღებს კარს, არათუ გარეშე პირი, მუზეუმის თანამშრომელიც ვერ შეძლებს მუზეუმში შესვლას. უფრო მეტიც, მსჯავრდებულ დ. კ-ს განმარტებით, რასაც ასევე ადასტურებენ დაცვის სხვა თანამშრომლები, მონმები – გ. ბ-ი და პ. მ-ი, ისინი მუზეუმის ცენტრალური შენობის მე-3 სართულზე (საიდანაც დაიკარგა სამუზეუმო ექსპონატები), სამუზეუმო ექსპონატებიდან დაახლოებით ნახევარი მეტრის მოშორებით იცვლიდნენ ტანსაცმელს. ამდენად, უსაფუძვლოა კასატორის პოზიცია, რომ დაცვის თანამშრომლებს არ ჰქონდათ უფლება, შესულიყვნენ მუზეუმის რომელიმე ოთახში და ევალეობდათ შენობის მხოლოდ გარეგანი მთლიანობის დაცვა.

11. საკასაციო პალატა ასევე იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას დ. კ-თვის საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით წარდგენილი ბრალდების უსაფუძვლობის თაობაზე და აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, დაკარგული ნივთების სპეციფიკიდან გამომდინარე,

ვინაიდან ისინი წარმოადგენენ ექსკლუზიურ და უნიკალურ ნაკეთობებს, უნდა დადგენილიყო დაკარგული ნივთების დანაშაულის ჩადენის დროს არსებული სახელმწიფო, საცალო, საბაზრო ან საკომისიო ფასები. ასევე არ ჩატარებულა სასაქონლო ექსპერტიზა, რომლითაც განისაზღვრებოდა ქონების ღირებულება. მოცემულ შემთხვევაში მუზეუმისათვის მიყენებული ზიანი განისაზღვრა მხოლოდ მისი დირექტორის – ნ. ო-ს ჩვენების საფუძველზე, რომელიც უთითებს ნივთების სავარაუდო და დაახლოებით ღირებულებას, ხოლო ერთ-ერთი დაკითხვისას ის ზარალის სხვა ოდენობაზე საუბრობს, მეორე დაკითხვისას კი – სხვაზე. საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ მოპარული ნივთების ღირებულების განსაზღვრისას სასამართლოს უნდა გაეთვალისწინებინა მსჯავრდებულის მიერ მათი გასხვისების ღირებულება, რაც მინიმუმ, მნიშვნელოვან ზიანს აღემატება და აღნიშნავს, რომ მიყენებული ზიანის ოდენობა უნდა დადგინდეს დანაშაულის ჩადენის დროს ნივთის საბაზრო ღირებულებიდან გამომდინარე და არა იმის მიხედვით, რა ფასში მოახდინა დანაშაულის ჩამდენმა პირმა მისი რეალიზაცია.

12. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატამ მიაჩნია, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მაისის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ანა მეტრეველის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 31 მაისის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.



## ქარცვა

### ბანაჩენი საქართველოს სახელმწიფო

№161აპ-16

15 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

ნ. გვენეტაძე,

გ. შავლიაშვილი

განიხილა მსჯავრდებულ მ. კ.-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. კ.-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 თებერვლის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 19 აგვისტოს განაჩენით მ. კ.-ე, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2014 წლის 31 დეკემბრიდან.

2. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნივთმტკიცებად ცნობილი მ. კ.-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული ქურთუკი, ყავისფერი საფულე, საქართველოს ბანკის ექსპრეს-ბარათი, ორი ფოტოსურათი, მეტრომანი, ერთი 20 თეთრიანი მონეტა, ერთი 5-თეთრიანი მონეტა, ლაი-ლაის სიმბარათი, ორი მეხსიერების ბარათი, კრიალოსანი, უბის წიგნაკი, სავარცხელი, წითელი სანთებელა და ცხვირსახოცი უნდა დაუბრუნდეს მის მფლობელს; ერთი 10-ლარიანი კუპიურა, საქართველოს ბანკის პლასტიკური ბარათი, მეტრომანი, „ლიბერთი“ ბანკის „სმარტივის“ ბარათი და 2 გასაღები უნდა დაუბრუნდეს მფლობელს ან ნდობით აღჭურვილ პირს; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ამსახველი ფოტოსურათები ერთ დისკზე უნდა დარჩეს სისხლის სამართლის საქმეში და შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

3. მსჯავრდებულ მ. კ.-ს მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2014 წლის 31 დეკემბერს, დაახლოებით 01:20 საათზე, ქ.თბილისში, ... ქუჩა №...-ის მიმდებარე ტერიტორიაზე, მ. კ.-მ ა. შ.-ს აშკარად მართლსაწინააღმდეგო მი-

საკუთრების მიზნით, სახის არეში მუშტის დარტყმით წაართვა ტყავის ქურთუკი.

4. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 თებერვლის განაჩენით დარჩა უცვლელად.

5. მსჯავრდებულ მ. კ-ს ინტერესების დამცველი, ადვოკატ კ. კ-ა საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 თებერვლის განაჩენის გაუქმებასა და მ. კ-ს გამართლებას.

6. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულ მ. კ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა კ. კ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება, რასაც დაეთანხმა მსჯავრდებული მ. კ-ე.

7. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა სალომე ადეიშვილმა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 თებერვლის განაჩენის უცვლელად დატოვება.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ მ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ მ. კ-ა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. კ-ს პოზიციას მსჯავრდებულის გამართლების თაობაზე, კერძოდ:

3. დაზარალებულ ა. შ-ს მიერ მიცემული ჩვენებით, ის მუშაობდა მტვირთავად დილის რვა საათიდან საღამოს ექვს საათამდე. სამუშაოს დამთავრების შემდეგ წავიდა და „კურტკა“ იყიდა. მერე მეგობრებთან ერთად სასმელი დალია და როცა ერთმანეთს დაშორდნენ, გაეშურა სამარშრუტო ტაქსისკენ. რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე მან გაიცნო მ. კ-ე, რის შემდეგაც გადაწყვიტეს, ერთად დაეღლიათ ალკოჰოლური სასმელი. დაზარალებულმა თავის ჩვენებაში გარკვევით მიუთითა, რომ თავიდან დალიეს ქუჩაში, ჯიხურთან, ხოლო შემდეგ – რაღაც შენობაში, რომელსაც კიბით ჩასასვლელი ჰქონდა, მაგრამ არ ახსოვს მისი დასახელება. მისივე განმარტებით, ზოგადად, ყველაფერზე საუბრობდნენ და კონკრეტულად რაზე, არ ახსოვს. ა. შ-მ მ. კ-

სთან შეხვედრისას უკვე მთვრალი იყო. მან აღნიშნა, რომ საუბრობდნენ როგორც ქართულად, ისე რუსულად, უფრო სწორად, მ. კ-ე ქართულად ესაუბრებოდა, თვითონ კი რუსულადაც საუბრობდა და ქართულადაც. დაზარალებულის ჩვენებიდან ირკვევა, რომ მან მ. კ-ს უთხრა, რომ ის ეროვნებით იყო იეზიდი და ვარაუდობს, რომ მისი ეროვნებიდან გამომდინარე გახდა ის აგრესიული. თუმცა, მ. კ-ს განმარტებით, მაშინვე არ გამოუვლენია აგრესიულობა. ის აგრესიული გახდა მოგვიანებით, რა დროსაც მ. კ-მ მოულოდნელად სახის არეში ხელი დაარტყა, რის შედეგადაც ის წაიქცა და თავი ბორდიურს დაარტყა. როდესაც ძლივს წამოდგა, სისხლი წამოუვიდა. კ-ს ჰკითხა, თუ რატომ დაარტყა, ამის შემდეგ მან ფეხიც დაარტყა მარცხენა მხარეს და დაუნყო ტყავის ქურთუკის გახდა, ის კი ეკითხებოდა, თუ რას ერჩოდა. მ. კ-მ მას განაუხილავს ქურთუკი და ცდილობდა გაქცევას. იგი გასისხლიანებული იყო, ყვიროდა და შველას ითხოვდა, რა დროსაც შემთხვევის ადგილზე მივიდნენ პოლიციის თანამშრომლები და დააკავეს მ. კ-ე, თავად კი გონება დაკარგა.

4. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სამედიცინო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, ა. შ-ს დაუდგინდა დიაგნოზი: სკალპის ღია ჭრილობა თხემის არეში, ნახეთქი ჭრილობები მარცხნივ, თხემისა და მარცხენა წარბის არეში. დაზიანებები განვითარებულია რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის მოქმედების შედეგად და მიეკუთვნება მსუბუქ ხარისხს, ჯანმრთელობის ხანმოკლე მოშლით. აღნიშნული დასკვნის სისწორე პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე დადასტურა მოწმის სახით დაკითხულმა ექსპერტმა თ. ქ-მ.

5. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სტაციონარული სასამართლო – ფსიქიატრიული ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, მ. კ-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის პერიოდში არ შეეძლო, სრულად გაცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლსაწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შეზღუდული შერაცხადობა). მ. კ-ე იმგვარი ფსიქიკური ავადმყოფობით, რომელიც ხელს უშლის სასჯელის მოხდას, დაავადებული არ არის. თავისი ფსიქიკური მდგომარეობით მ. კ-ე შეიძლება წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე და პასუხი აგოს ბრალად შერაცხული ქმედებისათვის.

6. მოწმის სახით დაკითხულმა ფსიქიატრმა ი. ს-მ უჩვენა, რომ შესწავლილ იქნა სისხლის სამართლის საქმე, გამოსაკვლევადი პირი და გაირკვა, რომ მ. კ-ე მართლსაწინააღმდეგო ქმედე-

ბის ჩადენის პერიოდში დაავადებული იყო ბიპოლარული აფექტური აშლილობით, მიმდინარე ეპიზოდში ჰიპომანიით. ამჟამად რემისიის მდგომარეობაა. მის მიერ მიცემული ჩვენების მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს ენერგიულ და „ანეულ“ ხასიათზე იყო, გადაჭარბებით სვამდა სასმელს და ადვილად უახლოვდებოდა უცხო პირებს. მის მიერ მიცემული ჩვენების მიხედვით, იგი იყო განონასწორებული, არათანმიმდევრული წინადადებები არ წარმოუთქვამს, ანუ მას ადეკვატური ჩვენებები აქვს მიცემული, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენებას ვერ მისცემდა. თუმცა, ექსპერტმა განმარტა, რომ ვინაიდან მ. კ-ს აქვს ფსიქიკური ნაკლი, შესაბამისად, შეიძლება ვერ გაერკვეს იურიდიულ საკითხებში. ასეთ შემთხვევაში, საჭიროა მისი უფლებები დაიცვას ადვოკატმა. ანალოგიური ჩვენება მისცა პირველი ინსტანციის სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ფსიქიატრმა ა. ტ-მ.

7. ამდენად, ექსპერტები თავიანთ ჩვენებებში არსად უთითებენ, რომ ისინი იზიარებენ ან არ იზიარებენ მ. კ-ს მიერ მიცემულ ჩვენებას. ისინი განმარტავენ, რომ ჩვენება იყო დალაგებული და თანმიმდევრული, რაც არ აძლევდათ საშუალებას, ემსჯელათ პირის შეურაცხადობაზე. ამასთან, მ. კ-ს აღენიშნება ისეთი ფსიქიკური აშლილობა, კერძოდ – ჰიპომანიაკალური ეპიზოდი, რომელიც გრძელდება რამდენიმე დღეს ან კვირას, შემდეგ კი დგება რემისიის პერიოდი, რასაც ადგილი ჰქონდა კონკრეტულ შემთხვევაში.

8. მოწმე ლ. უ-ს ჩვენებით 2014 წლის 31 დეკემბერს, ღამის საათებში, ის ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას თავის მენეჯილე ვ. მ-სთან ერთად. ისინი იმყოფებოდნენ ... ქუჩისა და ... კვეთასთან, რა დროსაც მოესმათ ხმაური და მამაკაცის ყვირილის ხმა, რომელიც დახმარებას ითხოვდა. მან დაინახა, რომ ორი მამაკაცი ერთმანეთში ძიძგილაობდა, ერთ-ერთს მ. კ-ს ეცვა სამხედრო ფორმა, რომელმაც სახის არეში ხელი დაარტყა დაზარალებულ ა-ე შ-ს და ეს უკანასკნელი ძირს დაეცა. მან ასევე დაინახა, თუ როგორ ცდილობდა მ. კ-ე ა-ე შ-სთვის ტყავის ქურთუკის წართმევას, დაზარალებული კი შველას ითხოვდა. აღნიშნული ფაქტის შემხედვარე, ის და ვ. მ-ე გაიქცნენ შემთხვევის ადგილისკენ, ხოლო მ. კ-ე, რომელმაც ქურთუკი წართვა ა. შ-ს, მათი მიმართულებით გაიქცა, რა დროსაც მან და მისმა თანამშრომელმა დააკავეს მ. კ-ე. ანალოგიური ჩვენება მისცა პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმე ვ. მ-მ.

9. 2014 წლის 31 დეკემბრის მ. კ-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმის თანახმად, ბრალდებულ მ. კ-ს პირადი ჩხრეკის

შედეგად ამოღებულ იქნა ტყავის ქურთუკი, იარლიყზე წარწერით „...“, რომლის ჯიბეში მოთავსებულია ყავისფერი საფულე. მასში იდო: ა. შ-ს სახელზე რეგისტრირებული საქართველოს ბანკის „ამერიკან ექსპრესის“ ბარათი, ორი ფოტოსურათი, მეტრომანი, 25 თეთრი, ლაი-ლაის სიმბარათი, ხოლო ქურთუკის გარეთა ჯიბეში ნანახი იქნა: ორი ცალი მეხსიერების ბარათი, კრიალოსანი, უბის წიგნაკი, სავარცხელი, წითელი ფერის სანთებელა და ცხვირსახოცი. აღნიშნული ნივთები ეკუთვნის ა-ე შ-ს და ყველა მათგანი მან ამოიცივნო.

10. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულ მ. კ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. კ-ს პოზიციას მსჯავრდებულის გამართლების თაობაზე და მიაჩნია, რომ კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით, სრულყოფილად და ობიექტურად გამოკვლეულ, უტყუარ, ურთიერთშეჯერებულ და საკმარის მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მ. კ-სათვის ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენა, რის გამოც გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

11. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ სასჯელის დანიშნისას სრულად გაითვალისწინა მსჯავრდებულის პიროვნება, მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოება – პირადი პირობები (შეზღუდული შერაცხადობა), პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია, ჩადენილი დანაშაულის მოტივი, მიზანი, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, ქმედების განხორციელების ხერხი და ისე განუსაზღვრა სამართლიანი სასჯელი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ მ. კ-ს ინტერესების დამცველის, ადვოკატ კ. კ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 17 თებერვლის განაჩენი დარჩეს უცვლელად.
3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## ქარცვა

### განაჩენი საქართველოს სასჯელით

№282აპ-16

13 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**ნ. გვენეტაძე,**

**გ. შავლიაშვილი**

განიხილა მსჯავრდებულ ს. კ-ს საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მარტის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 2 დეკემბრის განაჩენით ს. კ-ი, – დაბადებული 19.. წელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მეოთხე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

2. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდა ს. კ-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივნისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ახლად დანიშნულ სასჯელს დაემატა მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 18 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი – 6 თვით თავისუფლების აღკვეთა და საბოლოოდ, განაჩენთა ერთობლიობით, ს. კ-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა 7 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2015 წლის 22 აგვისტოდან.

3. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ნივთიერი მტკიცებულებები: კომპაქტდისკი უნდა დაერთოს საქმეს მისი შენახვის ვადით, ხოლო საგირავნო ხელშეკრულება, ს. კ-ს პირადობის მოწმობის ასლი და ოქროს ყელსაბაში უნდა დაუბრუნდეს მათ კანონიერ მფლობელებს.

4. განაჩენით მსჯავრდებულ ს. კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაუ-

ლი გამოიხატა შემდეგში: თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 4 მაისის განაჩენით ს. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით და მიესაჯა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 ივნისის განაჩენით ს. კ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მიესაჯა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად, 9 თვე განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 3 წელი, სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების შესაბამისად, ჩაეთვალა პირობით, 4 წლის გამოსაცდელი ვადით.

6. ს. კ-მ 2015 წლის 20 აგვისტოს, დაახლოებით 10:15 საათზე, ქალაქ თბილისში, ... ზემო ... მიკრორაიონის .....კოროპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, ი. ყ-ს აშკარად გასტაცა ოქროს ყელსაბამი, რაც მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა. ს. კ-ს დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ი. ყ-ს მიაღვა 720 ლარის მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

7. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მარტის განაჩენით დარჩა უცვლელად.

8. მსჯავრდებული ს. კ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მარტის განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

9. საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა ს. კ-მ მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

10. საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა თამარ ხეთაგურმა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მარტის განაჩენის უცვლელად დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ ს. კ-ს საკასაციო საჩივარი უნდა დაკ-



მაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. პალატას მიაჩნია, რომ წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდება მსჯავრდებულ ს. კ-ს მიერ ძარცვის ჩადენის ფაქტი, რასაც არც კასატორი ხდის სადავოდ, კერძოდ:

3. გარდა თავად ს. კ-ს აღიარებითი ჩვენებისა, მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენა დადასტურებულია საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით: მონმეების – ა. მ-ს, თ. ბ-ს, გ. კ-ს ჩვენებებით, დაზარალებულ ი. ყ-ს ჩვენებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ამოღებული ნივთმტკიცებებით, დათვალიერების ოქმებით, ნივთმტკიცებების გახსნისა და დათვალიერების ოქმებით, ამოცნობის ოქმებით.

4. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შეფასების შედეგად საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლის მიერ ს. კ-ს ქმედების სამართლებრივ შეფასებას.

5. ამასთან, საკასაციო პალატა არ ეთანხმება ს. კ-ს ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, ვინაიდან მისი ქმედების ზემომოთიებული მუხლით დაკვალიფიცირებისათვის აუცილებელი პირობაა ის, რომ იგი ორჯერ ან მეტჯერ იყოს ნასამართლავი სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ან გამოძალვისათვის. მოცემულ შემთხვევაში ს. კ-თვის აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოების ბრალად შერაცხვა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს, რადგან იგი ნასამართლევია საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებითა და 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისათვის.

6. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის დისპოზიცია – წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექენა ან გასაღება არ ითვალისწინებს სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრებას და გამოძალვას, შესაბამისად, იგი არ იძლევა ს. კ-ს მიერ ჩადენილი ქმედების სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების საფუძველს.

7. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ს. კ-ს მსჯავრდებიდან უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის

301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მსჯავრდებულ ს. კ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 10 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

3. ს. კ-ს მსჯავრდებიდან ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

4. ს. კ-ი ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. საქართველოს სსკ-ის 67-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გაუქმდეს ს. კ-ს მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 18 ივნისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი.

6. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ახლად დანიშნულმა სასჯელმა შთანთქმას 2014 წლის 18 ივნისის განაჩენით დანიშნული სასჯელი და მას საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. სასჯელის მოხდის ვადა აეთვალოს 2015 წლის 22 აგვისტოდან.

7. განაჩენი დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელად.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 5. სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა

ელექტრო-მონტაჟის ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების წესების დარღვევა, რასაც მოჰყვება ადამიანის სიცოცხლის მოსპობა

**განაჩენი**  
**საქართველოს სახელმწიფო**

№214აპ-16

6 ოქტომბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**  
**ნ. გვენეტაძე,**  
**გ. შავლიაშვილი**

განიხილა ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ კახაბერ ლეკიშვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 მარტის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, დ. ა-ს ბრალი დაედო იმაში, რომ ჩაიდინა ელექტროობიექტის ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, კერძოდ:

2. 2014 წლის 26 აგვისტოს სს „ე-ას“ აღრიცხვისა და ანგარიშსწორების ჯგუფი, გემიური შემონმების მიზნით, მივიდა ... რაიონის სოფელ ... მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებულ წყალსატუმბის ელექტრო უჯრედის შესამონმებლად. სამუშაო ჯგუფის უფროსმა დ. ა-მ არ შეასრულა განწესით და განკარგულებით შესასრულებელ სამუშაოთა აღრიცხვის ჟურნალში მითითებული, სამუშაოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით სამუშაო ადგილზე 10 კვ-ის სახაზო გამთიშველის დამინება, ასევე სახაზო გამთიშველის დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარების მიზნით, უნდა შეენწყვიტა სამუშაოები და დაკავშირებოდა განკარგულების გამცემ პირს, რომლის შემდგომი მითითებითა და ახალი განკარგულების საფუძველზე შესრულდებოდა სამუშაოები, მაგრამ დ. ა-მ დაადგინა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნო-

ემბრის „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“ №100 ბრძანების მე-7 მუხლის მე-12 პუნქტისა და მე-15 მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნები, დაუკავშირდა უფლებამოსილ პირს, სს „ე-ს“ ... ოსტატ ნ. თ-ს, რომელსაც აცნობა, რომ შემონმებითი სამუშაოების ჩატარების მიზნით გამოერთო ფიდერი „დერცელი“. ნ. თ-მ გამართვევინა ფიდერი „დერცელი“, რის შემდეგაც შემონმების ჯგუფმა დაიწყო ობიექტზე სამუშაოების შესრულება, რომელსაც აწარმოებდა უფროსი სპეციალისტი გ. მ-ი. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ნ. თ-ს უნდა დაკავშირებოდა ობიექტზე მყოფი სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, ეცნობებინა სამუშაოს დასრულების თაობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მიეცა განკარგულება ნ. თ-ს ელექტროენერჯის ჩართვის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ნ. თ-ს არ მიუღია ფიდერ „დერცელის“ ჩართვისას მითითება, მან თვითნებურად გასცა განკარგულება და ჩართვევინა ფიდერი „დერცელი“, რა დროსაც ... ნყალსაქაჩის უჯრედზე მომუშავე გ. მ-ი აღმოჩნდა ძაბვის ქვეშ, რასაც მოჰყვა მისი სიცოცხლის მოსპობა.

3. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით დ. ა-ი ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 240<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში.

4. დ. ა-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა და ყადაღა უნდა მოეხსნას გირაოს უზრუნველსაყოფად დაყადაღებულ ს. ა-ს (პ/№...) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას ს/კ ...

5. დ. ა-ს უფლება აქვს, საქართველოს სსსკ-ის 92-ე მუხლის შესაბამისად, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

6. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 მარტის განაჩენით დარჩა უცვლელად.

7. ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორი კახაბერ ლეკიშვილი საკასაციო საჩივრით თხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 მარტის განაჩენის, როგორც უკანონოს, გაუქმებასა და დ. ა-თვის კანონიერი სასჯელის შეფარდებას.

8. საკასაციო პალატის სხდომაზე ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორმა კახაბერ ლეკიშვილმა ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები. მან მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

9. საკასაციო პალატის სხდომაზე გამართლებულ დ. ა-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა კ. მ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 მარტის განაჩენის უცვლელად დატოვება, რასაც დაეთანხმა დ. ა-ი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, ყოველმხრივ და ობიექტურად შეამოწმა საქმეში არსებული მტკიცებულებანი, შეაფასა თითოეული მათგანი საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სახელმწიფო ბრალმდებლის, პროკურორ კახაბერ ლეკიშვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2. „ე-ს“ სამხრეთ საქართველოს ფილიალის აღრიცხვისა და ანგარიშსწორების განყოფილების სპეციალისტის, მონმე ა. გ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2014 წლის 26 აგვისტოს გეგმიური შემონმების მიზნით უფროს სპეციალისტ გ. მ-სა და სპეციალისტ დ. ა-თან ერთად უნდა შეემონმებინა შპს „ტ-ს“ კუთვნილი დენის ტრანსფორმატორები და ... რაიონის სოფელ ... წყალსაქაჩის დენის ტრანსფორმატორები. მათ „ე-ს“ მე-3 უბნის მენეჯერ ი. ნ-ეს აცნობეს, რომ ... წყალსაქაჩზე მიდიოდნენ შესამონმებლად. დ. ა-მ ჰკითხა, ობიექტზე ყურადღებას ვინ მიაქცევდა, რაზეც ი. ნ-მ განუმარტა, რომ კავშირი ჰქონოდათ ნ. თ-თან. მიზნობრივი ინსტრუქტაჟი არ ჩატარებიათ. საჭირო იყო განწესის შედგენა, მაგრამ არ შედგა, უცნობი იყო, ვინ იქნებოდა სამუშაოს მწარმოებელი. ობიექტი წარმოადგენდა კერძო საკუთრებას, ამიტომ მეპატრონეს უნდა გამოეყო ერთი პირი, რომელიც იქნებოდა ელექტრომეურნეობაზე პასუხისმგებელი და გამზადებულს დაახვედრებდა ჯგუფს, რომ ემუშავათ, დაწერდა შესაბამის განწესს, მუშაობის დროს იკისრებდა პასუხისმგებლობას ობიექტის უსაფრთხოებაზე. როდესაც ჯგუფი გადის და მეპატრონე არ ხვდება, მას არ აქვს უფლება შევიდეს ობიექტზე და ჩაატაროს სამუშაოები, ამ დროს გაფრთხილებული უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირი და ჯგუფმა უნდა დატოვოს ტერიტორია. გეგმიურ შემონმებაში არ შედიოდა 10-კილოვოლტიანი გამთიშველის გამორთვა. თუ საჭიერო გამთიშველი გაითიშებოდა, მოხდებოდა დამინება და ჩართული იქნებოდა მაღალი ძაბვა, უსაფრთხო იქნებოდა სამუშაოების ჩატარება, მაგ-

რამ როცა საჰაერო გამთიშველი გათიშული არაა, არც დამინებაა და გამორთულია მაღალი ძაბვა, უსაფრთხო არაა სამუშაოების ჩატარება. საჰაერო გამთიშველი უნდა გაეთიშათ, მაგრამ არ იყო მწყობრში, მისი გათიშვა ობიექტის წარმომადგენელს ევალებოდა, მაგრამ ვინაიდან იქ არ იყო, ამიტომ გამორთვა სცადა ს. მ-მ, თუმცა უშედეგოდ. გ. მ-ი იყო უფროსი სპეციალისტი. ვინაიდან ის და დ. ა-ი არიან დაბალი რანგის სპეციალისტები, სამუშაოების ჩატარებისას ასრულებდნენ მის დავალებებს. ამ შემთხვევაში სამუშაოს მწარმოებლად ითვლებოდა უფროსი სპეციალისტი გ. მ-ი. გ. მ-ს სიტყვიერი დავალებით დ. ა-მ დაურეკა ნ. თ-ს და მოითხოვა ფიდერის გათიშვა. ფიდერის ჩართვა შეიძლებოდა მხოლოდ ამავე პირის ნებართვით.

3. მოწმე ი. ნ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ 2015 წლის 26 აგვისტოს უნდა მომხდარიყო ... წყალსაქაჩის გეგმიური შემოწმება. იგი დაუკავშირდა ნ. თ-ს და აცნობა, რომ უნდა მომხდარიყო მითითებულ ობიექტებზე გეგმიური შემოწმება და თუ საჭირო გახდებოდა, დახმარებოდა ჯგუფს. მოგვიანებით მას დაუკავშირდა ნ. თ-ი და უთხრა, რომ 10 კვ-ის გამთიშველი არ მუშაობდა და აღრიცხვისა და ანგარიშსწორების ჯგუფი უსაფრთხოების მიზნით ითხოვდა ფიდერის გათიშვას. საჭირო იყო განკარგულების დაწერა, ვინაიდან განკარგულების ნომრის გადაცემის გარეშე ცენტრალური დისპეტჩერი ... ფიდერს არ გათიშავდა. განკარგულებაში აუცილებელია მიეთითოს მიზეზი, რის გამოც ითიშება ფიდერი, ასევე სამუშაოს მწარმოებელი და ბრიგადის წევრები. ვინაიდან ნ. თ-საგან იცოდა, რომ მოლაპარაკებას ფიდერის ჩართვა-გამორთვაზე აწარმოებდა დ. ა-ი, ამიტომ მან საქმის მწარმოებლად მიუთითა იგი, თუმცა ფიდერის ჩართვა-გამორთვაზე შესაძლებელი იყო სამუშაოს მწარმოებლის დავალებით ჯგუფის რომელიმე წევრს წარემართა მოლაპარაკებები. განკარგულება როდესაც იწერება, საჭიროა ჯგუფის წევრებს ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი, ხელი უნდა მოაწეროს ჯგუფის ყველა წევრმა, თუმცა ამ შემთხვევაში, ვინაიდან ჯგუფი იყო გასული სამუშაო ადგილზე და განკარგულება ი. ნ-მ მათ დაუსწრებლად დაწერა, ამიტომ ჯგუფის წევრებისათვის ინსტრუქტაჟი არ ჩაუტარებია და, შესაბამისად, ხელმოწერებიც არ დაფიქსირებულა განკარგულებაზე.

4. სს „ე-ს“ ... მომსახურების ცენტრის მესამე უბნის ოსტატის, მოწმე ნ. თ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ სამსახურებრივი შინაგანაწესის მიხედვით, ევალებოდა შეკეთების და შემოწმების დროს ფიდერების ჩართვა-გამორთვაზე დისპეტჩერთან მოლაპარაკება. 2014 წლის 26 აგვისტოს მას დაუკავშირდა დ. ა-

ი და მოსთხოვა ფიდერ „არალის“ გათიშვა და „შეკეთებაში ჩაყენება“, რათა შეემონმებინათ სოფელ ... შპს „ტ-ს“ აღრიცხვის კვანძები. ნ. თ-ი დაუკავშირდა რეგიონის დისპეჩერს და მოითხოვა ფიდერის გამორთვა. მან რამდენიმე წუთში აცნობა, რომ ფიდერი გამორთული იყო და შესაძლებელი იყო სამუშაოს წარმოება. სამუშაოს დასრულების შემდეგ დ. ა-ი კვლავ დაუკავშირდა და აცნობა, რომ შეეძლო ფიდერ „არალის“ ჩართვა. დაახლოებით ერთ საათში მას კვლავ დაუკავშირდა დ. ა-ი და მოსთხოვა ფიდერ „დერცელის“ გამორთვა. იგი კვლავ დაუკავშირდა რეგიონის დისპეჩერს და მოითხოვა ფიდერ „დერცელის“ გამორთვა და „შეკეთებაში ჩაყენება“. როდესაც აცნობეს, რომ ფიდერი „დერცელი“ გამორთეს, დაუკავშირდა დ. ა-ს, უთხრა, რომ ფიდერი „დერცელი“ გამორთული იყო და შეეძლოთ ეწარმოებინათ სამუშაოები. ის დ.ა-ს გაფრთხილების გარეშე დაუკავშირდა რეგიონის დისპეჩერს და მოითხოვა ფიდერ „დერცელის“ ჩართვა. მოგვიანებით შეიტყო, რომ გარდაიცვალა გ. მ-ი, რომელიც აწარმოებდა სამუშაოებს. ფიდერის ჩართვა-გამორთვაზე მოლაპარაკებების წარმოება შეეძლო სამუშაო ჯგუფის ნებისმიერ წევრს, მიუხედავად იმისა, იქნებოდა თუ არა ის საქმის მწარმოებელი. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით იგი გრძნობს თავის დანაშაულს და აღნიშნულთან დაკავშირებით იხდის სასჯელს.

5. სს „ე-ს“ რეგიონული უსაფრთხოების ტექნიკის უფროსი ინსპექტორის, მონმე რ. ხ-ს განმარტებით, მის სამსახურში შედის აღრიცხვისა და ანგარიშსწორების ჯგუფი, რომელიც ახდენს რეგიონში შემავალი ობიექტების გეგმიურ შემონმებას აღრიცხვის კუთხით. მომსახურების ცენტრები აფრთხილებენ ობიექტის პასუხისმგებელ პირებს შემონმების შესახებ, აღრიცხვის სამსახურში სამსახურის უფროსი აკომპლექტებს ჯგუფებს და უშვებს შესამონმებლად ობიექტებზე. როცა შესამონმებელი ობიექტი არის კერძო, მის მეპატრონეს აფრთხილებენ წინასწარ, მას უნდა ჰყავდეს ელექტრომეურნეობაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ვალდებულია ბრიგადის უსაფრთხო მუშაობაზე. მან სამუშაო ადგილზე უნდა უზრუნველყოს სამუშაო ობიექტის მომზადება, ჯგუფის წევრებს ჩაუტაროს სამუშაოს მოკლე ინსტრუქტაჟი, რაზეც უნდა შედგეს განწესი ან განკარგულება, შემდეგ ჯგუფი გაუშვას სამუშაოდ. ამ შემთხვევაში სამუშაოს მწარმოებლად და პასუხისმგებლად ითვლება ობიექტზე ელექტრო მეურნეობაზე პასუხისმგებელი პირი. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს არ დახვდა ობიექტის წარმომადგენელი – ელექტრო მეურნეობაზე პასუხისმგებელი პირი, ჯგუფს არ



აქვს სამუშაოების წარმოების უფლება. მიუხედავად ამისა, ჯგუფმა დაიწყო მუშაობა. ი. ნ-ს მიერ გაცემულ იქნა №... განკარგულება იმ მიზნით, რომ აღნიშნულის საფუძველზე მომხდარიყო ფიდერის გამორთვა. განკარგულებაში ი. ნ-ს მიერ სამუშაოს მწარმოებლად დაფიქსირებულია დ. ა-ი, ვინაიდან ფიდერის ჩართვა-გამორთვაზე მოლაპარაკებებს აწარმოებდა იგი, თუმცა განკარგულებაზე არც დ. ა-სა და არც ჯგუფის სხვა წევრების ხელმოწერები დაფიქსირებული არ არის. მიზნობრივი ინსტრუქტაჟი ჯგუფს არ ჩატარებია. ფიდერის ჩართვა-გამორთვაზე მოლაპარაკებების წარმოების უფლება ჰქონდა ჯგუფის სამივე წევრს – გ. მ-ს, დ. ა-სა და ა. გ-ს.

6. მოწმე ექსპერტ უ. ხ-ს ჩვენებით დადგენილია, რომ პროფესიით არის ინჟინერ-ექსპერტი. გ. მ-ს გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს წარედგინა სისხლის სამართლის საქმის მასალები, რომლითაც დადგინდა, რომ 2015 წლის 26 აგვისტოს სს „ე-ს“ წარმომადგენლები წავიდნენ ... გეგმიური სამუშაოების შესამოწმებლად, რა დროსაც ჯგუფის ერთ-ერთი წევრი დ. ა-ი დაუკავშირდა ნ. თ-ს და სთხოვა გამოერთო ფიდერი „დერცელი“, რათა სამუშაოები უსაფრთხოდ ჩატარებინათ, რაც განხორციელდა და ჯგუფი შევიდა ობიექტზე სამუშაოდ. ნ. თ-მ ისე, რომ არავინ დაკავშირებია სამუშაოს დასრულების შესახებ, თვითნებურად ჩართვევინა ხაზი, რის შედეგადაც გარდაიცვალა გ. მ-ი. ფიდერის ჩართვა-გამორთვა ხორციელდებოდა ... . განკარგულების ნომრით, რომელიც შეადგინა ი. ნ-მ. განწეს-განკარგულების ჟურნალში სამუშაოს მწარმოებლად მითითებულია დ. ა-ი, ხოლო სამუშაოების უსაფრთხოდ ჩატარების მიზნით მითითებულია 10 კილოვოლტიანი საჰაერო გამთიშველის გათიშვა და დამინება. ობიექტზე საჰაერო გამთიშველი გამოსული იყო მწყობრიდან, რის შედეგადაც საჰაერო გამთიშველის გამორთვა ვერ მოხერხდა. სამუშაოს დაწყებამდე სიტყვიერი შეთანხმების შედეგად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გათიშულიყო ფიდერი „დერცელი“, რაც არ იქნა დაფიქსირებული განწეს-განკარგულების ჟურნალში. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან არ ხერხდებოდა საჰაერო გამთიშველის გამორთვა, უნდა მომხდარიყო დამინება ან ჯგუფი უნდა გამოსულიყო და შემდგარიყო ახალი განწესი, რომლითაც განწესის გამცემი განსაზღვრავდა, მოხდებოდა დამინება თუ არა, ვინ იქნებოდა მწარმოებელი, ვის უნდა გამოერთო ფიდერი, ანუ ის პირები, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებოდნენ სამუშაოს უსაფრთხოდ წარმოებაზე. თუ მოხდებოდა დამინება, გინდაც ჩართულიყო მაღალი ძაბვა, მოხ-

დებოდა ხაზის ავტომატური გათიშვა, რაც ადამიანს იცავს ძაბვაში ჩავარდნისაგან. როდესაც ჯგუფი შედის ობიექტზე, მას უნდა ჰქონდეს განწეს-განკარგულება. მის გარეშე ამგვარი სამუშაოების ჩატარება კანონდარღვევაა. განწესი რომ დგება, ის უნდა გააცნონ მასში მითითებულ პირებს, გააფრთხილონ უსაფრთხოების ნორმების დარღვევაზე და გააცნონ თავიანთი უფლება-მოვალეობები, ვინ არის სამუშაოს მწარმოებელი, ვინ მეთვალყურე, ვინ ბრიგადის წევრი. ამის შემდეგ უნდა მოხდეს ობიექტზე გასვლა და სამუშაოების დაწყება. თუ ბრიგადის წევრების დასწრების გარეშე შედგება განწესი, ეს აუცილებლად უნდა გაეცნოს ბრიგადის წევრებს, არსებობს შესაბამისი გრაფა ხელმოწერების, რომ გაეცნობიან თავიანთ უფლება-მოვალეობებს, ამას დაეთანხმებიან და იმის მიხედვით იხელმძღვანელებენ. ექსპერტმა განმარტა, რომ სამუშაოს აღრიცხვის ჟურნალში სამუშაოს მწარმოებლად მითითებულია დ. ა-ი, თუმცა განწეს-განკარგულების ჟურნალში არც საქმის მწარმოებლის და არც ჯგუფის სხვა წევრების ხელმოწერები არ არის დაფიქსირებული. იმისათვის, რომ პირი ჩაითვალოს საქმის მწარმოებლად, აუცილებელია განწესზე ხელი ჰქონდეს მონერილი. განწეს/განკარგულების შემდგენს ევალეზა გააცნოს განწესი სამუშაოს მწარმოებელს და ბრიგადის წევრებს, მოაწერიოს მათ ხელი. მოცემულ შემთხვევაში განწეს/განკარგულების ჟურნალში, ვინც არ უნდა ყოფილიყო მითითებული, მას მიიჩნევდა საქმის მწარმოებლად. სწორედ ამ დოკუმენტით იხელმძღვანელა დასკვნის შედგენისას. ის გარემოება, რომ ჯგუფის წევრების, მათ შორის დ. ა-ს ხელმოწერა არ ფიქსირდება ჟურნალში და აღნიშნულის გამო რამდენად უნდა დაკისრებოდა დ. ა-ს დასკვნაში განსაზღვრული პასუხისმგებლობა, ეს უნდა შეეფასებინა გამოძიებას სხვა დანარჩენ, მის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად.

7. განწესითა და განკარგულებით შესასრულებელ სამუშაოთა აღრიცხვის ჟურნალიდან ამონაწერით დადგენილია, რომ ... ნყალსაქაჩის აღრიცხვისა და დენის ტრანსფორმატორების შესამოწმებლად სამუშაო წარმოებდა №... განკარგულების მიხედვით, რომელიც გაცემულია ი. ნ-ს მიერ. ჟურნალში სამუშაოს მწარმოებლად მითითებულია დ. ა-ი უსაფრთხოების ჯგუფის IV კატეგორიით, ხოლო სამუშაოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მითითებულია სამუშაო ადგილზე 10კვ-ის სახაზო გამთიშველის გამორთვა და დამინება. ბრიგადის წევრები – გ-ი, მ-ი, მ-ი. ჟურნალში მიზნობრივი ინსტრუქტაჟის მიმღები მომუშავეების ხელმოწერები დაფიქსირებული არ არის.

8. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის №... დასკვნით დადგენილია, რომ სამუშაოს მწარმოებელმა დ. ა-მ დაარღვია საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის №100 ბრძანების „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“ მუხლი 7, პუნქტი №12-სა და მუხლის 15, პუნქტი 1-ის მოთხოვნები, ვინაიდან არ შესრულდა განწესითა და განკარგულებით შესასრულებელ სამუშაოთა აღრიცხვის ჟურნალში მითითებული, სამუშაოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სამუშაო ადგილზე 10კვ-ის სახაზო გამთიშველის დამინება. ასევე სახაზო გამთიშველის დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში, სამუშაოს უსაფრთხოოდ ჩატარების მიზნით, დ. ა-ს უნდა შეენცივებინა სამუშაოები და დაკავშირებოდა განკარგულების გამცემ პირს, რომლის შემდგომი მითითებით ახალი განწესი/განკარგულების საფუძველზე შესრულდებოდა აღნიშნული სამუშაო. დ. ა-ს შეეძლო ზემოხსენებული უსაფრთხოების წესების დაცვით თავიდან აეცილებინა დამდგარი შედეგი.

9. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ზემოაღნიშნული მტკიცებულებები სასამართლოს არ აძლევს ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ დ. ა-მ ჩაიდინა ელექტროობიექტის ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით; იმისათვის, რომ წარდგენილი ბრალდებით პირის მსჯავრდება მოხდეს, უნდა არსებობდეს შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადგინდება ფაქტის არსებობა. შემდეგ უნდა არსებობდეს უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადასტურდება ბრალდებულის დანაშაულებრივი კავშირი ფაქტთან და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდება ქმედების სამართლებრივი შეფასება, ანუ რამდენად სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას.

10. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმისათვის, რათა პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა რაიმე ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, საჭიროა აღნიშნული ვალდებულების შესრულება მას ევალებოდა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240<sup>1</sup>-ე მუხლის დისპოზიციის მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური შემადგენლობის დასადგენად საჭიროა სახეზე იყოს სხვა ნორმატიული აქტით დადგენილი ნორ-

მების დარღვევა იმის მიერ, ვისაც ამ ნორმების დაცვა ევალებოდა. წესების დარღვევა შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ასევე უმოქმედობით. ამასთან, მოვალეობათა ნორმების დამრღვევი პირი მოქმედებს გაუფრთხილებელი დამოკიდებულებით დამდგარი შედეგის მიმართ.

11. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის №100 ბრძანება ანესრიგებს უსაფრთხოების ტექნიკის წესებს ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას. ბრძანების მე-7 მუხლი განმარტავს სამუშაოს მწარმოებლის ვალდებულებებს და მიუთითებს, რომ სამუშაოს მწარმოებელი პასუხისმგებელია: ა) მომზადებული სამუშაო ადგილის შესაბამისობაზე განწესში მითითებულთან და სამუშაოს შესრულების პირობებიდან გამომდინარე მის მიერ განხორციელებულ უსაფრთხოების დამატებით ღონისძიებებზე; ბ) ბრიგადის წევრებთან ინსტრუქტაჟის მკაფიოდ და სრულად ჩატარებაზე; გ) აუცილებელი დამცავი საშუალებების, ინვენტარის, ინსტრუმენტების და სამარჯვების გამართულობასა და სწორად გამოყენებაზე; დ) სამუშაო ადგილზე შემოღობვების, უსაფრთხოების პლაკატებისა და ნიშნების, დამინებების, ჩამკეტი მოწყობილობების დაცულობაზე; ე) სამუშაოს უსაფრთხოდ ჩატარებაზე და ბრიგადის წევრებისა და მის მიერ წინამდებარე წესების დაცვაზე; ვ) ბრიგადის წევრებზე მუდმივი კონტროლის განხორციელებაზე; ზ) ელექტროდანადგარებში განწესით სამუშაოს მწარმოებელს უნდა ჰქონდეს ელექტროუსაფრთხოების IV ჯგუფი; თ) ელექტროდანადგარებში სამუშაოს მწარმოებელს, რომელიც სამუშაოს განკარგულების საფუძველზე ასრულებს, შეიძლება ჰქონდეს უსაფრთხოების III ჯგუფი. მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილი ადგენს, რომ აკრძალულია სამუშაო ადგილების მომზადებისათვის განწესით გათვალისწინებული ღონისძიებების შეცვლა. ამასთანავე, სამუშაო ადგილის მომზადების ღონისძიებების არასაკმარისობასა და სისწორეზე, აგრეთვე სამუშაოს უსაფრთხოდ შესრულების შესაძლებლობაზე. დაეჭვების შემთხვევაში მომზადება უნდა შეწყდეს და სამუშაო გადაიდოს ახალი განწესის გაცემამდე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება აღძრული ეჭვის გამომრიცხავი ღონისძიებები.

12. საინჟინრო ექსპერტიზის №... დასკვნის თანახმად, დ. ა. მ., როგორც სამუშაოს მწარმოებელმა, დაარღვია საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის №100 ბრძანების – „უსაფრთხოების ტექნიკის წესები ელექტროდანადგარების ექსპლუატაციისას“ მუხლი 7, პუნქტი №12-სა და მუხლის 15, პუნქტი 1-ის მოთხოვნები. დასკვნის გამცემი ექსპერ-

ტის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული ჩვენებით დადგენილია, რომ ექსპერტს არ შეუფასებია საკითხი, იცოდა თუ არა დ. ა-მ მასზე, როგორც სამუშაოს მწარმოებელზე დაკისრებული ვალდებულებების შესახებ. მან დ. ა-ი ექსპერტის დასკვნაში დააფიქსირა სამუშაოს მწარმოებლად იმიტომ, რომ იგი სამუშაოს მწარმოებლად დაფიქსირებული იყო განწესითა და განკარგულებით შესასრულებელ სამუშაოთა აღრიცხვის ჟურნალში, ხოლო ჟურნალში ხელმოწერის არარსებობის შეფასება მის კომპეტენციაში არ შედიოდა და აღნიშნული უნდა შეეფასებინა საგამოძიებო ორგანოს.

13. მონმე ი. ნ-მ განმარტა, რომ ჟურნალში დ. ა-ი სამუშაოს მწარმოებლად დააფიქსირა ნ. თ-ს მითითებით მხოლოდ იმიტომ, რომ დ. ა-მ განახორციელა სატელეფონო ზარი ფიდერის გამორთვის მოთხოვნით, ხოლო ელექტროგადაცემი ხაზის გასათიშად სავალდებულო იყო განწესითა და განკარგულებით შესასრულებელ სამუშაოთა აღრიცხვის ჟურნალში შემთხვევის დაფიქსირება, რათა მას მინიჭებოდა ნომერი, რომლის მეშვეობითაც „ე-ს“ რეგიონალური დისპეტჩერი შესძლებდა ელექტროენერჯის გამორთვის შესახებ განაცხადის მიღებას და მის დაკმაყოფილებას.

14. კასატორის მოსაზრებით, დ. ა-ი იყო სამუშაო ჯგუფის უფროსი, რომელმაც ელექტროობიექტის ექსპლუატაციის დროს დაარღვია უსაფრთხოების წესები, ხოლო აღნიშნულის დასადასტურებლად იგი უთითებს, რომ დ. ა-მ, მას შემდეგ, რაც ვერ მოახერხა აეროგამომრთველის გამორთვა, მოითხოვა ფიდერის გათიშვა.

15. საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს სახელმწიფო ბრალმდებლის აღნიშნულ არგუმენტს, ვინაიდან როგორც 1-ლი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულმა მონმე ი. ნ-მ განმარტა, მოლაპარაკებაში ფიდერის-ჩართვა გამორთვაზე მონაწილეობდა დ. ა-ი, ამიტომ მან საქმის მწარმოებლად მიუთითა იგი, თუმცა ფიდერის ჩართვა-გამორთვაზე შესაძლებელია, სამუშაოს მწარმოებლის დავალებით ჯგუფის რომელიმე წევრს ეწარმოებინა მოლაპარაკებები. მონმე ა. გ-მ კი განმარტა, რომ გ. მ-ი იყო უფროსი სპეციალისტი. ვინაიდან ის და დ. ა-ი არიან დაბალი რანგის სპეციალისტები, სამუშაოების ჩატარებისას ასრულებდნენ მის დავალებებს. სამუშაოს მწარმოებლად ითვლებოდა უფროსი სპეციალისტი გ. მ-ი და მისი სიტყვიერი დავალებით დ. ა-მ დაურეკა ნ. თ-ს და მოითხოვა ფიდერის გათიშვა. 1-ლი ინსტანციის სასამართლოში დაკითხულმა მონმე რ. ხ-მ ასევე აჩვენა, რომ ფიდერის ჩართვა-გამორთვაზე მოლაპარაკებებს წარმარ-

თავდა დ. ა-ი, თუმცა მოლაპარაკებების წარმოების უფლება ჰქონდა ჯგუფის სამივე წევრს – გ. მ-ს, დ. ა-სა და ა. გ-ს. აღნიშნულ მონმეთა ჩვენებებით დადასტურებულია, რომ დ. ა-ს მიერ ფიდერის ჩართვა-გამორთვის მოთხოვნა არ ნიშნავს იმას, რომ ის იყო ჯგუფის უფროსი.

16. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად ვერ დადგინდა, რომ უსაფრთხოების წესების დაცვა, რაზეც მიუთითებს კასატორი, ევალეობდა სწორედ დ. ა-ს. დ. ა-ს სამუშაოს მწარმოებლად მითითება არ მომხდარა აღნიშნული გარემოების მომწესრიგებელი ნორმატიული აქტის მოთხოვნათა დაცვით. პირველ ყოვლისა, არ მომხდარა დ. ა-ს ინფორმირება მისთვის რაიმე ვალდებულების დაკისრების შესახებ. შესაბამისად, მას ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ვალდებულებათა დარღვევისათვის. საქმეზე გამოკვლეული და მითითებული მტკიცებულებების საფუძველზე დ. ა-ს მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დადასტურებულად და საფუძვლად დაედოს მის მიმართ გამამტყუნებელ განაჩენს.

17. საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

18. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად: „მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ“.

19. ამავე კოდექსის მე-13 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად: „გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას“, ხოლო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი.

20. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბრალდების მხარეს

არ მოუპოვებია უტყუარ და დამაჯერებელ მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა, რომელიც დაადასტურებდა დ. ა-ს მიერ საქართველოს სსკ-ის 240<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა ვერ დასტურდება ის ფაქტი, რომ დ. ა-მ ელექტროობიექტის ექსპლუატაციის დროს დაარღვია უსაფრთხოების წესები, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა.

21. ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა. ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ.

22. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი დ. ა-ს მიმართ.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ახალციხის რაიონული პროკურატურის პროკურორ კახაბერ ლეკიშვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 1 მარტის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

3. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.



## 6. სამოსალო დანაშაული

### სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება

ბანაჩენი

საქართველოს სახელმწიფო

№141აპ.-16

25 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

გ. შავლიაშვილი (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
პ. სილაგაძე

განიხილა საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამო-  
ძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართვე-  
ლოს პროკურორების – ა. ტ-სა და დ. გ-ის საკასაციო საჩივარი  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქ-  
მეთა პალატის 2016 წლის 29 იანვრის განჩინებით.

#### აღწერილობითი ნაწილი:

1. ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, რ. ა-ას,  
ნასამართლობის არმქონეს, – ბრალი ედებოდა საქართველოს  
სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა სამ-  
სახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, ე.ი. მოხელის მი-  
ერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფი-  
ზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერე-  
სის არსებითი დარღვევა გამოიწვია (ბრალდების ორი ეპიზოდი)  
რაც გამოიხატა შემდეგში:

2. 2004 წლის 26 იანვრიდან 2012 წლის 14 აგვისტომდე, რ. ა-  
ია მუშაობდა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამეგ-  
რელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორის თანამდებობაზე  
და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8  
მუხლის თანახმად, წარმოადგენდა საჯარო მოხელეს.

3. სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის წარ-  
მოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებული  
კ. ლ-ა ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 27 მაისის გა-  
ნაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 236-ე მუხლის პირ-  
ველი, მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებულ დანა-  
შაულთა ჩადენისათვის და სასჯელის სახედ და ზომად განე-  
საზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 წლითა და 6 თვით, ხოლო

დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა ჯარიმა – 6000 ლარი.

4. 2009 წლის დეკემბერში მსჯავრდებულ კ. ლ-ას მეუღლე მ. ე-ა, ს-ის საოლქო პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში შეხვდა რ. ა-ას, რა დროსაც განიხილეს კ. ლ-ასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების საკითხი. რ. ა-ა მას დაჰპირდა, რომ გაერკვეოდა მისი მეუღლის ბრალდების სისხლის სამართლის საქმეში და საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობის შემთხვევაში დაუკავშირდებოდა.

5. 2009 წლის 22 დეკემბერს, მ. ე-ა ს-ის საოლქო პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში კვლავ შეხვდა რ. ა-ას, რომელმაც პირადად მოსთხოვა, რომ კ. ლ-ასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ჯარიმის ანგარიშზე ჩაერიცხა 10 000 ლარი. გარდა აღნიშნულისა, რ. ა-ამ პირადი დაინტერესებით, თითქოსდა, ქველმოქმედების მიზნით, მ. ე-ას მოსთხოვა, რომ კ. ლ-ას მეგობრებს, მის მიერ გადაცემულ არარსებულ „ა-ის გ-ის ფ-ის“ საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხათ 150 000 ლარი. რეალურად რ. ა-ას მიერ გადაცემული საბანკო რეკვიზიტები წარმოადგენდა მისი ახლობლის, ს. გ-ას კუთვნილ შპს „ს-ის“ საბანკო ანგარიშს.

6. მარინა ე. ი-ი გახდა დასთანხმებულა შეთავაზებულ პირობას. მან მეორე დღეს, კ. ლ-ას სახელით, სახელმწიფო ხაზინის ჯარიმის ანგარიშზე ჩარიცხა 10 000 ლარი, ხოლო მისი მეუღლის მეგობრის, გ. ნ-ის სახელით 150 000 ლარი რ. ა-ას მიერ მითითებულ შპს „ს-ის“ საბანკო ანგარიშზე.

7. 2009 წლის 25 დეკემბერს, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში დამტკიცდა კ. ლ-ასთან გაფორმებული საპროცესო შეთანხმება, სადაც დამატებითი სასჯელის სახით ჯარიმის ოდენობად დაფიქსირდა მხოლოდ 10 000 ლარი, რაც შეეხება შპს „ს-ის“ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხულ 150 000 ლარს, რომელიც საპროცესო შეთანხმების ოქმში არ ასახულა, მთლიანად შპს „ს-ის“ კომერციული მიზნებისთვის გაიხარჯა.

8. რ. ა-ამ, ზემოაღნიშნული ქმედებით, გადაამეტა მისი, როგორც საოლქო პროკურორის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებს, რამაც კ. ლ-ას და მ. ე-ას უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

9. 2009 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ს-ის სამმართველოში მიმდინარეობდა გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე ა. ტ-ას, ზ. ხ-ასა და დ. კ-ის მიმართ, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 19,196-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 27,197-ე მუხლის პირველი ნაწილით, მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და 27,362-

ე მუხლის პირველი ნაწილით.

10. ა. ტ-ას, ზ. ხ-ას და დ. კ-ს ალკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდათ პატიმრობა.

11. რ. ა-ას მოთხოვნით, პირობითი მსჯავრის გამოყენებით საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, ბრალდებულებს ჯარიმის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა ჩაერიცხათ თითოეულს 30 000 ლარი, ხოლო 60 000 ლარი, შენიღბვის მიზნით, გარეშე პირს დამატებით უნდა ჩაერიცხა შპს „ს-ის“ საბანკო ანგარიშზე. აღნიშნული ფირმა წარმოადგენდა რ. ა-ას ახლოობის, ს. გ-ას საკუთრებას.

12. 2009 წლის 25 დეკემბერს, რ. ა-ას მოთხოვნის შესაბამისად, ბრალდებულ ა. ტ-ას შვილმა – ჯ. ტ-ამ ბრალდებულებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, 60 000 ლარი მის მეგობარს, მ. ნ-ას ჩაარიცხინა შპს „ს-ის“ საბანკო ანგარიშზე, ხოლო 2009 წლის 29 დეკემბერს ბრალდებულების წარმომადგენლების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ჯარიმის ანგარიშზე ჩაირიცხა საპროცესო შეთანხმებით გათვალისწინებული ჯარიმის თანხა, საერთო ჯამში – 90 000 ლარი.

13. 2009 წლის 29 დეკემბერს, სენაკის რაიონული სასამართლოს მიერ დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმად, ბრალდებულებს – ა. ტ-ას, ზ. ხ-ასა და დ. კ-ს ძირითადი სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთა ჩაეთვალიათ პირობით, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით დაენიშნათ ჯარიმა თითოეულს 30 000 ლარი. რაც შეეხება შპს „ს-ის“ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხულ 60 000 ლარს, რომელიც საპროცესო შეთანხმების ოქმში არ ასახულა, მთლიანად შპს „ს-ის“ კომერციული მიზნებისათვის გაიხარჯა.

14. რ. ა-ია მოქმედებდა პირადი დაინტერესებით და საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ მან აღნიშნული ქმედებით გადაამეტა მისი, როგორც პროკურორის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლებს, რამაც ა. ტ-ას, ზ. ხ-ასა და დ. კ-ის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 მარტის განაჩენით რ. ა-ია ცნობილ იქნა უდანაშაულოდ და გამართლდა საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (კ. ლ-ას ეპიზოდი) და სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (ა. ტ-ას ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებებში.

16. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 მარტის განაჩენი სააპელაციო

წესით გაასაჩივრეს საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორებმა – ა. ტ-მა და დ. გ-ემ და ითხოვეს რ. ა-ას მიმართ გამოტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 მარტის გამამართლებელი განაჩენის გაუქმება, მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული კვალიფიკაციით და სამართლიანი სასჯელის დანიშვნა.

17. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 იანვრის განაჩენით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად.

18. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 იანვრის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის საპროკურორო ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორებმა – ა. ტ-მა და დ. გ-ემ და ითხოვეს რ. ა-ას მიმართ გამოტანილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 მარტის გამამართლებელი განაჩენის გაუქმება, მის ნაცვლად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენა საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით (ორი ეპიზოდი) გათვალისწინებული კვალიფიკაციით და სამართლიანი სასჯელის დანიშვნა შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

- მონმეების – მ. ე-ს, გ. წ-ის, კ. ლ-ას, ა. პ-ას, ი. ხ-ას, ჯ. ტ-ას, მ. წ-სა და ა. ტ-ას ჩვენებებით უტყუარადაა დადასტურებული, რომ კ. ლ-ასა და ა. ტ-ას ახლობლებმა თანხები გადაიხადეს მათთვის საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ და არავითარ ქველმოქმედებას ადგილი არ ჰქონია.

- სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ პატრიარქის რეზიდენციისა და პატრიარქის დასასვენებელი ოდის ასაშენებლად განხორციელდა ზემოხსენებული თანხების მობილიზება შპს „ს-ის“ ანგარიშზე, რომელსაც ხსენებული ობიექტების აშენება ჰქონდა დავალებული, რადგან უტყუარადაა დადგენილი, რომ როდესაც მ. ე-ამ თანხა ჩარიცხა, საერთოდ არ იცოდა, რომ საპატრიარქო რეზიდენცია შენდებოდა. ის ფაქტი, რომ მშენებლობების ორგანიზებაში მეუფე პ-სთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა რ. ა-ია, არ შეესაბამება სინამდვილეს. საქმეში წარმოდგენილია საპატრიარქოს ოფიციალური განცხა-

დება, რომელშიც ნათქვამია, რომ მშენებლობის მიმართულე-ბით არც ერთი რეალური ნაბიჯი არ გადადგმულა. შესაბამისად, რადგანაც მხოლოდ იდეა არსებობდა და მშენებლობა არ დაწყებულა, მის ორგანიზებაში ვერანაირ მონაწილეობას ვერ მიიღებდა რ. ა-ა; ობიექტები დღემდე აშენებული არ არის, ხოლო შპს „ს-ის“ ანგარიშზე ჩარიცხული თანხა – 210 000 ლარი მთლიანად გაიხარჯა ფირმის ეკონომიკური მიზნებისათვის და არანაირ საზოგადოებრივ საქმეს არ მოხმარებია.

- უსაფუძვლო სააპელაციო პალატის მსჯელობა, რომ საქმეში არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ შპს „ს-ში“ თანხების ჩარიცხვით რ. ა-ამ მიიღო რაიმე პირადი სარგებელი, ვინაიდან აღნიშნული მუხლის შემადგენლობა, ქმედების კვალიფიკაციისათვის არ ითვალისწინებს დანაშაულის სუბიექტის მიერ პირადი სარგებლობის მიღებას;

- დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის მსჯელობა მ. ე-ას ჩვენების იმ ნაწილზე, სადაც მონმე აცხადებს, რომ რ. ა-ას მისთვის თანხა არ გამოუძალავს და რომ კმაყოფილია მასთან შეხვედრით. ბრალდების მხარისთვის გაუგებარია, თუ რატომ ამახვილებს პალატა ყურადღებას გამოძალავაზე, როდესაც რ. ა-ას აღნიშნული კვალიფიკაციით არ ედავებიან; ასევე მცდარია მოსაზრება, იმის შესახებ, რომ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დაზარალებულმა თავის ცნობიერებაში უნდა აღიქვას, განიცადოს და შეაფასოს, რომ დამნაშავე პირის მხრიდან მის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებით მას (დაზარალებულს) მიადგა მატერიალური თუ მორალური ზიანი, შეილახა მისი უფლებები და ინტერესები, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნაშავეს პასუხისმგებლობა გამოირიცხება.

- კასატორები არ ეთანხმებიან აგრეთვე სააპელაციო პალატის მსჯელობას, რომ სახელმწიფო კანონიერი ინტერესის არსებით დარღვევად არ მიიჩნია სახელმწიფო ორგანოს საქართველოს პროკურატურის პრესტიჟისა და ავტორიტეტის შელახვა; ასევე, სახელმწიფო მმართველობის დადგენილი წესით დარღვევა, რომლის შემადგენელ ნაწილს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტიც წარმოადგენს. საქმეზე უტყუარად არის დადასტურებული, რომ რ. ა-ას უკანონო მოთხოვნის საფუძველზე, საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, დიდი ოდენობის თანხები კერძო ფირმის ანგარიშზე ირიცხებოდა, ეს ფაქტიკი არაერთი პირისათვის ხდებოდა ცნობილი და საზოგადოების ნაწილს უნდობლობას უჩენდა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის მიმართ. აღნიშნულით დაირღვა სახელმწიფო მმართველობის დადგენილი წესი და შეილახა საქართველოს პრო-

კურატურის პრესტიჟი და ავტორიტეტი. სახელმწიფო მმართველობის წესის დარღვევამ (საპროცესო შეთანხმების გაფორმების წესის უგულებელყოფამ) გამოიწვია ისიც, რომ ის თანხა – 210 000 ლარი, რომელიც საპროცესო შეთანხმების საფუძველზე საბოლოოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე უნდა მოხვედრილიყო და სახელმწიფოებრივი მიზნებისათვის უნდა გამოყენებულიყო, გაიხარჯა კერძო სუბიექტის სასარგებლოდ.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატამ მხარეთა მონაწილეობით განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს და უნდა გაუქმდეს რ. ა-ას მიმართ დადგენილი გამამართლებელი განაჩენი შემდეგ გარემოებათა გამო:

2. დაზარალებულ მ. ე-ას ჩვენების მიხედვით, რომ მის მეუღლესთან – კ. ლ-ასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით ორჯერ შეხვდა რ. ა-ას. პირველი შეხვედრისას, მან სთხოვა ა-ს საპროცესო შეთანხმების გაფორმება მეუღლესთან, რაზეც ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ გაერკვედა ვითარებაში და დაუკავშირდებოდა. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მას დაურეკეს და დაიბარეს ა-ასთან შეხვედრაზე. რ. ა-ამ უთხრა, რომ შესაძლებელი იყო საპროცესო შეთანხმების გაფორმება კონკრეტული თანხის გაფორმების სანაცვლოდ. კერძოდ, საუბარი იყო 160 000 ლარზე. რის შემდეგაც რ. ა-ას მოადგილემ შემოიტანა ორი ფურცელი ანგარიშების ნომრებით. მან და მისმა ახლობლებმა შეაგროვეს ზემოხსენებული თანხა და გადარიცხეს მითითებულ ანგარიშებზე. ქვითრები კი რ. ა-ას მოადგილეს – მ-ს მიუტანა მოთხოვნისამებრ. ამის შემდეგ გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და მისი მეუღლე გამოუშვეს. პროკურორის კითხვაზე დაზარალებულმა ერთმნიშვნელოვნად განმარტა, რომ 160 000 ლარის გადახდის მიზანი საპროცესო შეთანხმების მიღწევა იყო. გ. წ-ის მიერ გადახდილ 150 000 ლართან დაკავშირებით მოწმემ განმარტა, რომ თანხის ნაწილი, კერძოდ 15–20 ათასი ლარი იყო მისი ოჯახის, ხოლო დანარჩენი თანხა შეაგროვეს მისი ოჯახის მეგობრებმა.

3. მოწმე კ. ლ-ამ განმარტა, რომ 2009 წლის 9 თებერვალს დააკავეს ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შექმნა-შენახვისა და ტარების ფაქტზე. მიუხედავად ბევრი მცდელობისა, პროკურატურასთან ვერ იქნა მიღწეული საპროცესო შეთანხმება. თუმცა, საბოლოოდ, როგორც მეუღლისგან იცის, 160 000 ლა-

რის სანაცვლოდ მოხდა საპროცესო შეთანხმების გაფორმება. „რ-იმ უთხრა ჩემს ცოლს იმდენი ფული თუ გაქვს, რომ ვილაც აფერისტებს ურიგებ, აგერ კეთდება ა-აში კარგი საქმეები და უთხარი შენი ქმრის მეგობრებს, რომ გადარიცხონ ფულიო“. პროკურორის შეკითხვაზე მოწმემ დაადასტურა, რომ მეგობრებმა თანხა მის დასახმარებლად შეაგროვეს; მისმა ცოლმა რომ მიიტანა ქვითრები და თქვა თანხაა გადასახდელიო, ოღონდ ის გათავისუფლებულიყო და ვინ იკითხავდა რატომ და რისთვისო. მოწმემ ასევე განმარტა, რომ მართალია მეგობრები არ სთხოვენ თანხას უკან, რადგან თავადაც ხშირად დახმარებია მათ, მაგრამ როგორც ადამიანი, რა თქმა უნდა, დავალებულად თვლის თავს.

4. მოწმე გ. წ-მა განმარტა, რომ კ. ლ-ას მეუღლემ – მ. ე-ამ ამცნო, რომ მას პროკურატურაში უთხრეს, რომ ე-ას მეგობრებს უნდა ჩაერიცხათ გარკვეულ ანგარიშზე ფული, რაც მათ უსიტყვოდ შეასრულეს; ფული შეაგროვეს და უშუალოდ მან შეიტანა მ-ას მიერ მითითებულ ანგარიშზე. პროკურორის შეკითხვაზე, თუ რატომ ჩარიცხეს ეს ფული, მოწმემ განმარტა, რომ რადგან პროკურატურიდან წამოვიდა ასეთი მოთხოვნა, მათაც ჩარიცხეს. მანვე განმარტა, რომ ფულს უკან არ ითხოვს და კ-ს დასახმარებლად მზადაა კიდევ გადაიხადოს ფული.

5. მოწმე ა. პ-ამ განმარტა, რომ კ-ას მეუღლემ მ. ე-ამ შეატყობინა მათ, რომ თუ ა-ის ფონდში თანხას გადაიხდიდნენ, კ-ს გამოუშვებდნენ. საუბარი იყო 150 000 ლარზე. პროკურორის კითხვაზე, თუ რა იყო თანხის ჩარიცხვის მიზანი, ქველმოქმედების მიზნით ხომ არ გადაურიცხავთ თანხა, მოწმემ კატეგორიულად განაცხადა, რომ არავითარ ქველმოქმედებას არ ჰქონია ადგილი და ფული კ-ს ციხიდან გამოსაყვანად გადაიხადეს.

6. ანალოგიური შინაარსის ჩვენება მისცა სასამართლოს მოწმე ი. ხ-ამ და განმარტა, რომ თანხა კ-ს გამოსაყვანად შეგროვდა.

7. დაზარალებულ ჯ. ტ-ას ჩვენების მიხედვით, 2009 წელს დააკავეს მამამისი ა. ტ-ა, დაკავებამდე ფირმიდან ამოიღეს საფინანსო დოკუმენტები. მამამისთან ერთად დააკავეს ფირმის ბუღალტერი – ზ. ხ-ა. მოგვიანებით დააკავეს მესამე პირიც – დ. კ-ი. პროკურატურა მათ ედავებოდა 196-ე მუხლით. რადგან მამამისს ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემები, ცდილობდნენ, რომ საპროცესო შეთანხმებისთვის მიეღწიათ და მალე გამოეყვანათ ციხიდან. საბოლოოდ, ს-ის რაიონის პროკურორთან – ბ. შ-სთან შეთანხმდნენ საპროცესო გარიგებაზე. ამ პერიოდში ბ. შ-ა გადაიყვანეს ზ-ს პროკურორად, ხოლო ს-ში გადავიდა ახალი პროკურორი. დაახლოებით 15 დღეში, მასთან მივიდა პოლი-



ციის თანამშრომელი და უთხრა, რომ იბარებდა ს-ის ახალი პროკურორი – ლ. ხ-ა. ჯ. ტ-ა პროკურატურაში წავიდა მეგობარ მ. წ-სთან ერთად. როდესაც ლ. ხ-სთან მივიდა, ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ როგორც იცოდა, წინა პროკურორთან შეთანხმებულან 150 000 ლარის სანაცვლოდ საპროცესო გარიგებაზე და რომ დღის ბოლომდე უნდა გადაეხადათ 60 000 ლარი. მისცა ქვითარი, რომელსაც ეწერა „ს-ი“ და თან გააფრთხილა, რომ თანხა აუცილებლად სხვისი სახელით შეეტანათ. თანხის გადახდის შემდეგ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი კი ისევ მასთან უნდა მიეტანათ. აღნიშნულის შემდეგ ჯ. ტ-ა მ. წ-სთან ერთად წავიდა ქ-ში. რადგან ძირითადი თანხა ჯ. ტ-ას პირადად ჰქონდა, ქ-ში ნათესავეებს გამოართვა მიზეზული თანხა – დაახლოებით 300 ლარი და მ. წ-ას სახელით შეიტანა ლ. ხ-ას მიერ გადაცემულ ანგარიშზე. თანხის გადახდის შემდგომ, სალამოს საათებში, გადახდის დამადასტურებელი ქვითარი ლ. ხ-ას მიუტანა პროკურატურაში. ამის შემდგომ მამამისს და სხვა დაკავებულ პირებს გაუფორმდათ საპროცესო შეთანხმება ჯამში 90 000 ლარზე და გათავისუფლდნენ სასამართლო დარბაზიდან. მოწმემ კატეგორიულად განაცხადა, რომ შპს „ს-ის“ ანგარიშზე თანხა ჩარიცხეს მხოლოდ იმ მიზნით, რომ მისი ავადმყოფი მამა გათავისუფლებულიყო და თანხის გადახდის დროს არანაირ ქველმოქმედებას ადგილი არ ჰქონია. მოწმემ განმარტა: „რა ქველმოქმედება, რის ქველმოქმედება, დღესაც ვიხდი მაგ ვალებს. ჩემთვის 60 000 60 მილიონივით არის.“

8. მოწმე ა. ტ-ამ განმარტა, რომ როგორც შვილისგან – ჯ. ტ-სგან იცის, სასამართლომდე ერთი კვირით ადრე 60 000 შეიტანა მეგობრის სახელით. მანვე განმარტა, რომ ვინაიდან სამნი იყვნენ მოგვიანებით ამ ფულში „გასწორდნენ“, თუმცა უმეტესი ნაწილი მისი იყო.

9. მოწმე მ. წ-ამ დაადასტურა ა. ტ-ას ნათქვამი და განმარტა, რომ მანქანაში ელოდებოდა ჯ-ს, როდესაც ეს უკანასკნელი პროკურატურაში იყო შესული მოსალაპარაკებლად. ჯ-ი რომ გამოვიდა პროკურატურიდან, გამოიტანა ანგარიშის ნომერი, რომელზეც ეწერა „ს-ი“ და უთხრა, რომ სალამომდე უნდა შეეტანა 60 000, ოღონდ გააფრთხილეს, რომ თავისი სახელით არა. ამის მერე ჯ-ის სახლში წავიდნენ, სადაც მან აიღო ფული, თუმცა ცოტა აკლდებოდა, ს-ში მეტი ვეღარ იშოვა და ნათესავს დაურეკა ქ-ში და იქ წავიდნენ. მერე შეიტანეს საქართველოს ბანკში მითითებულ ანგარიშზე. პროკურორის შეკითხვაზე ქველმოქმედების მიზნით ხომ არ გადაურიცხავს თანხა, მოწმემ განმარტა, რომ პირველად ესმოდა აღნიშნულის თაობაზე. მოწმემ

ასევე განმარტა, რომ როდესაც ისინი ბანკში თანხას რიცხავდნენ მოლარე-ოპერატორის კითხვაზე, თუ რისი ფული იყო ეს, მათ უთხრეს, რომ საპროცესო შეთანხმებისთვის იყო განკუთვნილი, მან კი განუცხადა, რომ ეს არ იყო საპროცესოს თანხა და მითითებული ანგარიში კერძო კომპანიას ეკუთვნოდა. დაცვის მხარის კითხვაზე მოწმემ განმარტა, რომ ჯ-მა უთხრა, რომ დღის ბოლომდე უნდა შეეტანათ თანხა თუ უნდოდა, რომ მამამისისთვის საპროცესო გაეფორმებინათ.

10. მოწმე ლ. ხ-ას ჩვენებით, როდესაც ს-ის პროკურორად გადაიყვანეს ე.წ. „სიგარეტების“ საქმე წარმართული იყო სასამართლოში. რ. ა-ამ დაიბარა იგი და უთხრა, რომ ამ საქმეზე საპროცესო უნდა გაეფორმებინა შემდეგი პირობებით – პირობითი მსჯავრი და ჯარიმა 150 000 ლარი. აღნიშნული საუბრიდან რამდენიმე დღეში დაურეკა მ-მა (ა-ას მოადგილემ) და უთხრა, რომ საპროცესოზე რომ იყვნენ შეთანხმებული „სიგარეტების“ საქმეზე ნაწილი ბიუჯეტში გაეშვა და ნაწილი ანგარიშს გაუგზავნიდა და იმ ანგარიშზე ჩარიცხულიყო (60 000 ლარზე იყო საუბარი). შემდეგ დაიბარა ერთ-ერთი ბრალდებულის ოჯახის წევრი და აუხსნა სიტუაცია; ლ. ხ-ას განმარტებით, რომ გაიგო ბრალდებულის შვილმა რომ უფორმებდნენ საპროცესოს, სიხარულით დათანხმდა შეთავაზებულ პირობას. წავიდა და მოიტანა ქვითარი. მოწმის განმარტებით, ჯარიმის ოდენობა თითოეულ ბრალდებულზე 30 000 იყო. ქვითარი რომ მიუტანეს, ნ. მ-ს ჩაუტანა ზ-ში და მისცა. ნ-მა უთხრა, რომ ეს 60 000 ა-ში პატრიარქის რეზიდენციის ასაშენებლად იყო გამოიზნული. გარკვეული პერიოდის მერე, რ-თანაც ჰქონდა ამ თემაზე საუბარი და მანაც უთხრა, რომ საპატრიარქოსთვის იყო ეს ფული.

11. მოწმე ნ. მ-ის ჩვენების მიხედვით, რ. ა-ას მოადგილედ მუშაობდა. ლ-ს საქმეზე ახსოვს ის ფაქტი, რომ მდივანი შევიდა რ-ი გეძახისო, ოთახში იყო კ-ას მეუღლე და ფ. შ-ა, რომელიც ყველა მოქალაქის მიღებას ესწრებოდა. რ-იმ უთხრა, რომ საპროცესო ფორმდებოდა და საპროცესოს ანგარიშის ნომერი მიეცა; მანვე უთხრა, რომ მ. ე-ას სურვილი ჰქონდა, მონაწილეობა მიეღო პატრიარქის რეზიდენციის მშენებლობაში და გადაეცა მისთვის შპს „ს-ის“ ანგარიშიც. შპს „ს-ის“ ბუღალტრისგან შეიტყო ანგარიშის ნომერი, შეიტანა რ-სთან და გადასცა ბრალდებულის მეუღლეს. მეორე თუ მესამე დღეს მიუტანა ქვითრები, მაღლობა გადაუხადა და წავიდა. ამის მერე გაუფორმდა ლ-ას საპროცესო შეთანხმება. ე.წ. „სიგარეტების“ საქმეზეც რ-იმ უთხრა საპროცესო ფორმდებო. რის მერეც დაურეკა ხ-ს და უთხრა, რომ საპროცესო გაეფორმებინათ 90 000 ლარზე და თან

დააყოლა, რომ 60 000 ლარი შპს „ს-ის“ ანგარიშზე გადაეხდებინა, რადგან მათ სურვილი ჰქონდათ დახმარებოდნენ საპატრიარქოს. ეს ნათქვამი გადასცა ხ-ას და მერე ამ უკანასკნელმა მიუტანა მას ქვითრები.

12. მოწმე ს. გ-ამ აჩვენა, რომ არის შპს „ს-ის“ დამფუძნებელი და 60 პროცენტისანი წილის მფლობელი. რ. ა-ას იცნობს, მაგრამ არც ნათესავია მისი და არც მეგობარი. ვინაიდან მისი კომპანია ახორციელებდა სამშენებლო სამუშაოებს და სათანადო ტექნიკაც ჰქონდა, ა-ამ ჰკითხა შეძლებდა თუ არა ზ-ში პატრიარქის რეზიდენციის აშენებას, რაზეც დადებითი პასუხი გასცა. ამის შემდეგ შპს „ს-ის“ ანგარიშზე ორი პირის მიერ ჩაირიცხა 210 000 ლარი. რ-იმ უთხრა მაგ ფულს ხელი არ ახლოო, სავარაუდოდ, შენი ასაშენებელი იქნება პატრიარქის რეზიდენციაო. პროკურორის კითხვაზე, თუ რატომ არ აშენდა რეზიდენცია, ს-ა გ-ამ აღნიშნა, რომ არავის დაუვალეზია და იმიტომ. მოწმის განმარტებით, შპს „ს-ის“ თვეში სამიდან ხუთ მილიონამდე ბრუნვა ჰქონდა. სამეურნეო ხარჯებისათვის ბრუნავდა ფული და ხმარდებოდა ფირმის ინტერესებს. სად გაიხარჯა ზემოხსენებული 210 ათასი ლარი, არ იცის. დღეის მდგომარეობით, ვალდებულება აქვს, რაც ჩაირიცხა უკან უნდა დააბრუნოს, რადგან არ განუხორციელებია არანაირი სამუშაო.

13. მოწმე გ. ბ-ას ჩვენებით, როგორც მისთვის ცნობილია, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ რ-ის და ს-ას. უნახავს ა-ა მოსული „ს-იში“. მისთვის არ არის ცნობილი თუ საპატრიარქოს რეზიდენცია უნდა აეშენებინა მათ კომპანიას. სასტუმრო „ო-ს ს-ში“, რომელიც მათი აშენებულია, მიდიოდა ხოლმე მშენებლობის პერიოდში რ-ი ს-სთან. მათ სასტუმროში საახალწლო სუფრა ჰქონიათ და დაბადების დღეებიც აღუნიშნავთ.

14. მოწმე გ. ჟ-ის ჩვენებით, საკუთრებაში ჰქონდა სიგარეტის მწარმოებელი დანადგარები და ბიჭებზე (ტ-ა, ხ-ა, კ-ი) ჰქონდა მიქირავებული, სხვა არაფერი აკავშირდებდა მათთან. ტ-ის მეუფე პ-სთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა. მას კ-ის ახლობლებმა სთხოვეს, რომ მეუფესთან მისულიყო და ეთხოვა ამ ბიჭებისთვის დახმარების აღმოჩენა. მეუფე შეჰპირდა, რომ ყველაფერს ეცდებოდა. ამის შემდეგ არ გასულა დიდი დრო და გაფორმდა საპროცესო შეთანხმება. მან ამ საქმეში 60 000 ლარით მიიღო მონაწილეობა. როგორც იცის, ეს ფული გადაირიცხა რეზიდენციის მშენებლობისთვის. ყოველ შემთხვევაში, მან კ-ს ეს ფული ამ მიზნით გადასცა. თუმცა – ვინ, სად, როდის და როგორ ჩაირიცხა არ იცის, მან უბრალოდ ფული მისცა.

15. მოწმე მ-ი (ფ-ი) შ-ას ჩვენებით, ყველა შეხვედრას ესწრე-

ბოდა რ-სთან. მ. ე-თან შეხვედრასაც ესწრებოდა. რ-მა მ-ას უთხრა, რომ შეისწავლიდა მისი მეუღლის საქმეს და აცნობებდა. შემდეგ შეხვედრაზე რ-იმ თანხმობა რომ უთხრა, ძალიან გაუხარდა, დალოცა რ-ი და მადლობები უხადა. რ-იმ უთხრა მ-ს, რომ საპროცესო ფორმდებოდა და ანგარიშის ნომერი შეეტანა. მ-ამ ასევე თქვა შეხვედრაზე, რომ ძალიან ეკლესიურები იყვნენ და იცოდნენ, რომ შენდებოდა ეკლესია და დახმარების სურვილი გამოთქვა. რ-ის მითითებით, ნ-მა შეუტანა ანგარიშის ნომერი. მოწმემ განმარტა, რომ მ- ე-სთვის გადახდის ქვითრების მოტანა არავის დაუვალებია. მანვე დაადასტურა, რომ მ- ე-სა და ა-ას ყველა შეხვედრას ესწრებოდა.

16. მოწმე ვ. ლ-ას ჩვენებით, მისთვის ცნობილია კ. ლ-სთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე. იცის ისიც, რომ მისი ოჯახის წევრები ქველმოქმედებაში იღებდნენ მონაწილეობას. გათავისუფლების შემდეგ იგი შემთხვევით შეხვდა ლ-ას, რომელიც კმაყოფილებას გამოხატავდა მისი და მისი მეგობრების განუული ქველმოქმედების გამო. რაც შეეხება ტ-ას, მას ტ-ას ახლობლებმა სთხოვეს, რეკომენდაცია გაენია მათთვის რ-სთან, თუმცა, მას არც უცდია ამის გაკეთება, რადგანაც იცოდა რ-ის დამოკიდებულება ასეთ საკითხებთან. ერთ-ერთი ტრაპეზის დროს მეუფემ ჰკითხა ა-ს, თუ სად შეიძლება რეზიდენციისთვის შენირულობის ჩარიცხვა, რაზეც რ-იმ უპასუხა, რომ ამ საკითხზე მის მოადგილეს გასაუბრებოდნენ. მოწმემ განმარტა, რომ სამეგრელოში ბევრი მშენებლობა მიმდინარეობდა, რომელსაც რ-დ ა-ა ხელმძღვანელობდა; იგი აქტიურად მონაწილეობდა ეკლესიების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროცესში, რისთვისაც ჯილდოც დაიმსახურა პატრიარქისგან.

17. მოწმე ე. გ-ას ჩვენებით, მას კარგად ახსოვს ის ფაქტი, რომ პატრიარქმა სამეგრელოში ვიზიტისას რ. ა-ას მეუფესთან ერთად დაუძახა და რეზიდენციის მშენებლობის ხელმძღვანელობა შესთავაზა.

18. მოწმე ი. კ-მა განაცხადა, რომ მუშაობს შემოსავლების სამსახურში მთავარ აუდიტად და პროკურორის შესაბამისი დადგენილების საფუძველზე, საქართველოს მთავარ პროკურატურაში შეამოწმა შპს „ს-ის“ დოკუმენტაცია და გასცა სათანადო დასკვნა. შპს „ს-ის“ ანგარიშზე ჩარიცხული 150 000 ლარი და 60 000 ლარი გამოტანილი და გახარჯულია შპს „ს-ის“ სამენარმო მიზნებისათვის.

19. მოწმე ე. ჯ-ას ჩვენებით 2003 წლიდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით იყო შპს „ს-ის“ მთავარი ბუღალტერი, ხოლო დამფუძნებელი და დირექტორი იყო ს. გ-ა. 2009 წლის დეკემბერში

შპს „ს-ის“ ანგარიშზე ჩაირიცხა 150 000 ლარი და 60 ათასი, ჯამში 210 ათასი ლარი. ჩამრიცხველები იყვნენ ნ-ი და ნ-ა. ფირმის ხელმძღვანელი განკარგავს ანგარიშებს, ის აკონტროლებს ბრუნვას. ფირმის დირექტორი წყვეტს, სად, რისთვის და რამდენს გახარჯავს სამეურნეო ხარჯებისათვის. როგორც ახსოვს, ზემოხსენებული თანხა მალევე იქნა ათვისებული სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში, ანუ ფირმისთვის გაიხარჯა. თანხების გადარიცხვა ხდებოდა ოფიციალურად ბანკით და არანაირ შავ ბუღალტერიას ადგილი არ ჰქონია. თანხები ხელზე არც არავის გადაუცია და არც მიუღია. დირექტორს არ უთქვამს მისთვის, რომ ეს თანხები არ უნდა აესახა და არც ეტყოდა ამას, ძალიან მოწესრიგებული იყო. ადასტურებს, რომ 210 ათასი ლარი ასახული იყო ბარათზე. ნი-ს და ნო-ს მხრიდან ამ თანხის უკან გათხოვის მოთხოვნა არ ყოფილა. თავიდან არ იცოდა და შემდეგ გაიგო, რომ აღნიშნული თანხები რეზიდენციის მშენებლობას უნდა მოხმარებოდა. ტელევიზიით გაჟღერდა, რომ პატრიარქის რეზიდენცია უნდა აშენებულიყო.

20. რ. ა-ამ არ ცნო თავი დამნაშავედ მისთვის წარდგენილი ბრალდების არც ერთ ეპიზოდში და განმარტა, რომ 2009 წლის მდგომარეობით, მუშაობდა საქართველოს მთავარი პროკურატურის ს-ის საოლქო პროკურორის თანამდებობაზე და მისი მუშაობის პერიოდში საპროცესო შეთანხმება ნამდვილად გაფორმდა მსჯავრდებულებთან – კ. ლ-სა და ა. ტ-სთან. იგი სამუშაო ოთახში მარტო არავის ხვდებოდა და მის შეხვედრას მოქალაქეებთან ყოველთვის ესწრებოდა პროკურორი მ. შ-ა. მ. ე-ს, პირველი შეხვედრისას, რომელსაც ასევე ესწრებოდა მ. შ-ა, დაჰპირდა, რომ გაერკვეოდა სიტუაციაში და დაუკავშირდებოდა. ხოლო მეორედ, მას შემდეგ რაც ხელმძღვანელობისგან დადებითი პასუხი მიიღო, აუნყა, რომ ფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება. როგორც კი მ. ე-მ საკითხის დადებითად გადანყვეტის შესახებ გაიგო, ისე გაუხარდა, არ იცოდა მადლობა როგორ გადაეხადა. როდესაც დანყნარდა განაცხადა, რომ მისთვის ცნობილი იყო პატრიარქის დავალების შესახებ და სურდა, მის ოჯახსაც მიეღო მონაწილეობა ა-ში პატრიარქის მოსასვენებელი ოდის მშენებლობაში, რის გამოც დაუძახა მ-ს და დაავალა „ს-ის“ ანგარიშის ნომრის შეტანა. პროკურორის კითხვაზე, თუ ვინ გადანყვიტა თანხის ოდენობა, მოწმემ განმარტა, რომ ამაზე საუბარი არ ჰქონიათ და თვითონ გადანყვიტეს. მოწმემ განმარტა ასევე, რომ ქვითრების მოტანა არავის უთხოვია ე-სთვის და რატო მიიტანა მისთვის უცნობია. რაც შეეხება ტ-ს, იგი მათ საერთოდ არ იცნობს და კონტაქტი არ ჰქონია. მ-სგან ფლობს

ინფორმაციას, რომ მათ უნდოდათ საპროცესო გარიგება და მას შემდეგ, რაც საკითხი გადაწყდა დადებითად, თავადვე გამოთქვეს ქველმოქმედების სურვილი. პროკურორის კითხვაზე, თუ რატომ შეირჩა კონკრეტულად შპს „ს-ი“, მონემ განმარტა, რომ შპს „ს-ი“ მონანილეობდა მშენებლობაში და ამიტომ გადაწყდა თანხების აკუმულაცია მის ანგარიშზე მომხდარიყო. მანვე დაადასტურა, რომ რაიმე ხელშეკრულება შპს - „ს-სთან“ აღნიშნულის თაობაზე არ იყო და თუ გადაწყვეტდა საპატრიარქო, მერე ალბათ გააფორმებდა ხელშეკრულებასაც. მისი განმარტებით, ჯერ კიდევ სექტემბერში, როცა პატრიარქი წაბრძანდა, მან ჰკითხა ს. გ-ას, მიიღებდა თუ არა მონანილეობას მშენებლობაში, რაზეც დადებითი პასუხი მიიღო. „ს-ი“ მუშაობდა ა-ში, ახორციელებდა სამშენებლო სამუშაოებს და ამიტომ შესთავაზა მათ. პროკურორის კითხვაზე თუ რატომ არ აშენდა ოდა და რა მოიმოქმედა მას შემდეგ, ა-მ განმარტა, რომ საპატრიარქოს უნდა გაეკეთებინა პროექტი და არ გააკეთა, ხოლო თანხებზე გ-ას უთხრა, რომ არ გაეხარჯა.

21. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად სასამართლოს განაჩენი უნდა იყოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს. საკასაციო პალატა ზემოაღნიშნული მტკიცებულებების შეფასების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ გასაჩივრებული განაჩენი დაუსაბუთებელია, პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცეს ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ უტყუარ და ურთიერთშეჯერებულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისია რ. ა-ის ბრალად შერაცხული ქმედებების გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დასადასტურებლად.

22. საკასაციო პალატა არ ეთანხმება გასაჩივრებული განაჩენის დასკვნას იმის შესახებ, თითქოს ბრალდების ორივე ეპიზოდში დაზარალებულებმა თავიანთი სურვილით გასწიეს ქველმოქმედება – ვინაიდან, მონემების – მა. ე-ას, კ. ლ-ას, ი. ხ-ას, ა. პ-ას, გ. ნ-ის, ჯ. ტ-ას, ა. ტ-სა და მ. ნ-ას ჩვენებებით ერთმნიშვნელოვნად გამოირიცხება სააპელაციო პალატის აღნიშნული მსჯელობა. ხსენებულმა მონემებმა სასამართლო სხდომაზე კატეგორიულად უარყვეს თანხების ქველმოქმედების მიზნით გაღების ფაქტი და მკაფიოდ განმარტეს, რომ თანხები საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად გადაიხადეს.

23. საკასაციო პალატას, ბრალდების ორივე ეპიზოდში თანხის საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად გადახდის შესახებ რწმენას უმყარებს ის გარემოებაც, რომ ორივე შემთხვევაში საპროცესო შეთანხმება განუვლი ე.წ „ქველმოქმედების“ შემდეგ გაფორმდა, კერძოდ:

- საქმეში წარმოდგენილია „საქართველოს ბანკის“ ამონაწერი, რომლითაც დადასტურებულია, რომ 2009 წლის 23 დეკემბერს, გ. წ-ის სახელით 150 000 ლარი ჩაირიცხა შპს „ს-ის“ ანგარიშზე; მოქალაქეთა მიღების სარეგისტრაციო ჟურნალით დადასტურებულია, რომ 2009 წლის 22 დეკემბერს, ანუ თანხის ჩაირიცხვის წინა დღეს, მ. ე-ა იმყოფებოდა ს-ის საოლქო პროკურატურაში რ. ა-სთან შეხვედრაზე. ამავე ჟურნალით დადასტურებულია, რომ 23 დეკემბერს მ. ე-ა შეხვედრაზე იმყოფებოდა ოლქის პროკურორის მოადგილესთან ნ. მ-თან. მ. ე-ას განმარტებისამებრ, აღნიშნულ დღეს ნ. მ-ს თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები მიუტანა. საქმეში წარმოდგენილი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენით კი დადგენილია, რომ შპს „ს-ის“ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან ორ დღეში – 2009 წლის 25 დეკემბერს, კ. ლ-ას გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება და გათავისუფლდა სხდომის დარბაზიდან.

- ანალოგიური ვითარებაა ბრალდების მეორე ეპიზოდშიც: საქმეში წარმოდგენილია შპს „ს-ის“ საბანკო ამონაწერი, რომლითაც დადასტურებულია, რომ 2009 წლის 25 დეკემბერს მ. წ-ას სახელით 60 000 ლარი ჩაირიცხა შპს „ს-ის“ ანგარიშზე. ს-ის რაიონული სასამართლოს განაჩენით კი დადასტურებულია, რომ ბრალდებულებს: ა. ტ-ას, ზ. ხ-ას და დ. კ-ს გაუფორმდათ საპროცესო შეთანხმება შპს „ს-ის“ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვიდან ოთხ დღეში – 2009 წლის 29 დეკემბერს და გათავისუფლდნენ სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

24. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ასევე იმ გარემოებაზეც, რომ ორივე ეპიზოდში დაზარალებულებმა განმარტეს, რომ მათ გადახდის დამადასტურებელი ქვითრები მოთხოვნისამებრ წარადგინეს პროკურატურაში. ამასთან, სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაკითხული ლ. ხ-ას ჩვენების მიხედვით, მან (ს-ის რაიონულმა პროკურორმა ლ. ხ-ამ) პირადად ჩაუტანა ქვითრები ზ-ში ნ. მ-ს. ამიტომ, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს რ. ა-სა და მისი მოადგილის ნ. მ-ის ჩვენებებს, რომ მათ არავისთვის უთხოვიათ ქვითრების მიტანა. შესაბამისად, საკასაციო პალატისთვის არასარწმუნოა დაცვის მხარის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, თითქოს დასახელებული თანხების ჩარიცხვას კავშირი არ ჰქონდა საპროცესო შეთანხმების



გაფორმებასთან.

25. საკასაციო პალატას ეჭვის შეტანის არავითარი საფუძველი არ გააჩნია დაზარალებულთა ჩვენებების სისწორეში, ვინაიდან ისინი თანმიმდევრულ და საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან თანხვედრილ ჩვენებებს იძლევიან. მეტიც, საკასაციო პალატას მიაჩნა, რომ მ. ე-ა, რომელიც დღემდე კმაყოფილია იმით, რომ მისი მეუღლე გამოუშვეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან და ამისთვის მადლიერია რ. ა. (რაც მან სასამართლო სხდომაზე დაადასტურა), სრულიად არალოგიკურია ცდილობდეს რ. ა-ვის პასუხისმგებლობის დამძიმებას, პირიქით პალატას დარჩა განცდა, რომ მან ყველანაირად სცადა შეერბილებინა ჩვენება რ. ა-ს სასარგებლოდ.

26. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ასევე არ იზიარებს რ. ა-სა და მ. შ-ას ჩვენებებს, სადაც ისინი აღნიშნავენ თითქოს, მ. ე-ამ როდესაც გაიგო, რომ მის მეუღლეს საპროცესო შეთანხმებას უკეთებდნენ, სიხარულისგან აღარ იცოდა რა ექნა და გამოთქვა სურვილი ფული ჩაერიცხა ქველმოქმედების მიზნით – ვინაიდან, დაზარალებულმა უჩვენა, რომ მის პირველ შეხვედრას რ. ა-თან არ ესწრებოდა არავინ, არც მეორე შეხვედრისას დაადასტურა მან მ. შ-ას ოთახში ყოფნის ფაქტი. რაც შეეხება რ. ა-ას ჩვენებას, იგი ასევე არადამაჯერებელია, ვინაიდან ყოველგვარ ლოგიკასაა მოკლებული პირმა ქველმოქმედების მიზნით გადანყვიტოს იმ თანხის გადახდა, რომელიც მას არ გააჩნია და უნდა იშოვოს. მ. ე-აც და ჯ. ტ-საც დასჭირდათ ამ თანხების მოძიება ახლობლებსა და მეგობრებში, ამ უკანასკნელის განმარტებით კი იგი დღემდე ვალებს იხდის. ასევე პალატისთვის ყოვლად გაუგებრია რატომ დაუმაღავდნენ მ. ე. და ჯ. ტ. თავიანთ ახლობლებს, რომ ქველმოქმედებას ეწოდნენ და რატომ მოატყუებდნენ, რომ აღნიშნული თანხები საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად და შესაბამისად, მათი ოჯახის წევრების საპატიმრო დაწესებულებიდან გამოსაყვანად იყო საჭირო. ამ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო პალატა აანალიზებს ასევე მონმე ვ. ლ-ას ჩვენებასაც, სადაც იგი აღნიშნავს, რომ მან ნახა კ. ლ., რომელიც კმაყოფილებას გამოხატავდა მისი ოჯახისა და მეგობრების მიერ ქველმოქმედების განევის გამო. თუმცა, პალატა ვერ გაიზიარებს მონმე ლ-ს ამ განმარტებას, და კ. ლ-ას დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხის მიმართ კმაყოფილებად ვერ განიხილავს, ვინაიდან მან სასამართლო პროცესზე ჩვენების მიცემისას მკაფიოდ აღნიშნა, რომ თავს დავალებულად გრძნობს მეგობრების წინაშე მისთვის განუთლი დახმარების გამო.

27. სააპელაციო პალატა უსაფუძვლოდ აყენებს ეჭვქვეშ იმ ფაქტს, რომ შპს „...“ ანგარიშზე ჩარიცხული 60 000 ლარი ტ-ს ოჯახს ეკუთვნოდა. აღნიშნულის არგუმენტად პალატა იშველიებს მხოლოდ გ. ჟ-ის ჩვენების იმ ნაწილს, სადაც მონმე აცხადებს, რომ 60 000 ლარი გაიღეს მან და კ-მა და როგორც იცოდა, ეს თანხა რეზიდენციის მშენებლობისათვის უნდა ჩარიცხულიყო და საპროცესოსთვის არ იყო განკუთვნილი. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ა. ტ-ას ჩვენებას, სადაც იგი უთითებს, რომ ვინაიდან სამნი იყვნენ ბრალდებულები, ისინი ამ სამოცი ათასშიც „გასწორდნენ“ თუმცა დიდი ნაწილი მისი ოჯახის იყო. ამასთან, პალატა მიუთითებს, რომ კ-ს 30 000 ლარი საკუთარი ჯარიმაც ჰქონდა გადასახდელი საპროცესო შეთანხმების პირობის თანახმად. შესაბამისად, ჟ-ის ჩვენება არ გამორიცხავს და წინააღმდეგობაში არ მოდის ტ-ას ჩვენებასთან. მეტიც, შესაძლოა კ-მა ჟ-ის მიერ მიცემული თანხა საერთოდც პირადი მიზნებისთვის გამოიყენა. მხოლოდ ჟ-ის განცხადება, რომ იგი ენდობა კ-ს, პალატისთვის არ წარმოადგენს უტყუარ დადასტურებას იმისა, თუ როგორ მოიქცეოდა კ., მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ თავად ჟ. აცხადებს, რომ მან 60 000 მისცა კ-ს, მაგრამ ვინ, რა, როდის და როგორ გადაიხადა არ იცის. ხოლო რაც შეეხება ჯ. ტ-ას ჩვენებას, იგი თანმიმდევრულია და თანხვედრაშია ა. ტ-სა და მ. წ-ას ჩვენებებთან და საქმის სხვა მასალებთან, რომელთა უტყუარობაში ეჭვის შეტანის საფუძველი პალატას არ გააჩნია.

28. როგორც საქმის მასალებით და სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დგინდება, ორივე შემთხვევაში შპს „...“ ანგარიშზე თანხები ჩარიცხულია გარეშე პირების მიერ (ამასთან დაკავშირებით დაზარალებული ჯ. ტ. აღნიშნავს, რომ ს-ის პროკურორმა ლ. ხ-ამ იგი გააფრთხილა, რომ ფული თავის სახელით არ შეეტანა. ხოლო, მონმე გ. წ-მა თავის ჩვენებაში განმარტა, რომ მ. ე-ამ მათ უთხრა, რომ პროკურატურაში მას (მ. ე-ას) უთხრეს, რომ კ-ს მეგობრებს უნდა ჩაერიცხათ ანგარიშზე ფული). აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატისთვის სრულიად გაუგებარი და არალოგიკური ხდება დაცვის მხარის ვერსია მოქალაქეთა მხრიდან „ნებაყოფლობითი ქველმოქმედების“ შესახებ, მათივე სახელით თანხის არშეტანის პირობით.

29. ამრიგად, საკასაციო პალატას დადასტურებულად მიაჩნია, რომ ბრალდების არც ერთ ეპიზოდში, დაზარალებულებს 150000 და 60000 ლარი საკუთარი ინიციატივით საქველმოქმედო მიზნებისთვის არ ჩაურიცხავთ. მათ ეს თანხები საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ გადაიხადეს ...- პროკუ-

რორის – რ. ა-ას მოთხოვნით.

30. რაც შეეხება იმ საკითხს, რ. ა-ას მიერ ხდებოდა თუ არა თანხების მობილიზება საქველმოქმედო მიზნებისთვის; ამასთან დაკავშირებით საკასაციო პალატა იზიარებს ბრალდების მხარის პოზიციას და მიაჩნია, რომ არავითარი საქველმოქმედო მიზნები რ. ა-ას ამ თანხების მობილიზებისას არ ჰქონია და რომ იგი პირადი დაინტერესებით მოქმედებდა. კერძოდ:

- საქმეში არ მოიპოვება არც ერთი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა ს-ოს რეგიონში საპატრიარქოს რეზიდენციის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებით შესრულებული ან შესასრულებელი სამუშაოს შესახებ რაიმე ფაქტს; არავითარი ოფიციალური ხელშეკრულება შპს „...თან“ მსგავსი მშენებლობის განხორციელების შესახებ არ არსებობდა; ასევე არ წარმოდგენილა რაიმე მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ამ მშენებლობების ორგანიზებაში სასულიერო პირებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებდა რ. ა.. მეტიც, საქმეში წარმოდგენილია საქართველოს საპატრიარქოს ოფიციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ რეზიდენციის მშენებლობის მიმართულებით არც ერთი რეალური ნაბიჯი არ გადადგმულა.

- ფაქტია, რომ ობიექტები დღემდე აშენებული არ არის, ხოლო შპს „...“ ანგარიშზე ჩარიცხული თანხა 210 000 ლარი სრულად გაიხარჯა ფირმის ეკონომიკური მიზნებისათვის. შესაბამისად, ვინაიდან რეზიდენციის აგების მხოლოდ იდეა არსებობდა და მშენებლობა საერთოდ არცკი დაწყებულა, გაუგებარია შემდგომი წლების განმავლობაში მაინც რატომ არ მოხდა დაზარალებულთა ინფორმირება აღნიშნული პროექტის საბოლოოდ განუხორციელებლობის შესახებ, თუნდაც მათთვის თანხების დაბრუნების მოტივაციით.

- საკასაციო პალატისთვის არადამაჯერებელია ის ფაქტიც, რომ ორი ადამიანის გარდა არავის გაუჩნდა საპატრიარქოსთვის თანხის, თუნდაც ძალზედ მცირე ოდენობით, შეწირვის სურვილი. იმ პირობებში, როდესაც (თუ დაცვის მხარის ვერსიას გავიზიარებთ), ამ ყველაფრის ხელმძღვანელობა დაევალა ...-პროკურორ რ. ა-ას სასულიერო პირთან ერთად. ამიტომ პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას თითქოს, შპს „...“ ხდებოდა საპატრიარქოსთვის რეზიდენციის ასაშენებლად თანხების აკუმულირება და ამ უკანასკნელმა ამიტომ მიიღო აღნიშნული შემონიშნულობები.

31. რ. ა-ას მართლაც რომ ჰქონოდა სურვილი საქველმოქმედო მიზნებისთვის თანხების აკუმულირება მოეხდინა შპს „...“ ანგარიშზე, აღნიშნული მაინც ვერ გამოორიცხავდა მის სისხლის-

სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ვინაიდან საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, თუ რა მიზნით (რაოდენ კეთილშობილურიც არ უნდა იყოს ეს მიზანი) მოხდება ბრალდებულთა ახლობლების მხრიდან თანხების გადახდა ან რაიმე სხვა პირობის შესრულება. საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას, შეთანხმების ყველა პირობა უნდა იყოს ასახული საპროცესო შეთანხმების ოქმსა და შუამდგომლობაში. თხოვნა, მოთხოვნა ან შეთავაზება იმისა, რაც არ არის ასახული ოქმსა და შუამდგომლობაში – ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს კანონსაწინააღმდეგო ქმედებას. საკასაციო პალატას ასევე მიაჩნია, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმების საკითხზე მოლაპარაკების წარმოებისას საჯარო მოხელეს (მოცემულ შემთხვევაში პროკურორს) მართებს განსაკუთრებული სიფრთხილე და გულისხმიერება, რომ მოლაპარაკების პროცესში არ დაუშვას დამატებით რაიმე ისეთ საკითხზე მსჯელობა, რომელიც სცილდება საპროცესო შეთანხმების ფარგლებს, რათა მხარემ არ აღიქვას იგი საპროცესო შეთანხმების მიღწევის დამატებით პირობად.

32. საპროცესო შეთანხმების ქართული მოდელი არ ითვალისწინებს იმ შემთხვევებს, როდესაც ხელისუფლების ორგანოებს საპროცესო შეთანხმებისას შეუძლიათ ბრალდებულს შესთავაზონ თანხის გადახდა საქველმოქმედო მიზნებისთვის. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, საპროცესო შეთანხმება, რომელიც იდება ბრალდებისა და დაცვის მხარეს შორის, მტკიცდება სასამართლოს მიერ, საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის დადგენით. მოსამართლე საპროცესო შეთანხმების შესახებ გადანყვეტილებას იღებს კანონის საფუძველზე. საკასაციო პალატა ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ დაუშვებელია მხარისთვის წინასწარ რაიმე ვალდებულების შესრულების მოთხოვნა (მაგალითად ჯარიმის გადახდევინება) მანამ სანამ სასამართლო კანონით დადგენილი წესით არ იმსჯელებს მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების კანონიერებასა და სამართლიანობაზე.

33. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ გადანყვეტილებაში განმარტა, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი თავისი არსით არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის სტანდარტებს. ამასთან სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ საპროცესო შეთანხმება არ უნდა იყოს იძულების შედეგი და სასამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებაზე უარის თქმა არ უნდა ენი-

ნააღმდეგებოდს მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს. ევროპული სასამართლო ამ კონტექსტში ყურადღებას ამახვილებს საპროცესო შეთანხმების ჯეროვანი და ეფექტური სასამართლო კონტროლის მნიშვნელობაზე.

34. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული მიდგომა ცხადყოფს თუ როდენ მნიშვნელოვანია, საპროცესო შეთანხმების ოქმში აისახოს მხარეებს შორის მიღწეული ყველა პირობა, რომ ის სასამართლო გადასინჯვას დაექვემდებაროს სასამართლოს მიერ მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმებისა და მოლაპარაკების კანონიერებისა და სამართლიანობის ჯეროვნად შემოწმების მიზნით.

35. საკასაციო პალატას მატერიალური კანონმდებლობის მიზნებისათვის არარელევანტურად მიაჩნია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ საქმეში არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ფაქტს, რომ შპს „...“ თანხების ჩარიცხვით რ. ა-ამ მიიღო რაიმე პირადი სარგებელი – ვინაიდან, რ. ა-ას ბრალად ედება საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, ესე იგი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირის უფლების და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია. აღნიშნული მუხლის შემადგენლობა, ქმედების კვალიფიკაციისათვის არ ითვალისწინებს დანაშაულის სუბიექტის მიერ პირადი სარგებლის მიღებას. ასეთის არსებობის შემთხვევაში სახეზე სხვა დანაშაულის შემადგენლობა გვექნებოდა.

36. დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა დაზარალებულ მ. ე-ას „კმაყოფილების“ მოტივით ფიზიკური პირის კანონიერი ინტერესის შელახვის ფაქტორის გამორიცხვის საკითხზე – საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის ქმედების შემადგენლობის მიზნებისათვის. კერძოდ: საკასაციო პალატისათვის ამკარაა, რომ მოცემულ კონკრეტულ საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან დაკავშირებით, თუკი დაზარალებულ მ. ე-ს გააჩნია რაიმე სახის კმაყოფილების განცდა, იგი მხოლოდ და მხოლოდ მისი მეუღლის გათავისუფლებას უკავშირდება. ვინაიდან, მან სასამართლო სხდომაზე, ერთმნიშვნელოვნად განმარტა – 10 000 რომ გადაეხადა რა თქმა უნდა უკეთესი იქნებოდა, მაგრამ რადგან 160 000 იყო საჭირო, გადაიხადა, ვინაიდან მისთვის მთავარი იყო, რომ კ. სახლში გამოუშვეს და დანარჩენს აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. ასეთივე განმარტება მისცა სასამართლოს ჯ. ტ-აც და აღნიშნა, რომ მამა მას მილიონიც უღირს, თუმცა 60 000 მისთვის ძალიან დიდი თანხაა და დღემდე ვა-

ლებშია ამის გამო.

37. ამას გარდა, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო პალატის მსჯელობას, იმის შესახებ, თითქოს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, დაზარალებულმა თავის ცნობიერებაში უნდა აღიქვას, განიცადოს და შეაფასოს, რომ დამნაშავე პირის მხრიდან მის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედებით მას (დაზარალებულს) მიადგა მატერიალური თუ მორალური ზიანი, შეილახა მისი უფლებები თუ ინტერესები, და რომ წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავეს პასუხისმგებლობა გამოირიცხება. საკასაციო პალატა განმარტავს: ზემოაღნიშნული მუხლით ქმედების კვალიფიკაციისას, ზიანის განსაზღვრის ნაწილში, სასამართლო არ არის დამოკიდებული დაზარალებულის სუბიექტურ შეხედულებაზე მის მიმართ განხორციელებული ქმედებისადმი (კმაყოფილებაზე, უკმაყოფილებაზე ან სხვა სახის განცდებზე). სასამართლო დანაშაულებრივი ქმედებით დამდგარ შედეგს აფასებს ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით და არა დაზარალებულის ან სხვა პირის სუბიექტური აღქმის შესაბამისად. პრაქტიკაში, ხშირია შემთხვევა, როდესაც კრიმინალური მენტალიტეტის მქონე პირები აცხადებენ, რომ არავითარი პრეტენზია არ აქვთ მათთვის ზიანის მიმყენებელთან, იმ მოტივით რომ შემდეგ თავად გაუსწორდნენ მათ. ასევე როდესაც დანაშაული ჩადენილია ისეთი პირის მიმართ, რომელსაც ასაკის ან ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ შესწევს უნარი აღიქვას და განიცადოს მის მიმართ მიყენებული ქონებრივი ან ფიზიკური ზიანი (ზარალი). ბუნებრივია, აღნიშნული არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს. სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობა შეიცავს მუხლებს, რომლით დაკვალიფიცირებისას განმსაზღვრელია დაზარალებულის სუბიექტური აღქმა მის მიმართ განხორციელებული ქმედებისადმი. მაგალითად, მუქარის დანაშაულის (საქართველოს სსკ-ის 151-ე მუხლი) დასადგენად დაზარალებულმა მუქარის განხორციელება რეალურად უნდა აღიქვას, ცემის დანაშაულის შემთხვევაში (საქართველოს სსკ-ის 125-ე მუხლი), მან ტყვილი უნდა განიცადოს და ა.შ. მაგრამ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, რ. ა-ამ გადაამეტა თუ არა სამსახურებრივ უფლებამოსილებას, არ არის დამოკიდებული დაზარალებულის აღქმაზე.

38. საკასაციო პალატა ეთანხმება ბრალდების მხარის პოზიციას რ. ა-ას ქმედების ჩადენის შედეგად სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევის საკითხთან დაკავშირებითაც და დამატებით აღნიშნავს, რომ უკანონო მოთხოვნის სა-

ფუძველზე, საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, დიდი ოდენობის თანხების კერძო ფირმის ანგარიშზე ჩარიცხვის ფაქტი არაერთი პირისათვის ხდებოდა ცნობილი და საზოგადოების ნაწილს უნდობლობას უჩენდა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის მიმართ. აღნიშნულით დაირღვა სახელმწიფო მმართველობის დადგენილი წესი და შეილახა საქართველოს პროკურატურის პრესტიჟი და ავტორიტეტი, რაც საკასაციო პალატის შეფასებით ერთმნიშვნელოვნად წარმოადგენს სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებით დარღვევას.

39. საკასაციო პალატა ასევე ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის პოზიციას, იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან საპროცესო შეთანხმებისათვის თანხის ჩარიცხვისას დაზარალებულთა მიმართ იძულებას ან მუქარას ადგილი არ ჰქონია, აღნიშნული ფაქტი გამორიცხავს რ. ა-ას მხრიდან საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას – რადგან, ზემოაღნიშნული მუხლით ქმედების კვალიფიკაციისათვის ამ პირობების არსებობა საჭირო არ არის.

40. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას დადგენილად მიაჩნია, რომ რ. ა-ამ ჩაიდინა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური პირებისა და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ბრალდების 2 ეპიზოდი).

41. დაზარალებულებს: მ. ე-სა და ჯ. ტ-ას განემარტოთ, კ. ლ-სა და ა. ტ-ის გამამტყუნებელი განაჩენით დამატებითი სასჯელის სახით დაკისრებული ჯარიმის გარდა (კ. ლ-ას ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 25 დეკემბრის განაჩენით დაეკისრა ჯარიმა – 10 000 ლარი, ხოლო ა. ტ-ას სენაკის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 29 დეკემბრის განაჩენით დაეკისრა ჯარიმა – 30 000 ლარი) სხვა – შპს „...“ ანგარიშზე გადახდილი თანხების – 150 000 ლარისა (კ. ლ-ას ეპიზოდი) და 60 000 ლარის (ა. ტ-ას ეპიზოდი) კანონმდებლობით დადგენილი წესით მოთხოვნის უფლების თაობაზე.

42. რაც შეეხება სასჯელს, საკასაციო პალატას, მისი ასაკისა და იმის გათვალისწინებით, რომ რ. ა-ას არ გააჩნია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები და პირველადაა სამართლაში, მიზანშეწონილად არ მიაჩნია მისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება და თვლის, რომ ჯარიმა სრულად უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას.



### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 308-ე მუხლის მე-2 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. პროკურორების – ა. ტ-სა და დ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 29 იანვრის გამამართლებელი განაჩენი.

3. რ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (კ. ლ-ას ეპიზოდი) და სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა – 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი. მასვე 1 წლითა და 6 თვით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და 1 წლით, 1 თვითა და 15 დღით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

4. რ. ა. ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ა. ტ-ას ეპიზოდი) და სასჯელის სახით დაეკისროს ჯარიმა – 30 000 ლარი (ოცდაათი ათასი) ლარი. მასვე 1 წლითა და 6 თვით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-16 მუხლის საფუძველზე შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და 1 წლით, 1 თვითა და 15 დღით ჩამოერთვას სახელმწიფო სამსახურში დანიშვნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

5. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე რ. ა-ის საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (კ. ლ-ას ეპიზოდი) დანიშნულმა ძირითადმა სასჯელმა – ჯარიმამ 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით – შთანთქმას საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (ა. ტ-ას ეპიზოდი) დანიშნული ძირითადი სასჯელი – ჯარიმა 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი, ხოლო სსკ-ის 59-ე მუხლის მე-8 ნაწილის საფუძველზე დამატებითი სასჯელები შეიკრიბოს და საბოლოოდ, დანაშაულთა ერთობლიობით, რ. ა-ას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვროს ჯარიმა – 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი. მასვე 2 წლითა და 3 თვით ჩამოერთვას სახელმწიფო

სამსახურში დანიშნითი თანამდებობის დაკავების უფლება.

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ რ. ა-ას მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია და გირაოს შემტანს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა.

7. ნივთმტკიცება – DVD დისკები, რომლებიც ერთვის საქმეს, შენახულ იქნეს სისხლის სამართლის საქმის შენახვის ვადით.

8. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ქრთამის აღება განსაკუთრებით დიდი ოდენობით**

### **განაჩენი საქართველოს სახელით**

№128აპ-16

28 ივლისი, 2016 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის  
საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),  
ნ. გვენეტაძე,  
გ. შავლიაშვილი**

განიხილა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში, ანტიკორუფციულ სააგენტოში და გენერალურ ინსპექციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორ ელიზბარ გოზალიშვილის, მსჯავრდებულ ა. ც-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ტ-ს, მსჯავრდებულ რ. კ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. ლ-ს საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 იანვრის განაჩენით რ. კ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 339<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილზე.

2. რ. კ-ე, – დაბადებული 19.. ნელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 339<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2015 წლის 20 იანვრიდან.

3. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებაში ყოფნის პერიოდი – 2013 წლის 20 ივლისიდან იმავე წლის 23 ივლისის ჩათვლით, ასევე პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 26 ივლისიდან იმავე წლის 17 სექტემბრის ჩათვლით.

4. რ. კ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა. რ. კ-ს სახელზე გირაოს შემტან პირს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად უნდა დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა.

5. ა. ც-ს მიმართ წარდგენილი ბრალდება საქართველოს სსკ-ის 25,338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებიდან გადაკვალიფიცირდა სსკ-ის 25,339<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილზე.

6. ა. ც-ე, – დაბადებული 19.. ნელს, – ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25,339<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყო 2015 წლის 20 იანვრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩაეთვალა დაკავებაში ყოფნის პერიოდი – 2013 წლის 20 ივლისიდან იმავე წლის 26 ივლისის ჩათვლით.

7. ა. ც-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმდა.

8. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 25 ივლისის განჩინებით ქონებაზე დადებული ყადაღა და ყადაღა უნდა მოეხსნას ა. ც-ს მიმართ გამოყენებულ, გირაოს უზრუნველსაყოფად ჯ. გ-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (მდებარე: ..., სოფელ ..., საკადასტრო კოდი ...).

9. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქმეზე არსებული ნივთიერი მტკიცებულებები: ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ამსახველი ფარული აუდიო და ვიდეო ჩანაწერი 6 DVD დისკზე, რ. ც-ს მიერ წარმოდგენილი აუდიოჩანაწერი ერთ დისკზე, ჯ. შ-ს მიერ წარმოდგენილი ვიდეოჩანაწერი ერთ დისკზე, გარესათვალთვალო კამერის მიერ აღბეჭდილი ინფორმაცია ერთ დისკზე შენახულ უნდა იქნეს სისხლის სამართლის საქმესთან ერთად საქმის შენახვის ვადით; ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად ამოღებული ფულადი თანხა – 27000 ლარი, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ ბანკში უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მის მიერ საამისოდ უფლებამო-

სილ პირს; რ. ც-ს მიერ წარმოდგენილი ფულადი თანხა – 3000 ლარი, რომელიც ინახება საქართველოს ეროვნულ ბანკში უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; ა. ც-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული 10 ლარი უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; ავტომანქანიდან ამოღებული მობილური ტელეფონი სიმბარათით და პირადობის მონმობა უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს; რ. კ-ს პირადი ჩხრეკისას ამოღებული მეტრომანის ბარათი და სავიზიტო ბარათი უნდა დაუბრუნდეს მესაკუთრეს ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილ პირს.

10. განაჩენით მსჯავრდებულების – ა. ც-სა და რ. კ-ს მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2012 წლის 25 ოქტომბრის №... განკარგულების საფუძველზე რ. კ-ე არჩეულ იქნა ... მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ და ითვლებოდა მოხელედ. ... მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის №... ბრძანებით იგი იმავდროულად წარმოადგენდა ... მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს.

11. რ. ც-მ რ. კ-ე გაიცნო ა. ც-ს მეშვეობით, რომლისგანაც გაიგო, რომ ... მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთები იყო გასაყიდი და მყიდველს დაეხმარებოდა მიწის ნაკვეთების ყიდვაში შეღავათიანი პირობებით. 2013 წლის ივლისში რ. ც-ე დაუკავშირდა ა. ც-ს და აცნობა, რომ ინვესტორს სურდა მიწის ნაკვეთის ყიდვა და თუ დაეხმარებოდნენ, ინვესტორისგან მიიღებდნენ ფულად სარგებელს. ა. ც-მ აღუთქვა მას დახმარება. იგი დაუკავშირდა რ. კ-ს და მოახსენა ზემოაღნიშნული. რ. კ-მ, მიუხედავად იმისა, რომ მის უშუალო უფლებამოსილებაში არ შედიოდა მიწის საკითხის გადაწყვეტა, დაუდასტურა ა. ც-ს, რომ მას შეეძლო აღნიშნული საკითხის მოგვარებაში დახმარების განწევა და უთხრა, რომ გასაყიდი იყო 6000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და შეეძლო მოეგვარებინა ისე, რომ შეღავათიანი პირობებით ეყიდა. კერძოდ, თუ საბაზრო ფასი იყო 120 აშშ დოლარი, იგი 1 კვ.მ მიწის ნაკვეთს გაყიდდა 55 ლარად. რ. კ-მ დახმარების სანაცვლოდ მოითხოვა მისთვის 20 ლარის გადახდა 1 კვ.მ-ზე, ანუ 6000 კვ.მ-ზე – 120.000 ლარი, თუმცა მას თანხასთან დაკავშირებით ინვესტორთან არანაირი ურთიერთობა არ უნდა ჰქონოდა. ეს საკითხი უნდა მოეგვარებინა ა. ც-ს. რ. კ-ე რამდენჯერმე შეხვდა ა. ც-ს, ასევე რ. ც-ს, რა დროსაც მათ შორის საუბარი გაიმართა გასაყიდი მიწის თაობაზე და აქედან გამომ-

დინარე, მისთვის გადასაცემ თანხაზე. 2013 წლის 20 ივლისს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ფარგლებში რ. ც-მ ა. ც-ს გადასცა რ. კ-ს მიერ მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 30.000 ლარი რ. კ-სათვის გადასაცემად.

12. აღნიშნული განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

13. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში, ანტიკორუფციულ სააგენტოში და გენერალურ ინსპექციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორი ელიზბარ გოზალიშვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის განაჩენში ცვლილების შეტანას იმ მიმართებით, რომ რ. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით, ხოლო ა. ც-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25,338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტებით.

14. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლო მიერ გამოტანილი განაჩენი არის უკანონო, რადგან მსჯავრდებულთა ქმედებას მიეცა არასწორი კვალიფიკაცია. სასამართლომ განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და დადასტურებულად მიიჩნია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა აღნიშნა, რომ რ. კ-ს უშუალო უფლებამოსილებაში არ შედიოდა მინის საკითხის გადაწყვეტა და მას არ შეეძლო ერთპიროვნულად გადაეჭრა ... ტერიტორიაზე არსებული მინის ნაკვეთის ნორმატიულ ფასის განსაზღვრისა და პროვატიზაციის საკითხი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ რ. კ-ს თანამდებობრივი უფლებამოსილებებიდან გამომდინარე, არ შეეძლო ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ქმედების განხორციელება, არამედ ის პირდებოდა დაინტერესებულ პირს, რომ მოახდენდა არამართლმომიერ ზეგავლენას იმ პირებზე, ვის კომპეტენციაშიც შედიოდა მინის გასხვისების საკითხის გადაწყვეტა.

15. სასამართლომ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ზემოაღნიშნული მსჯელობა არის უკანონო შემდეგ გარემოებათა გამო: სასამართლოზე გამოკვლეული მტკიცებულებებით უტყუარად იქნა დადასტურებული, რომ ... მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2012 წლის 25 ოქტომბრის №... განკარგულების თანახმად რ. კ-ე აირჩიეს ... მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ და ითვლებოდა მოხელედ. ... მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის №... ბრძანებით იგი იმედროულად წარმოადგენდა ... მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს. 2011 წლის 6 იანვრის ... მუნიციპალიტეტის საკრებულოს №... დადგენილებით დამტკიცდა ... მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესი. ამ წესის მიხედვით აუქციონის ორგანიზებას ახორციელებს „ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია“, ხოლო ქონების საწყისი ფასი განისაზღვრება ... მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. სასამართლოზე გამოკვეთილი მტკიცებულებებით მოწმეების – თ. ზ-ს, მ. მ-ს ჩვენებითა და გამორკვეული დოკუმენტაციით დადგინდა ის პროცედურები, თუ რა გზით ხდება მიწის ნაკვეთის პრივატიზება აუქციონის გზით. ამ პროცედურებში მონაწილეებს, როგორც მუნიციპალიტეტის გამგეობა, ასევე საკრებულო და ბოლოს სააუქციონო კომისია. კერძოდ, დაინტერესებული პირი მიწის შეძენის სურვილით მიმართავს ... მუნიციპალიტეტის გამგეობას განცხადებით. აღნიშნული საკითხი გამგეობაში გადის რამოდენიმე ინსტანციას, პირველად საკითხი იხილება ქონების მართვისა და აგრარულ საკითხთა სამსახურში, ხოლო შემდეგ გადაეცემა გამგეობის ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის განკარგვის ფორმებისა და პირობების განსაზღვრის კომისიას. ეს კომისია იღებს გადაწყვეტილებას უძრავი ქონების გასხვისების მიზანშეწონილობის თაობაზე. დადებითად გადაწყვეტის შემდეგ მოწონებული საკითხი ეგზავნება საკრებულოს შესაბამის სხდომაზე გასატანად. საკრებულოს სხდომაზე განიხილავენ საკითხს და თუ დაუჭერენ მხარს იღებენ გადაწყვეტილებას ქონების განკარგვის შესახებ, ასევე საკრებულოს ამავე სხდომაზე წყდება ქონების პროვატიზაციის წესსაში ჩასმის და საწყისი ფასის განსაზღვრა. მას შემდეგ რაც საკრებულოზე დადებითად გადაწყდა საკითხი, საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით ცხადდება აუქციონი.

16. კასატორი მიიჩნევს, რომ საქმეზე არსებული მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ რ. კ-ს გააჩნია ის უფლებამოსილება, რაც დაენმარებოდა მას ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩადენაში.

17. რ. კ-ს მხრიდან სახეზე გვაქვს ქრთამის აღება, როგორც

მისი სამსახურეობრივი უფლებამოსილების, ასევე მისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით.

18. არ უნდა იქნეს გაზიარებული სასამართლოს პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ რ. კ-ს მხრიდან სხვა თანამდებობის პირებზე არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა შეფასებულ იქნეს როგორც ზეგავლენით ვაჭრობა. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ რ. კ-ე სხვა პირებზე ზემოქმედებას გეგმავს მისი თანამდებობიდან გამომდინარე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და ეს ზემოქმედება მათზე განპირობებულია სწორედ მისი მაღალი თანამდებობით, რაც აკუთვნებს ამ დანაშაულს ქრთამის აღების შემადგენლობას და არა ზეგავლენით ვაჭრობას, რა დროსაც ზეგავლენით მოვაჭრე იყენებს არა მის თანამდებობას არამედ მეგობრულ ან ნათესაურ კავშირს.

19. მსჯავრდებული ა. ც-ე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ვ. ტ-ა საკასაციო საჩივრებით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის განაჩენის გაუქმებასა და ა. ც-ს გამართლებას.

20. კასატორების მოსაზრებით, განაჩენი არის უკანონო, უსაფუძვლო და უსამართლო. როგორც წინასწარი გამოძიება, ისე სასამართლო განხილვა ჩატარდა არასრულად, შეგნებულად არ იქნა გამოვლენილი საპროცესო კოდექსის, სისხლის სამართლის კოდექსის, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის ფაქტები. საქმეზე წინასწარი გამოძიება ჩატარდა საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევის თაობაზე საქართველოს სსსკ-ის 35-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნის დარღვევით, რის გამოც დადგენილება პირის ბრალდების შესახებ და სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ ა. ც-ს მიმართ ძირითადად ეყრდნობა კანონის დარღვევით მოპოვებულ დაუშვებელ მტკიცებულებებს. მსჯავრდებულების – ა. ც-სა და რ. კ-ს მიმართ ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლების მიერ თაღლითური ქმედებით, ნდობის ბოროტად მოუყენებით ახლო ნათესავი აგენტის ა. ც-სთან მიგზავნით განხორციელდა ოპერატიული ღონისძიებები, რომელიც მიმართული იყო მოტყუებისკენ და მიზნად ისახავდა მათ დაპატიმრებას. სააპელაციო სასამართლომ გამოკვლევისა და მსჯელობის მიღმა დატოვა კანონის დარღვევის ფაქტები და გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაუდო დაუშვებელი მტკიცებულება – კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება – 2013 წლის 13 ივლისის აუდიო ჩანაწერი. დანაშაულებრივ ჯგუფ-



ში ოპერატიული მუშაკის ჩართვის შესახებ დადგენილებაში ფიქტიურად არის მითითებული ს. ჯ-ს ლეგენდირებით ჩართვის მიზან-ამოცანები, ვინაიდან ფარული მიყურადებით სატელეფონო საუბრებში 12 პირი ფიგურირებს და არცერთის ვიანობა არ ყოფილა დადგენილი გამოძიების მიერ.

21. მსჯავრდებული რ. კ-ე და მისი ინტერესების დამცველი, ადვოკატი ე. ლ-ი საკასაციო საჩივრით ითხოვენ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის განაჩენის გაუქმებასა და რ. კ-ს გამართლებას.

22. კასატორების მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა დაცვის მხარის მიერ არათუ 1-ლი ინსტანციის სასამართლოში წარდგენილი უტყუარი მტკიცებულებები, არამედ თვით სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებები უგულებელყო, რომლებიც რ. კ-ს სრულ უდანაშაულობას ადასტურებენ და გამოიტანა აშკარად უკანონო განაჩენი. სააპელაციო სასამართლომ დაუშვა და მთლიანად დაეყრდნო არაავთენტურ მტკიცებულებას და ფარული ვიდეოჩანანერის ავთენტურობასთან დაკავშირებით არსებული ეჭვი არ გადაწყვიტა ბრალდებულის სასარგებლოდ.

23. სააპელაციო სამართლოში დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი და გამოკვლეული მტკიცებულებებით კიდევ უფრო აშკარა გახდა, რომ შსს ანტიკოროფციულ სამსახურში დაიგეგმა და განხორციელდა მთელი რიგი უკანონო ღონისძიებები იმ მიზნით, რომ რ. კ-ე საბოლოოდ ჩამოეშორებინათ პოლიტიკური მოღვაწეობისაგან ხელოვნური კრიმინალიზაციის გზით.

24. განაჩენი უკანონოა, დადგენილია საქართველოს კონსტიტუციის მე-40 და სსსკ-ის 259-ე მუხლების მოთხოვნათა დარღვევით. ძირითადი მტკიცებულებები, რომლებიც რ. კ-ს მიმართ წარდგენილი ბრალის დასადასტურებლად ბრალდების მხარემ წარმოადგინა და რომელსაც ასევე სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო არის ფარული ჩანაწერები, რომელთა რეალური შინაარსის გარკვევა ხშირ შემთხვევაში შეუძლებელია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

1. საკასაციო პალატა საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრების მოთხოვნების გაცნობის, საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პროკურორულიზბარ გოზალიშვილის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, მსჯავრდებულ ა. ც-სა და მისი ინტერე-

სების დამცველის, ადვოკატ ვ. ტ-ს, მსჯავრდებულ რ. კ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. ლ-ს საკასაციო საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

2. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მსჯავრდებულების – რ. კ-სა და ა. ც-ს საკასაციო საჩივრების მოთხოვნა მათი გამართლების თაობაზე არის უსაფუძვლო და არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან. საკასაციო პალატა იზიარებს აგრეთვე სახელმწიფო ბრალმდებლის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებულების – რ. კ-სა და ა. ც-ს ქმედებებს 1-ლი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების მიერ მიეცათ არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია.

3. დაცვის მხარის – მსჯავრდებულების – რ. კ-სა და ა. ც-ს და მათი ადვოკატების პოზიციას იმის თაობაზე, რომ გასაჩივრებული განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია იმ თვალსაზრისით, რომ მათ არ ჩაუდენიათ არანაირი დანაშაული, ხოლო სინამდვილეში ადგილი ჰქონდა დანაშაულის პროვოკაციას და, აქედან გამომდინარე, მათ უკანონო და დაუსაბუთებელ მსჯავრდებას, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს, რადგან ასეთი პოზიციის დასადასტურებლად საქმეში არ მოიპოვება საამისოდ საჭირო მტკიცებულებათა ერთობლიობა.

4. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ რ. კ-ე 2012 წლიდან მუშაობდა ... მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ. ამასთანავე ის ასევე წარმოადგენდა ... მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების სააუქციონო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს. სააპელაციო სასამართლოს განაჩენით დადგენილად არის მიჩნეული, რომ რ. კ-ე, რომლის სამსახურებრივი საქმიანობის სფეროში შედიოდა ..... მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის პრივატიზების საკითხი, 2013 წლის ივლისში, თავის ნაცნობ ა. ც-სთან ერთად, შეხვდა რ. ც-ს, რომელმაც განუცხადა, რომ მისი ნაცნობი ბიზნესმენი, ვინმე „გ.“, დაინტერესებული იყო ... მუნიციპალიტეტში მიწის ნაკვეთის შექენით. რ. კ-მ, ა. ც-სთან ერთად, წინასწარი შეთანხმებით, თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას, განიზრახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის აღება. ამ მიზნით რ. კ-მ რ. ც-ს შესთავაზა ..... მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 6000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომლის შე-

ქენის სურვილის არსებობის შემთხვევაში, თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტის გამოყენებით, ხსენებული ინვესტორის სასარგებლოდ გადაწყდებოდა აღნიშნული მიწის ნაკვეთის გასხვისების საკითხი. საამისოდ მან მოითხოვა მისთვის თანხის – 120000 ლარის გადახდა, ხოლო ამ თანხის მისთვის გადაცემა უნდა უზრუნველყო ა. ც-ს ანუ ამ უკანასკნელს უნდა ეკისრა შუამავლის როლი ინვესტორის მხრივ აღნიშნული თანხის გაცემასა და რ. კ-ს მიერ ამ თანხის აღებაში.

5. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები დადასტურებულია როგორც მონმეების ჩვენებებით, ასევე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით მოპოვებული მტკიცებულებებით. აღნიშნული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების განხორციელებისას რ. ც-მ ა. ც-ს გადასცა რ. კ-ს მიერ მოთხოვნილი თანხის ნაწილი – 30000 ლარი, რაც ამ უკანასკნელს უნდა მიეცანა რ. კ-სთან.

6. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის პოზიციას მსჯავრდებულთა უდანაშაულობის თაობაზე იმ საფუძვლით, რომ მონმე რ. ც-ე არის აგენტ-პროვოკატორი, ხოლო მსჯავრდებულების – რ. კ-სა და ა. ც-ს მიმართ აღდგინი ჰქონდა დანაშაულის პროვოკაციას. საკასაციო პალატა აღნიშნულ პოზიციას არ იზიარებს შემდეგი მოსაზრებებით: საქმეში არავითარი მტკიცებულება არ მოიპოვება იმის დასადასტურებლად, რომ მონმე რ. ც-ე მოქმედებდა როგორც აგენტ-პროვოკატორი; ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გამოყენება სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მექრთამეობის საქმეებზე, ლატენტური დანაშაულის გამოსავლენად ოპერატიული ექსპერიმენტის სახით, მართლზომიერი ქმედებაა და იგი სრულად განსხვავდება პროვოკაციისაგან. დანაშაულის გამოსავლენად, აღსაკვეთად და თავიდან ასაცილებლად“ ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის შესაბამისად მოქმედება დანაშავეთა მხილების მიზნით, კანონის მთავარი ამოცანაა. რ. ც-ე, რომელსაც დანაშაულში მონაწილე პირები (ა. ც-ე და რ. კ-ე) ანდობენ დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას, უხსნიან ფულის აღების სქემას, აძლევენ რჩევა-დარიგებას ინვესტორთან (მოსკოვში მცხოვრებ გ-თან) ურთიერთობისათვის, ერთად ჩადიან დანაშაულს-იღებენ და ინაწილებენ ქრთამის სახით შეთავაზებულ 30 000 ლარს, ვერ ჩაითვლება დანაშაულის პროვოკატორად. დაცვის მხარე აპელირებს, რომ მოცემულ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოები რ. ც-ს იყენებდნენ როგორც ფარულ თანამშრომელს, რომელსაც იხსენიებენ აგენტ-„...“. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის ერთ-ერთ გა-

დანყვეტილებში პირდაპირ მიუთითებს, რომ ფარული აგენტის გამოყენება საგამოძიებო პროცესში არ ხელყოფს ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში დადგენილ გარანტიას. ზოგადად, ფარული აგენტის მიერ პირის ნაქეზება არ გამორიცხავს ამ უკანასკნელის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. დანაშაულის პროვოკაცია არ ათავისუფლებს პროვოცირებულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით (Ramauskas v. Lithuania, 74420/01, 2008 წლის 5 თებერვალი).

7. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება დაცვის მხარის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ რ. ც-ე მოქმედებდა როგორც დაინტერესებული პირი, რომელმაც ხელოვნურად შექმნა თითქოსდა დანაშაულის ჩადენის ვითარება, რის გამოც სასამართლოსათვის მის მიერ მიცემული ჩვენება, რაც ერთ-ერთ საფუძვლად დაედო გამამტყუნებელ განაჩენს, არ უნდა იქნეს მიღებული სარწმუნო მტკიცებულებად. საკასაციო პალატა ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომლის მიხედვით, საქმეში არსებული მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურებულია, რომ რ. ც-ე მოქმედებდა კეთილსინდისიერად და მისი თითოეული ნაბიჯი განპირობებული იყო იმ მოტივით, რომ ის შეეხსნო დანაშაულის ჩადენის ფაქტს და სწორად მის თაობაზე მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს.

8. დაცვის მხარის წარმომადგენლებს, ცდილობენ რა მსჯავრდებულთა მოქმედებების გამართლებას, თავიანთ საკასაციო საჩივრებში მოაქვთ ცალკეული ამონარიდები საქმეში არსებული მასალებიდან მთლიანი კონტექსტიდან ამოღებული ცალკეული დეტალების სახით, რომლებიც თითქოს ადასტურებენ რ. კ-სა და ა. ც-ს უდანაშაულობას. მაგალითად, რ. კ-ს ადვოკატი თავის საკასაციო საჩივარში აღნიშნავს: ... საკრებულოდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის მიხედვით, ... პირველ ზოლში აუქციონით გასაყიდი მიწის ნაკვეთის ერთი კვადრატული მეტრის ფასი იყო 54 ლარი. რ. კ-მაც სწორედ ამ ფასად შესთავაზა აღნიშნულ ზოლში მიწის ნაკვეთის ყიდვა ინვესტორის წამომადგენელს მასთან მოლაპარაკებისას. დაცვის მხარე ასევე უთითებს ფარულ ჩანაწერებში ცალკეული საუბრების ზოგიერთ მომენტზე, სადაც რ. კ-ე ეუბნება ა. ც-ს – „ინვესტორს ქრთამს ხომ არ მოვთხოვ“; „ხალხს ხომ დაასაქმებს ადგილობრივ“; „ქალაქს ხომ გააღამაზებს და დამსვენებლებს ჩამოიყვანს“ და ა.შ. ამ შემთხვევაში დაცვის მხარე მთლიანად გვერდს უვლის საქმის მასალებში დაფიქსირებული იმ საუბრების მთლიან შინაარსს, რომლებსაც მსჯავრდებულები აწარმოებდნენ როგორც

ბრალდების მოწმეებთან – რ. ც-სა და ს. ჟ-თან, ისე ერთმანეთ-თან, ხოლო ამ საუბრების შინაარსი უტყუარად ადასტურებს მსჯავრდებულთა დანაშაულებრივ განზრახვებსა და მათ შესა-ბამის ქმედებებს.

9. გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ დაცვის მხარის წარმომად-გენელი კასატორები, მსჯავრდებულთა გამართლების მიზნით, ცალკეულ შემთხვევაში მიმართავენ საქმის ფაქტობრივი გარე-მოებების ამკარად არასწორი რაკურსით წარმოდგენას. მაგა-ლითად, ისინი ბრალდების მოწმეებთან წარმოებულ დანაშაუ-ლებრივ მოლაპარაკებებში მსჯავრდებულების – რ. კ-სა და ა. ც-ს საუბარს იმის თაობაზე, რომ ინვესტორის მიერ გადახდილი თანხიდან, კერძოდ, ყოველი 100 ლარიდან 20 ლარი რჩება მათ, 20 ლარი მიდის სხვებთან, ხოლო 60 ლარი წარმოადგენს სააუქ-ციონოდ შესატან თანხას, ისე განმარტავენ, რომ თითქოს აღ-ნიშნული საუბარი ეხებოდა არა მათთვის გადასახდელ თანხას, არამედ აუქციონზე გასაყიდი მიწის ნაკვეთის – 6000 კვ.მ. ფარ-თობის 20%-ს, რომელზეც უნდა განთავსებულიყო შენობა-ნა-გებობები. სინამდვილეში საქმე სწორედ პირიქით იყო, რადგან საუბარი ეხებოდა თანხის იმ წილებს, რომელიც მსჯავრდებუ-ლებს უნდა მიეღოთ როგორც თავისი სარგებელი ინვესტორის მიერ გადახდილი მთლიანი თანხიდან. აღნიშნული კასატორები მიუთითებენ ასევე იმის თაობაზე, რომ რაც შეეხება 30000 ლარს, რომლის თაობაზეც ფარულ ჩანაწერებშია საუბარი და რომე-ლიც ამოღებულ იქნა ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩა-ტარებისას ა. ც-სგან, წარმოადგენდა ინვესტორის მიერ გამოგ-ზავნილ, აუქციონის გამართვასთან დაკავშირებით წინასწარ შე-სატან თანხას, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. საქმეში არ-სებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით, რომლებიც მოპო-ვებულია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით, დადასტურე-ბულია, რომ აღნიშნული თანხა მსჯავრდებულმა ა. ც-მ მიიღო, როგორც რ. კ-სა და პირადად მისთვის განკუთვნილი გასამრჯე-ლო, მიწის ნაკვეთის შესაძენად გამართულ აუქციონში ინვეს-ტორისათვის საჭირო დახმარების განწვევის სანაცვლოდ. გარდა აღნიშნულისა, დაცვის მხარე ასევე უთითებს რ. კ-სა და ა. ც-ს ჩვენებებზე, რომელთა მიხედვით ინვესტორის წარმომადგენ-ლებთან უშუალო კონტაქტისას მათი მხრივ არც ქრთამზე და არც რაიმე სხვა თანხაზე საერთოდ საუბარიც კი არ ყოფილა. გარდა ამისა, ისინი მიუთითებენ, რომ ფარულ ჩანაწერებში, რომლებიც სასამართლომ ძირითად მტკიცებულებებად გამოი-ყენა გამამტყუნებელი განაჩენისათვის, არსად არაა დაფიქსი-

რებული რ. კ-ს მიერ ვინმესგან ქრთამის ან სხვა რაიმე მატერი-  
ალური სარგებლის მოთხოვნა. ყოველივე ეს, მათი განმარტე-  
ბით, ადასტურებს იმას, რომ მსჯავრდებულებს არავითარი და-  
ნაშაულებრივი განზრახვა არ ამოძრავებდათ. სინამდვილეში კა-  
ნონიერი გზით მოპოვებული ფარული ჩანაწერებით დასტურ-  
დება, რომ რ. კ-ე ა. ც-სა და რ. ც-სთან საუბრისას აცხადებს,  
რომ მისთვის გადასახდელ თანხებსა და მათ ოდენობაზე თვი-  
თონ ინვესტორის წამომადგენელს არ დაელაპარაკებოდა, ეს  
საკითხი ა. ც-ს უნდა მოეგვარებინა.

10. მსჯავრდებულ რ. კ-ს ადვოკატი თავის საკასაციო საჩი-  
ვარში აღნიშნავს, რომ სასამართლომ მის წინააღმდეგ ბრალ-  
დების დამადასტურებელ მტკიცებულებად გამოიყენა არაავ-  
თენტური ფარული აუდიო-ჩანაწერი, რომლის შესახებ სასამარ-  
თლოში დაკითხვისას ექსპერტმა განაცხადა, რომ იმის დადგე-  
ნა, აღნიშნული ჩანაწერი წარმოადგენს თუ არა მონტაჟს, შეუძ-  
ლებელია, რადგან ის არაავთენტურია. საკასაციო პალატას მი-  
აჩნია, რომ ხსენებული ფარული აუდიო-ჩანაწერის შინაარსის  
ნამდვილობა დასტურდება სხვა ფარული ვიდეო-ჩანაწერებით,  
რომელთა შინაარსი სრულიად უდავოდ ადასტურებს იმ გარე-  
მოებას, რომ მსჯავრდებულები სწორედ მართლსაწინააღმდე-  
გო მიზნებითა და მოტივებით ახორციელებდნენ თავიანთ და-  
ნაშაულებრივ ქმედებებს.

11. რაც შეეხება მსჯავრდებულ ა. ც-ს ადვოკატის – ვ. ტ-ს  
საკასაციო საჩივარს, იგი ძირითადად ეთმობა იმის მტკიცებას,  
რომ მსჯავრდებულების მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონის-  
ძიებები ჩატარდა კანონის მოთხოვნათა უხეში დარღვევებით,  
რა დროსაც ადგილი ჰქონდა ფარული აგენტის – რ. ც-ს მიერ  
კანონის აკრძალული ხერხების გამოყენებას, კერძოდ, მოტყუ-  
ებას, დანაშაულებრივი ვითარების ხელოვნურად შექმნას, ნდო-  
ბის ბოროტად გამოყენებას, მტკიცებულებათა ფალსიფიკაცი-  
ას, მასთან კონტაქტში მყოფი პირების შეცდომაში შეყვანასა  
და სხვა მსგავს ქმედებებს მსჯავრდებულთა წინააღმდეგ მტკი-  
ცებულებათა ფალსიფიკაციის მიზნით. მანვე შემდგომში წინას-  
წარ გამოძიებასა და სასამართლოში მისცა ამკარად ცრუ ჩვე-  
ნებები, რაც მთლიანობაში გახდა რ. კ-სა და ა. ც-ს უკანონო  
მსჯავრდების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი. საკასაციო პა-  
ლატა კასატორის ამგვარ პოზიციას ვერ დაეთანხმება, რადგან  
საქმის მასალების შესწავლით დგინდება, რომ მსჯავრდებულ-  
თა მიმართ ფარული თუ სხვა საგამოძიებო მოქმედებისას კა-  
ნონმდებლობის არსებით დარღვევებს ადგილი არ ჰქონია. ასე-  
ვე, მათი ბრალდების საქმის როგორც 1-ლი ინსტანციის, ასევე

სააპელაციო სასამართლოში განხილვისას მსჯავრდებულთა საპროცესო უფლებების დარღვევა არ ვლინდება. იგივე უნდა აღნიშნოს მსჯავრდებულ რ. კ-ს ადვოკატის მიერ საკასაციო საჩივარში განვითარებულ ზოგად მსჯელობებზე მათ მიმართ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებისას, აგრეთვე სასამართლოებში საქმის განხილვისას კანონიერების უხეში დარღვევების შესახებ, რადგან საკასაციო სასამართლოში აღნიშნული საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შესწავლით კანონიერების რაიმე არსებითი დარღვევები არ დგინდება.

12. საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა ბრალდების მხარის წარმომადგენლის, პროკურორ ელიზბარ გოზალიშვილის საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მოტივები, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა მსჯავრდებულ რ. კ-ს ქმედების საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე, ხოლო მსჯავრდებულ ა. ც-ს ქმედების აღნიშნული კოდექსის 25-ე მუხლზე, აგრეთვე 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ და იმავე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე გადაკვალიფიცირების თაობაზე, უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

13. საკასაციო პალატა არ ეთანხმება მსჯავრდებულების ქმედებების იმ სამართლებრივ შეფასებებს, რაც მოცემულია სააპელაციო სასამართლოს განაჩენში. საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით, რომლებიც მოპოვებულია კანონიერი გზით, დასტურდება, რომ მსჯავრდებულ რ. კ-ს ჩადენილი აქვს არა ზეგავლენით ვაჭრობა, არამედ ქრთამის აღება, ესე იგი მოხელის მიერ პირდაპირ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ფულის მოთხოვნა თავის სასარგებლოდ, რათა მას თანამდებობრივი უფლება-მოვალეობების შესრულებისას სხვა პირის სასარგებლოდ განეხორციელებინა ქმედება და გამოეყენებინა თავისი თანამდებობრივი ავტორიტეტი ანალოგიური მიზნის მისაღწევად, ხოლო მსჯავრდებულ ა. ც-ს ჩადენილი აქვს იმავე დანაშაულში თანამონაწილეობა დამხმარის სახით.

14. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის ფაქტობრივი გარემოებები სწორად იქნა დადგენილი, თუმცა მათ მიეცათ არასწორი სამართლებრივი შეფასება სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის თვალსაზრისით. პალატა განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მოხელე თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას იყენებს ქრთამის მიმცემის ინტერესების სასარგებლოდ, ადგილი აქვს ქრთამის აღებას, რომელიც დამთავრებულია მის მიერ ქრთამის მოთ-



ხოვნის ან მისთვის ქრთამის შეთავაზებაზე თანხმობის მიცემის მომენტიდან. სააპელაციო სასამართლო თავის განაჩენში რ. კ-ს მსჯავრდებას საქართველოს სსკ-ის 339<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით, ხოლო ა. ც-ს მსჯავრდებას – სსკ-ის 25, 339<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით ასაბუთებს შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

15. 2011 წლის 6 იანვრის ... მუნიციპალიტეტის საკრებულოს №... დადგენილებით დამტკიცებული ... მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის თანახმად, აუქციონის ორგანიზებას ახორციელებს ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია. ამდენად, რ. კ-ს არ ჰქონდა ... რაიონის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების ნორმატიული ფასის განსაზღვრისა და პრივატიზაციის საკითხის ერთპიროვნულად გადაჭრის უფლებამოსილება. მოცემულ შემთხვევაში დადგენილი იქნა, რომ რ. კ-ს თავისი თანამდებობრივი უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე არ შეეძლო ქრთამის მიმცემის სასარგებლოდ ქმედების განხორციელება. განსახილველ შემთხვევაში ქრთამის მიმცემის ინტერესსა და მოთხოვნას წარმოადგენდა ... მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის აუქციონის გზით შეძენა, რომლის განხორციელებაც არ შედიოდა რ. კ-ს უფლებამოსილებაში, რადგან აღნიშნულის თაობაზე გადანყვეტილების მიღება ხდება კომისიური წესით.

16. ამასთან, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ა. ც-მ ჩაიდინა დახმარება ზეგავლენით ვაჭრობაში პირის მიერ, რომელიც ამტკიცებს ან ადასტურებს, რომ მას შეუძლია არამართლზომიერი ზეგავლენის მოხდენა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ გადანყვეტილების მიღებაზე თავისი ან სხვა პირის სასარგებლოდ იმ პირისაგან, რომელიც მოქმედებს საკუთარი ან სხვა პირის ინტერესებისათვის, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფულის, ფასიანი ქაღალდის, სხვა ქონების, ქონებრივი სარგებლის ან სხვა რაიმე არამართლზომიერი უპირატესობის მოთხოვნა ან მიღება, ასევე ასეთის თაობაზე დაპირების ან შეთავაზების მიღება, მიუხედავად იმისა, განხორციელდა თუ არა ასეთი ზეგავლენა ან/და მიღებულ იქნა თუ არა ამ ზეგავლენით სასურველი შედეგი, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლითა და 339<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილით.

17. საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ამგვარ დასაბუთებებს მსჯავრდებულთა ქმედებებში ზეგავლენით ვაჭრობის შემადგენლობის ნიშნების არსებობის თაობაზე, რადგან ის არ შეესაბამება ერთი მხრივ ქრთამის აღებისა და მასში თანამონაწილეობის, ხოლო მეორე მხრივ ზე-

გავლენით ვაჭრობისა და მასში თანამონაწილეობის არსის მართებულ განსაზღვრას. საკასაციო პალატა განმარტავს: მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დანაშაულები თითქოს ერთმანეთს ჰგავს, ამავე დროს ისინი ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. პირველ რიგში, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქრთამის აღების სუბიექტია მხოლოდ მოხელე, რომელიც ქრთამის სანაცვლოდ სხვა პირის კანონიერი თუ უკანონო ინტერესების სასარგებლოდ იყენებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას. რაც შეეხება ზეგავლენით ვაჭრობას, ამ დანაშაულის სუბიექტი, როგორც წესი, არ არის მოხელე. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ეს დანაშაული ჩაიდინოს მოხელემაც, მაგრამ არა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების, არამედ საჯარო სამსახურში მყოფ სხვა მოხელეებთან მისი პირადი ურთიერთობების გამოყენებით. ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი მოხელე ვინმეს სასარგებლოდ სხვა მოხელეზე ზეგავლენის მოსახდენად იყენებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას და ამის სანაცვლოდ ის შესაბამის საზღაურს ან სხვა სარგებელს მოითხოვს ანდა მას ასეთს პირდებიან, ადგილი აქვს ქრთამის აღებას და არა ზეგავლენით ვაჭრობას. გარდა აღნიშნულისა, ქრთამის აღებისას მოხელე ან მასთან გათანაბრებულ პირი ქრთამის სანაცვლოდ უშუალოდ თვითონ ახორციელებს შესაბამის ქმედებას ქრთამის გამცემის სასარგებლოდ, ხოლო ზეგავლენით მოვაჭრეს არ გააჩნია შესაძლებლობა სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. ასეთი პირი მხოლოდ თავისი პირადი დამოკიდებულებების გამოყენებით აღწევს იმ პირისათვის სასურველ შედეგს, რომლის სასარგებლოდაც ის მოქმედებდა.

18. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ სააპელაციო სასამართლოს დასკვნები მსჯავრდებულების – რ. კ-სა და ა. ც-ს მიერ ჩადენილი ქმედებების სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაციის თაობაზე, სრულიად მოკლებულია შესაბამის აუცილებელ მტკიცებულებით ბაზას. უფრო მეტიც, სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ ა. ც-ს ქმედება დააკვალიფიცირა რა ზეგავლენით ვაჭრობაში თანამონაწილეობად დამხმარის სახით, მას არ დაუდგენია კონკრეტულად რაში გამოიხატა მისი ასეთი ქმედება.

19. საქმის მასალებით რ. კ-ს, რომელიც იყო ... მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე და იმავდროულად ის ასევე წარმოადგენდა ... მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის აუქციონის ორგანიზების სააუქციონო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, მართალია, უშუ-

ალოდ ქრთამი თანხის სახით არ მიუღია, მაგრამ მან ბრალდების მოწმე რ. ც-სთან პირადი საუბრისას პირდაპირ მოითხოვა ინვესტორისგან მისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით, კერძოდ, 120000 ლარის გადახდა მისთვის შელავათიან პირობებში ..., პრესტიჟულ ადგილზე, 6000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის აუქციონის გზით შექცნაში დახმარების განევის სანაცვლოდ. მართალია, მას არ შეეძლო ერთპიროვნულად მიეღო გადაწყვეტილება ქრთამის გამღები ინვესტორის სასარგებლოდ, მაგრამ თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების გამოყენებით მას შეეძლო როგორც თავისი წვლილის შეტანა კოლეგიური გადაწყვეტილების მიღებაში, ასევე მიწის ნაკვეთის აუქციონის წესით გასხვისებაში მონაწილე სხვა ოფიციალურ პირებზე ზეგავლენის მოხდენა, რის დაპირებასაც ის იძლეოდა კიდევ ქრთამის სანაცვლოდ. ყოველივე აღნიშნული დადგენილია საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებებით – რ. კ-ს საუბრების ფარული აუდიო ჩანაწერებითა და ბრალდების მოწმეთა ჩვენებებით.

20. მოსამართლის ბრძანების საფუძველზე 2013 წლის 17 ივლისს განხორციელებული ფარული ვიდეო-აუდიო ჩანაწერის გამოკვლევის შედეგად დადგენილია, რომ რ. ც-ე შეხვდა ა. ც-ს ქ. ... და ისინი ერთად გაემართნენ ..., რ. კ-სთან შესახვედრად. გზაში ისინი საუბრობდნენ, რომ ჩამოსულია ინვესტორი და ელოდებიან მის ჩამოსვლას აჭარაში. ა. ც-მ აღნიშნა, რომ რ. კ-სთვის ჰქონდა ნათქვამი, რომ ინვესტორი აგზავნიდა 60000 ლარს, ახლა უნდა უთხრან, რომ ამჯერად ის აგზავნის 30000 ლარს, ხოლო დანარჩენს მოიტანს, როცა დაინიშნება აუქციონი და დანარჩენს – რომ გაიმარჯვებენ აუქციონში, მერე მისცემენ. ამის შემდეგ ისინი მსჯელობდნენ თავიანთთვის რამდენი მოეთხოვათ, რაზედაც ა. ც-ე აღნიშნავდა, რომ ეთქვათ 50000 ლარი. ამის შემდეგ ა. ც-ე და რ. ც-ე შეხვდნენ რ. კ-ს მის სამუშაო კაბინეტში. მათ დაიწყეს საუბარი ინვესტორთან დაკავშირებით. ა. ც-მ უთხრა რ. კ-ს, რომ ხმა აუწიოს ტელევიზორს, რის შემდეგაც დაბალ ხმაზე გააგრძელა საუბარი. მან რ. კ-ს ანიშნა 6 თითი და უთხრა, რომ ამდენს არაო, არამედ მას უჩვენა 3 თითი, ამდენს ვაკეთებ ახლაო. დანარჩენი მოვა განცხადების დაწერის შემდეგ, ხოლო აუქციონის დასრულების შემდეგ მოვიდოდა ყველა დანარჩენი. ამაზე რ. კ-მ უპასუხა, რომ ყველაფერი გაიგო. ამის შემდეგ რ. კ-მ ფურცელზე დაიწყო წერა და თქვა: ეს ხომ არის 60000, რაზეც ა. პასუხობს, რომ 60000 ანუ სულ გამოდის 120000, საიდანაც 120-დან 60 მოდის, როგორც ადრე ითქვა. იყო სამი მენილე, თითოეული დებს 10000-ს და 30000 ლარი წამოვა წინასწარო. რ. კ-მ მათ ნახაზზე აჩვენა მიწის ნაკვეთი, ასევე

აუხსნა რ. ც-ს, თუ როგორ უნდა დაწეროს განცხადება. რ. კ-მ თქვა, რომ თუ გ-ს მეგობარი ბრუნდებოდა თბილისში, ისიც გაყვებოდა. განცხადების დაწერის შემდეგ ისინი გამოვიდნენ კაბინეტიდან.

21. გარდა ამისა, სასამართლო ბრძანების საფუძველზე 2013 წლის 17 ივლისს განხორციელებული ფარული ვიდეო-აუდიო ჩანაწერის გამოკვლევით დადგენილია, რომ რ. ც-ე, რომელიც აღჭურვილი იყო ფარული ჩამწერი მონყობილობით, შეხვდა ა. ც-ს, რ. კ-სა და ს. ჟ-ს. ისინი წავიდნენ ..., მიწის სანახავად. ა. ც-მ უთხრა ს. ჟ-ს, რომ მიწის ყიდვის საკითხი „კეთდებოდა“ მათი ხათრით, თორემ იმ დროისათვის ყველაფერი გაჩერებული იყო. თუ სხვებს ასეთ საქმეში ჩასადები ექნებოდათ 5 და 3 მილიონი, მას გაუკეთებდნენ 2 მილიონად. თუ სხვებს აძლევდნენ მშენებლობისათვის 2 წლიან ვადას, მას მისცემდნენ 3 წელს. მიწის ნაკვეთზე გასვლის შემდეგ მათ შეუერთდათ რ. კ-ე, რომელმაც აუხსნა ინვესტორს საინვესტიციო პირობები. ამის შემდეგ, რ. კ-ე და რ. ც-ე განცალკევდნენ, რა დროსაც მან აუხსნა რ-ს, რომ 1 კვ.მ. მიწის საწყისი ფასი იქნებოდა 54 ლარი, თუმცა აუდიტის მიერ შეიძლება შეფასებულიყო 120 დოლარად. რ-მ ჰკითხა რ-ს, თანხა როდის მოეტანათ, რაზეც რ. უპასუხა, რომ ის მიდიოდა თბილისში და რომ ჩამოვიდოდა თანხა დაეხვედრებინათ და მერე დაეწყით საქმის კეთება.

22. სასამართლოს ბრძანების საფუძველზე 2013 წლის 19 ივლისს განხორციელებული ფარული ვიდეო-აუდიო ჩანაწერის გამოკვლევით დადგენილია, რომ რ. ც-ე შეხვდა ა. ც-ს და მათი საუბარი წარიმართა მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით. ამის შემდეგ ა. ც-მ უთხრა რ. ც-ს, რომ რ. კ-ე მას შეეხვეწა გაეშიფრათ ს. ჟ-ი მოგზავნილი არ ყოფილიყო, არც თავი დაეღუპათ და არც ის. მან ასევე აღნიშნა, რომ რ. კ-ს ყველასთან ჰქონდა საკითხი შეთანხმებული და მილიონი პროცენტით დარწმუნებული იყო, რომ ეს საქმე გაკეთდებოდა.

23. სასამართლოს ბრძანების საფუძველზე 2013 წლის 20 ივლისს განხორციელებული ფარული ვიდეო-აუდიო ჩანაწერის გამოკვლევით დადგენილია, რომ ა. ც-ე შეხვდა რ. ც-ს და ისინი გაემართნენ ... ს. ჟ-თან შესახვედრად. გზაში ა-მ უთხრა რ-ს, რომ ჯობდა სოფელში სადმე საჭმელად დამჯდარიყვნენ, რადგან ს-ს რამე სხვა აზრები არ ჰქონოდა, დაჯდებოდნენ და შეამონმბედა, მერე რ. გავიდოდა და გამოართმევდა ფულს, სხვაგან დადებდა და კუდი არ ეყოლებოდათ. ა-მ მიმართა რ-ს, რამე რომ იყოს მან არაფერი არ იცის, ავტომატიც რომ მიაბჯინონ არაფერს იტყვის. მანვე უთხრა ფული ს-თვის მას გამოერთმია,

ვინაიდან თვითონ არ უნდოდა აღნიშნულში მონაწილეობის მიღება. ამის შემდეგ, ისინი შეხვდნენ ს. ჟ-ს, რა დროსაც ა. ც-მ მინის ნაკვეთის ესკიზი გადასცა ს. ჟ-ს და დაბრუნდა ავტომანქანაში, ხოლო რ. ც-ე ს-ს ჩაუჯდა ავტომანქანაში, სადაც მან რ-ს გადასცა 30000 ლარი. რ-ი დაბრუნდა ა. ც-ს ავტომანქანაში და მათ დატოვეს თანხის გადაცემის ადგილი. გზაში ა. ც-მ უთხრა რ. ც-ს, თანხა დაედო ავტომანქანის საბარგულში. ამის შემდეგ, რ. ც-მ ა-ს მითითებით „იმასთან წასაღები“ 20000 ლარი დადო უკანა საბარგულში, ხოლო დარჩენილი 10000 ლარიდან აიღო თავის წილი – 3000 ლარი, ა. ც-ს წილი კი – 7000 ლარი, მისივე მითითებით, დადო სავარძლის ქვეშ. რამდენიმე ხანში ა. ც-ს ავტომანქანა გააჩერეს სამართალდამცავებმა, რა დროსაც ამ ავტომანქანიდან ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა აღნიშნული თანხები. ყოველივე აღნიშნული დადასტურებულია ავტომანქანის ჩხრეკის ოქმით, ასევე ავტომანქანაში გზაზე მსვლელობისას განხორციელებული ფარული ვიდეო და აუდიო ჩანაწერით.

24. ზემოხსენებული გარემოებების რეალობა დასტურდება აგრეთვე ბრალდების მონმეების – რ. ც-სა და ს. ჟ-ს პირდაპირი ჩვენებებით, რომლებშიც ისინი დეტალურად აღწერენ მსჯავრდებულებთან შეხვედრებსა და ამ დროს მათთან გამართული საუბრების შინაარსს, რომელშიც მკაფიოდ და დამაჯერებლად არის წარმოდგენილი ის ბრალეული ქმედებები, რომლებსაც ახორციელებდნენ მსჯავრდებულები – რ. კ-ე და ა. ც-ე თავიანთი დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად.

25. ყველა ზემომოხმობილი მტკიცებულებები, რომლებითაც მსჯავრდებულები – რ. კ-ე და ა. ც-ე იმხილებიან შესაბამისად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში და ამ დანაშაულში თანამონაწილეობის ჩადენაში დახმარების სახით, მოპოვებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ისინი ასევე იმყოფებიან ურთიერთთანხვედრაში და არ არსებობს საფუძველი მათ უტყუარობაში ეჭვის შესატანად.

26. ზემოაღნიშნულთან ერთად, საკასაციო პალატა არ ეთანხმება ბრალდების მხარის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას რ. კ-სა და ა. ც-ს მიერ ჩადენილი ქმედებების საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით დაკვალიფიცირების თაობაზე, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქრთამის აღებისა და მასში თანამონაწილეობისათვის. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ, მოცემულ შემთხვევაში, რ. კ-ს გარდა ქრთამის ამღები სხვა პირიც არსებობდა მოხელის სახით. რაც შეეხება იმას, რომ გაღებული ქრთამიდან ა. ც-მაც მიიღო თანხის გარკვეული ნაწი-

ლი, ეს გარემოება ჯგუფს ვერ შექმნის, ვინაიდან ის არ არის მოხელე, არამედ წარმოადგენს აღნიშნული დანაშაულის თანამონაწილე კერძო პირს დამხმარის სახით. აღნიშნული გარემოების გამო ბრალდების მხარის საკასაციო საჩივარი ამ ნაწილში არ უნდა დაკმაყოფილდეს.

27. ამრიგად, საკასაციო პალატა საბოლოოდ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მსჯავრდებულ რ. კ-ს ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, როგორც ქრთამის აღება დამამძიმებელ გარემოებაში – განსაკუთრებით დიდი ოდენობით, ხოლო მსჯავრდებულ ა. ც-ს ქმედება – საქართველოს სსკ-ის 25-ე მუხლითა და 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, როგორც თანამონაწილეობა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში დამხმარის სახით.

28. რაც შეეხება მსჯავრდებულების – რ. კ-სა და ა. ც-ს მიმართ სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნები. ამ მიმართებით საკასაციო პალატა მათთვის სასჯელის დანიშვნისას, ერთი მხრივ, ითვალისწინებს იმ გარემოებებს, რომლებიც წარმოადგენენ მათ მიერ ჩადენილი ქმედების მახასიათებლებს, ხოლო მეორე მხრივ, გარემოებებს, რომლებიც ახასიათებენ მათ პიროვნებას. სახელდობრ, პალატა მხედველობაში იღებს, რომ მსჯავრდებულებს არ გააჩნიათ დამამძიმებელი გარემოებები, ხოლო მათთვის პასუხისმგებლობისა და სასჯელის შემამსუბუქებლად უნდა ჩაითვალოს შემდეგი გარემოებები: ისინი პირველად არიან სამართალში, მათი წარსული არაფრით არ არის შებღალული, ხასიათებიან დადებითად და მათ ქმედებას არ მოჰყოლია რაიმე მძიმე შედეგი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა შესაძლებლად მიიჩნევს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალური ზომის დანიშვნას მსჯავრდებულ ა. ც-სათვის, ხოლო მინიმალურ ზომასთან მიახლოებული სასჯელის დანიშვნას მსჯავრდებულ რ. კ-სათვის.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 301-ე მუხლით, 307-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მე-2, მე-3 ნაწილებით და

## დაადგინა:

1. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სახელმწიფო უსაფრთხოების დეპარტამენტში, ანტიკორუფციულ სააგენტოში და გენერალურ ინსპექციაში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამმართველოს პროკურორ ელიზბარ გოზალიშვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. მსჯავრდებულ ა. ც-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ვ. ტ-ს საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

3. მსჯავრდებულ რ. კ-სა და მისი ინტერესების დამცველის, ადვოკატ ე. ლ-ს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

5. რ. კ-ს მიერ ჩადენილი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 339<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე.

6. რ. კ-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

7. რ. კ-ს სასჯელის მოხდა დაეწყოს 2015 წლის 20 იანვრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს დაკავებაში ყოფნის პერიოდი – 2013 წლის 20 ივლისიდან იმავე წლის 23 ივლისის ჩათვლით, ასევე პატიმრობაში ყოფნის დრო – 2013 წლის 26 ივლისიდან იმავე წლის 17 სექტემბრის ჩათვლით.

8. ცნობად იქნეს მიღებული, რომ რ. კ-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია. რ. კ-ს სახელზე გირაოს შემტან პირს განაჩენის აღსრულებიდან ერთი თვის ვადაში სრულად დაუბრუნდეს გირაოს სახით შეტანილი ფულადი თანხა.

9. ა. ც-ს მიერ ჩადენილი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 25,339<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილით გადაკვალიფიცირდეს სსკ-ის 25,338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტზე.

10. ა. ც-ე ცნობილ იქნეს დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 25,338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით და მიესაჯოს 11 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას სასჯელის მოხდა დაეწყოს 2015 წლის 20 იანვრიდან. მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალოს დაკავებაში ყოფნის პერიოდი – 2013 წლის 20 ივლისიდან იმავე წლის 26 ივლისის ჩათვლით.



11. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ა. ც-ს მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო გაუქმებულია.

12. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 25 ივლისის განჩინებით ქონებაზე დადებული ყადაღა და ყადაღა მოეხსნას ა. ც-ს მიმართ გამოყენებულ, გირაოს უზრუნველსაყოფად ჯ. გ-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას (მდებარე: ..., სოფელ ..., საკადასტრო კოდი ...).

13. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

14. განაჩენი საბოლოოა და არ საჩივრდება.

# საკიეპალი

## ზოგადი ნაწილი

### 1. სასჯელის დანიშვნა

მსჯავრდებულის დამატებითი სასჯელისაგან გათავისუფლების საფუძვლები .....	3
თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის ჯარიმით შეცვლა .....	6
დამატებითი სასჯელის ამორიცხვა იმ საფუძვლით, რომ მსჯავრდებულს ძირითადი სასჯელი არ ჰქონდა დანიშნული .....	11
ძირითადი სასჯელის სახით დანიშნული ჯარიმის თანხის ოდენობის შემცირება .....	14
პირადი მოხმარების მიზნით „გამომშრალი მარიხუანის“ უკანონო შექმნა-შენახვისათვის დამნაშავედ ცნობა სასჯელის დაუნიშნავად .....	17
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინების შესაბამისად, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალება „მარიხუანის“ უკანონოდ მოხმარებისათვის მსჯავრდებისას სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების დაუშვებლობა .....	61; 68
ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ მოხმარებისათვის ნასამართლევი პირის მიმართ თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის შეცვლა ჯარიმით .....	71; 76
არასრულწლოვნის მიმართ „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით“ გათვალისწინებული უკუძალის გამოყენებით სასჯელის შემსუბუქება .....	82

### 2. პირობითი მსჯავრი

დანიშნული სასჯელის პირობითად ჩათვლა .....	90
---	----

### 3. ამნისტია, შეწყალება, ნასამართლობა

ნასამართლობის გაქარწყლება .....	94
---------------------------------	----

## პირადი ნაწილი

### 1. დანაშაული სიცოცხლის წინააღმდეგ

სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით .....	98
--	----

<b>2. დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ</b>	
მსჯავრდებულის ქმედების გადაკვალიფიცირება „განზრახ მკვლელობის მცდელობიდან“ „ხულიგნური ქვენაგრძობით ჩადენილ ჯანმრთელობის მიიმიე დაზიანებაზე“ .....	129
<b>3. დანაშაული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ</b>	
გაუპატიურება .....	139
<b>4. დანაშაული საკუთრების წინააღმდეგ</b>	
ქურდობა .....	156; 161
მსჯავრდებულის ქმედებიდან ქურდობის მაკვალიფიცირებელი ნიშნების – საცაფში უკანონოდ შეღწევა და ქურდობა ჩადენილი დიდი ოდენობით, ამორიცხვა .....	176
ძარცვა .....	182; 187
<b>5. სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევა</b>	
ელექტრო-ობიექტის ექსპლუატაციის დროს უსაფრთხოების წესების დარღვევა, რასაც მოჰყვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა .....	191
<b>6. სამოხელეო დანაშაული</b>	
სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება .....	203
ქრთამის აღება განსაკუთრებით დიდი ოდენობით .....	225

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 298 21 03  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)